Ամենայն

Հոգեւոր

Երգարան

Նուագ-ցնող,

երգիչներ...

Ամենայն

Հոգեւոր երգարան

ოთვალი
ჩამოსვლა
სოფლისკენ

ნოველები, მოგონებები, . . .

ლაშა
ხეთაგური

ბათუმი 2019

UDC(უდკ)821.353.1-32+821.353.1-1
ზ-544

რეცენზენტი – პროფესორი *რევაზ ჭიღლაძე*

რედაქტორი – პროფესორი *ვახტანგ ინაური*

ISBN 98 -9941-8-0913-2

არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს

თამაზ ზერეკიძე – სახელი, რომელიც ოთხი ათეული წელია ათასობით სტუდენტისათვის შეუვალობისა და სამართლიანობის სიმბოლოდ იქცა.

უმაღლესი რანგის მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ხელმარჯვეობითაც გამორჩეული, თავის კიდევ ერთ გატაცებას მალავდა თურმე. მაგრამ, სტუდენტების გავლენით დაფარული გაცხადდა. ავტორმა გაგვიმხილა რვეულებს მინდობილი სიყვარული.

კრებულში შევიდა ნოველები, ლექსები, ჩანახატები. მთავარი თემებია სოციალური და ზნეობრივი პრობლემები, სტუდენტობა. რიგი ჩანახატებისა გაჯერებულია იუმორით.

ბევრისთვის პროფესორ თამაზ ზერეკიძის პიროვნების ეს მხარე ნამდვილად სიურპრიზი იქნება. მკითხველი ადვილად დაასკვნის, რომ საქმე გვაქვს ,,ნიჭის ათას გაბრწყინებასთან“, რომელიც დიდი ოსტატობით იყენებს ქართული ენის (,,თავანკარა ნაკადულის“) უკიდეგანო სიმდიდრეს.

წიგნის წაკითხვის დროს მკითხველს ბევრი ფიქრი არ დასჭირდება, დარწმუნდეს ავტორის განსწავლულობაში, რომ იგი რითმების გამოყენებისა და აზრის გამოხატვის უბადლო ოსტატია, წიგნი მკითხველს მაგნიტივით მიიზიდავს და თვალს ვერ მოაშორებს მას უკანასკნელი სიტყვის ამოკითხვამდე.

მკითხველი იმასაც შეამჩნევს, რომ წიგნის ავტორის მეხსიერებას გასაოცარი სიზუტით შემოუნახავს ერთის მხრივ გამორჩეული – კარგი სტუდენტების უმნიშვნელო (რომლებსაც სხვები არც კი აქცევენ ყურადღებას!) თვისებებიც კი, მაშინ როდესაც უღირსების მიმართ იგი შეუვალი და მკაცრია. ამის წყალობით არაერთმა მათგანმა იპოვა თავისი ნამდვილი მოწოდება. წიგნშიც სტუდენტთა ორივე კატეგორიას თავის კუთვნილ ადგილს უთმობს ღვაწლმოსილი პროფესორი.

ეს წიგნი უნიკალური მოვლენაა ქართულ სინამდვილეში იმითაც, რომ მასში პირველადაა დიდი სისრულით წარმოდგენილი, თუ როგორია პროფესორის თვალით დანახული სტუდენტი და პირიქით, როგორ უყვართ სტუდენტებს ის ლექტორი, რომელიც გარდა კარგი ლექციის ჩატარებისა, არის მათზე დღენიადაგ მზრუნველი და უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომაც კი აგრძელებს მათთან ურთიერთობას.

ავტორი ერთ-ერთ ადგილზე წერს ,,მე ასე მჯერა – კაცის გამ-ზომი დაბლა სინდისი, მაღლა ღმერთია-ო!''. დიახ, ასე იცხოვრა მან და ასე აპირებს იგი ამქვეყნიური დანარჩენილი ცხოვრების გავლას, ამის ნათელი მაგალითი წიგნში უამრავია, თუმცა ერთიც კმარა მისი შემოქმედებიდან – ,, სინდისო შე უსინდისო''.

წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ ბევრი ისეთი ლექსია მასში, რომელებიც, ვფიქრობ, სიმღერებად იქცევიან და ამ მხრივაც გახ-დებიან უკვდავების ბინადარნი.

წიგნის ავტორი, პროფესორი თამაზ ზერეკიძე ნათელი მაგა-ლითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იმოღვაწეოს ადა-მიანმა თავისი ქვეყნის სამსახურში. თუ ამას გაითავისებს ჩვენი ერი, საქართველოს გადაშენება არ უწერია!

რევაზ ჭიღლაძე

რედაქტორისაგან

პროზაული ნაწილი თამაზ ზერეკიძის წიგნისა “რვეულში ჩარ-ჩენილი სიყვარული“ ნოველებისა და ეტიუდების საინტერესო კრებულია, რომელიც მოგვითხრობს ლექტორისა და სტუდენტე-ბის სასწავლო და პირადულ ურთიერთობაზე. ავტორი ხატავს ფსიქოლოგიურად მდგრადი და გაწონასწორებული მასწავლებლის მაღალპროფესიონალურ სახეს, რომელიც თავის პედაგოგიური პრინციპების ერთგულია, მასში შერწყმულია სიმკაცრე, ობიექ-ტურობა და ჰუმანიზმი.

ბეჯით სტუდენთან მუშაობა მისი სტიქიაა. სწორედ ის ბეჯითი სტუდენტები არიან მისი ნოველების პერსონაჟები. სიმკაცრე გამო-ხატულია, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი მოთხოვნით, როგორც ლექციების მაღალ დონეზე ჩატარების, ისე გამოცდების ორგანიზაციასა და ცოდნის შეფასებაში.

ნოველებს აერთიანებს მთავარი პერსონაჟი, რომელიც პირველ პირში მოგვითხრობს მეტად დრამატულ ეპიზოდებს. გვიამბობს სიყვარულის სუფთა და ნათელ გრძნობებზე. ამ მაღალადამიანურ ნიჭზე, რომელიც ნაკლებ ითვალისწინებს სუბორდინაციის პრინ-ციპს, არ იკეტება თავის თავში. არ იზღუდება არსებული სოციუ-მითა და ტრადიციული კანონისტიკით, მაგრამ არასოდეს სცდება ზნეობისა და ეთიკის ფარგლებს. ლექტორსა და სტუდენტებს შო-რის წმინდა რომატიკული და სუფთა ადამიანური ურთიერთობა სუფევს, რომელიც აღსავსეა ურთიერთპატივისცემით, გამოუთ-ქმელი და გაუმხელელი სიყვარულით, რაც შეუძლებელია არ ჰქონდეს მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ჭეშმარიტ ადამიანს. ამ გრძნობასთან მიმართებაში ლექტორი სუფთა, გაწონასწორებუ-ლი, შეუვალი და თავდაჭერილია, რაც მის ფენომენალურ გონი-ერებასა და ზნეობაზე მეტყველებს.

წიგნის მიხედვით სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და სიმკაცრის შედეგად ბევრი უპასუხისმგებლო და უცოდინარი სტუ-დენტი გარიცხულა. მაგრამ ისინი წყენისა და სიბრაზის ნაცვლად პატივისცემით ხვდებიან და პატივისცემით იხსენებენ თავიანთ ლექტორს. რადგანაც მათ გარიცხვის შემდეგ თავისი საქმე ნახეს, იმ გზას დაადგნენ, რომელიც მათი მოწოდება ყიფილა. ნოველაში „უცნაური სადღეგრძელო“ ავტორი გვიჩვენებს, რომ სიმართლე არ იკარგება, სიმართლისთვის და ობიექტურობისთვის ადამიანს არ კიცხავენ.

ბეჯითი სტუდენტი პერსონაჟები ხასიათებით ერთმანეთს არ ჰგვანან. მათ ერთი საერთო აქვთ: ეს არის მათემატიკის ნიჭი და სიბეჯითე. მათ გულში დიდ ადგილს იკავებს სიყვარული მაღალ-კვალიფიციური ლექტორისადმი, რომელიც მათ მუდმივ სულიერ თანამგზავრად და მოძღვრად რჩება.

თამაზ ზერეკიძე ქმნის პერსონაჟს, რომელიც მოღვაწეობს კორუ-ფციის, მექრთამეობისა და უზნეობის პირობებში, ასეთ რთულ და ზნედაცემულ სოციუმში იგი არამარტო ინარჩუნებს ლექტორისა და მოსწავლეების სუფთა სახელს, არამედ აღრმავებს პედაგოგიურ მორალს, ამაღლებს სტიუდენტისა და ლექტორის სასწავლო და ადამიანურ ურთიერთობას. ამკვიდრებს ჩრდილოვან გარემოცვაში ახალ დემოკრატიულ მეთოდებს.

თ. ზერეკიძის პოეზია თავისი თემატიკითა და პრობლემატიკით განსხვავებულია პროზისგან. იგი რთულ საზოგადოებრივ, სოცია-ლურ და ზნეობრივ საკითხებს მოიცავს. ლექსების ნაწილი დაიბე-ჭდა გაზეთ ,,ლიტერეტურულ მესხეთში". მკითხვლი გაეცნო პოე-ტის ლირიკულ განწყობილებებსა და პოეტურ მედიტაციებს. მის პოეზიაში ნათლად ჩანს ავტორის მხატვრული დაკვირვების, გარე-მო სივრცის აღქმისა და პოეტურად წარმოსახვის ნიჭი და უნარი. ამიტომ არ იქნება მართებული, ვიფიქროთ, რომ თ.ზერეკიძის ლექ-სები მომენტალურად გაელვებული შემოქმედებითი ემოციების შედეგია, ეს ასეც რომ იყოს მათში მკვეთერად იგრძნობა განცდი-ლი, ნაფიქრი და ნააზრევი კომპონენტების სიმრავლე, რაც უდა-ვოდ წარმოაჩენს მის პოეზიაში არა მარტო როგორც გრძნობად შე-მოქმედებას, არამედ, როგორც რაციონალური და გონებრივი გან-სჯის ნაყოფს. ამდენად თ.ზერეკიძე წარმოჩნდება როგორც ინტე-ლექტუალური, გრძნობით აღსავსე ავტორი.

მრავალფეროვანია თ.ზერეკიძის პოეზიის თემატიკა. ყოველ თე-მას მაღალი ყურადღებითა და პოეტური პასუხისმგებლობით ასა-ხავს. ყველგან ყოფითი ცხოვრების წიაღში მნიშვნელოვან ეთიკურ პრობლემებს ეძებს. ეძებს და უხვადაც პოულობს.

ერთ-ერთი საინტერესო თემაა სინდისის საკითხი, რომელიც გა-დმოცემულია ლექსში ,,სინდისო, შე უსინდისო!". ლექსში ლირი-კული გმირი დამძიმებულია სინდისით. მიმართავს კიდევაც მას ,,წადი, დამეხსენ სინდისო, სულ თან რას დამდევ კუდშია", მაგრამ ეს არის ერთგვარი ირონია, რომელიც უნამუსოთა მიმართ არის გამიზნული. ამ ფონზე წარმოაჩენს როგორ ცხოვრობენ უსინდისო ადამიანები, რომ ისინი იტყუებიან, ღალატობენ, მდიდრდებიან,

ზეიმით და ,,ტაში-ტუშით“ ცხოვრობენ, მაგრამ ლირიკულ გმირს მაინც არ უნდა სინდისმა დატოვოს იგი, მას სურს სინდისით განაგრძოს ცხოვრება, რადგან უსინდისოდ დარჩენილს ,, ეშმა იპოვის მრუშია-ო''.

სამშობლოს სიყვარულიც ორიგინალურად არის ასახული ლექსში ,,შენ დროშას ვეამბორები!'' ამ ლექსშიც ნათლად ჩანს თანამედროვეობის პრობლემები, ქვეყნის უკუსვლის მიზეზები, მავანთა და მავანთა – ,,ჭკვა-ბრტყელი ორატორების'' მიერ მოტყუება ხალხისა და ქვეყნის, მაგრამ ლირიკული გმირი მაინც იმედიანად მიმართავს სამშობლოს:

,,ნუ მოგიშლია იმედი
ნაოხრის გამოსწორების.
მკლავით, გულით და გონებით,
არა მოლაყბე მძორებით.
შოთას, საბას და ილიას
მუდამდღე გამეორებით!“

ლექსში აფიქრებს ღვთისმშობლის წილვედრი ქვეყნის წინაშე ვალდებულებისა და მისდამი ერთგულების გამომხატველ თავის პირად განცდებს.

,,რა თავში ვიხლი სიცოცხლეს,
კეხი თუ მადგას ჯორების,
თუ ამომშანთეს ნაბეჭდი
ღვთსმშობლის ნაამბორების.''

ლექსში ,,მონა თუ ბატონი'' ასახულია პიროვნული და ეროვნული თავისუფლების პრობლემა. აქ დასმულია ღრმა სოციალური და ფილოსოფიური კითხვა ,,ჯერ მონა გაჩნდა თუ ჯერ ბატონი?''

ამაოა პატრონისა და მარჩენალის ლოდინი, თავად უნდა შექმნა შენი თავისუფლება შრომით. შრომით უნდა ირჩინო თავი და არა ,,მარჩენალის“ წყალობით. ,,თავისულება ალია წმინდა,'' თავისუფლებას დახსნა სჭირდება.

სოციალური უკუღმართობა მხატვრული, მეტაფორული სტრიქონებითაა გადმოცემული ლექსში ,,ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს''.

აზრი რიტმული თანმიმდევრობითა და და მაღალი ექსპრესიითაა გადმოცემული.

,,ჯანყი განელდა, კოცონიც ცხრება,
დარჩა მარტოდენ გრილი ნაცარი.
ოი, რამდენი, ოი, რამდენი,
კაცი მინახავს მე ნაკაცარი.''

მთელი ქალაქი ,,ნიღბოსნების'' ხელშია, მათთან სუფთა – შიშველი სულით გასვლა კატასტროფაა. ქვეწარმავლების სოროები, ყვავების საბუდარები უამრავია ქალაქში. ღირსეული ადამიანი დღისით ვერ ნახა, მგლებთან ცხოვრებაც შეუძლებელია, ამის მნახველ არწივსაც კი ,,ცრემლი ჰკიდია კეხზე''.

ასეთი სიმძაფრით აღწერს ლექსის ავტორი რეალურ სოციალურ ვითარებას ქალაქში.

არანაკლებ პრობლემატურია ლექსი ,,ერთ მესაფლავეს მოსვლია ბრაზი''. აქ ისეთი ცხოვრების ფილოსოფიის პარალელური საკითხებია ასახული, რომელიც ასე ერთად, შეიძლება ითქვას, არც ერთი პოეტის შემოქმედებაში არ გვხვდება.

სიკვდილ-სიცოცხლე, სიმართლე და უსამართლობა, სიყვარული და სიძულვილი, პატიოსნება და უნამუსობა, ქურდი და კანონმდებელი, გონიერება და სიბრიყვე. ეს პარალელური მარადიული საკითხები მეტად ორიგინალურად და პოეტურად არის გადმოცემული. ეს ის წყვილეული საკითხებია, რომლებიც უერთმანეთოდ არ არსებობენ, ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ერთმანეთის პარალელურად არსებობენ. მაგრამ აქ ალეგორიულადაა გააზრებული დადებითი ცხოვრებისეული კატეგორიის სიკვდილის განცდა უარყოფითის მიერ. ეს გონიერებისა და სიბრიყვის ურთიერთმიმართებაში ნათლად ჩანს:

,,გონიერება რომ გარდაცვლილა
სიბრიყვე თურმე, გადარეულა,
ახლა ჩემია ეს არე-მარე,
ქვეყანა უკვე გვეკუთვნის ბრიყვებს.''

ამ ლექსში დასკვნითი სიტყვა მესაფლავეს ეკუთვნის , ის ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველია, უამრავი დაუსაფლავებია და მრავალჯერ უსმენია ტირილი. თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე კარგად იცის ყალბი დატირება და გულით გლოვაც. ამიტომ ფარისეველთა ტირილს ,, დავკარგეთ კაცი, რა ბუმბერაზი", ის ბრაზმორეული პასუხობს „თქვე წუპაკებო, თქვენ არ მოკალით?!''

თამაზ ზერეკიძე ერთი მთლიანი შემოქმედია, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. პრობლემატიკა და თემატიკაც მეტ-ნაკლებად ანალოგიურია, მხოლოდ მხატვრული სივრცეა განსხვავებული, მაგრამ ყველგან იგი სიმართლესა და ზნეობას აყენებს ყველაფერზე მაღლა და ამ ორი მთავარი პრინციპიდან იხილავს ეროვნულ, სოციალურ და პირად ადამიანურ საკითხებს.

გულით ვულოცავ ბატონ თამაზ ზერეკიძეს ჭეშმარიტად თანა-

მედროვე, მაღალი ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების მქონე წიგნს. ვუსურვებ დღეგრძელობას, სასწავლო-სამეცნიერო და სამწერლობო წარმატებებს.

ვახტანგ ინაური

წინათქმის მაგიერ

კალმოსნობას არ ვიქადნი – ცხრა მუზისას ვიღებ ვალსა,
ვერცა დავთმობ ათენასთან გაჩენიდან ნაწერ ჯვარსა,
განდიდებას ვესწრაფვოდე – თავს არ ვკადრებ საქმეს ავსა,
ერთგულ ყმობით ხომ დავტოვებ უჩინარსა თუნდაც კვალსა.

ბედისწერას წაუღივარ – ვეჭიდები, რა ვქნა, ხავსსა!
კაცის ფიქრი უხორცოა, ფუჭად ვიქნევ, ვაგლახ, ხმალსა,
გმირი ვიყო – გავუძლებდი ჩამოქცეულს ამდენს ზვავსა,
მოგონება შემრჩა მხოლოდ – ბოლოს ტოვებს თურმე ნავსა.

ამიჯანყდა ნადარდალი, დახშულს მიმტვრევს გულის კარსა,
ფორმულებით ეს არ ითქმის – თავი მივცე მაშ რა წყალსა,
ორი სიტყვის თქმა მინდოდა, განა ვიყრი რამე ჯავრსა,
ხოტბას არ გთხოვთ – ნუ ჩაქოლავთ სიყვარულით უმაძღარსა.

თამაზ ზერეკიძე

მცირე პროზა

ადამიანი უკეთესია!

ოთხმოცდაათიანების დიდი ღამე იდგა.

უნივერსიტეტი უკვე გამოვიგლოვე – მოშლილი სასწავლო პროცესი, დერეფნებში ნახევრად გვარდიის ფორმაში გამოწყობილი გაურკვეველი წარმოშობის სუბიექტები, ზოგჯერ ავტომატებითაც. სასადილოში შეტყუპებული მერხები – ბანქოს თამაში, პროტექციისა და კორუფციის თარეში. ვინც ამ მორევს გადაურჩა – უიმედობის ჭაობი.

სამიანის მათხოვრად ქცეული სტუდენტობის ნაწილი, მათი მრავალრიცხოვანი სანათესაო, სამეზობლო, ადმინისტრაცია, ხელისუფლება. სამიანის გულისთვის დახოცილი ბებიები. ზოგიერთებს ბებიები რომ გამოელია – მშობლების ხოცვაზე გადავიდა. ვეღარ გამირკვევია ვინ ვარ – ჯალათი, დედა ტერეზა, პოლიციელი, მღვდელი თუ ცოცხი. მგონი ყველაფერი, მასწავლებლის გარდა. სულ უფრო ხშირად ვხედავ კაციჭამია ვირთაგვებით სავსე კასრს და დათას ხმა ჩამესმის:

– „მოსე ძმაო, ადამიანი ვირთხაზე რაცხა უკეთესი ხომ არ გგონია?!“

რომ არ გავგიჟდე, ქსოვა დავიწყე. არა, ხელით არა! – მანქანით. სახლში ქსოვის ტემპით ხვდებიან, იმ დღეს რამდენი სტუდენტი ჩაიჭრა. ცოტა ხანში ისე გავიწაფე, რომ არა მარტო მე, მთელი ოჯახი ჩემი ნაქსოვებით შეიმოსა! – ბევრი იჭრებოდა.

შეგუებული ვარ იმას, რომ:

იყალთო – იყო,

გელათი – იყო,

უნივერსიტეტიც – იყო!

მორჩა, აღარ ღირს დარჩენა! ჩავამთავრებ სემესტრს და მივდივარ! სად? – ჯოჯოხეთში! – ამაზე უარესი ხომ არ იქნება?!

შუა გამოცდების პერიოდში ვიგებ, რომ ჩემს ერთერთ სტუდენტ ვაჟს აფხაზეთში მიღებული ჭრილობა გაუმიზეზდა და ფეხი მოკვეთეს.

თავზარი დამეცა.

გამორჩეული ბიჭი იყო. ყველა რომ ინატრებდა – ნეტავ ჩემი შვილი, ძმა ან მეგობარი იყოსო. გარეგნულადაც განსხვავებული – მაღალი, წარმოსადეგს რომ იტყვიან, ვაჟკაცურად ლამაზი. არ მე-

გონა გამოცდაზე თუ გამოვიდოდა. ეტლით შემოიყვანა ძმამ. აიღო ბილეთი. იქვე, პირველ მერხზე დავსვით. ვერ წერს.

საშინელ დღეში ვარ.

მორჩა, გადაწყდა – დღეს მივდივარ! უნდა შევასრულო ჩემი პირობა – თუ ოდესმე ყალბ ნიშანს დავწერ, მე აუდიტორიაში აღარ შევალ მეთქი.

– მომეცით ჩათვლის წიგნაკი! – ვემზადები ჩემი ბოლო ნიშნის დასაწერად.

თითქოს ფიქრები წამიკითხაო, საოცრად კეთილი ღიმილით მეუბნება:

– მასწავლებელო, მე დღეს მზად არ ვარ. მოვედი, რომ მენახა როგორ ტარდება გამოცდა. უნივერსიტეტიც მომენატრა.

– მესმის...

– არა, – შემაწყვეტინა, – თქვენ რომ ახლა რაიმე შეღავათი გამიკეთოთ, სულ დამეკარგება თქვენი პატივისცემა.

აშკარად ვეცოდები!

– მაგრამ,...

– ნუ ღელავთ, – კვლავ მიმიხვდა ფიქრებს, – ნახავთ, დამატებით გამოცდაზე არ შეგარცხვენთ.

სხეულის ზედა ნაწილის მარცხენა მხარეს სიკეთისა და ღირსების გრიგალმა გადამიარა! გავუძელი! მისამართი ვკითხე – სახლში მოვალ და დაგეხმარებით ხოლმე მეთქი. ტაქტიანი უარი მითხრა:

– თუ რამე გაუგებარი მექნა, დავაგროვებ და წინასაგამოცდო კონსულტაციაზე ჩემი ძმა მომიყვანს.

იმ ღამეს თვალი ვერ მოვხუჭე. დილით, სარკიდან, დაბერებული, ოდესღაც ნაცნობი სახე მიყურებდა. კონსულტაციაზე არ მოსულა – პირდაპირ გამოცდაზე გამოვიდა. უმნიშვნელო ხარვეზები ჰქონდა – ისეთი, ნიშანზე გავლენა რომ არ აქვთ. თავი მოიკლა და ფრიადი არ დამაწერინა – არ მეკუთვნისო. ისევ პატივისცემის დაკარგვით მემუქრებოდა! რა მექნა? დავუწერე ოთხიანი. თუმცა ეს იყო ყველაზე ღირსეული შეფასება, რაც მე ოდესმე დამიწერია.

იმ დღეს საბოლოოდ გადაწყდა:

– ვრჩები!

არცა ვნანობ.

ძმადნაფიცს კი გავძახე:

– გეშლება, ძმაო! ადამიანი ვირთხაზე ბევრად უკეთესია!

ციკლიდან –
„ზოგჯერ მასწავლებლებიც ცელქობენ“

უპატიებელი შეცდომა

მესამე რიგის პირველ მერხზე პატარა, გამხდარი გოგონა იჯდა, ფერმკრთალი და დიდრონთვალება – ნინო.

მის ხმას იშვიათად გაიგონებდით, უაღრესად თვინიერი და წყნარი ჩანდა, მაგრამ მათემატიკასთან გაბუტული იყო. მეტიც, ერთადერთი ოცნება ჰქონდა – სიკვდილით დაესაჯა მათემატიკის გამომგონებელი. ძალიან მკაცრად მოპყრობასაც ვერ ვახერხებდი, იმდენად სიფრიფანა იყო. რამდენჯერმე დატუქსვამ არ გაჭრა.

შუა ოქტომბერი იდგა.

დავალების რვეულების შემოწმება პირველი რიგიდან დავიწყე. მის მერხს ბოლოს მივადექი. დავალება ცუდად ჰქონდა შესრულებული. რვეული უნებლიედ ბოლო გვერდზე გადაიშალა. ვხედავ, უზარმაზარი ასოებით წერია:

„ზერეკიძეს ახალი ტუფლები აცვია“.

ჯგუფი გაირინდა.

მივხვდი, ზურგით რომ ვიყავი, მოასწრო და წარწერა ჯგუფს აჩვენა. შევხედე ბავშვს. მხოლოდ თვალებიღა იყო დარჩენილი – თვითონ სადღაც გამქრალიყო. მოვახერხე არ გამღიმებოდა. ცივი, ძალიან მკაცრი ტონით, დიდი პაუზებით დავიწყე:

– თქვენ… დაუშვით უპატიებელი შეცდომა! მე უფრო მივუტევებ ადამიანს მათემატიკის არცოდნას, ვიდრე...მშობლიური ენისადმი ასეთ უდიერ მოპყრობას! აქ „ტუფლების“ ნაცვლად უნდა დაგეწერათ „ფეხსაცმელები“!

ეს ამბავი გახმაურდა.

ამის შემდეგ ნინომ აშკარად მოუმატა სწავლას. თითქოს ცდილობს დანაშაულის გამოსყიდვას და მადლიერების გამოხატვასაც. ძნელად, მაგრამ მაინც მიიწევს წინ. ველოდები მომენტს. დიდხანს გაგრძელდა. ის შემთხვევა აღარასოდეს მიხსენებია.

მოვიდა აპრილი

ნინო აშკარად გაძლიერდა. გადავწყვიტე, რომ უკვე დროა.

იმ დღეს ახლადშეძენილი ფეხაცმელები ჩავიცვი, შევამოწმე დავალებები. ნინოს სრულყოფილად ჰქონდა შესრულებული. მოლოდინით მომჩერებია. მიხარია, მაგრამ არ ვიმჩნევ, ვიძახებ დაფასთან. ამოცანა სწრაფად და უშეცდომოდ ამოხსნა. მიყურებს გაბრწყინებული თვალებით.

– სამწუხაროდ, თქვენ ადრე უფრო ყურადღებიანი იყავით...

გოგონას სხივი ჩაუქრა და ამოხსნაში შეცდომის ძებნა დაიწყო. როცა დარწმუნდა, რომ ამოცანა სწორად იყო ამოხსნილი, თვალები აუწყლიანდა. სანამ ბოლომდე აევსებოდა ცრემლით, მოვასწარი დამთავრება:

– ნინო, ამოცანა სწორად გაქვთ ამოხსნილი, დავალებაც შესანიშნავად შესრულებული, მაგრამ უყურადღებობის გამო ვერ შენიშნეთ, რომ მე დღეს ახალი ფეხსაცმელები მაცვია!

სიცილი და ვერშეკავებული ცრემლი ერთმანეთს შეერია.

ძალიან ლამაზი იყო.

იმ დღეს ნინომ პირველი ფრიადი მიიღო. რა თქმა უნდა, მათემატიკის „გამომგონებლის“ მოკვლაც გადაიფიქრა.

თითქმის
დოკუმენტური მოთხრობა

ჩითისკაბიანი ანგელოზი

შვებულებაში გასვლამდე ორი კვირაღა დარჩა. სოფელში მელიან. მშობლებს ალბათ უკვე გზისკენ უჭირავთ თვალი. მელოდება სახლის მშენებლობა, დაუმთავრებელი რომ გახდა – სურამის ციხესავით.

ტელეფონმა დარეკა, დეკანი იყო – უნდა შევხვდეთო. გულმა შუბლი შეიჭმუხნა – ეტყობა გულსაც გულმა ცუდი უგრძნო.

შევხვდი.

მაშინვე მივხვდი – დიდი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

– არ დამიწყო ისევ – სოფელიო, მშობლებიო, სახლიო! – გადმოვიდა პირდაპირ შეტევაზე. ეტყობოდა დიდი აღმაშენებლის შთამომავალი რომ იყო.

– დეკანია თუ ნათელმხილველი?! – მხოლოდ ამის გაფიქრება მოვასწარი.

– რექტორმა დამიყოლია კომისიის თავმჯდომარეობაზე. სანიმუშო მისაღები გამოცდები უნდა ჩავატაროთ. იდეის ერთგული ხალხი მჭირდება. ორი დღე წერების ორგანიზებაში დამეხმარები, აპელაციები რომ დაიწყება – საპრეტენზიო კომისიას უხელმძღვანელებ! რექტორთან შენი კანდიდატურა უკვე შეთანხმებულია.

გავოგნდი!

გამოდის, რომ სანამ მე – დედით რაჭველი, მამით კი რაჭველზე მძიმე ქართლელი პირის გაღების გადაწყვეტილებას მივიღებდი, ამ

ჩაუქმა გურულმა ბრძანებაც დაწერა, ხელიც მოაწერა. მერე ბეჭედიც ჩაუტყლაშუნა და ასე მტერი დაგეცალოსო – ამის თქმაც მოასწრო!

ცალი თვალი კარისკენ გავაპარე, მაგრამ ხომ გითხარით აღმაშენებლის შთამომავალი იყო მეთქი – გასაქცევი გზა ჩახერგილი ჰქონდა. ჩემი სიჯიუტე აშკარად აგებდა მის ეშმაკობასთან. ცოტა ხანში იმდენი მოახერხრა, რომ ბრძოლის ვირუსი მეც გადმომდო და ორკაციან მიტინგს უკვე მე ვუძღვებოდი:

– აბა რა! – ვქუხდი და ვჭექდი, – ვაჩვენოთ მაგ თავგასულებს, რომ ამ ქვეყანაში ყველა და ყველაფერი არ იყიდება! – ღია ომში გამოვიწვიე კაცობრიობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი.

მიკროფონი კუთხეში მიყუჟულიყო.

– ამან თუ ასე გააგრძელა, დავრჩები უმუშევარი! – სახეზე ეწერა საბრალოს.

თავმჯდომარე თავისი ვაქცინის ასეთ ეფექტურობას არ ელოდა და მგონი ცოტა ეჭვი შეეპარა – ამ კაცს მართლა დასვენება ხომ არ სჭირდებაო!

ორი კვირის შემდეგ, მაღლივი კორპუსის მეორე სართულის დერეფანში გაჯგიმული დავიარები! ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ასე ახალგაზრდას ამხელა პატივი დამდეს! ახდა ცხონებული ქაიხოსრო პაპას წინასწარმეტყველება – ეს ბავშვი ან სულ დააქცევს ამ ქვეყანას ან მართლა კაცი დადგებაო! ჩემი პატივმოყვარეობის ტიკჭორა თითქმის სავსეა. მხოლოდ ისღა მინდა პაპაჩემმა კედლიდან დამინახოს როგორ დავდექი მართლა კაცი და ხელის ამაყი მოძრაობით აზნაურის ულვაში ზემოთ აიპრიხოს. ეს ოხერი სათვალთვალო კამერა რაღა ახლა არ მუშაობს – იქნებ იქ მაინც გამოვჩენილიყავი!

ჩემს ზონაში სრული წესრიგია. არცთუ ბევრად უმცროსი აბიტურიენტები ჩემი მკაცრობაში ნავარჯიშევი სახის დანახვაზე თავის განძრევას ვერ ბედავენ.

ასეთი ტრიუმფი ნაპოლეონ ბონაპარტს არ ღირსებია აუსტერლიცთანაც კი. ჩემი დიდებული გამომეტყველება არ ჩამოუვარდება თორნიკე ერისთავისას – ბარდა სკლიაროსის დაჩოქებისას რომ ჰქონდა.

ფიქრებმა გამიტაცა. ევროპაში წესრიგის დამყარების შემდეგ ცოტა სამშობლოსთვისაც მოვიცალე – აღა მაჰმადს თბილისის მისადგომებთან დავუხვდი. აქ არ დავღვარე მისი სისხლი – ჩემი მიწა არ წაიბილწოს მეთქი. ისპაჰანამდე ვსდიე საჭურისს! სულ

კუნტრუშით გარბოდა! მეხვეწებოდა – კარგი, გეყოფა, დავიღალე, კაცი არა ხარო? დედას გეფიცები, მეტს აღარ ვიზამო!

თავმჯდომარის ირიბმა მზერამ გამომაფხიზლა. ვატყობ, კმაყოფილია საქმისადმი ერთგული გენერლით.

უეცრად, ეს იდილია მომიჯნავე აუდიტორიიდან მოსულმა საუბარმა და რაღაც მონოტონურმა კაკუნის ხმამ დაარღვია. ღია კარიდან საშინელ კადრს ვხედავ – შინაგამცემი! კომისიის წევრი, რომელიც ძალიან მივამსგავსე მოღალატე ყორღანაშვილს, დასდგომია თავს პირველ მერხზე მჯდომ აბიტურიენტ გოგოს და კარნახობს. გოგო კი აკაკუნებს.

სისხლი კინაღამ თავს ზემოთ ამივარდა! საცაა, უნდა ვებრდღვნა და ხმლის ერთი მოქნევით გავაგდებინო თავი იუდას, რომ მხარზე ვიღაცის ხელი ვიგრძენი – თავმჯდომარე მიღიმოდა:

– უსინათლოა, ბილეთს უკითხავს, ის კი თავის ენაზე – ბრაილის შრიფტით იწერს.

ახლაღა გავიგე ამ შრიფტის შესახებ – მუყაოს სპეციალურ ქაღალდზე სადგისით იჩხვლიტება წერტილების კომბინაცია, წაკითხვა კი ხდება მეორე მხრიდან თითებით, ამობურცულობების შეგრძნებით.

– მერე კომისიაში ვინ არის მაგის წამკითხავი? – ვკითხე გაოცებულმა.

– არავინ. არცაა საჭირო – წერის მერე დარჩება აბიტურიენტი, გვიკარნახებს თავის ნაწერს, ჩვენ ჩავიწერთ ჩვეულებრივი ტექსტით და მაშინვე შევაფასებთ. ორივე ნაშრომი დაილუქება და ასე შეინახება.

იმ მომენტში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ საშინელი მისიის განხორციელება მე მომიწევდა!

დამთავრდა წერა. კომისიის წევრები ნელნელა გაიკრიფნენ სასადილოდ. დავრჩენილვართ სამიოდ გამომცდელი და მომლოდინე უსინათლო გოგო. თავმჯდომარემ დანარჩენი ორიც გაუშვა.

– დაუჯექი ამ აბიტურიენტს, ჩაიწერე მისი ამოხსნები და შეაფასე ნაშრომი, – დამავალა მე, თვითონ კი მოშორებით მდგარ მერხზე დასკუპდა!

მეტყველების უნარი დავკარგე! გულში დავწყევლე ყველა ნაპოლეონი, ყველა გენერალი და გენერლობაზე მეოცნებე! საკუთარი თავი შემძულდა – ნახევრად რაჭველი ჩლუნგი ქართლელი – ჩერჩეტი, უტვინო, შტერი, რეგვენი, ტუტუცი, ამ წუთას ეშმაკმა გურუ–ლმა რომ გააბრიყვა. ე.ი. უკვე ბრიყვიც! საკუთარი თავის სალან–

ძღავად ქართული სიტყვები რომ ამომეწურა, უცხოურში დავიწყე ძებნა. ჩემი შესაფერისი ვერც იქ ვიპოვე – ისევ ერთუჯრედიან კრეტინზე შევჯერდი.

– კრეტიონო! რა ჯანდაბა გინდოდა აქ! სოფელში კაკლის ჩრდილი გელოდება, მშობლები გზას გასცქერიან, სახლის მშენებლობა გაჩერებულია. მომინდომა გმირობა, ქვეყნიერების გასწორება! იდიოტი! – გულჯავრიანზე საკუთარი სახელიც შემეშალა.

მოკლედ, ნაპოლეონიდან საცოდავი, ნაცემი სველი კნუტიღა შემრჩა ხელში. ძირს რომ ვეშვებოდი, იმ ადგილსაც ჩავუქროლე მართლა კაცი რომ დავტოვე. სადღაა – გაპარულა! ჯიბრზე, სათვალთვალო კამერაც მაინცა და მაინც ახლა ამუშავებულიყო. გავხედე ქაიხოსრო პაპას – ცრემლი სდიოდა, კედელი დაესველებინა – მიცვალებული ცოცხალს დასტიროდა! მგონი ეს პირველი შემთხვევაა ადამისა და ევას სამოთხიდან გამორეკვის შემდეგ.

კალამი არც კი მაქვს მომზადებული. რა მაქვს ჩასაწერი?!

– დაიწყეთ! – მგლოვიარე ხმით, უხალისოდ ვიხდი ვალს.

– პირველ საკითხად მოცემულია მეორე რიგის ერთგვაროვანი ტრიგონომეტრიული განტოლება არანულოვანი თავისუფალი წევრით, რომელიც იხსნება შემდეგნაირად....

მიმოვიხედე. სხვა არავინ იყო – ნამდვილად გოგონა ლაპარაკობდა! წინ ეჯდა ერთუჯრედიანი კრეტინი, რომელიც საკუთარ ნიკაპს ეჯაჯგურებოდა, რომ როგორმე ჩამოვარდნილი ყბა თავის ადგილზე დაებრუნებინა, რადგან ამ უკანასკნელს ნებაყოფლობით ამის გაკეთება არ სურდა. მოშორებით მხოლოდ თავმჯდომარე იჯდა – ვითომ საქმეს აკეთებდა!

მალევე მოვეგე გონს – ასეთი განტოლება მაინც სტანდარტულია, ალბათ დააზეპირებინეს.

მეორე საკითხის გადმოცემისას უკვე გამოცდილებამიღებული ყბა შუა გზაში დაფიქსირდა და ასე მსუბუქად პირდაღებული ვუსმენდი.

ნაცემი კნუტი ფეხზე წამოდგა, სველი ბეწვები დაიბერტყა. პაპას სურათსაც ცრემლი შეშრობოდა და ცნობისმოყვარედ იმზირებოდა.

მესამე საკითხის იმედი აღარ მაქვს, რადგან აქ ისეთი ელემენტია ჩადებული, ვერავინ რომ ვერ გასწავლის – საკუთარი უნდა გქონდეს.

– მესამე საკითხში მთავარია იმის მიხვედრა, რომ... – მიხსნის უკვე კარგი მასწავლებელივით! ღმერთო დიდებულო! დადებითი შეფასება გვაქვს! ჩაჭრას გადავრჩით, სხვას აღარაფერს ვჩივი!

გულმა ისეთი ბრახუნი ატეხა, რომ მოშორებით მარტო მსკუპარე თავმჯდომარემ თავაუღებლად ჩაილაპარაკა – მობრძანდით! ისევ მოვკარი თვალი ბონაპარტს. ელბადან გამოქცეულიყო და ემზადებოდა იმპერატორის ტახტზე მეორეჯერ ასასვლელად. კვლავ შემიყვარდა საკუთარი თავი! ოღონდ ცოტა დავტუქსე:

– არა, ყველამ რომ შენსავით უარი თქვას გამოცდებზე, მაშინ ხომ უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიან! ეგ როგორ იფიქრე შე გლახა შენ! არა უშავს, მშენებლობა და მშობლები მოიცდიან – პირველია თუ!

გავხედე თავმჯდომარეს, ჩემი სახის გამომეტყველებით ხვდება რაც ხდება და თვითონაც გაბადრული სახე აქვს. მაგიდაზე თითებით მელოდიას უკრავს – ძაღლების მარშს რომ ეძახიან, მგონი ისაა.

მეოთხე და მეხუთე ამოცანები გეომეტრიულია. რა თქმა უნდა, აქ უკვე შანსი აღარ გვაქვს. განსაკუთრებით მეხუთეში – ურთულესი სტერეომეტრული ამოცანაა კვეთაზე. კომისიის ზოგიერთმა წევრმა – ჩვენც გაგვიჭირდაო!

მექანიკურად ვიწერ, ყურადღებით ვეღარ ვუსმენ – მაინც აზრი აღარ აქვს. მის თითებს ვუყურებ. ასეთი ლამაზი თითები ჯერ არ მინახავს – ნეტავ მხატვარი ვიყო! როგორ დასრიალებენ და ეფერებიან მუყაოს პაწაწუნა ბორცვებს. მომაჯადოვებელი სანახაობაა. ფიგურული სრიალის ყურება მიყვარს ძალიან. ის ამასთან ახლოს ვერ მოვა!

– და მაშასადამე, საძიებელი ფართობი იქნება...– დაასახელა გოგონამ სწორი პასუხი!

შევხტი და ისე მაღლა ავიჭერი, რომ ტახტზე მეორედ უკვე ასული დიდი ბონაპარტი ჩემი სველი კნუტის ტოლიღა მოჩანს. მეოთხეც სწორია! უკვე კარგი შეფასება გვაქვს! – ვეღარ მოვითმინე და ვახარე აბიტურიენტს.

– პატივცემულო, – მეჩვენება, რომ ამ მიმართვაში ცოტა ღიმილიც გაურია, ალბათ გრძნობს, რომ ძალიან ახალგაზრდა ვარ,– შეიძლება მეხუთე საკითხიც მოვყვე?

შესამოწმებლად ენაზე ვიკბინე, ძალიან მეტკინა – ნამდვილად ცხადში ვარ! ვთხოვე ნელა ეკარნახა, რადგან ამოცანა უაღრესად რთული იყო, ვერ მოვიცალე წინასწარ ამოსახსნელად – გამიჭირდებოდა სწრაფად გააზრება. მისი კარნახით ვაგებ ნახაზს, ვავლებ კვეთს, მის მიერ მოფიქრებულ დამხმარე ხაზს, მაგრამ სადაც მეუბნება იქ ტრაპეცია არ იკვრება. მივხვდი, რომ ნამეტანი მაღლა წავედი ოცნებებში. დავეშვი. არა, სულ მთლად დაბლა არა – სადღაც

შუაში გავჩერდი. ხანმოკლე, მძიმე პაუზა. სამწუხაროდ, სასწაული არ შედგა.

უცებ მესმის:

– პატივცემულო, შემეშალა, ეგ ოთხი წერტილი ერთ სიბრტყეში არ ძევს და ცხადია ტრაპეცია ვერ შეიკვრება – ერთი ასო არასწორად გიკარნახეთ – გაასწორა შეცდომა! ამოცანა უნაკლოდაა ამოხსნილი!

სასწაული შედგა!

გოგონა შორს იყურება და ჯოკონდას ღიმილი დასთამაშებს – იდუმალი და ოდნავ უფრო სევდიანი.

დაუძლეველმა სურვილმა დამიარა – შუბლზე ვეამბორო, თითები და თვალები დავუკოცნო!

– არ შეიძლება! – შემაჩერა ჩემმა ახალგაზრდობამ! ტირილი მინდა, ესეც არ შეიძლება – კაცი ხარ, თანაც გენერალი! ბურანში ვხედავ ქაიხოსრო პაპას აპრეხილ ულვაშს, ამაყად რომ დაუდია ხელი მართლა კაცის მხარზე. ქვემოთ კი მაკედონელი, ჩინგიზი და ბონაპარტი მუხლმოყრილი რაღაცას მევედრებიან.

– არ მცალია ახლა მაგათთვის!– გავძახე მსახურ ბიჭს, აქამდე მთავარ ვეზირად რომ მუშაობდა. გუშინ ჩამოვაქვეითე პროტექციის მცდელობისთვის .

– თავხედები! ჩემთან მოსვლასაც რომ ბედავენ! – არ მიყვარს მოძალადენი. განსაკუთრებით ჩინგიზას ვერ ვიტან. ბედი მაგათი, რომ ახლა ღმერთივით ხასიათზე ვარ!

ღრუბლებიდან ისევ თავმჯდომარის ხმამ ჩამომსვა:

– მშობლები პირველ სართულზე ელოდებიან – რექტორის განკარგულებით შემოუშვეს კორპუსში, გააცილე გოგონა და ჩააბარე მათ.

ხელზე ძალიან მსუბუქად დამეყრდნო, ფრთხილად ჩავიარეთ კიბეები. ახლაღა შევნიშნე, რომ გაცრეცილი, ფერმკრთალყვავილებიანი ჩითის კაბა ეცვა, მხართან ძალიან გულმოდგინედ, თითქმის შეუმჩნევლად იყო ამოკემსილი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ჩითის კაბა ასეთი ლამაზი შეიძლებოდა ყოფილიყო!

პირველ სართულზე ხორცითა და სულით მშვენიერი ორი ადამიანი შეგვეგება: ქალი პატარა იყო – ნაზი, კაცი – ძველად ნამდვილ ვაჟკაცს რომ იტყოდნენ ისეთი.

გოგონა მამასთან მივიდა, ფეხი ფეხზე გადააჯვარედინა და გვერდიდან მიაყრდნო თავი. მამამ მარცხენა ხელი მხარზე მოხვია და ოდნავ მიიხუტა. ნაჯაფი მარჯვენა მე გამომიწოდა და თავდა-

ჯერებულმა, ღირსებით აღსავსემ, უფრო ვალის მოხდის მიზნით მკითხა:

– აბა, პატივცემულო, ხომ არ შეგვარცხვინა ჩვენმა მელაკუდამ? – ახლაღა შევნიშნე თვალის ჭრილი მართლაც მელიისას მიუგავდა.

მახსოვს, რაღაცას ვლუღლუღებდი. მგონი მადლობის თქმას ვცდილობდი.

ცხინვალის მიდამოებიდან იყვნენ წარმოშობით, სოფელი კარგად ვერ გავიგე – მეღვრეკისი თუ თამარაშენი, შეიძლება აჩაბეთიც.

– რამდენი ხანია ვერ ხედავს? – როგორც იქნა მოვახერხე რაღაც აზრიანის თქმა.

– ბავშვობიდან. – მიპასუხა ისევ მამამ, გაუღიმა შვილს და უფრო ნაზად მიიხუტა.

ყელში და თვალებში კვლავ მომაწვა რაღაც. სასწრაფოდ დავემშვიდობე და სანამ ბღრიალს მოვრთავდი, იქვე ლიფტის უჯრედს შევაფარე თავი.

***

მოგვიანებით შევიტყე, რომ თავმჯდომარემ იცოდა მელაკუდას შესახებ.

– მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ მეხუთესაც ამოხსნიდა, – გამომიტყდა.

– ოჰ, ეს ეშმაკი გურული! – სიყვარულნარევი იხტიბარი არ გავიტეხე მე.

***

სულ მგონია, ღმერთმა ჩითისკაბიანი ანგელოზი გამომიგზავნა რათა არასოდეს შემპარვოდა ეჭვი ჩემს მიერ არჩეული გზის სისწორეში.

მას შემდეგ მუდამ ასე იყო: როცა მეუბნებოდნენ – წუხელ შუქი არ მქონდა და ვერ ვისწავლეო – ყოველთვის ვხედავდი ჩემი უსინათლოს სევდიან ღიმილს და ვგრძნობდი მის გამომცდელ მზერას.

დღესაც ასეა ...

მე მრჩება მხოლოდ მოგონება და
დაფის კუთხეში ერთი კაცუნა

ანა

გაერთიანებული ლექცია სტუდენტთა 2017 წლის შემოდგომის ნაკადთან დიდ აუდიტორიაში მქონდა. დაფა შეუფერებლად პატარა იყო – გამუდმებით ვბუზღუნებდი.

ერთხელ, ლექციის დასაწყისში, ამ ისედაც პატარა დაფის შუაგულში ნახატი დამხვდა – მოფარიკავე კაცუნა.

მივხვდი, მიზანმიმართულად იყო გაკეთებული ეს, პირადად ჩემთვის. მაშინვე არ წავშალე – ფორმულებით გარს შემოვუარე კაცუნას. ადგილი რომ აღარ მქონდა, ჩემი ნაწერი გავასუფთავე, ნახატი კი დავტოვე. როცა აუდიტორიის თანაგრძნობა ვიგრძენი, მერეღა წავშალე ნახატი.

შემდეგ ლექციაზე კაცუნა ისევ დამხვდა, ოღონდ ამჯერად დაფის კუთხეში. ასე განმეორდა რამდენჯერმე. არ მიკითხავს, ვინ აკეთებდა ამას.

ერთხელაც, ნახატი აღარ დამხვდა. საწერად მომარჯვებული მარკერი ისევ უკან დავდე, მოვბრუნდი და აუდიტორიას მივმართე:– მე ისე მივეჩვიე იმ კაცუნას, რომ უიმისოდ ლექციის წაკითხვა გამიჭირდება მეთქი.

თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, შორიდან სწრაფი, სპორტული ნაბიჯით დაფისკენ გამოემართა სადად დავარცხნილი, სერიოზული იერსახის გოგონა, დაფის კუთხეში ხელის სწრაფი მოძრაობით დახატა კაცუნა, წამიერი მზერა მესროლა, ოდნავ ჩაიღიმა და დაჯდა.

ასე გავიცანი ანა ხელაძე.

მომავალში ეს რიტუალი კიდევ რამდენჯერმე გავიმეორეთ. ანას ძალიან მოსწონდა იგი.

სემესტრის ბოლოს სტუდენტები გამოსამშვიდებლად მეწვივნენ ჩემს ოთახში. ანა მოწყენილი ჩანდა. შევნიშნე ეს და ვთხოვე ჩემს დაფაზე დაეხატა კაცუნა, თან ვუთხარი, რომ მე მას სექტემბრამდე არ წავშლიდი. გაუხარდა ძალიან!

თურმე ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო.

იმ ზაფხულს ანა მხეცურად მოკლეს. ანას დაბადებიდან სულ რაღაც 20 წელი იყო გასული.

***

ოი, რა ძნელი ყოფილა თურმე
ამხელა ჯავრის ზეცას ატანა,
ადამის შვილებს ღმერთების გვერდით
რამ ჩაუსახლა სულში სატანა!

ვერ გამიგია, ეს მერამდენედ,
სატანამ ღმერთი როგორ აცდუნა,
მე დამრჩა მხოლოდ მოგონება და
დაფის კუთხეში ერთი კაცუნა...

უჩვეულო სადღეგრძელო

სადარბაზოს წინ სამარშრუტო ტაქსს ველოდები – აქვე, მეტროსთან უნდა ჩავიდე, მცირე ხნის საქმე მაქვს.

ცოტა წინ, დიაგონალზე, მაღაზიასთან, ძვირფასი შავი მანქანა გაჩერდა.

მანქანიდან ასეთივე ძვირფას შავ კოსტიუმში გამოწყობილი სიმპატიური ჭაბუკი გადმოვიდა. ღია იასამნისფერი პერანგი და მუქი შინდისფერი ჰალსტუხი უხდებოდა შავ ფერებს. პიჯაკის ერთი ღილი თავდაჯერებული მოძრაობით შეიკრა.

მაღაზიაში აპირებდა შესვლას, მაგრამ დამინახა თუ არა, მკვეთრად შეცვალა მოძრაობის მიმართულება და ჩემსკენ წამოვიდა, უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვი – გამოექანა, წელსზედა ნაწილი ცოტა რომ უსწრებს ქვედას – ისე.

გულწრფელად გაბრწყინებული სახე აქვს. ყურებამდე გაღებული პირიდან ქათქათა კბილები უჩანს. სიბრძნის კბილები არ უჩანდა მხოლოდ – შეიძლება ჯერ არც ჰქონდა.

გადამეხვია, მომიკითხა.

ვერ ვიცანი – უხერხულად ვგრძნობ თავს.

– საით მიბრძანდებით?

– აქვე მეტროსთან, სამარშრუტო ტაქსი მალე მოვა – თავის დაძვრენას ვცდილობ.

– ჩაგიყვანთ! – ჩემს უარს აღარ დაელოდა – გაიქცა, მანქანა მოაყენა. ჯერ მე დამაბინავა წინა სავარძელზე – თავად მერე მიუჯა საჭეს.

– ვერ მიცანით? – მეკითხება ისევ გულკეთილად, ისევ ყურებამდე ღიმილით.

სახელით რომ არ მოემართა, ვიფიქრებდი – ვიღაცაში ვეშლები მეთქი. ძალიან მრცხვენია.

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ გიცანით, – გულწრფელობას არაფერი ჯობს.

არც შემოუხედავს – წინ იყურება, საჭე ბოლომდე გამართული ხელებით უჭირავს და აქეთ იქით ოდნავ აქანავებს. იმავე ღიმილით ამბობს :

– თუმცა, რას მიცნობდით – პირველივე სემესტრში გამრიცხეთ!

შეუძლებელია იმ განცდის აღწერა, რაც დამეუფლა – თავად უნდა წარმოიდგინოთ! შემატყო რა მდგომარეობაშიც ვარ და ცეცხლზე ნავთი დაასხა:

– მე თქვენ უდიდეს პატივს გცემთ, სისტემატიურად ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს!

– ალბათ ლუდით ხომ – გონს მოვეგე და ტოლი არ დავუდე ირონიაში მე.

– როგორ გეკადრებათ...

ეს უკვე მეტისმეტია!

– დამცინით?! – ასეთი უტიფარი ცინიზმი ჯერ არ მინახვს.

– არა ბატონო თამაზ! ღმერთმა დამიფაროს! ახლავე აგიხსნით.

და დაიწყო უცნაური ისტორიის მოყოლა.

– ჩვენი ჯგუფიდან ოთხი ბიჭი გავირიცხეთ – ძმაკაცები. რა თქმა უნდა, გამწარებული ვიყავით. მაგრამ თქვენი სიძულვილი არ გვქონდა, რადგან ყველას ერთნაირად ექცეოდით. მალე მოგვბეზრდა უაზრო ყოფა და საქმეზე დავიწყეთ ფიქრი. ცოტა ჩვენ ვივარგეთ, ცოტაც გაგვიმართლა და შეკოწიწებული ფულით ნაყიდი დაფეხვილი „ფურგონი მოსკვიჩიდან“ სოლიდურ სადისტიბუციო ფირმამდე ავედით. ყველამ მოვიწყეთ პირადი ცხოვრება.

ერთხელ, ვიწრო წრეში, მეგობარმა მშობლების სადღეგრძელო ასე დაასრულა:

– ვინც ჩვენ სწორ გზაზე დაგვაყენა, გაუმარჯოს!

– ეს მგონი ზერეკიძის სადღეგრძელოს სვამს – ჩაიბურტყუნა მეორე გარიცხულმა.

– არა, ეგ შემდეგი იქნება! – არ აყვა ხუმრობაში პირველი და სერიოზულად აგვიხსნა:

– ის კაცი რომ არ ყოფილიყო, ახლაც ჯოჯოხეთში ვიქნებოდი და წარმოებულ – ინტეგრალების წვენით სავსე ქვაბში ვითუხთუხებდი მშიერი!

ამის მერე ჩვენს სამეგობროში ტრადიციად იქცა ჭიქის მიჭახუ-

ნება და მოკლედ თქმა – ზერეკიძეს გაუმარჯოს!

– თან ვხალისობთ – უცხოები რომ პირდაღებულები გვიყურებენ!

ბოლომდე კიდევ ვერ დავიჯერე – მართალს ამბობდა თუ ერთობოდა. ყოველ შემთხვევაში, არაფრით თავი არ დამანება – დამელოდა და უკან ისევ მან ამომიყვანა.

ციკლიდან –
„ზოგჯერ მასწავლებლებიც ცელქობენ“

რუსა

პირველ ელიტჯგუფებს ვასწავლი. ერთმანეთზე უკეთესს რომ იტყვიან ისეთი სტუდენტები მყავს. პირველად ვგრძნობ თავს ნამდვილ მასწავლებლად. სულ სხვა ურთიერთობაა ჩვენს შორის. თუმცა, წესრიგი წესრიგია! დაგვიანება მაინც არ შეიძლება. მაგრამ, თითქმის ტრადიციული გახდა ასეთი სცენა – უკვე აუდიტორიის კართან მისულს მომდევს ედიშერაშვილი. მომდევს ისეთი სისწრაფით, რომ თუ დროზე არ გავხტი გვერდზე – შემიტანს აუდიტორიაში. იქაც ერთბაშად ვერ ჩერდება – სამუხრუჭე მანძილი არ ყოფნის! ინერციით ერთ წრეს შემოუვლის და მერე ეშვება მერხზე.

მეგობრებმა დაასმინეს – თქვენზე ამბობს, ერთი სემესტრიც თუ გვასწავლა მაგან, კიბეებზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონატზე გავალო, მეათე სართულამდე ლიფტს უკვე ვუსწრებო.

რუსუდანი ერქვა. მეგობრები რუსას ეძახდნენ.

წარმოიდგინეთ ძალიან ცოცხალი, ლაღი არსება, სულ მოძრავი თვალებით, ირგვლივ ყველაფერს ერთბაშად რომ აკონტროლებს. მისი თვალიდან წამოსული სხივი ზუსტად შენი თვალის ფსკერზე ეცემა, არც ცოტა იქით, არც ცოტა აქეთ. მოულოდნელად იწყებს თავის მოკლე წინადადებებს და კიდევ უფრო მოულოდნელად ამთავრებს. საჭირო შემთხვევაში ეკლების გამოშვებაც შეუძლია. ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო, დაახლოებით ასეთია – „ შენა ბიჭო, ხო არ გინდა ახლა...“, ოღონდ კეთილი.

ჩემი თანდასწრებით მაქსიმალურად ცდილობს დარბაისლური ქართულით „იბაასოს“ – იცის, რომ არ მიყვარს ჟარგონები, ქუჩის ენა. სტუდენტებსაც ყოველთვის თქვენობით მივმართავ. არ ვცნობდი ე.წ. მოფერებით სახელებსაც – ეკა, თამრიკო, დათო. იყო მხოლოდ ეკატერინე, თამარი, დავითი. ვუხსნიდი კიდეც – როგორ

მოგწონთ „თამრიკო მეფე“ ან „დათუჩა აღმაშენებელი?“ – ეცინებოდათ.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ცხინვალთან ახლოს ვარ, ტირძნისში – ჩემი მშობლიური სოფელია. ძლივს ჩამოვაღწიე თბილისამდე.

რამდენიმე სტუდენტმა დამირეკა. არა, აღარ ვასწავლიდი – უბრალოდ აინტერესებდათ ჩემი ამბავი. მხოლოდ ოთხ მეგობარს ვერ მიაწვდინეს ხმა, მაგრამ ისინი საშიშ ზონაში არ იმყოფებოდნენ თურმე. გულზე მომეშვა.

ჩემი სახლის უკან პარკში ვზივარ გრძელ სკამზე. მშვენიერი საღამოა, მაგრამ პარკში, ჩემს გარდა სულ სამნი არიან – მოშორებით სკამზე მჯდომარე ჭაღარა კაცი და იქვე ორი ბავშვი. პატარა ბიჭი მასზე პატარა გოგოს საქანელაზე ასვლაში ეხმარებოდა. ალბათ შვილიშვილებია – ვიფიქრე მე. მონატრებულმა დავრეკე რამდენიმე სტუდენტთან. გაუხარდათ. რუსუდანის კვიმატი მზერა რომ გამახსენდა, მეც კვიმატ ხასიათზე დავდექი და ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტე. არ დავურეკე – წერილი მივწერე:

– რუსა როგორ ხარ? სად ხარ ?

ჩემი სახელი არ მივაწერე. პასუხი მყისიერად მოვიდა. ექსპერიმენტის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მწერდა:

– შენა ბიჭო! მაგ უტვინო წერილისთვის სახელიც რომ მიგეწერა – მთლად გაასწორებდა!

ნათქვამია, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და მისი შენიშვნა სრული მოცულობით გავითვალისწინე. მივწერე:

– თქვენი „უმაღლესი მათემატიკის“ ლექტორი, ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ზერეკიძე.

პასუხმა დააგვიანა. დავურეკე. ზარი გადის – არ მპასუხობს!

შევშფოთდი.

თავად ლიხს იქით იყო – ვანის რაიონში, ბებიასთან. დავრეკე მის მეგობართან კახეთში.

– თამარ, ცუდი ამბავი შემემთხვა, თქვენი დახმარება მჭირდება, – მოვუყევი და ვუთხარი – ჩემს ზარს არ პასუხობს, იქნებ თქვენსას უპასუხოს მეთქი.

როგორც იქნა დამირეკა თამარმა:

– არ ინერვიულოთ მასწავლებელო, ასე მითხრა – ახლა კარგად ვარ, უბრალოდ ცოტა ხანს გულწასული ვეგდეო!

სექტემბერში რომ შევხვდით, ძალიან დარცხვენილმა მთხოვა – არ გამამხილოთო! პირობა ვერ მივეცი:

– რუსუდან, თქვენ ისე გიხდებათ დამორცხვება, ამ მშვენიერი კადრის კიდევ ერთხელ ნახვის შესაძლებლობას ხელიდან ვერ გავუშვებ მეთქი.

არც გავუშვი.

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები“

მეკობრეები

აუდიტორიაში ბარაქიანად ყინავს – ლექციას ლაბადაში შეფუთული ვატარებ. ლაბადა უკანა მხრიდან შავია. წინა მხრიდან კი მეწისქვილეს ვგავარ – ცარცში ამოგანგლული.

ეს ის დროა, როცა:

არც გათბობაა, არც ხელფასი,

სტუდენტს რვეული ვერ უყიდია,

აღარც ტრანპორტია, აღარც ტრანსპორტის ფული,

არც სტუდენტი დადის უნივერსიტეტში და არც ლექტორი – ვერც გაამტყუნებ!

დღესაც დილის ოთხ საათზე რომ ავდექი და 18 კილომეტრი ფეხით გამოვიარე – რა თქმა უნდა, სიგიჟეა. მაგრამ ერთხელ წამომცდა – ლექციაზე მხოლოდ მაშინ არ მოვალ თუ ცოცხალი აღარ ვიქნები მეთქი. ჰოდა, ვასრულებ სიტყვას – რა ვქნა, ცოცხალი ვარ! თანაც ხომ წამომცდა!

საინტერესო ისაა, რომ სტუდენტებიც ეგეთი არანორმალურები შემხვდნენ – მოდიან ლექციაზე! ამის გამო ერთხელ ვეხუმრე კიდეც – ექიმს თქვენც უნდა გაგასინჯოთ მეთქი! ჩემთვის დიაგნოზი უკვე კარგა ხნის დასმული ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, სავსე დიდ აუდიტორიას ინტეგრალების თავგადასავალს ვუყვები. მგონია მაღლივი კორპუსი მარტო ჩემია. ამ მხრივ ნეტარებაში ვარ – ხელს არ მიშლის დერეფნიდან შემოსული ხმაური. მოკლედ, სიცივის მიუხედავად, სამოთხეში ვარ. ასე მქონდა წარმოდგენილი.

გრძელ დერეფანში მოყიალე ფეხის ხმა გაისმა. როგორც ჩანს, უკაცრიელი კუნძულის ერთადერთი სტუმარი ჩვენ არ ვართ! მეკობრეებზე მივიტანე ეჭვი. ეტყობა ორნი არიან.

სიჩუმეში ძალიან მკაფიოდ გავიგონეთ:

– წამო ვნახოთ ტოო, ვიღაც გიჟი ლექციას ატარებს!

აუდიტორია დაიძაბა – ელოდება ჩემი, როგორც კაპიტნის რეაქციას.

სასწრაფოდ სამი გზიდან ერთი უნდა ავირჩიო: პირველი – გაუვარდე და კუდით ქვა ვასროლინო მას, ვინც ფიქრობს რომ ლექციის ჩაატრება სიგიჟეა. არ ვარგა. მით უფრო, რომ სიმართლეა!

მეორე – თავი მოვიკატუნო, ვითომ არ გამიგონია – უკვე გვიანია.

მესამე – ხელი ჩავიქნიო და გემს კურსი შევუცვალო.

სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, დერეფნიდან მეორე ხმამ დამასწრო:

– შეეშვი სიმონ, ზერეკიძე იქნება!

ამ კომპლიმენტზე თავი ვეღარ შევიკავე და გამეღიმა.

– გაეღიმაო!....

მომეჩვენა, რომ აუდიტორიაში ხარხარისგან ბათქაშმა იწყო ცვენა. გემი ისე ატორტმანდა, კინაღამ კიჩოდან გადავარდი.

დერეფანში აღარავინ იყო – მეკობრეების შავი დროშა უკვე ღია ზღვაში ფრიალებდა.

ციკლიდან –
„კარგი უფრო მეტი იყო“

წადი გოგო, დამეკარგე აქედან!

ყველაზე რთული და გადამწყვეტი ჩემთვის პირველი საგამოცდო წელი იყო. პირველ და მეოთხე კურსებს ორ უმნიშვნელოვანეს საგანს ვასწავლიდი. ორასამდე სტუდენტიდან თითქმის ყოველ მეორე მათგანზე მოვიდნენ საპროტექციოდ.

ყველამ მიიღო უარი. ერთი-ორმა – კინაღამ სილაც.

უცბად გავარდა ხმა ჩემი სიმკაცრის შესახებ.

როგორც ხშირად ხდება ჩვენთან, აქაც ცნებების აღრევასთან გვქონდა საქმე. რასაც ალბათ შეუვალობა უნდა რქმეოდა, სიმკაცრე დაარქვეს. არადა, ფრიადებს არც თუ ისე ცოტას ვწერდი, მაგრამ ეს არ ჩანდა. უფრო ის ჩანდა, მავანი გავლენიანი პირის ახლობელი რამდენჯერმე რომ გამოდიოდა გამოცდაზე, მაგრამ მაინც ვერ ღებულობდა ნიშანს. თანაც მთლად ისე კი არ გამოდიოდა, რაღაცაც იცოდა. ერთი კია, „რაღაცის“ ცოდნაში მართლაც არ ვწერდი დამაკმაყოფილებელ ნიშანს. ამისათვის ცოდნა უნდა ყოფილიყო დამაკმაყოფილებელთან მიახლობული მაინც.

ალბათ ბუნებრივად ამუშავდა სტერეოტიპი – თუ სამიანის მიღება ასე ძნელია, რაღა უნდა ვთქვათ ფრიადზე?!

ის შემთხვევა, რომელზეც ახლა გიამბობთ, პირველი და ყველაზე გამორჩეულია ამ თვალსაზრისით. თუმცა შემდგომში მსგავსი სცენა კიდვ რამდენჯერმე განმეორდა.

აი, როგორ იყო:

კურსზე გვყავდა თავისი დაბნეულობით სახელგანთქმული სტუდენტი – მარიამი. ძალიან უნდოდა მეგობრებს მარი დაეძახათ, მაგრავ ვერ მიაღწია, იმდენად უხდებოდა მარიამი. გამხდარი იყო, დიდი სათვალეებით. რომ დაელაპარაკებოდი, ჯერ შეკრთებოდა, მერე აქეთ-იქით გაიხედავდა – მართლა მე მეუბნებიან თუ არაო. ყოველთვის პირველ მერხზე ჯდებოდა. თვალებში შემომციცინებდა, ყველაფერს იწერდა. ყველაზე ლამაზი კონსპექტი მას ჰქონდა – სახლში ათეთრებდა ხოლმე დედაენისეული კალიგრაფიით. მეგობრებს ეღიმებოდათ ამაზე. ოცნებებში ფარფატი სჩვეოდა. ხშირად მიწევდა მისი გამოფხიზლება.

ერთხელ გულიანად გვაცინა კიდეც. ლექციის მეორე საათის დასაწყისში მისი რვეული ავიღე ხელში – ვნახო სად შევჩერდი მეთქი. ესეც ჩაეწერა: – „ბავშვებო, ახლა დავისვენოთ და შემდეგ საათზე განვაგრძოთ!“.

მოკლედ, დაკარგულ შვლის ნუკრს გავდა. მისი გამოცდის ცოტა მეშინოდა, მაგრამ იმედი მქონდა შრომისმოყვარეობა თავისას გაიტანდა და დადებით ნიშანს მიიღებდა.

მოვიდა გამოცდის დღე.

კარი ფრთხილად გაიღო და შვლის ნუკრი შემოვიდა. ძალიან გაფითრებულია. კართანვე აიტუზა. ვანიშნე ბილეთი აეღო. ხელი ისე უკანკალებს, რომ ბილეთს ვერ იღებს – მივეხმარე.

იქვე, ახლოს მდებარე მერხზე დაჯდა. თმას და ტუჩებს აწვალებს, კალამი არ ემორჩილება – წყვეტილი რაკარუკი ისმის. შიგადაშიგ ვითომ სათვალეს ისწორებს. სინამვილეში ჩემსკენ აპარებს თვალს.

ავიღე სუფთა ფურცელი. მივედი მასთან:

– თუ შეიძლება გამოსწიეთ ხელი!

შეშინებულმა თვინიერად შეასრულა ჩემი ბრძანება. ხელი მორჩილად გამომიწოდა – თითქოს სახაზავით გასაროზგად გაამზადაო ბედს შეგუებულმა.

– არა, ხელისგულით ზემოთ! შევატყე, ოდნავ შვება იგრძნო – ნაკლებ მტკივნეულია ეტყობა. არ ვიცი, არ გამომიცდია. დავადე

ხელისგულზე სუფთა ფურცელი. ისე დაიწყო ცახცახი ფურცელმა – თავად გოგონასაც აუტყდა სიცილი. ერთნაირად ცახცახებდნენ – ალბათ იმიტომ.

შუბლშეკრული ვეუბნები:

– რას გავს ეს? თუ ასე გააგრძელებთ, მე თქვენ არ გამოგცდით!

მოიბუზა.

– გადაჯექით ბოლო მერხზე, რაც შეიძლება შორს ჩემგან. – მერე ოდნავ გავუღიმე და დავარიგე:

– ეცადეთ მხოლოდ კარგზე იფიქროთ და რაც მთავარია – აქ ხმას დავუწიე და თითქმის ჩურჩულით დავასრულე – ჩემზე არ იფიქროთ, არც შემომხედოთ!

მაშინვე მიხვდა ნათქვამის აზრს. ეტყობა ჭკვიანია! გაოცებული მიყურებს. არა, უფრო დაუჯერებელი ეთქმოდა მის მზერას – ვერ წარმოედგინა თუ გამოცდაზე მე ასე ხუმრობა შემეძლო.

გადაჯდა. ვხედავ, ნელნელა მოუვიდა ფერი – მშვენიერი ფერი ჰქონდა! ერთი-ორჯერ მაინც გამოექცა თვალი ჩემსკენ – ვითომ ვერ შევნიშნე!

გამოვიდა საპასუხოდ. მის მონაყოლს შეუძლებელია თუნდაც მშვენიერი უწოდოს ოდნავ მაინც ობიექტურმა ადამიანმა, განუზომლად მეტია – სულ ცოტა დიდებულია! სიამოვნებით მივყვები კვალში სტუდენტის დინჯად, კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცებივით მწყობრად მიმავალ აზრებს. ხმა ოდნავღა უკანკალებს. ვტკბები!

ჩემს თვალწინ სხვა სასწაულიც ხდება – პასუხის კვალდაკვალ ბავშვს გარეგნობაც ეცვლება. მერხზე უკვე ხორცშესხმული მშვენიერება ზის. საკვირველია, აქამდე როგორ ვერ ვამჩნევდი ბუნების ამ ლამაზ საოცრებას!

მოყოლისას ერთი ორჯერ, ვალის მოხდის მიზნით, ჩავეკითხე კიდეც – არ გამაწბილა. ულაპარაკო ფრიადის კანდიდატია – წყალი არ გაუვა! ჩვეულებისამებრ მივეცი ორი დამატებითი საფრიადე კითხვაც – არც აქ გამიცრუა იმედი. გაგრძელებას აზრი აღარ აქვს.

– ფრიადს გიწერთ, მომეცით ჩათვლის წიგნაკი! – საერთოდ ჩვევად მქონდა, ჩათვლის წიგნაკს წინასწარ არ ვნახულობდი.

– რااა?!

– ფრიადს გიწერთ! – გავიმეორე. ვიფიქრე, ვერ გაიგონა.

– მართლა?!

– დიახ მარიამ! უფრო სწორად, მე კი არ გიწერთ, თქვენმა პასუ ხმა დაიმსახურა შეფასება ფრიადი! – დავაზუსტე ჩემი ჭკუით.

ისევ ის დაუჯერებელი მზერა:

– არ მატყუებთ მასწავლებელო?

გამომცდელად შევხედე. ნუთუ დამცინის? საეჭვო ვერაფერი შევნიშნე – ნაკადულივით გულწრფელია. ამიტომ მშვიდად ვპასუხობ:

– არ გატყუებთ!

მისი ეჭვები რაც შეიძლება მალე რომ გამეფანტა, საზეიმოდ გადავშალე ჩათვლის წიგნაკი, გამოყვანილი, მოჩუქურთმებული ასოებით ჩავუწერე „ფრიადი“ . ხელმოწერაც ისეთი საგანგებო გავაკეთე, შეიძლება ვახტანგ მეექვსესაც კი ეფიქრა – ჩემსაზე უკეთესიც არსებულაო. ჩათვლის წიგნაკი დავხურე და დავუბრუნე პატრონს. ეს ყველაფერი რიტუალურ-საზეიმო ფორმით გავაკეთე.

წამოდგა, გადაშალა – უყურებს ნიშანს. გულზე მიიდო – ჩაიხუტა, ნიშნით თავისკენ. მერე უცბად სახე ისევ მოეღშუა. მოაბრუნა ჩათვლის წიგნაკი, საჩვენებელი თითი ნიშანს დაადო და მეკითხება:

– პატივცემულო, ნამდვილია ეს?

– ნამდვილია. – ვეუბნები ღიმილით, გულწრფელად ბედნიერი. მართლაც ბედნიერი ვარ – იმ უარყოფითი ემოციების ფონზე, რაც ხშირად ახლდა გამოცდებს, ეს ნამდვილი ბედნიერება იყო. მაგრამ, მარტო ჩემს ბედნირებას რა თავში ვიხლი:

– არ მჯერა, ნუთუ მართლა?!

ვატყობ, ყველაფერი თავიდან იწყება. თანაც ისე საეჭვოდ გადმოდგა ნაბიჯი ჩემსკენ, შემეშინდა – არ გადამეხვიოს მეთქი. მადლობა ღმერთს, გაჩერდა.

– პატივცემულო...

ეს უკვე ნამეტანია! ამივარდა სიცილი, სიცილისგან კი – ცახცახი. თან ვფიქრობ – რა კარგი სცენა იქნებოდა, ახლა მან რომ მომთხოვოს ხელის გამოწევა – ხელისგულით ზემოთ, მერე კი ხელისგულზე სუფთა ფურცელი რომ დამადოს მეთქი.

სულს ვერ ვითქვამ.

მიყურებს თავისი განუმეორებელი დაბნეული მზერით. უნდა რომ დამეხმაროს, მაგრამ არ იცის როგორ. როცა ნახა მოვსულიერდი და გადავრჩი, სახე გაეხსნა – დიდმა მზემ გამოანათა. მგონია წავა, მაგრამ არ მიდის.

– თავისუფალი ხართ!

ყოყმანობს. მეუბნება:

– მასწავლებელო, ბოდიში, შეიძლება რაღაც გკითხოთ?

– ბრძანეთ!

– მართლა დამიწერეთ ფრიადი?

ღმერთოო, რა დავაშავე ისეთი, ასე სასტიკად რომ მსჯი?! ვერც გაბრაზებას ვახერხებ – ბოლოს და ბოლოს შვლის ნუკრია, თანაც დაკარგული! თუმცა არა, უკვე ფერიაა, ზღაპრიდან ჩემს გასახარად გამოპარული!

სიცილის მთელი დარჩენილი მარაგი გამოვიყენე და შევძახე:

– წადი გოგო, დამეკარგე აქედან!!!

სხვა შემთხვევას, რომ მე სტუდენტისთვის შენობით მიმემართოს, ვერ ვიხსენებ. კარში რომ გადიოდა, ერთი წამით შეყოვნდა და ნაღვლიანი მზერა მომაპყრო. გამაჟრიალა – ახლა ამან იგივე რომ მკითხოს, ნამდვილად ვეღარ გავუძლებ მეთქი.

გადავრჩი!

უფრო მეტიც, მოულოდნელად კიდევ ერთხელ გამოიხედა, ახლა უკვე გასხივოსნებული თვალებით და ღობის ძირას უცაბედად ამოსული იასავით შემომცინა. მომეჩვენა, რომ დიდი მზე მე დამიტოვა, თვითონ კი ისევ თავის ზღაპარში წავიდა!.

****

ხომ იცით, გამოცდიდან გასულ სტუდენტს თანაკურსელები გარს რომ შემოეხვეოდნენ და კითხვებს აძლევდნენ ხოლმე – სულ მალე ისევ ამიტყდა სიცილი:

– რااა ?! მართლა ფრიადი დაგიწერა?

ამჯერად ეკითხებოდნენ მას.

ციკლიდან –
„ზოგჯერ მასწავლებლებიც ცელქობენ“

დანიშნული ბილეთი

ჩემი პირველი დამოუკიდებელი გამოცდა უნდა ჩამეტარებინა. მაშინ ზეპირი გამოცდები იყო – სამსაკითხიანი ბილეთებით. ბილეთების სტანდარტულ ბლანკებს უნივერსიტეტი იძლეოდა. საკითხებს ბილეთებში პედაგოგი წერდა.

მთელი მონდომებით შვადგინე საგამოცდო ბილეთები. დავაკომპლექტე საკითხები და ლამაზად გადავწერე, უფრო მეტიც, რომ იტყვიან, დავხატე. მთელი საღამო ამ საქმეს შევალიე.

წესი ამბობდა, რომ ბილეთები უნდა გაშლილიყო მაგიდაზე და სტუდენტს ალალბედზე თავად აეღო ბილეთი. ეს საკმაოდ უგუნური წესი იყო, სტუდნტები ერთმანეთს ბილეთებს უნიშნავდნენ.

თითოეული ჯგუფი ორად იყოფოდა. პირველი ნახევარი ერთ დღეს გამოდიოდა, მეორე – მეორე დღეს.

დავამთავრე გამოცდა პირველ ნახევართან. ვალაგებ ბილეთებს. ვხედავ, ერთ-ერთი ბილეთის კუთხეში ორი მქრალი წერტილია. თითქოს დასვრილს გავს, მაგრამ არა – დანიშნულია!

მეწყინა და გავბრაზდი კიდეც. ჯერ ერთი, როგორ გამიბედეს! მეორეც, ბილეთი გამიფუჭეს! კარგი, მაქვს რამდენიმე ზედმეტი ბლანკი, გადავწერ, მაგრამ მთელი ცხოვრება ბილეთების გადა-წერაში ხომ არ ვიქნები?

უცბად გამინათდა გონება.

ეს ილეთი არსად მსმენია! შეიძლება პატენტსაც გამოვკრა ხელი!

ვნახე ბილეთის საკითხები – კარგი საკითხები იყო. გემოვნება კი ჰქონია ოხერს! ეტყობა ყველა გააფრთხილა, ასეთი და ასეთი საკითხები ვისაც შეგვხვდებათ დამინიშნეთო. გადავწერე ბილეთი, დავნიშნე ზუსტად ისევ ისე, მაგრამ შევიტანე სამი გამორჩეულად რთული, უფრო ზუსტად – საძაგელი საკითხი.

მეორე დღეს საგულდაგულოდ გავშალე ბილეთები. ის ბილეთი ყველაზე ხელმისაწვდომ ადგილას დავდე. სიის მიხედვით შემო-დიოდნენ. სათოფეზე არავინ ეკარება იმ ბილეთს.

შემოვიდა!

ბიჭს ველოდი – გოგო ყოფილა! ნახა რომ ბილეთი ადგილზეა, გაუბწყინდა სახე და ისე სწრაფად სტაცა ხელი, თითქოს ეშინოდა არავინ წამართვასო. გავარდა მოსაფიქრებელი მერხისკენ, მაგრამ შუაგზაშივე მკვეთრად დაამუხრუჭა. ბილეთს ხან წინა მხარიდან უყურებს, ხან უკნიდან. მესმის წამოცდენილი შეძახილი:

– ეე, ეს რა არის?

– რა მოხდა? – გულუბრყვილოდ ვეკითხები მე.

ისე დაბნეული მიყურებდა, რომ ვერ შევიკავე თავი და ოდნავ მაინც გამეღიმა.

მიხვდა.

გზა აღარ გაუგრძელებია. მანაც გაიღიმა, მობრუნდა, ბილეთი მაგიდაზე ხაზგასმული, ლამაზი მოძრაობით დამიდო და მითხრა:

– თქვენ გაიმარჯვეთ!

– არ ვიცი! ეგ განმეორებით გამოცდაზე გამოჩნდება! – ვუთხარი მე.

როგორც ველოდი, ეს ამბავი სტუდენტებში გავრცელდა და ამის შემდეგ აღარავის უცდია ბილეთის დანიშვნა. თუმცა, მალევე მოვი-ფიქრე ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავდა, როგორც სტუ-

დენტის, ისე პედაგოგის მხრიდან რაიმე გაყალბებას ამ თვალსაზრისით.

გოგონა ძალიან ნიჭიერი აღმოჩნდა.

განმეორებით გამოცდაზე მეუბნება:

– პატივცემულო, თუ შეიძლება ბილეთს არ ავიღებ, თქვენ თვითონ მომეცით საკითხები ნებისმიერად.

ძნელი მისახვედრი არაა რაშიცაა საქმე!

ვეუბნები:

– არა, წესი ითხოვს ამას, ბილეთის ნომერი უნდა დაფიქსირდეს. თუ გნებავთ ბილეთთან ერთად დამატებით საკითხსაც მოგცემთ.

– კარგი! – გაუხარდა.

მივეცი კიდევ ორი საკითხი, ორივე სამაგელი – ერთი ადრინდელი, ერთიც ახალი.

ხუთივე საკითხზე ბრწყინვალედ მიპასუხა.

რა თქმა უნდა, ფრიადი მიიღო. ვეკითხები:

– აბა, ახლა ვინ გაიმარჯვა?

– თქვენ! – მართალი გითხრათ, სხვა პასუხს ველოდი.

ცოტა ბანალურად კი ჟღერდა, მაგრამ რაც სიმართლე იყო, ის ვუთხარი:

– არა, ორივემ!

***

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ცოდნის შეფასებისას ვითომ სიკეთის სახელით გამოჩენილი ზედმეტი ლიბერალიზმი სინამდვილეში ბოროტებაა.

ციკლიდან –
„მასწავლებლები ზოგჯერ სულაც არ ხუმრობენ “

გოდერძი და პუტკუნა ქალი

იმ პერიოდში პრაქტიკულ მეცადინეობებს ასისტენტები ატარებდნენ. ჩათვლასაც ისინი აძლევდნენ სტუდენტს. ჩათვლა აუცილებელი იყო გამოცდაზე დასაშვებად.

გამოცდა ლექტორს უნდა ჩაეტარებინა.

ჰოდა, ვატარებ!

ყმაწვილმა შემოყო ნოტიო თავი. თმები ახალი დანამული ჰქონდა. გამოცდისთვის საგულდაგულოდ დაევარცხნა – სოფელში რადიოზე გასწორებულს რომ იტყვიან, ისე.

– შეიძლება შემოვიდე?

– მობრძანდით!

საკმაოდ ზორბა გახლდათ – მოზვინული. ახლანდელი თაობა რატომღაც მოხეულს ამბობს. უცნაური გარეგნობა ჰქონდა – ნასუქი იყო, მაგრამ მხოლოდ ტანზე და ისიც ალაგ-ალაგ, ყველაზე უფრო კი – ჯიბეების მიდამოებში. მივხვდი – მსხვილკალიბრიანი „შპარგალკების“ არსენალით იყო დატვირთული.

შემეცოდა!

იმ ეპოქაში შპარგალკების დამზადებისა და გამოყენების ტექნოლოგია განვითარების დონით უკვე ინტერნეტისას არ ჩამორჩებოდა, ის კი ბრინჯაოს ხანაში ჩარჩენილიყო. ზოგადად კეთილი სახით იყო აღჭურვილი: შეწეული მრგვალი ნიკაპი, მსხვილ გაბუტულ ტუჩებზე გადმოსული წვეტიანი ცხვირი. ყველაზე საინტერესო კი – წარბები, მკვეთრად დახრილი, მოწყენილი გაოცება მიუსჯიათო თითქოს.

უწყისის მიხედვით გოდერძი იყო. თუმცა, ახლაც დარწმუნებული ვარ – პიერო უფრო მოუხდებოდა. ზის მოსაფიქრებელ მერხზე და ფიქრისა არაფერი ეტყობა. ჯერ მარცხნივ გაიხედა, მერე – მარჯვნივ. უკან მიბრუნებას ვერ ბედავს, შარია!

განსაკუთრებით ჭერზე მიკრული ასანთის ღერებით დაინტერესდა. მათ მოაცილებს თვალს – მე მიყურებს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. მოკლედ, ხან ჭერს ბურღავს, ხან მე. ვიფიქრე, ამ დალოცვილს ხომ არ ჰგონია ასანთის ღერების მიწებებით მე ვერთობი მეთქი! ერთი სიტყვით, ბილეთისა და რვეულის გარდა ყველაფერს უყურებს. აშკარად მომენტს ელოდება.

მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, გამომცდელს არ აღმოაჩნდა საჭირო კეთილი უნარ-ჩვევები. არც გაზეთის კითხვა დაიწყო, არც ფანჯარაში იყურება. საათნახევრის განმავლობაში აუდიტორიიდან ერთი წუთითაც არ გადის, გიჟია ოხერი! ცოტა გავეთამაშე – ვითომ გარეთ გავედი და მაშინვე შემოვბრუნდი. პოზაშეცვლილი დამხვდა. ცალი ხელი ჯიბეში ჩარჩენოდა და უკან ვეღარ იღებდა, მეორე – მაგიდაზე უდევს და თითებს ათამაშებს. ჭერში ვითომ ასანთის ღერს იკვლევს. ტუჩები ისეთ პოზაშია – გულში ნაღდად უსტვენს!

ვფიქრობ, კაპიტულაციას გამოაცხადებს – ჩამაბარებს ცარიელ რვეულს და დატოვებს გამოცდას. არა, ძალიან პრინციპული ჩანს – ბოლომდე ერთგულად ზის.

– დაიწყეთ პირველი საკითხი!

– პატივცემულო, იცით... პირველი ვერ გავიხსენე.

– კარგით, გადადით მეორეზე!

– გეფიცებით, მეორე ნამდვილად ვისწავლე, მაგრამ დავიბენი. პატარა გადამეორება მჭირდება...მესამე საკითხისთვის უკვე მესამედ შეცვალა სტრატეგია – თავის შეცოდება გადაწყვიტა. მოსინჯა, რამდენად გულჩვილი ვიყავი – არ გაუმართლა. დამატებით მივეცი პრაქტიკული ხასიათის რამდენიმე უმარტივესი კითხვა – სრული ვაკუუმია!

უკვე გავბრაზდი – როგორ მიიღო ჩათვლა?! აშკარაა, ჩემი ერთ-ერთი ასისტენტი სცოდავს!

– ვინ გასწავლიდათ პრაქტიკულს?

– გვარი არ ვიცი...

– სახელი?

– არ ვიცი...

– არ დადიოდით მეცადინეობებზე?

უცებ სახე გაებადრა:

– ნანახი მყავს! – პუტკუნა ქალია, თმებს ყავისფრად იღებავს!

გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. მივხვდი – სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნა სულ ბოლო პასუხს დაახარჯა!

ვეუბნები:

– რომ გკითხონ, ამ საგანში ლექციებს ვინ გიკითხავდაო, მაინტერესებს როგორ აღუწერთ ჩემს თავს?

– თქვენი გვარი ვიცი!

– ვითომ რატომ? არც ჩემს ლექციებზე დადიოდით!

გამხიარულდა:

– თქვენი გვარი ვინ არ იცის პატივცემულო, ნახევარი საქართველო გყავთ გარიცხული!

– გასაგებია! – კალამი მოვიმარჯვე და მეც მხიარულად მივუგე:

– მაშინ საქართველოს მეორე ნახევარს თქვენით დავიწყებ!

თქვენ წარმოიდგინეთ, მოეწონა ნათქვამი – იუმორის გრძნობა აშკარად ჰქონდა გოდერძის!

ციკლიდან –
„მასწავლებლები ზოგჯერ სულაც არ ხუმრობენ “

ორი ჩემპიონი

ჯვარს მაცვა! „შპარგალკის“ გამო უკვე მეოთხედ ვაძევებ გამოცდიდან. ესეც არ იკმარა:

– მაინც გადავიწერ.– მეუბნება უტიფრად!

– რატომ ცდილობთ? ხომ ხედავთ ვერ ახერხებთ.

– მე ჩემპიონს მეძახიან!

ვერ გავიგე ეს რა შუაში იყო – მაინც ჩავეკითხე:

– ჭიდაობთ? – დიდი იყო ტანით.

– არა.

– შაში? – ვეხუმრე.

– არა ბატონო!

– აბა, რაში ხართ ჩემპიონი?

– გადაწერაში! – მომიგო დაუფარავი სიამაყით.

– კოლეგები ვყოფილვართ, მეც ჩემპიონს მეძახიან.

– თქვენც იწერდით ხოლმე! – გაუხარდა.

– არა ბატონო!

– აბა რაში ხართ ჩემპიონი? – წამოეგო ანკესზე.

– ორების წერაში! – ვუთხარი და გავუფორმე მეოთხე ორიანი სტუდენტის “თანამდებობისთვის” აშკარად შეუფერებელს.

სტუდენტური დიალოგი

გამოცდა მქონდა.

ჩემი ჯგუფის საგამოცდო უწყისები სამდივნოდან შემთხვევით სხვა საგნის პედაგოგს წაეღო. არ ვიცნობდი – ახალი იყო. მდივანი გოგონა აღარ შევაწუხე და თავად გავეშურე მისი აუდიტორიისკენ. აუდიტორიის კართან მისასვლელი გზა სტუდენტების მოზრდილ ჯგუფს ჰქონდა ჩახერგილი – გამოცდაზე გამოძახებას ელოდნენ.

არცერთი მათგანი არ მეცნო. როგორც ჩანს არ ვასწავლიდი. შორიდანვე ჩემს გვარს მოვკარი ყური:

– ამბობენ ზერეკიძეზე უარესიაო!

– შანსი არ არის!

– რას ერჩით ამ ზერეკიძეს, ძაანაც დასტოინი ტიპია.

სვლა ავტომატურად შემინელდა. შევხედე ჩემს მფარველ ანგე-

ლოზს. ცოტა ზედმეტად აწოწილი კი იყო, მაგრამ სახე მართლაც ანგელოზისა ჰქონდა. ან იქნებ მომეჩვენა კიდეც – ხომ იცით განწყობას რამხელა მნიშვნელობა აქვს. გრძელი ქერა თმები და თხემზე წამოცმული შავი სათვალე ლიდერობისკენ მის მიდრეკილებას კიდევ უფრო ხაზს უსვამდა.

– შენი ძმაკაცია თუ გასწავლიდა?

– არა, დაქალს ასწავლის. ორჯერ მივყევი. მაგარი ჯიგრულად გვებაზრა – გაასწორა.

– დაგლიჯა?

– დაგლიჯა!

ჩემს დანახვაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონია. გოგონა აშკარად ცრუობს – ნანახიც არ ვყავარ!

– თუ შეიძლება გამატარეთ!

ყურიც არ შეიბერტყეს!

– გამატარეთ!! – ხმაში სიმკაცრის ამწევი ღილაკი გადავატრიალე მე.

არცთუ დიდი ხალისით გააკეთეს კარისკენ მიმავალი დერეფანი. გვერდით რომ ჩავუარე, აწოწილმა ქერათმიანმა ამრეზით დამხედა ზემოდან. კარი ჯერ არც მქონდა ბოლომდე მიხურული, ქერათმიანის ნათქვამი დამეწია:

– ვა, ეს ვიღა როჟაა ტოო?!

კოლეგას ჩემი უწყისები არ აღმოაჩნდა. როგორც ჩანს, მდივან გოგონას შეეშალა რაღაც. ის არის, უნდა გამოვიდე, რომ გარედან ისმის მდივნის აქოშინებული ხმა:

– ზერეკიძე აქ შევიდა?

გამოვედი. ვხედავ, ქერათმიანი გაპარვას აპირებს. გულმა არ მომითმინა:

– გოგონა, ერთი წუთით!

– მეე?

ღიმილით ვეკითხები:

– მაინც რომელი ვარ – დასტოინი თუ როჟა?

ჩაიფერფლა. ჩაღუნა თავი, კინაღამ დავეწიე სიმაღლეში. მერე მოულოდნელად, შუაგზაში შეწყვიტა გაწითლების პროცესი და ულამაზესი ღიმილი შემომაფრქვია:

– დასტოინი როჟა, მასწ!

შექსპირი და რწყილი

ისეთი სტუდენტი იყო, ჩვენთან ნიჭიერს და ზარმაცს რომ იტ-ყვიან. ორჯერ გამოვიდა გამოცდაზე და ვერ ჩააბარა. გაბრაზებულ-მა ჩამჭრელი კითხვა დამისვა:

– მაინც ვის რაში სჭირდება ეგ თქვენი წარმოებული?

ავენთე – ძალიან მიყვარდა ამ საკითხის ახსნა.

ვუყვები:

მინიმალური დანახარჯებით ავზის დამზადებასა და დიდი საწარმოს ოპტიმიზაციაზე,

ბაქტერიების გამრავლებიდან – წყალბადის ბომბამდე,

ნიუტონიდან – აინშტაინამდე,

ნობელიანტებიც ვახსენე.

მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო – მწერლებიც მოვიშველიე. გან-საკუთრებით შექსპირი აქტიურობდა. ჩემი ისტორიული გამოსვლა ისტორიული შეძახილით დავაგვირგვინე:

– წარმოებულის ცოდნა ?...არ ცოდნა?... საკითხავი აი ეს არის!

მისმენს უდიდესი ინტერესით. თვალი არ მოუშორებია, არც დაუხამხამებია. რომ დავამთავრე, ნაკვთი არ შეატოკა, პირიც სულ ოდნავ გახსნა და მეუბნება:

– ვერ გავიგე.

როგორც ავენთე – ისე ჩავქრი.

მივხვდი ჩემს შეცდომას – ბავშვს ჯერ ქართული ანბანის ბოლო ასო არ გაუვლია, მე კი „ჰამლეტი“ დავავალე! ისევ ფოლკლორს უნ-და მივმართო. იქნებ რწყილმა მიშველოს – შექსპირმა არ გაამარ-თლა.

ვიცოდი ილია ერქვა. მაინც ვკითხე

– რა გქვია შვილო?

– ილო! – არ ჩაიჭრა.

– ზღაპრები თუ გიყვარს?

– უჰ, ძალიან!

– ჰოდა, გინდა მოგიყვე ზღაპარი ერთ კარგ ბიჭზე, რომელსაც შენსავით ილო ერქვა?

– მინდა!

ნამდვილმა ილომ ისევ შეწყვიტა თვალის ხამხამი, ისევ მიიღო დაინტერესებული სახე და მოხერხებულად მოეწყო ზღაპრის მოსასმენად.

დავიწყე:

ერთხელ ილო-ბიჭს ძალიან მოშივდა. მივიდა მარკეტთან და პური სთხოვა. მარკეტმა უთხრა;

– შენ რომ ჩემთვის ფული არ მოგიტანიაო?

– საიდან უნდა მოგიტანოო?

– სამსახური მოგცემსო.

მივიდა ილო სამსახურთან და სთხოვა – ფული მომეციო.

– შენ რომ ჩემთვის დიპლომი არ მოგიტანიაო.

– ეგ საიდან უნდა მოგიტანოო?

– უნივერსიტეტი მოგცემსო.

მივიდა ილო უნივესიტეტთან – დიპლომი მომეციო.

– შენ რომ მათემატიკის ათი კრედიტი არ მოგიტანიაო.

– ეგ ვიღამ უნდა მომცესო?

– ლექტორი მოგცემს მაღლივშიო.

მაღლივი შორს იყო. ილომ იარა იარა და მივიდა მაღლივის ლექტორთან:

– ათი კრედიტი მომეციო.

ლექტორი ძუნწი გახლდათ და უთხრა:

– ათს კი არა, ერთ კრედიტსაც ვერ მოგცემ, სანამ წარმოებულს არ ისწავლიო.

ილოს უფრო მოშივდა და ისწავლა წარმოებული. მისცა ილოს:

ლექტორმა – ათი კრედიტი,

უნივერსიტეტმა – დიპლომი,

სამსახურმა – ფული,

მარკეტმა – პური.

შეჭამა ილომ პური და განდევნა შიმშილი. იყო ბედნიერად.

აქ დავამთავრე.

ილო გახარებულია:

– ეგრე რა! – ახლა გავიგე.

მითხრა ბედნიერი, უფრო ზუსტად, დანაყრებული სახით.

***

სხვათაშორის, მესამე ცდაზე ილიამ ჩააბარა გამოცდა. ის რაც გაუჭირდა დიდ შექსპირს, სულ ადვილად მოახერხა პატარა რწყილმა.

ციკლიდან –
„ზოგჯერ მასწავლებლებიც ცელქობენ“

ჟანა დარკი

უნივერსიტეტში ერთიანი საგამოცდო ცენტრი ჯერ არ იყო შექმნილი. თუმცა, ჩემი ინიციატივით და დეკანის მხარდაჭერით ჩვენს საგანში, რომელსაც არაერთი პედაგოგი ასწავლიდა, ერთიანი გამოცდა უკვე რამდენიმე წელია ტარდება.

დაშიფვრისთვის რვეულების ყდაზე კუთხეების დაჭრაა საჭირო. მარტო ამის გაკეთება მიჭირდა – 1000 -ზე მეტი რვეული იყო.

ჩემს ჯგეფხელებს ვთხოვე დახმარება. ოთხნი იყვნენ. ერთ-ერთმა, ყველაზე აქტიურმა, მაშინვე იუმორით შეხედა ამ საქმეს:

– რა კარგია! რვეულებს ყურები უნდა დავაჭრათ!

– ჰო, ყურები უნდა დავაჭრათ! – მომეწონა და მხარი ავუბი მეც.

ლეილა წელაურზეა საუბარი. ამ სტუდენტთან მანამდეც მქონდა რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი.

პირველი – ლექციაზე დააგვიანა. ძალიან ფრთხილად შემოყო ლამაზი თავი. ფეხის წვერებზე შემოვიდა. კედელს მიეყუდა – ხელები ზურგს უკან აქვს დაწყობილი. წელში გამართულია. თავი კი ისეა ჩაღუნული, ნიკაპი ყელს ებჯინება – მხოლოდ წამწამების ფახუნი მოჩანს. მგონი იღიმება კიდეც, მაგრამ, ვერ შეედავები, ისე. აუდიტორიაში სიცილია. ისეთი საყვარელია – მეც მეცინება და საყვედურის ნაცვლად მგონი მოფერება გამომდის! ეტყობა იმდენად მოეწონა ასეთი დატუქსვა, რომ შემდეგ უკვე სპეციალურად დააგვიანა. მადლობა ღმერთს, არც მე აღმოვჩნდი ჯაბანი და მალე მივუხვდი ეშმაკობას.

მეორეჯერ უფრო მნიშვნელოვანი მოხდა:

ერთ-ერთ სხვა საგანში შუალედური გამოცდა ძალზე უხარისხოდ ჩატარდა. ზოგიერთი საგამოცდო აუდიტორია სავსე იყო გამოყენებული და იქვე მიტოვებული „შპარგალკებით“. მოაგროვა ეს სისაძაგლე და თეთრ ცხენზე ამხედრებული, აქეთ-იქით ორი ფეხოსანი მეაბჯრით, მიეჭრა მთავარმართებელს ახლადგარემონტებულ კაბინეტში. შპარგალკებით სავსე ფუთა მოჭრილი თავივით დაუგორა ლამინირებულ მაგიდაზე და წამოთქვა სტუდენტური მოძრაობისთვის ფრიად უჩვეულო, ისტორიული ფრაზა – გვაღირსეთ პატიოსანი გამოცდები!

ეს რომ გავიგე, ხელახლა შემიყვარდა უნივერსიტეტი. მსურდა დამეწერა „მესმის, მესმის ეს ხმა ტკბილი...“, მაგრამ უკვე დაწერი-

ლი ყოფილა. ცოტა მეწყინა – ამ კაცმა სულ ეგრე იცის. მოვიწადინებ რამეს – უკვე გაუკეთებია! აღარაფერი დამიტოვა!

აჯანყების მეთაურისთვის მინდოდა გარიბალდი დამერქმია, მაგრამ გოგოს სახელად ჯუზეპე რაღაც არ მომეწონა, ამიტომ ისევ ჟანა დარკი ვარჩიე. ოღონდ – „ჩემი ჟანა დარკი“.

სამწუხაროდ, არც უფროსებიდან და არც სტუდენტებიდან ყველას არ ჰქონია ასეთივე რეაქცია. იყო შეფასებებიც – თავხედი, შურიანი. განსაკუთრებით უკანასკნელი სწყინდა – თავად ხომ უმაღლესი შეფასება ჰქონდა მიღებული, და მაინც.

ვაწყნარებდი. მგონი მაშინ ვთქვი პირველად :

– ცუდი ადამიანებისგან ძაგების კი არა – ქების უნდა გეშინოდეთ!

მადლობა ღმერთს, ფაკულტეტის ხელმძვანელობაში აღმოჩნდნენ სამართლიანი ადამიანები და ამ გამოცდების შედეგები – რამდენიმე ასეული შეფასება ბათილად იქნა ცნობილი.

მაინც გაბრაზებული იყო, მითხრა – ამ ქვეყანაში წესრიგი უნდა დავამყარო, პრეზიდენტი უნდა გავხდეო.

– მხარს დაგიჭერთ! – ღიმილით შევპირდი ერთ ხმას მე.

მოკლედ, დავუბრუნდეთ ყურების დაჭრას.

ჯგუფხელებს შეშლიათ ჩემთან შეხვედრის დრო და კათედრაზე დათქმულზე ადრე მოსულან.

მე გასული ვარ.

თანამშრომელი მირეკავს – ცოტა გაკვირვებული იყო:

– თქვენმა სტუდენტებმა გიკითხეს. უცნაური რამ თქვეს – რვეულებს კუთხეები უნდა დავაჭრათო.

მისმა დაბნეულმა ტონმა ხუმრობის ხასიათზე დამაყენა.

ვურეკავ წელაურს და ამ დიალოგს „ოდნავ“ გადაკეთებულად ვუყვები:

– ლეილა, მინდა გითხრათ, რომ გაოცებული ვარ!

– რატომ მასწავლებელო? – მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიხალისით მეკითხება.

– ახლა დამირეკა კათედრიდან თანამშრომელმა. აღწერით მივხვდი რომ თქვენზეა საუბარი.

– დიახ მასწავლებელო!

ასე გითქვამთ:

– თამაზი მასწავლებელს ვეძებთ – ყურები უნდა დავაჭრათო!

ხაზის მეორე მხარეს სუნთქვა შეწყდა!

ეს მდგომარეობა დასაშვებზე დიდხანს რომ გაგრძელდა

შემეშინდა და მიკროფონს ჩავყვირე:

– არა შვილო, გეხუმრე, გეხუმრე!

როგორც იქნა გავიგონე:

– მასწავლებელო!... – ამ სიტყვას ისედაც ლამაზად ამბობდა, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო...

მოგვიანებით ორლეანელმა ქალწულმა „შვილობილად აყვანა“ მთხოვა – უკვე აღარ ვასწავლიდი. ამისათვის მარტო ჟანა დარკობა არ კმაროდა – სულ ფრიადებზე უნდა ესწავლა. ასე გავხდი მისი მამობილი. სამწუხაროდ, დიდი ხანია აღარ დავლაპარაკებივარ მას! მიზეზი ფრიად სერიოზულია – საქართველოს პრეზიდენტობას მპირდებოდა და უცხო ქვეყანაში გათხოვდა – თანაც მამობილის უკითხავად! არადა, ბედის ირონია ის არის, რომ რეკომენდაცია სწორედ მე მივეცი.

– არა, ვერ გამიგეთ! გათხოვების კი არა – უცხოეთში მაგისტრატურაში ჩაბარების რეკომენდაცია!

ამის გამოა, რომ ბოლო ხანებში საუცხოეთიო რეკომენდაციებს კარგ სტუდენტებს დიდი სიფრთხილით ვაძლევ! მაგრამ ცხოვრება ასეთია – თვით ყველაზე გულქვა მამებიც კი ადრე თუ გვიან ურიგდებიან მათი დალოცვის გარეშე გაფრენილ ქალიშვილებს.

ამ წერილს ვწერ და თან ფოტოს ვუყურებ – ფოტოზე ქართველი ჟანა დარკია მის პატარა გერმანელ ანგელოზთან ერთად.

***

ამას წინათ, მისმა ჯგუფელმა, აგრეთვე გამორჩეულმა სტუდენტმა მომწერა – ლეილა წელაური თუ გახსოვთო? მართალი გითხრათ, ცოტა მეწყინა! მაშინ არ ვუპასუხე. ახლა უნდა ვკითხო:

– თქვენ როგორ ფიქრობთ გიორგი?

***

ვიცი, ცოტა ზემოთ უნდა დამემთავრებინა, მაგრამ ვერ ვახერხებ ეს სურვილიც რომ არ გაგიმხილოთ:

– ნეტავ ჩემი ჟანა დარკის სახე დამანახა, ამ წერილს რომ წაიკითხავს.

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები

თავგასახმობი

მეზობელმა და მე საერთო შესასვლელში კარი ჩავაყენეთ. ამ კარს ვამუშავებ, უნდა შევღებო. ისეთ ფორმაში ვარ, კაცი ვერ გამოიცნობს ჩემს ნამდვილ პროფესიას. მინიმუმ ოთხოსან ხელოსანს ვგავარ.

ქალბატონი მომადგა. მშობელი ვარო.

– მეზობელი სახლშია? – მეკითხება.

არ ვიცოდი, იმ დღეს არ მენახა ბატონი გივი.

ეს რომ ვუთხარი, ჭოჭმანი დაეტყო. შეყოვნდა. ეჭვმა გამკრა – ბატონი გივი ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კი მუშაობდა, მაგრამ სტუდენტების გამოცდებთან შეხება არ ჰქონდა – კადრებს განაგებდა.

– ისე როგორი კაცია?– საუბრის გასაბმელად დასმულ კითხვას უფრო ჰგავდა.

– შესანიშნავი! – მართლაც დიდებული ადამიანი გახლდათ ცხონებული.

– ისემც გაუხმა თავი! – რეაქცია მყისიერი იყო.

უკვე საეჭვო აღარაფერია – ქალბატონი ჩემთანაა მოსული. მოხსნა თავი გუდას, რამდენჯერმე ჩადო საფლავში და მერე ისევ ამოიღო მისი სტუდენტი შვილის დამჩაგრავი. ბოლოს, როგორც იქნა დაანება დაკრძალულს თავი, მიწა მიაყარა და მთელი მონდომებით დატკეპნა. გზადაგზა ჩემი მისამართით რამდენიმე კომპლიმენტის ჩაკერებაც მოახერხა.

– აი მაგალითად შენ, როგორი კარგი ადამიანი ჩანხარ, რა იქნებოდა შენი მეზობელი ცოტათი მაინც რომ გგავდეს! – როგორც ჩანს ჩემი გამოყენების იმედი გაუჩნდა, ისე ელვისისწრაფით გამიშინაურდა.

– ქალბატონო, – ვეკითხები, – თქვენ ნამდვილად ჯანელიძესთან ხართ?

– არა, ვინ ჯანელიძესთან, ზერეკიძესთან ვარ მოსული! – მომახალა უკვე ფორმაში შესულმა.

– თუ ასეა, ჩემთან ყოფილხართ – რაც შემეძლო თბილად გავუღიმე.

– მასხრობის ხასიათზე ვარ ახლა მე? – შემომიტია ახლადშეძენილი მეგობრის ღალატით გაბრაზებულმა. აშკარად არ დაიჯერა.

ბედად, ლიფტის კარი გაიღო და ჩვენს სართულზე, მეორე ფლიგელში მცხოვრები ქალბატონი გამოვიდა :

– გამარჯობათ ბატონო თამაზ! .

დავინახე, როგორ ნელ-ნელა დაეშვა სტუმარი იატაკისკენ.

განგებამ არ გაგვწირა – სასწრაფო მალე მოვიდა.

გადავრჩით.

ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

მართლა გიჟი

მშვენიერი კვირა დღეა. სახლში ნაჯახით კედელს ვჩეჩქვავ – ნალესი რომ კარგად დაიჭიროს.

გამოცდა სტუდენტების მორიგ ჯგუფთან სამიოდ დღეში მაქვს. ღია ფანჯრიდან ჩიტის სევდიანი სტვენის ხმა შემოდის. ყველაზე განზე გამოწეული ტოტის სულ ბოლოში, წკიპზე იჯდა. ერთი წამით გული შემიქანდა – არ გადმოვარდეს მეთქი. მერე გამეცინა ჩემს სისულელეზე. იქვე, ეზოში მეზობელი მანქანას რეცხავს და უცხო მამაკაცს ესაუბრება.

უცხოს ორი დიდი ჩანთა ახლავს თან..

– მე გითხარი და – მეზობლის ნათქვამი მხოლოდ ეს სიტყვები გავიგონე.

ცოტა ხნის შემდეგ კარზე კაკუნის ხმა გაისმა. მარცხენა ხელი დასვრილი მაქვს, მარჯვენაში ნაჯახია. კარს მიღმიდან ვკითხე ვინაობა.

– ჩემი შვილი თქვენი სტუდენტია....

– ვწუხვარ, – აშკარად მისამძიმრება გამომივიდა, – მაგრამ სტუდენტების საკითხზე სახლში არავის ვიღებ!

– იცით...

– ვიცი! – შევაწყვეტინე კარგად ნასწავლი გაკვეთილის მოყოლა, – მობრძანდით სამსახურში.

ვხედავ, კარის გაღებას ცდილობს. მართალი გითხრათ, აღშფოთების მოახლოება ვიგრძენი – საცაა თვალებში ჩამიხტება.

შეურაცხყოფილი ვარ

მკვეთრი მოძრაობით ვაღებ კარს. მარჯვენაში ანგარიშმიუცემლად ისევ ნაჯახი მიჭირავს.

ჩიტი კვლავ უსტვენს,

დავინახე ორ დიდი ჩანთა და მათ შემოსატანად გამზადებული, წელში ნახევრად გამართული თავაწეული არსება, რომელიც, როგორც ზღაპრებშია, თითქოს ჯადოქარმა მოძრაობაშივე გაყინა.

ამ უჩვეულო მოვლენის მიზეზს გვიან მივხვდი – მან ხომ ეს-ესა ნაჯახიანი კობრა დაინახა. გამიგია, ყალყზე შემდგარი სათვალიანი კობრას დანახვაზე მსხვერპლს ჰიპნოზის მსგავსი რამ ემართება.

არსებას თვალებიც გაშეშებული აქვს, ოღონდ მარჯვენა თვალი კობრას მისჩერებია, მარცხენა – ნაჯახს. მეორეჯერ შემელახა თავმოყვარეობა – მარცხენა უფრო მეტ მოკრძალებას გამოხატავდა!

გამოგიტყდებით, სწრაფი აზროვნებით ვერ დავიკვეხნი. სანამ მე შექმნილ ვითარებას გავაცნობიერებდი, კაცი ორი დიდი ჩანთით უკვე გასასვლელ კიბეებთან იყო!

გინახავთ არც თუ განიერ დერეფანში ორი დიდი ჩანთით გაქცეული კაცი? როცა ხელები ფეხების შესატყვისად ვეღარ მოძრაობენ და მხოლოდ მხრები ცდილობენ აყვნენ ქვედა კიდურებს.

მართლაც რომ მომხიბვლელი სანახაობაა!

***

ეზოდან ისევ დიალოგი მესმის. ამჯერად უფრო გარკვევით:

– ხომ გითხარი არ მიხვიდე მეთქი!

– ეგ კი მითხარი ძმაო, მაგრამ ის არ გითქვამს, რომ მართლა გიჟი იყო!

***

დაბლა – კაცი ორი დიდი ჩანთით,
ჩიტი ისევ სევდიანად უსტვენს,
მეზობელი კვლავ მანქანას რეცხავს,
მძიმე ფიქრებს ნაღვლიანი ვუსმენ.

***

სწორედ ამ დღეს დაიწერა პეტეფისადმი მიძღვნილი ეს პატარა ლექსი:

შანდორ პეტეფს!

სამშობლოს კვნესით გამწარებული
ურჩხულს შეები!
სასოწარკვეთილს შენს წამოძახილს
იმეორებენ დღესაც კლდეები -
"საღრჩობელაზე ხელმწიფეები!
საღრჩობელაზე ხელმწიფეები!"
არ მსურს კაცის კვლა

ან სისხლიანი სხვა რამ
აქცია,
მაგრამ რა ვქნა, რომ ამ
პროტექციამ
და
კორუფციამ
ჩემი სამშობლო
სულ დააქცია,
გაათახსირა,
ლეშად
აქცია!

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები“

კანიბალი

ოჯახში პატარა წვეულება მქონდა.

ეს ის დროა, გამოცდაზე ჩაჭრილმა სტუდენტმა რომ მითხრა თქვენი გვარი როგორ არ ვიცი, ნახევარი საქართველო გყავთ გარიცხულიო.

ძალიან ახლობელმა, რომელსაც ამის უფლება ჰქონდა, დაუპატიჟებელი სტუმარი მოიყოლა. გზაში შეხვედროდა. არც კი აუხსნია, სად მიდიოდნენ, უბრალოდ უთქვამს, შენ რომ გიყვარს, ისეთ ხალხს გაგაცნობო.

მომეწონა.

დახვეწილი პიროვნება აღმოჩნდა. იუმორთანაც მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდა. ადვილად გავუგეთ ერთმანეთს. აშკარა იყო – მასაც მოვეწონე.

მხოლოდ აქ შეიტყო სტუმარმა მასპინძლის გვარი. ეტყობა, იმდენად კარგი შთაბეჭდილება დავტოვე, შეუძლებლად მიიჩნია, რომ მე და იმ მხეცს რაიმე საერთო შეიძლება გვქონოდა. ამიტომ თამამად, ალბათ უფრო სასაუბრო თემის შემოტანის მიზნით, საკმაოდ ხმამაღლა მკითხა:

– უნივერსიტეტში რომ კაციჭამია ზერეკიძეა, თქვენი არის რამე?

სუფრაზე მყისვე შეწყდა საუბარი. ასეთ სიტუაციებს უკვე მიჩვეული ვიყავი და არ დავიბენი:

– ნეტავ არ იყოს, არცხვენს მთელს საგვარეულოს!

თანამეინახეები უცბად მიმიხვდნენ და არ შემიშალეს ხელი მზაკვრული გეგმის განხორციელებაში.

აღმოჩნდა, რომ მისი ძმისშვილი, სანათესაოს სიამაყე და იმედი, გვარის ერთადერთი გამგრძელებელი, სამჯერ გასულა გამოცდაზე და სამჯერვე ჩაუჭრია იმ ურჩხულს!

– კანიბალი! – ბურტყუნით გამოვუცხადე თანაგრძნობა მე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კომენტარმა დამატებითი სტიმული მისცა და ვეღარ გაჩერდა: ყვებოდა ჩემს შესახებ ჭორ-მართალის მშვენიერ ნაზავს – ცხადია, სულ უარყოფითს. ზოგიერ-თი ჩემთვისაც სიახლე იყო. ბოლოს ის ანეკდოტი მოყვა, პილოტი რომ ამბობს – სტუდენტების სიხარული მაშინ ნახეთ, აქედან თქვენ სამივე რომ გადამაყრევინაო!

უცბად დამავიწყდა ჩემი როლი და წამომცდა:

– ეგ ანეკდოტი თავიდან ჩემზე არ იყო, მერე გადააკეთეს!

ტყვიანაკრავი, ნახევრად მკვდარი სტუმარი ხან მე მიყურებს ხან ახარხარებულ სუფრის წევრებს. გულწრფელად შემეცოდა. მტერს არ ვუსურვებდი მის ადგილას ყოფნას. მხარზე ხელი დავარტყი და დავამშვიდე:

– არ იდარდო, შენ არც პირველი ხარ და, იმედი მაქვს, არც უკანასკნელი.

ციკლიდან –
„კარგი უფრო მეტი იყო“

გვანცა

რომელიღაც ცნობილ მსახიობს მაგონებდა. მგონი ოდრის, ჰეპ-ბერნს. არა, იმდენად იერსახით კი არა – უფრო სიხალისით. გამ-ხდარი და სიცოცხლით სავსე იყო. თუმცა, ზოგჯერ მოწყენაც იცო-და.

შავი ჟილეტი და თეთრი პერანგი უხდებოდა ყველაზე მეტად. ამ სამოსში ლამაზნისკარტა, თეთრგულა ჩიტს ჰგავდა. კი არ შემო-დიოდა, შემოფრთხიალდებოდა ხოლმე – შორიდანვე დაწყებული სიცილით. მზერა იცოდა განსაკუთრებული, თვალები ისე უბრ-წყინავდა, თითქოს შენზე საყვარელი ადამიანი დედამიწის ზურ-გზე მისთვის არ არსებობსო.

კარგად სწავლობდა, ჯგუფხელიც იყო.

ცოტა კურიოზული გახლდათ. როგორც მახსოვს, ერთი წელი დაკარგა იმის გამო, რომ ეროვნულ გამოცდაზე მიმავალს, კაპიტან

გრანტის მაძიებელივით, გეოგრაფ ჟაკ პაგანელივით, ქვეყნები აერია და საბურთალოს მაგივრად დიღომში ამოყო თავი

გულისამაჩუყებელი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა.

ჯგუფის სია მივეცი, უბრალო ფურცელზე დაწერილი – ეს აღრიცხვის ჟურნალი იქნება, ზოგჯერ დამეხმარებით მეთქი. ჩემს ოთახში ვარ. ცოტა ხანში მის ჯგუფთან სემინარი უნდა დავიწყო. უეცრად, დერეფნიდან კივილი მესმის:

– თამაზი მასწავლებელოო!

– რაღაც უბედურება ხდება! – გავვარდი გარეთ.

ვხედავ, მორბის! მუდამ მოწესრიგებულს თმები გასწეწია. მთელი მისი ჯგუფი უკან მოსდევს. თითო-თითო – აქეთ-იქით, დანარჩენები – უკან, მწკრივად. ერთი-ორი წინაც რომ ყოფილიყო, მშვენიერი სამეფო ესკორტი იქნებოდა.

– რა იყო, რა მოხდა? – ვუყვირი შორიდანვე, გულგახეთქილი.

– ჟურნალი დავკარგეეე!

– გაგისკდა გული გვანცა დგებუაძე! – ჩავილაპარაკე ჩემთვის ბებიაჩემივით. მას კი ვუთხარი:

– არაუშავს, დღესვე დაგიმზადებთ ისეთივეს, სამს ცალს და როცა დაკარგავთ ხოლმე, შეგიძლიათ იკივლოთ, ოღონდ მესამედი ხმით – მე რომ ვერ გავიგონო!

მეორეჯერ უფრო გაგვამხიარულა:

მაღლივი კორპუსის პირველ სართულზე ეს-ესაა შევდგი ფეხი. რამდენიმე წუთია ფინალური გამოცდის შედეგები გამოქვეყნდა. იქვე, ცენტრალურ შემოსასვლთან დიდი ჩოჩქოლია. ვიღაც გოგონა სულისშემძვრელი ხმით მოთქვამს, კარგი მოტირალი ქალი მიცვალებულს რომ შეიცხადებს ხოლმე, ისე.

ის არის!

თვითონ არ ჩანს, გარსშემოხვეული ჭირისუფლები ფარავენ, თანაუგრძნობენ. განსაკუთრებით ორი ბიჭი აქტიურობს:

– გვითხარი ვინ გაწყენინა!

– გაჩენის დღეს ვაწყევლინებთ!

– თამაზი...თამაზი…– სულს ვერ ითქვამს.

– ვინ თამაზი?

– რომელ კურსელია?

როგორც იქნა ამოისუნთქა:

– თამაზი მასწავლებელს რა ვუთხრაა..

– რა მოხდა, გააფრინე?

– 98 მივიღეეე...

ის ბიჭები მესამე წელია ცდილობენ 100 ქულიდან საოცნებო 51 ქულის მიღებას. ერთმანეთს შეხედეს და სიკო-ნიკოსავით ერთ-დროულად თქვეს:

– არ არის ახლა ეს საცემი?

***

ჭირისუფლებმა დაშლა დაიწყეს.

დამინახა. დაიბნა.

აღარ იცის – გააგრძელოს ტირილი, თუ ჩვეულებისამებრ შო-რიდანვე გამიცინოს. ბოლოს, ცრემლი მოიწმინდა და სიცილ-სლუ-კუნით მითხრა:

– ბოდიში მასწავლებელო!

98 ქულისთვის მიხდიდა ბოდიშს თუ ატეხილი ალიაქოთის-თვის – ვერ მივხვდი. ეს კი ვუთხარი:

– დგებუაძე, თუ როგორმე თქვენ გადაგირჩით, მერე ყვავზე დი-დხანს ვიცოცხლებ!

– ბოდიში მასწავლებელო! – ისევ ტირილი დააპირა. მერე გადა-იფიქრა და მეკითხება:

– ყვავი დიდხანს ცოცხლობს?

– 300 წელი.

– აუუ! აღარასოდეს ვიტირებ მასწავლებელო! – სულ ცოტა ორი საუკუნით გამიხანგრძლივა სიცოცხლე კეთილმა ბავშვმა.

მაგრამ, ამ მაცდურ საჩუქარზე უარი ვთქვი – ჩემი სტუდენტე-ბის კიდევ ორ საუკუნოვან ტანჯვას ვერ დავუშვებდი.

***

ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე, ამერიკის კონტინენტის აღმო-სავლეთ სანაპიროს თავს დაატყდა არნახული სიძლიერის ქარიშ-ხალი. ბუნების ამ ანომალიას „კატრინა“ ეწოდა.

ასიდან 98 ქულის მიღების გამო გლოვას მაღლივი კორპუსის სტუდენტებმა „გვანცა“ დაარქვეს.

იმავე დღესვე გავიგონე, ერთი სტუდენტი როგორ ეუბნებოდა თავის მოწყენილ მეგობარს:

– რა იყო ბიჭო, შენც „გვანცა “ ხომ არ დაგემართა?!.

ვუძღვნი
ჩემს პირველ ელიტჯგუფელებს

ოქროს ხანა და შეწყვეტილი ევოლუცია

სტუდენტობისას ფილოსოფიას პროფესორი აპოლონ შეროზია მასწავლიდა. მას შემდეგ აღარ შემხვედრია პიროვნება, რომელსაც ასე ზუსტად შერჩეული სახელი ერქვა – ყველანაირი გაგებით. ეს ის შემთხვევა იყო, როცა წლების შემდეგ კი არა, მაშინვე ხვდები რა დიდებულ პიროვნებასა და დიდ პედაგოგს შეგახვედრა ბედმა.

ერთხელ, ფილოსოფიის სემინარზე სტუდენტებს ერთმანეთთან ხელჩართული კამათი გვქონდა. უნებლიედ ევოლუციის საკითხსაც შევეხეთ. ბატონმა აპოლონმა ასე გაგვაშველა:

– თქვენ, – მომმართა მე, – რევოლუციონერი ხართ, ამიტომაც ვერ გაიგეთ რა არის ევოლუცია.

დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ის მართალი იყო.

ე.წ. ელიტჯგუფების შექმნის შემდეგ ჩემი საუნივერსიტეტო პედაგოგიური ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. პოლიციელისა და ჯალათის ფუნქციას მოულოდნელად მასწავლებლის ფუნქცია დაემატა. ამ ბავშვებთან ურთიერთობაში გაქრა ნიშნის ნებისმიერი საშუალებით მოპოვების პრობლემა. ახდა ჩემი ოცნება – ჩემს გვერდით არიან ისინი, ვისაც უნდა და შეუძლია სწავლა!

მაგრამ წუთისოფელი ბოლომდე გაახარებს ვინმეს განა?

გაჩნდა ახალი, უმძიმესი პრობლემა.

წარმოიდგინეთ 75 მოაზროვნე, ლაღი ლიდერი ერთად, რომელთაც თავის დროზე არ აუხსნეს თამაშის წესები. როცა უნდათ იწყებენ ლაპარაკს, ყველა ერთად გისვამს კითხვას, ყველა განსხვავებულს. ყველას უნდა, რომ პირველად მას ვუპასუხო.

საშინლად ვიღლებოდი.

გაერთიანებული ლექცია ხუთშაბათობით იყო. ერთი სული მქონდა როდის დამთავრდებოდა ეს წყეული ხუთშაბათი. მაგრამ, დამთავრდებოდა თუ არა, მეწყებოდა უარესი – როდის მოვა ეს ოხერი მომდევნო ხუთშაბათი – იმდენად კარგები იყვნენ!

არა, რაღაც უნდა მოვიფიქრო, თორემ ვატყობ ჩემი ნეკროლოგი ასე დაიწყება – „ბედნიერებასთან ხანმოკლე, უიღბლო შეხვედრისას დაფასთან მოწამებრივად აღესრულა...“

მოვიფიქრე!

ხუთშაბათს გამოვეწყვე მაქსიმალურად ბნელ ფერებში, მივიღე შექსპირისეული ტრაგიკული სახე და ჩემეული კატეგორიულობით გამოვაცხადე:

– გადაშალეთ რვეულები – ჩაიწერეთ დეკლარაცია!

– დღეიდან ვიწყებ საგანგებო ოპერაციას კოდური სახელწოდებით „ჭირვეულის მორჯულება“. ვადა – ოთხი ხუთშაბათი. თუ შედეგს ვერ მივაღწევ, ვაღიარებ დამარცხებას და თქვენთან ჩემს მაგივრად ვინმე სხვა პედაგოგი შემოვა. ჩემი მოთხოვნებია:

– პირველი – კითხვები დაისვას მორიგეობით!

– მეორე – ლექციაზე არავითარი საუბარი ერთმანეთთან ჩემი ნებართვის გარეშე!

– დარღვევის შემთხვევაში შეიძლება წამომცდეს ეს ფრაზა – „გთხოვთ დატოვოთ აუდიტორია“, რაც სტატისტიკის მიხედვით 10 წელიწადში ერთხელ ხდება და იმავე სტატისტიკის მიხედვით თითქმის ყოველთვის მთავრდება მძიმე შედეგით.

შეფიქრიანდნენ. ამას ისიც დაემატა, წინა კურსელებს უთქვამთ, ფრთხილად იყავით, მაგას ჩვენ „რისხვას“ ვეძახდითო. მეწყინა, მე „გუდიანი კაცი“ ან „ბუა“ მერჩივნა.

მოვიდა მომდევნო ოხერი ხუთშაბათი.

მეათე სართულზე მაქვს ლექცია. მაშინ, თუ არ ვცდები, 1006 ნომერი ჰქონდა იმ აუდიტორიას.

ლექციის პირველმა ტაიმმა მშვიდობიანად ჩაიარა. კმაყოფილი ვარ – ასეთ შედეგს, კარგ შემთხვევაში, ორი კვირის შემდეგ ველოდი. მაგრამ, მეორე ტაიმის დასაწყისშივე ვხედავ არნახული და არგაგონილი ზომის თავხედობას! დღისით-მზისით, ყველას თვალწინ ირღვევა ჩემს მიერ გამოცხადებული წმინდათა წმინდა დეკლარაცია! კედლისკენა რიგში, ბოლოდან მეორე მერხზე, ვაჟი და გოგონა ტკბილად საუბრობენ! სახის გამომეტყველებით ვატყობ, გოგო უყვება ბიჭს როგორ გაატარა ზაფხული ბებიასთან სოფელში. სრული იდილიაა, მარტო მე ვუშლი ხელს ჩემი დაგრეხილი ინტეგრალებით.

ძალიან არ მინდა მათთვის მყუდროების დარღვევა, მაგრამ რა ვქნა? დეკლარაციაა გამოცხადებული, უფრო სწორად ჩაწერილი! მთელი ჩემი ორატორულ-თეატრალური ნიჭი დამჭირდა, რომ რაც შეიძლება შთამბეჭდავი გამომსვლოდა ნათქვამი:

– გივი ჯაში და თამარ უტიაშვილი, გთხოვთ დატოვოთ აუდიტორია!!

როგორც მომავალში მემატიანე აღწერს, ეს იყო ჩემს მიერ წარ-

მოთქმულ ფრაზებს შორის საუკეთესო, მეტიც – თითქმის ხელოვნების ნიმუში!

აუდიტორიაში ტემპერატურა მკვეთრად დაეცა. როგორც იცით, აბსოლუტურ ნულზე მოლეკულები წყვეტენ მოძრაობას, ცელქი ელექტრონები კი ისევ აგრძელებენ ბირთვის გარშემო სირბილს, მაგრამ აქ ელექტრონებიც გაჩერდნენ. ეს კი უკვე თვით სამყაროს არსებობას უქმნის საფრთხეს! სასწრაფოდ დავამუხრუჭე, დავკმაყოფილდი მხოლოდ იმით, რომ ლექცია დავამთავრე გაიუს იულიუს კეისრის ზვიადი გამომეტყველებით – „მიველ, ვნახე, დავამარცხე!“

დამთავრებით კი დავამთავრე, მაგრამ ახლა რა ჯანდაბა ვქნა?! როგორ ამოვიდე ამ ჩემივე ხელით გათხრილი სამარიდან?

ბედად, მალე შუალედური გამოცდა ჩატარდა.

ჯაშმა და უტიაშვილმა გამოცდა კარგად დაწერეს.

ახლა უარესი დამემართა – კარგი სტუდენტი ჩემი სისუსტეა. რა ვქნა, ასეა და ხომ არ დაგიმალავთ?

ვფიქრობ, ვითარ უკუვიქცე ისე, რომ სპამ გაქცევაში არ ჩამითვალოს მეთქი. მერე ვინ იცის როგორ გააფორმებდნენ ამ მოვლენას მემატიანეები! არ იცით მაგათი ამბავი, სენსაციის გულისთვის რას არ კადრულობენ! დაუკვეთავს სტატიას რომელიმე ჩაჭრილი ნასტუდენტარი და იმართლე თავი მერე თუ ბიჭი ხარ!

ჩემთვის სიკვდილის თუ არა, მისი ნახევრის ტოლფასი მაინცაა ტყუილის თქმა, მითუმეტეს სტუდენტებთან, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. გადავწყვიტე – მოდი ცოტასაც დავაბნევ, იქნებ შეუმჩნევლად გამოვძვრე.

ხუთშაბათს ვაცხადებ:

– სტუდენტებო! სამწუხაროდ თქვენს მასწავლებელს, ე.ი. მე, დაუდგინდა თვის ყოველ ლუწ ხუთშაბათს გარკვეულ ასიმეტრიულ დიაპაზონში მხედველობის ხანმოკლე დიფრაქციულ-პერიფერიულად აღგზნებადი ჰალუცინაციოგენური დაქვეითება. ექიმების დასკვნით, შეუძლებელი იყო მე გარკვევით შემემჩნია ჯაშისა და უტიაშვილის საუბარი, მითუმეტეს, რომ ისინი საკმაოდ წყნარად საუბრობდნენ. ჩემი სახელით მიულოცეთ მათ მაღალი საგამოცდო შეფასებები. გადაეცით, რომ შემდეგი ლექციდან შეუძლიათ დამესწრონ. ოღონდ ცოტა ხნით ეკრძალებათ ერთსა და იმავე კვადრატში დაჯდომის განხორციელება.

– ჩვენი მაწავლებელი პატრულშიც ხომ არ მუშაობს შეთავსებით? – ჩემი ბოლო სიტყვების გაგონებაზე ხმამაღლა გაიფიქრა

ნესტანმა – კურსის ყველაზე მაღალმა ფოტოგრაფმა, რომელსაც დიდი ლამაზი კბილები ჰქონდა და საოცრად ნაზ მაჯაზე კიდევ უფრო საოცრად დიდი საათი ეკეთა. ძალიან კარგი გოგონა იყო, ამიტომ სულ ვწუხდი დარეჯანმა რომ მიატოვა.

მისმა თამამმა ფიქრმა ჩემი პატივმოყვარეობა შიგ გულში დაჭრა. დროებით გენერალურ ბილიკს გადავუხვიე და სასტიკი ვენდეტა დაუყოვნებლივ განვახორციელე :

– ნესტან, მაგ საათს ნებყოფლობით ატარებთ?

ნესტანი ისე გაწითლდა, რომ მე შემრცხვა. ოღონდ მე არ გავწითლებულვარ.

– ძალიან გიხდებათ! – უნიჭოდ ვცადე შეცდომის გამოსწორება.

– გმადლობთ მასწავლებელო! – მითხრა, მაგრამ მივხვდი – იმ საათს აღარასოდეს გაიკეთებდა. ასეც მოხდა. მართალი გითხრათ, დღემდე ვემდური ჩემს მაშინდელ ხეპრე ხუმრობას.

ოპერაცია „ჭირვეულის მორჯულება“ ვადამდე ადრე, ორ კვირაში დამთავრებულად გამოცხადდა. პედაგოგის შეცვლა არ გახდა საჭირო. გასაგებია, რომ ამის შემდეგ ჩვენი უთიერთობები სხვა რანგში გადავიდა.

განსაკუთრებით რეაბილიტირებული თამარი დამიახლოვდა.

ძალიან ჭკვიანი, თბილი და პირდაპირი ბავშვი იყო. არალეგალურად ცისფერთვალა კახელი დავარქვი. ეს ის თამარია, ბოლო ლექციაზე გადაღებულ ფილმში, ჩემი გამოსამშვიდობელი სიტყვების დროს თვალებზე ხელს რომ იფარებს, ცრემლები არ შემამჩნიონო. ფილმი მალულად გადაიღეს და მოგვიანებით მეც გამომიგზავნეს.

გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ დრო მართლაც ყველაფერს ცვლის. ჟამთასვლამ დაგვფანტა. თუმცა ზოგთან დღესაც ვურთიერთობ. ფოტო კი ყველასი მაქვს და ხშირად ვათვალიერებ.

თითქმის ერთი წელი იყო გასული, რაც აღარ ვასწავლიდი. ერთხელ, ტელეფონზე საუბრისას თამარი დაინტერესდა, როგორ ვწერდი მე, მათემატიკოსი, ლექსებს. ეს თავისთავად კურიოზული ისტორია იყო და მოვუყევი:

90 -იან წლებში, პარალელურად, სკოლაშიც შემიტყუეს სამუშაოდ. მომეწონა.

ექვსი წელი გავატარე. მერე უნივერსიტეტში სამუშაო მომემატა და წამოვედი. მართალი გითხრათ, გული დამწყდა – იქ სულ სხვა სამყარო აღმოვაჩინე.

ბავშვებს ვმოძღვრავდი – არასოდეს თქვათ „არ შემიძლია“. თუ

იშრომებთ – აუცილებლად შეძლებთ! გარკვეულ დონეზე, რა თქმა უნდა – შექსპირი და გალუა შეიძლება ვერ გახდეთ. ერთმა მეშვიდეკლასელმა კიკინებიანმა ცქნაფამ უცბად დაიჭირა, რომ ჩემი ნათქვამი ჩემსავე პირველ ჩვენებას ეწინააღმდეგებოდა:

– მასწავლებელო, თქვენ რომ ერთხელ გვითხარით, ლექსის ნიჭი არ მაქვს და ერთ სტროფსაც ვერასოდეს დავწერო?! – გავშრი!

მართალს ამბობდა, უფრო მეტიც, ნათქვამი მქონდა – ერთ რითმასაც კი ვერასოდეს შევქმნი მეთქი.

იმდენად მინდოდა ჩემი „პედაგოგიური თეორიის“ გადარჩენა, რომ ის ღამე გავათენე და 46 წლის ასაკში გამოვაცხვე ჩემი პირველი ლექსი „მრისხანე ფისო დაფასთან“ – ერთ პატარა ზღვარსგადასულად უწყინარ მოსწავლეზე. მეორე იყო „ნუ დააბრალებთ ჯორდანო ბრუნოს“, რომელიც უკვე ბევრმა იცის – აქაც არის! შემდეგ გავწუწკდი – გამიჭირდა გაჩერება, მაგრამ ერთ პერიოდში გამახსენდა, რომ სინდისი მქონდა და დავამუხრუჭე.

თამარი მეუბნება, მასწავლებელო, აბა ახლა დაწერეთ რამე!

– თამარ!

– გეხვეწებით!

ბოლოს რომ ვნახე, ახალი შეკრეჭილი ჰქონდა თმები – ბიჭურად. თურმე ძალიან ლამაზ თავს მალავდა, ნეფერტრიტი გამახსენდა.

– კარგი, ვეცდები. ნახევარ საათში დამირეკეთ.

ნახევარი საათის შემდეგ წავუკითხე ეს პატარა ლექსი – შეკვეთით დაწერილი ერთადერთი ლექსი:

ძველ ეგვიპტეში

მძიმე წუთებში,
ფიქრთა ნისლიდან
მეწვევა ხოლმე
ძველეგვიპტელი
ქალწული
ერთი.

მადლობას ვწირავ
განგებას, იღბალს –
მშვენიერების
საიდუმლოს
რომ მანდობს
ღმერთი.

სრულყოფილების
ხიბლით მონუსხულს
არ რა მინდა რა
მე თითქოს
მეტი,

ვემშვიდობები
დღევანდელობას –
წარსულს მივდივარ
ოცნების
ეტლით.

ცხადია, თამარი მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს ლექსი სინამდვილეში მასზეა – მან მიკარნახა. დღეს პირველად გაიგებს.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას.

ეს ბავშვები უკვე მეორე კურსზე იყვნენ. აღარ ვასწავლიდი. ლექციები დავამთავრე. კორპუსიდან გამოვდივარ. გასასვლელთან ვხედავ თამარს. აშკარად ვიღაცას ელოდება. რატომღაც მარჯვენა ხელის საჩვენებელი და ცერა თითებით ყელი აქვს გამოწეული და რაღაცას ბუტბუტებს.

მოვიკითხე .

– რას აკეთებთ თამარ? – ჟესტით ყელზე მივანიშნე.

ხომ გითხარით ალალი, პირდაპირი კახელი იყო მეთქი – არ დამიმალა:

– ვვარჯიშობდი მასწავლებელო...

– რაში? ხვეწნაში გადიოდით რეპეტიციას? – ვეხუმრე ჩემი ჭკუით.

– დიახ ! – შეწითლდა ოდნავ.

– საინტერესოა!

– თქვენთან მაქვს სათხოვარი მასწავლებელო, ხომ შემისრულებთ? – მითხრა და ხელი ყელისკენ დაუკითხავად გაექცა. ეტყობა ბევრი ივარჯიშა. გულში არასასიამოვნო ბიძგები ვიგრძენი.

– თამარ, გააჩნია თხოვნას! რამდენადაც მახსოვს, ნათქვამი მაქვს თქვენთვის ეზოპეს პრინციპი „ნუ მთხოვთ იმას, რაც მე არ მეკუთვნის“!

– არა, თქვენ გეკუთვნით თქვენ! – ისე ჩქარა მიპასუხა ალალმა ცისფერთვალამ, როგორც ჩანს უკვე კარგად ვყავდი შესწავლილი – წინასწარ იცოდა რასაც ვეტყოდი.

– გისმენთ!

– მასწავლებელო, ბიჭები ჯოკერს თამაშობენ...

– გაგიჟდით?! – გადამეკეტა აზროვნების მთავარი მაგისტრალი.

ვწყევლი, ვინც დღევანდელი დილა გამითენა. უფრო მეტიც – ვინც საერთოდ მზის ამოსვლა, უფრო ზუსტად, დედამიწის ბრუნვა მოიგონა. თავისი ღერძის გარშემო ბრუნვა, რა თქმა უნდა. არადა, ეტყობა გული დილასვე ცუდს მიგრძნობდა – ისე არ მინდოდა ადგომა. ნესტანის საათისხელა მაღვიძარამაც კი ვერ მაიძულა ეს. ძველებურია - საბჭოთა, ომახიანი. ერევანი უშვებდა ხოლმე. რომ ჩაირთვება, ისე ძიგძიგებს – თუ არ დავაბამ, ოთახს შემოივლს. ავდექი და – რად გინდა, სანამ ჰიმნი არ ჩავრთე, წელში ვერ გავიმართე.

წამიერად თვალწინ ჩამირბინა ჩემმა ფუჭად განვლილმა ცხოვრებამ. მომეჩვენა, რომ ჯოჯოხეთში დამიბარეს კანონიერი ეშმაკების სხდომაზე, პედაგოგის ლიცენზია ჩამომართვეს. დამიტოვეს მხოლოდ არჩევანი – ან აკაკის გამზრდელი, ან ხევისბერი გოჩა!

მაგისტრალი ცოტა რომ გაიხსნა, იმავე ტონში განვაგრძე:

– ხომ იცით რაც მოხდება ეს რომ ვნახო! პირველი მე მოვითხოვ მათ უმკაცრესად დასჯას!

– არა მასწავლებელო, კორპუსში კი არა, ნაძვნარში თამაშობენ. ლექციებიც უკვე დაგვიმთავრდა.

– შემდეგ? – აშკარად დავიბენი.

– მინდა სიურპრიზი მოვუწყო. გაგიჟდებიან. მთელი ცხოვრება ამაზე ილაპარაკებენ!

– მოუწყეთ მერე! მე რა შუაში ვარ? – ვატყობ, იმ ბიჭებზე ადრე მე გავგიჟდები.

– თქვენ ხართ ის სიურპრიზი! წამომყევით რაა, მასწავლებელო, სულ ცოტა ხანს ვუყუროთ! – ისევ იმავე ორი თითით გამოსწია ყელი, წეღან რეპეტიციას რომ გადიოდნენ.

გაბრაზება მინდოდა, მაგრამ ისეთი გულუბრყვილო იყო! ისეთი სუფთა! გულით კი არა, სულითაც მეხვეწებოდა!

– გეეხვეწებით! – მეუბნებოდა, მაგრამ ეს ხვეწნა არ იყო, უფრო ვედრება ეთქმოდა. ცნობილი ფილმიდან ის სცენა გამახსენდა:

– პაპი, მიყიდე წკაპუნები! მიიყიდე რაა წკაპუნები!

სულელი ბავშვი!

რას ფიქრობდა, მე იქ წავყვებოდი?!

არადა, როგორ მინდოდა! ძალიან მინდოდა იმ ბიჭების სახეების ნახვა სიურპრიზის ხილვისას. ერთი ხანობა კინაღამ წამძლია სუ

ლმა. ვიფიქრე, რა მოხდა მერე?! ნუთუ მე არ მაქვს ნაძვნარში გასეირნების უფლება? რა უსამართლობაა! ბოლოს და ბოლოს, იქ ხომ სტუდენტობისას ჩემს მიერ დარგული ორი ნაძვიც არის! არ შეიძლება მომენატროს?! მაგრამ გამახსენდა, რომ „რისხვის“ თანამდებობიდან გადადგომის პატაკი ჯერ არ მქონდა დაწერილი და თავს დროზე მოვქაჩე აღვირი. თუმცა:

– რას სჩადიხარ?!– მაშინვე გავუწყერი ჩემს თავს, – როგორ შეიძლება ბავშვების ასე უმეთვალყურეოდ დატოვება?!

საბაბი ვიპოვე და:

– თამარ, მომიცადეთ! – გავძახე ცისფერთვალას.

– არის! – შეჰკივლა ინგლისურად ცისფერთვალამ და ცალ ფეხზე ქართულად შეიკუნტრუშა.

კორპუსის კუთხეს გავცდით თუ არა, ზარნაშოს ხმა გაისმა. დარაჯად გოგონა დაეყენებინათ. ხმას სხვა მხრიდან სტვენაც მოყვა. ბექობს მიღმიდან ვაჟის თავმა ამოიწია. პირდაღებულმა თავმა დაილაპარაკა:

– ვაიმე, ბიჭებო! უტიაშვილს ზერეკიძე მოჰყავს!

სანამ გაქცევას მოიფიქრებდნენ თამარმა დაასწრო:

– არ შეშინდეთ, ჩვენიანია!

ამასობაში მიუახლოვდით. ბიჭები უკვე ფეხზე დაგვხვდნენ.

– თამაზი მასწავლებელო, თქვენ ხართ? – ყველაზე უაზრო კითხვა დამისვა ჩოლოყაშვილმა, მათ შორის ყველაზე ჭკვიანმა.

– არა, აბდუშაჰილი ვარ, ეს კი ჩემი უფროსი დაა, მელანო, – მივუთითე უტიაშვილზე და იქვე დავამატე:

– ოღონდ არ მკითხოთ, კეფაზე წითელი ხალი თუ მაქვს!

სამი ბიჭი ბალახზე დაგორდა. სიმონია და ბოჭორიშვილი შეყვარებულები იყვნენ და ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი. მხოლოდ ჩოლოყაშვილი იდგა ისევ ისე გაშტერებული. თამარი? ხეს იყო მიყრდნობილი და ამ სანახაობით ტკბებოდა!

მე მათი პარტიის ჩანაწერი დავათვალიერე. თამაში მთავრდებოდა. ბოლო დარიგება იყო დარჩენილი. ჩოლოყაშვილი პრემიაზე გადიოდა. მასწავლებლის სტატუსით ვისარგებლე და პატარა რჩევა მივეცი.

ერთი პარტიის თამაში შემომთავაზეს! ისევ ჩოლოყაშვილი მიხვდა შეთავაზების უხერხულობას და უთხრა:

– არა ბიჭებო, დავიშალეთ, ხვალისთვის დიდი დავალება გვაქვს მათემატიკაში.

– ჰო, მართლაც! – ვთქვი გადარჩენით გახარებულმა.

სიცილი რომ აუტყდათ მერეღა მივხვდი – მათემატიკას ხომ აღარ სწავლობდნენ!

მოვდიოდი და ვფიქრობდი. რა პატარა მანძილი ყოფილა „რისხვიდან“ „სიურპრიზამდე“ თურმე! ამასობაში ისიც გავიგე, რა არის ევოლუცია.

სამწუხაროდ, ელიტჯგუფები რამდენიმე წელში გააუქმეს და ევოლუციაც შეწყდა. შესაბამისად, გადადგომის პატაკიც აღარ დამიწერია. თუმცა, მგონი აღარც იყო საჭირო – გამოცდების ახალი სისტემა კარს მოგვდგომოდა.

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები“

ლუკა

არა, ნამდვილად დედამიწელი არ იყო! მის პლანეტას ალბათ „მხოლოდ მათემატიკა“ ერქვა.

დედამიწაზე ბოლო კლასში გადმოყვანილს ჰგავდა. უნივერსიტეტშიც ეტყობა ეროვნული გამოცდების გარეშე დასვეს – როგორც უცხო პლანეტის მოქალაქე.

საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი, ვიწრო წელით. ფეხსაცმელები ისეთი დიდი ეცვა, წყალზე თავისუფლად გაივლიდა. შავი თვალები და ცოცხივით წამწამები ჰქონდა. ძალიან თეთრი კანი, ბუჩქივით მაღალი ოქროსფერ-გაბურძგნული ხვეული თმა.

პატარა, მრგვალი სათვალეებიდან იმზირებოდა. ჩანს, გაოცებული თვალებით დაიბადა და ასეთი დარჩა. უზომოდ ღონიერი იყო. ჯგუფელმა სთხოვა და ცალი ხელით თავს ზემოთ ასწია, სანამ არ შეეხვეწა ჩამომსვიო, ასე ეჭირა.

ეჭვი მქონდა, რომ სიცრუის და ბოროტების უნარი საერთოდ არ ჰქონდა. ღმერთს მხოლოდ სიკეთისა და მათემატიკის ნიჭით შეემოსა.

არ ამხელდნენ, თორემ ჯგუფში ყველა გოგო მასზე იყო შეყვარებული. თანაც ისე – არცერთი ბიჭი არ ეჭვიანობდა. დედამიწა ცოტა მეტი ასეთი ადამიანით რომ ყოფილიყო დასახლებული, ომები აღარ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ყველა მისი უკიდეგანო გულუბრყვილობით სარგებლობდა და ხშირად აწვალებდა. ერთიორჯერ მეც შემიჩნდა ეშმაკი:

წამძლია სულმა და ფანჯარასთან მისული ვამბობ:

– ამას აქ რა უნდა?

– ვის მასწავლებელო – პირველი, რა თქმა უნდა, ის წამოეგო ანკესზე.

– გიორგია მოსული, სააკაძე! – ლუკა მჭირდებაო.

– ახლავე მასწავლებელო! – დაიწყო ჩანთის ჩალაგება.

ასეთი პროვოკაციაც მოვუწყე – ძალით დავუშვი შეცდომა და ვკითხე:

– დიდი სისულელე ვთქვი, არა ლუკა? ამის მთქმელი ხომ სველი წკეპლით არის საცემი?

– დიახ მასწავლებელო – შემომცინა.

როცა მიხვდა – ძალიან განიცადა.

ერთხელ ვეჩხუბე კიდეც:

– ბიჭო, როდემდე უნდა იყო ასეთი ლაყე?!

– ლაყე რა არის მასწავლებელო? – არ ღალატობდა საკუთარ თავს ბიჭი.

ხანდახან მეჩვენებოდა, რომ პირიქით – აქეთ დაგვცინოდა, მაგრამ დედამისი რომ გავიცანი, მივხვდი ვისაც ჰგავდა. სამიოდ წუთი ვესაუბრე და ერთი კვირა სიკეთით გატიკნული დავდიოდი. შვილის ამბების გასაგებად მოვიდა. ლამაზი აქცენტით საუბროდა. მომერიდა, ვერ ვკითხე – ჩემი ვარაუდით, ბალტიისპირელი უნდა ყოფილიყო. ძალიან დადებითად დავუხასიათე შვილი. გაუკვირდა:

– „რა ვიცი, ბატონი ტამაზი სკოლაში მასწავლებლები სულ გვემდუგრებოდნენ!“

ერთხელაც, ძნელ ამოცანას ვხსნიდით. როგორც მოსალოდნელი იყო მან პირველმა მოიფიქრა ამოხსნის გზა.

შევაქე – ოჰ, როგორ უყვარდა შექება!

მაგრამ მე უფრო მარტივი ხერხი ვიცოდი. ახსნა დავიწყე ანდაზით, იმ ვარაუდით, რომ ის დაამთავრებდა:

– ხერხი სჯობია ღონესა....

მიყურებს გაბრწყინებული, არ აგრძელებს.

– ათასად კაცი დაფასდა...

ისევ გაბრწყინებულია.

– არ გათეთრდების ყორანი – ხმაში სიბრაზე შემეპარა.

ინტონაციის შეცვლა რომ იგრძნო, მის სახეს ბრწყინვალება ცოტა მოაკლდა.

– რა არის ბიჭო, მათემატიკის გარდა არაფერი არ უნდა იცოდე?!

– როგორ არა მასწავლებელო, გამოცანებიც მიყვარს – ნაცემი გოშიასავით ჩაიჩურჩულა.

– კარგი, ვნახოთ!

მივეცი გამოცანა – ვერა, მეორე – ვერა.

ბიჭი დაპატარავდა. შემეცოდა – რაღაც უნდა ვუშველო!

მოვიფიქრე! – მივცემ ძალიან ადვილს, მიპასუხებს. ტაშს დავუკრავ და ჯგუფსაც ავიყოლიებ! მგონი ჯგუფიც ხვდება ჩემს ჩანაფიქრს!

– აბა მითხარით, რა არის ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე?

ძალიან ღრმად ჩაფიქრდა. დაძაბული ველოდებით.

სახე ერთბაშად გაუნათდა:

– მივხვდი მასწავლებელო!

– აბა?!

– თქვენ, მასწავლებელო!

აი, ტაში ეს იყო, თუ იყო!

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები“

მოსწრებული პასუხი

ჩაცმის საკითხში, როგორც შვილების, ისე სტუდენტების მიმართ საკმაოდ დემოკრატი აღმოვჩნდი. მართალი გითხრათ, ეს ჩემთვისაც მოულოდნელი გამოდგა. კარგა ხანს არც კი მჯეროდა! თუმცა, თუ საშუალო კვადრატული გადახრა კრიტიკულ მაჩვენებელს მიუახლოვდებოდა, სტუდენტებს ვემუქრებოდი:

– თქვენ გგონიათ მე მსიამოვნებს მარადიულად ჰალსტუხზე გამობმული სიარული? ან იქნებ ფიქრობთ, რომ ჩემზე არ ვრცელდება ადამიანის უფლებათა დეკლარაცია? ერთხელაც იქნება ლექციაზე ისე ჩაცმული შემოვალ, ვერც კი წარმოიდგენთ! მერე არ გავიგო თქვენი მიტინგები და გამოსვლები – მოგვაშორეთ ეს თანამდებობისთვის შეუფერებელიო!

– მაინც როგორ შემოხვალთ მასწავლებელო? – ყველაზე მეტად დაინტერესდა ანანო – ჯგუფში, და არა მხოლოდ ჯგუფში, მოდების მთავარი ფუძემდებელი.

– გახსოვთ, სტუდენტებმა ნახატი რომ მაჩუქეს – ველოსიპედზე ვზივარ და დახეული ჯინსი მაცვია?

– დიახ მასწავლებელო!

– ჰოდა, ზუსტად იმ ნახატივით შემოვალ!

– აუ, რა მაგარი იქნებოდა! – წავიდა ტკბილ ოცნებებში ისევ ანანო.

ანანო! ანანო! რა მოვუხერხო ამ ბავშვს, აღარ ვიცი! დღესაც ისე აცვია, ლამისაა მეცადინეობა ჩამიშალოს! დაფის მაგივრად მთელი ჯგუფი, უკლებლივ ყველა, მის აღკაზმულობას მისჩერებია.

თითქოს არ გვეყოფოდა კუნაპეტივით შავი თმა, მუქი ხორბლისფერი სახე და ამ სახეზე ორი მოულოდნელობა – ღრმა ზღვისფერი თვალები. უნებლიედ რომ წამოგაძახებინებს: ამათ აქ რა უნდათ! თუმცა, საოცრად უხდებოდა ფერები ერთმანეთს.

გონივრულად მაღალი იყო. მის სილამაზეში სიმკაცრე და სითბო, გნებავთ კლასიკა და ავანგარდი დიდი ოსტატობით გახლდათ შეზავებული. მოკლედ, თუ აპრილში სადმე ნახავდით ყველასაგან განსხვავებული სილამაზის ამაყ და ნორჩ ალვის ხეს, შეგეძლოთ ანანო დაგეძახათ!

ახლა კი ამას დაუმატეთ საჯირითოდ განკუთვნილი, უზადოდ შეკერილი ძვირფასი შავი შარვალი. შარვალში ჩატანილი იმავე ნაჭრის ზედა – ყელამდე შეკრული ღილებით, შავი ქვაბურა ქუდი და რაც მთავარია – გრძელი შავი მოსასხამი. ჰო, კინაღამ დამავიწყდა – ქუსლებზე ოქროსფერი ლითონით გაწყობილი ოდნავ მაღალყელიანი ფეხსაცმელები – ისიც შავი!

ერთი სიტყვით, ნიღაბი აკლია, თორემ გამოცხადებული ზორო. იდეა დამებადა! დღეს ვაჩვენებ სეირს! ჩავუტარებ ისეთ გაკვეთილს, რომ სამუდამოდ დაეკარგოს ლექციებზე ასე ჩაცმის ხალისი! ბოლოს და ბოლოს, უნივერსიტეტია თუ სამოდელო სააგენტო!

ვიძახებ დაფასთან – ორი კურდღლის დაჭერა დავგეგმე!

პირველ მიზანს ადვილად ვაღწევ – დაფასთან გამოვიდა თუ არა, ჯგუფმა ყურადღება ნებაყოფლობით, უფრო მეტიც, დიდი ენთუზიაზმითაც კი, დაფისკენ გადმოიტანა!

ახლა მეორე და მთავარი!

ვაძლევ ძალიან რთულ ამოცანას – უნდა ჩაფლავდეს! რიგითი რთული ამოცანის მიცემა რისკია. შეიძლება გააკეთოს, ნამეტანი ჭკვიანია ეს მართლაც ღვთის ნებიერა!

არა, არა! თვალებს არ ვუჯერებ – ნამდვილად ეშმაკის ფეხია! თუმცა, ფეხი კი არა, ეტყობა თავად ეშმკია! ამასაც აკეთებს მგონი! რამდენიმე წუთი და თითქმის ბოლოშია გასული!

უჰ, როგორც იქნა ამოვისუნთქე – შეფერხდა! ჩავარდა ჩიტი ფიქრის ორმოში!

ვიგრძენი – ამაზე კარგ მომენტს ვეღარ ვიპოვი!

საჭიროა ელვისებური შეტევის განხორციელება. მთავარია ჯგუფი გავაცინო, სანამ გონს მოეგება!

– ერთი წუთით ანანო, კითხვა მაქვს!

– დიახ! – არც შემოუხედავს, ფიქრს გარეთ გამომეხმაურა.

– ცხენი სად დატოვეთ?

ჯგუფმა უკვე მკაფიოდ დაინახა ზოროს აჩრდილი. წამის მეათედიც და აფეთქება გარდუვალია! მაგრამ...

თითქოს მთელი ცხოვრება ამ კითხვას ელოდაო... არც ამოცანაზე ფიქრი შეუწყვეტია, არც დაფისთვის მოუცილებია თვალი, მყისვე გამომეპასუხა:

– გვერდით აუდიტორიაშია, მასწავლებელო, ალბათობის საკონტროლოს წერს! ჩემს მაგივრად!

მთელი ჯგუფი, რაღა თქმა უნდა ჩემი ჩათვლით, მოსასულიერებლები გავხდით! ერთადერთი ის იდგა მშვიდად, გრძელი შოლტით ხელში და ლამაზად გაოცებული თვალებით გვათვალიერებდა – რა იყო, რა დაგემართათო ?!

მომეჩვენა – ხმაურზე გვერდითა აუდიტორიიდან მისი ცხენი გამოსულიყო, კარში თავი შემოეყო და თავის საამაყო პატრონს თვალუწვდენელი სიყვარულით უმზერდა.

კიკინებიანი ბუთხუზა

ალბათ თითოეული ადამიანის ბიოგრაფიაში არის ისეთი მომენტები, რომლებიც მოიკალათებენ მეხსიერების რომელიღაც კუნჭულში და მთელი ცხოვრება თან დაგყვებიან, ზოგჯერ შეიძლება უმნიშვნელოც კი.

იმ დროს მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლა ხუთწლიანი იყო.

მეხუთე კურსზე, მიუხედავად იმისა, სამეცნიერო ჯგუფში იყავი თუ არა, სკოლაში ერთთვიანი პედაგოგიური პრაქტიკა მაინც უნდა გაგევლო. სხვანაირად არც დიპლომს მოგცემდნენ და ვერც პედაგოგად იმუშავებდი. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე პედაგოგობა მომიწევდა, ამიტომ ამ პრაქტიკას ვუყურებდი როგორც სავალდებულო, მოსაშორებელ სახადს.

გაკვეთილებს პრაქტიკანტები მორიგეობით ვატარებდით. გვესწრებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელი და ადგილობრივი რამდენიმე გამოცდილი მასწავლებელი..

მოვიდა ჩემი რიგი.

მეოთხეკლასელებთან უნდა ჩავატარო გაკვეთილი. წინა გაკვეთილი ჯგუფელმა ჩაატარა. ახსნისთვის არც მისმენია – გითხარით ვალს ვიხდიდი მეთქი.

გაკვეთილის მოსაყოლად ყმაწვილი გამოვიყვანე. კარგად მოყვა. შევაქე, ფრიადი დავუწერე და დავსვი. ახალი მასალა უნდა ავხსნა.

– გადაშალეთ რვეულები.

ყველამ გადაშალა, ერთის გარდა. მეორე მერხზე ზის. ბუთხუზა, კიკინებიანი გოგონაა – ძალიან მრგვალი და ძალიან შავი თვალებით. პატარა, დაბუშტული ტუჩები განსაკუთრებულ იერს აძლევდა. მოკლედ, კიკინებიან გაბუტულ სავსე მთვარეს გავს. რაღაც უნდა – ხელს სწევს. ვიფიქრე, ჯერ ყურადღებას არ მივაქცევ მეთქი, მაგრამ აწეული ხელი ისე პრინციპულად უჭირავს, უყურადღებოდ დიდხანს ვერ დატოვებ.

სახელი ვკითხე. თამარი რქმევია.

იმდენად სერიოზული სახე ჰქონდა, რომ უნებლიედ როგორც დიდს ისე მივმართე:

– რა გნებავთ თამარ?

ეს იყო მოსწავლისადმი ჩემი პირველი მიმართვა. ამაზე ბავშვებსაც და უფროსებსაც გაეცინათ. მიუხედავად ამისა, ეს ფორმა მომავალში ჩემთვის მიმართვის ერთადერთ ფორმად დარჩა სტუდენტებთან და მოწავლეებთან ურთიერთობაში.

თამარი ადგა, მერხი და კიკინები გაასწორა. აზრი ისე მკაფიოდ და დალაგებულად ჩამოაყალიბა, რომ ალბათ გამეორება გამიჭირდება:

– მასწავლებელო, შეიძლება ასე მოგმართოთ?

– დიახ?! – დაბნეული ვპასუხობ. აშკარად ვგრძნობ, რომ გოგონამ მართვის სადავეები უკვე წამართვა.

– მასწავლებელო, ლუკამ თქვა – არსებობს ათი ციფრი: ნოლი, ერთი, ორი და ასე შემდეგ, ცხრა. თქვენ უთხარით, რომ სწორია.

– მერე?

– საქმე იმაშია, რომ არ არის სწორი. ასე გამოთქვამენ რიცხვების შემთხვევაში, ხოლო თუ მხედველობაში ციფრები გვაქვს, უნდა ვთქვათ: ნოლიანი, ერთიანი, ორიანი და ასე შემდეგ, ცხრიანი.

ვიღუპები! ბავშვი მართალია!

ვხედავ დაძაბულ სახეებს, ერთი-ორს – მომღიმარსაც. ოი, რა საშინელებაა გამოუცდელობა, როცა ორმოცდაათი თვალი მოგჩერებია და წამში უნდა მიიღო გადაწყვეტილება, შეიძლება საბედისწეროც. მადლობა ღმერთს, რომ მიკარნახა როგორ მოვქცეულიყავი – არავითარი თავის მართლება, მხოლოდ გულწრფელი აღიარება:

– ყოჩაღ თამარ, ჭკვიანი და ყურადღებიანი მოსწავლე ყოფილხართ. ხედავთ ბავშვებო, რაც შემეშალა მე, არ გამოეპარა თამარს.

კლასმა ამოისუნთქა. თამარსაც ისე მკაცრი სახე აღარ აქვს. თვალებში ნდობაც ჩაუდგა. მაგრამ ისევ ხელს სწევს:

– მასწავლებელო მაგ შეცდომას მარტო თქვენ კი არა, თითქმის ყველა უფროსი უშვებს. იმ დღეს ტელევიზორში მინისტრმა თქვა – დიდი ციფრებიო. ყველა უკვე ღიმილით ვუყურებთ ამ არამიწიერ არსებას. გგონიათ გაჩერდა? იქვე სულ მომიღო ბოლო:

– სხვათაშორის ვფიქრობდი, რომ შეგეშლებოდათ.

– რატომ?

– გუშინ, თქვენი მეგობარი ამ გაკვეთილს რომ ხსნიდა, თქვენ არ უსმენდით – რაღაც სხვა ამოცანას აკეთებდით ფურცელზე!

კლასი ხარხარებს. მე მეღიმება, მაგრამ, მართალი გითხრათ, ცოტა შემეშინდა კიდეც ამ უცნაური ბავშვის.

იმ დღეს სიურპრიზები ამით არ დამთავრებულა:

ახსნა დავიწყე, ყველა შეუდგა წერას, მას კი რვეული ისევ დახურული ჰქონდა. ჩემს შენიშვნაზე მპასუხობს:

– თქვენ ხომ მითხარით, რომ ჭკვიანი და ყურადღებიანი ვარ, მაშინ რაღა საჭიროა, რომ ვწერო?

კიდევ ერთხელ დამჭირდა მისი ნდობის მოპოვება.

მაგრამ მთავარი სიურპრიზი წინ გველოდა.

გავიდა წლები. მე უკვე უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობ. ამ ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელ საქმიანობას ხელი რომ მოვკიდე, იმ კიკინებიანი მთვარის გავლენაც იყო მგონი.

120 კაციან აუდიტორიას ლექციას ვუკითხავ. სექტემბერია. სწავლა სულ ორი კვირის დაწყებულია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეტყობა სიტყვამ მოიტანა და ეს ისტორია მოვყევი. აუდიტორიამ თბილად მიიღო მონაყოლი. მაგრამ ერთ ადგილას რაღაც განსხვავებული რეაქციაა. დავინტერესდი რა ხდებოდა.

– პატივცემულო, თქვენი თამარი აქ არის!

– რაა?!

მერხიდან წამოდგა ძალიან სერიოზული გამომეტყველების მქონე მიმზიდველი ქალიშვილი. აღარც ბუთხუზა ლოყები და აღარც კიკინები – თვალები და ტუჩები ჰქონდა მხოლოდ უცვლელი.

– გამარჯობათ მასწავლებელო, მე თამარი ვარ.

დასვენებაზე ვისაუბრეთ. პირველივე ლექციაზე გიცანითო, მაგრამ მოსვლა მომერიდაო.

ალბათ ხვდებით, როგორი სტუდენტი იქნებოდა.

სამწუხაროდ ამ ისტორიას სევდიანი დასასრული აქვს:–

უნივერსიტეტის დამთავრებიდან ორი წლის მანძილზე თამარმა

ოდნავ მაინც ნორმალური სამსახური ვერ იშოვა. ოჯახმა გაყიდა ყველაფერი და ქყეყანა დატოვა.

ზოგჯერ
ანგელოზებიც ხუმრობენ

კომპაქტური

ბევრ ადამიანს აქვს რაღაც აკვიატებული სიტყვა, მეტყველებაში ხშირად რომ იყენებს. როგორც წესი, თვითონ არც იცის ამის შესახებ.

მეგონა, მე ასეთი ჩვევა არ მქონდა. ერთი სტუდენტი რომ არა, შეიძლება ვერც ვერასოდეს აღმომეჩინა ეს.

მეოთხე კურსელებს ვასწავლიდი საგანს, რომელშიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო კომპაქტური სიმრავლის ცნება. ეტყობა ამის გავლენით ცხოვრებაშიც ხშირად ვიყენებდი ამ ტერმინს:

„წერედ კომპაქტურად“,

„ჩამოაყალიბეთ უფრო კომპაქტურად“,....

ქეთევანი ძალიან მაღალი იყო, ორ მეტრს ბევრი აღარაფერი უკლდა. მაგრამ მის გვერდით სულაც არ მქონდა ისეთი განცდა, როგორიც გულივერს გოლიათების ქვეყანაში. მისი სიმაღლე თვალში არ გეცემოდათ, რადგან გოგონას გარეგნობაში პირველ რიგში ჰარმონია და დახვეწილი ნაკვთები იქცევდა ყურადღებას. ყველაზე მეტად სახე იყო გამორჩეული. ალბათ ბევრი ლაპარაკით უფრო გავაფუჭებ საქმეს – მოკლედ ჯობია თქმა: დარბაისელი ეთქმოდა მის სახეს, ნაზი, მიმზიდველი და დარბაისელი – ძველი დროის შავ-თეთრ ფოტოებზე რომ ნახავდით ხოლმე, ისეთი.

ყველაზე უფრო განსაკუთრებული მაინც ხასიათი ჰქონდა, სახეზე კიდევ უფრო უკეთესი. რა არის კეთილშობილება, მისი ხასიათის მაგალითზე შეიძლება აგეხსნათ. აბსოლუტურად უეშმაკო, დამჯერი და ღირსებით აღსავსე. კარგადაც სწავლობდა.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაფასთან ხშირად გამომყავდა. ამას იმით ვხსნიდი, რომ დაფა ძალიან მაღლა ეკიდა და ზედა ნახევარი გამოუყენებელი რჩებოდა ხოლმე. მეგობარი ჰყავდა პატარა ტანის. ეს რომ ზედა ნახევარს შეავსებდა, ქვედა ნახევარში ის აგრძელებდა წერას.

მოკლედ, ცოტა ვერთობოდიც კიდეც.

პირველად რომ გამოვიყვანე დაფასთან, დიდი ასოებით, გაშლილად დაიწყო წერა. შენიშვნა მივეცი:

– ქეთევან, წერეთ ცოტა კომპაქტურად.

– რას ნიშნავს კომპაქტური? – ჯერ არ გვქონდა გავლილი. ავუხსენი მათემატიკურადაც და რაც შემეძლო – ისეც. თავისთვის ჩაილაპარაკა:

– კარგით, ვწეროთ კომპაქტურად.

ამის მერე ამ ტერმინს ხშირად ხმარობდა:

– მასწავლებელო, ვერ ვახერხებ მერხზე კომპაქტურად დაჯდომას.

– მასწავლებელო ეს ამოცანა კი ამოვხსენი, მაგრამ უფრო კომპაქტური ამოხსნა ხომ არ იცით?

მე ამას ყურადღებას არ ვაქვევდი. პირიქით, ქვეცნობიერად მგონი მსიამოვნებდა კიდეც. ეჭვი არაფერში შემპარვია, რადგან ირონია არც ჩემთვისაა უცხო და სხვებშიც ძალიან ადვილად ვიჭერ. ან კი როგორ შემეპარებოდა ეჭვი, როცა ვიცოდი, რომ ძალიან ვუყვარდი და მანაც იცოდა, რომ მასზე, როგორც ამბობენ, მზე და მთვარე ამომდიოდა

მოკლედ, მთელი ერთი სემესტრი ისე გემრიელად „მაკომპაქტურა“, რომ ვერაფერს მივხვდი. სემესტრის დასასრულს გამოცდაზეც გამკრა კბილი. თავისი სერიოზული, უკაცრავად, დარბაისელი სახით მეკითხება:

– მასწავლებელო, გაშლილად მოვყვე თუ კომპაქტურად?

მხოლოდ მეორე სემესტრში ამეხილა თვალი.

რიცხვით ღერძზე წერტილების აღნიშვნის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. მე ვუთხარი:

– ასეთ შემთხვევებში აიღეთ მუქი, დიდი წერტილი, ხოლო ამა და ამ შემთხვევებში წერტილი აიღეთ ნაზი. როგორც ჩანს, ეს ბოლო სიტყვა მერე კიდევ გავიმეორე.

გამოვიყვანე დაფასთან. ვეუბნები:

– დახაზეთ რიცხვითი ღერძი.

დახაზა.

– აიღეთ ღერძზე წერტილი.

ცარციანი ხელი ღერძთან ახლოს გააჩერა. იშვიათი ეშმაკური ღიმილით გამომხედა და მკითხა:

– ნაზი წერტილი? მასწავლებელო?!

ყველაფერს მივხვდი. ყველაფერი გამახსენდა!

იგივე ღიმილი დავუბრუნე:

– დიახ ქეთევან, ნაზი წერტილი. ნაზი და კომპაქტური!

ისიც მიხვდა, რომ მე მივხვდი. პირველად ვნახე რიგორი გაწი-

თლება სცოდნია. ესეც უხდებოდა.

წლების შემდეგ მისგან ვრცელი წერილი მივიღე. წერილი ძალიან, ძალიან თბილი იყო, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. მწრდა – თქვენს შემდეგ ჩემს გაშლილ ცხოვრებას ფრთები შეეკვეცა და კომპაქტური გახდაო.

წერილი გამორჩეულად ნაზი წერტილით მთავრდებოდა.

მოდი და ნუ დაიჯერებ!

ამ შემთხვევამდე 25 წლით ადრე ჩემს მოწინავე სტუდენტებს შორის იყო ვაჟი, რომელიც იმითაც გამოირჩეოდა, რომ ორი ცუდი ჩვევა ჰქონდა. ერთი, სკამს საზურგეზე მიაწვებოდა, უკანა ორ ფეხზე დააყენებდა და აქანავებდა. სულ მეშინოდა არ წაქცეულიყო. ერთხელ სკამი მართლაც გაუცურდა და იატაკს სერიოზულად დაარტყა თავი. წყლის პროცედურები დაგვჭირდა.

მეორე კიდევ – მარჯვენა ხელით კალამს ათამაშებდა ხოლმე. ააგდებდა – დაიჭერდა. ააგდებდა – დაიჭერდა. რამდენჯერმე აქაც მარცხი მოუვიდა – კალამი გაუვარდა და მერხებს ქვეშ ეძებდა. არადა მეცადინეობებზე ბუზის ხველებასაც ვერ ვეგუები, ეს ბიჭი კი რას მიკეთებს. აღარ ვიცი რა ვქნა. თან მეცოდება – თვითონაც ძალიან განიცდის. რამდენჯერმე შევნიშნე, მარჯვენა ხელს მარცხენამ როგორ სტაცა მაჯაში და შეააჩერა. მაგრამ მარცხენა ამას ყოველთვის ვერ ასწრებდა. კარგა ხანს მაწვალა. მერე მივხვდი, რომ ვერ გადავაჩვევდი და დავანებე თავი. სტუდენტებიც შეეგუვნენ და ყურადღებას აღარ აქცევდნენ. არა, ყალთაბანდი და უვიცი რომ ყოფილიყო – ვიცი როგორც მოვექცოდი, მაგრამ არ იყო ასეთი.

გავიდა 25 წელი. უნივერსიტეტში ბევრი რამ შეიცვალა. კათედრაზე დაარსდა ცოტა სხვა ფორმის საკონსულტაციო მორიგეობაც, რაც ნიშნავდა იმას, რომ ყოველდღე გარკვეულ სათებში იჯდა მორიგე კონსულტანტი, რომელიც ჩვენს საგანში, რომელსაც ოცამდე სხვადასხვა პედაგოგი ასწავლიდა, ნებისმიერ სტუდენტს გაუწევდა კონსულტაციას. თავიდან ასეთ კონსულტაციებზე ტევა არ იყო ხოლმე. ამჯამად ხალვათობაა. ალბათ ეს საერთო სტაგნაციის ბრალია.

ერთ-ერთ ასეთ კონსულტაციას ვატარებ. დაფასთან ასისტენტის ამპლუაში უცხო სტუდენტი გამოვიყვანე. თავად გამოთქვა სურვილი. ცოცხალი ყმაწვილი ჩანდა. განცდა მაქვს, თითქოს სადღაც მინახავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ. რამდენიმე მაგალითი გავაკეთებინე და დავსვი.

სკამზე დაჯდა თუ არა საზურგეს მიაწვა, სკამი უკანა ორ ფეხზე დააყენა, მარჯვენა ხელით ჰაერში კალამი ააგდო და დაიჭირა. მოძრაობები ძალიან ნაცნობი იყო! გარეგნულადაც მისი ასლია – ყველაფერი გამახსენდა.

ვეკითხები:

– უკაცრავად, თქვენ მჭედლიშვილი ხომ არ ხართ?

გაკვირვებას კი ველოდი, მაგრამ უფრო მეტი მოხდა, ბიჭმა ყბა ვეღარ დახურა:

– დიიახ, თქვეენ საიდან იცით?!

– 25 წლის წინ მყავდა ამ გვარის სტუდენტი, რომელიც ზუსტად ასე აწვალებდა სკამს და კალამს.

ამანაც ზუსტად იმისნაირად გაიცინა და მეუბნება:

– აუუუ მაასწ! მამაჩემია! ჩემზე ხშირად ის აკეთებს, მაგრამ მაინც მე მეჩხუბება ხოლმე.

...

ცოტა ხნით ადრე წავიკითხე სტატია გენეტიკაში, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ მემკვიდრეობით შეიძლება ჩვევები და ცოდნაც კი გადაეცეს. რა თქმა უნდა არ დავიჯერე.

მოდი და ნუ დაიჯერებ!

კურიოზზე ცოტა მეტი

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ივნისის მესამე შაბათი იყო. სახლში ვარ. შუადღე კარგა ხნის გადასულია. მათემატიკა გვერდზე გადავდე – დღეს კაქტუსები უნდა გადავრგო.

სულმოუთქმელად რეკავს მობილური ტელეფონი:

– გამარჯობა ბატონო თამაზ!

– გამარჯობა!

– მე თქვენი სტუდენტი ვარ, სემინარი სად ტარდება?

ლექცია-სემინარები ერთი კვირის დამთავრებულია. დავიბენი:

– რა სემინარი?

– ბუღალტერია. მაღლა ვიყავი და ყველა ოთახი დაკეტილია.

მაღლა – ალბათ მაღლივ კორპუსს გულისხმობს.

– ბუღალტერია? – მე რა შუაში ვარ?

– თქვენ გვასწავლით!

გზა - კვალ დაკარგული სტუდენტის მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი – ჯერ არა.

ბუღალტერიის ლექტორთან ალბათ გამოცდაზე გასასვლელი ქულების სათხოვნელად მივიდა, თორემ სემინარზე ერთხელაც რომ არ არის ნამყოფი, ხომ ცხადია .

ჯერ ვიფიქრე, გავბრაზდები მეთქი, მაგრამ მერე ცელქობის ხასიათზე დავდექი და ისევ ბოროტი ხუმრობა ვამჯობინე:

– ნუთუ? ეტყობა დამავიწყდა!

– მეც არ გამიკვირდა! მითხრეს არასოდეს აგვიანებსო!

ირიბი კომპლიმენტისთვის უღრმესი მადლობა გადავუხადე. და ვუთხარი:

– მომიკვდეს თავი! ეს რა დამემართა! მისმინეთ:

– დიახ!

ვეუბნები:

– შვილო, მე ახლა პირიქითა ხევსურეთში ვარ, გზაა ჩაკეტილი. რაწამს გაიხსნება, მაშინვე წამოვალ. მანდ იყავით, არსად წახვიდეთ!

– კარგი!

ვიფიქრე, ხუმრობაში ამყვა – მადლობა ღმერთს, ყმაწვილს იუმორის გრძნობა მაინც ჰქონია თავის ადგილზე მეთქი და ეს ამბავი მაშინვე მივიწყებას გავატანე. შევუდექი კაქტუსების გადარგვას.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისევ რეკავს მობილური – ამჯერად მაღლივი კორპუსის დაცვის ახალბედა მუშაკი იყო:

– ბატონი ზერეკიძე ბრძანდებით?

– დიახ.

– უნდა მობრძანდეთ?

– სად?

– კორპუსში მარტო თქვენი სტუდენტია, გელოდებათ. ამბობს პირიქითა ხევსურეთშია და რაწამს გზა გაიხსნება, წამოვაო.

ყურებს არ ვუჯერებ!

არა, რაც არის არის! – ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო! ეს რომ არ გავაკეთო, მერე მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ღრმა სინანულში გავატარებ.

ვპასუხობ:

– მოსვლით აუცილებლად მოვალ. ოღონდ, რამდენი ხანი დამჭირდება, არ ვიცი. იქნებ თქვენს ოთახში შეიყვანოთ, ფეხზე ხომ არ იდგება!

– კარგი!

ცოტა ხნის მერე დარეკვა დავაპირე. უნდა მეთქვა, რომ ვიხუმრე – რა იცი რა ხდება. მაგრამ, ცვლის უფროსმა თვითონ დარეკა. ძველი კადრი იყო. დიდი ხნის ნაცნობობა გვქონდა, უაღრესად სერიოზული ადამიანი გახლდათ. მასაც ასეთად მივაჩნდი.

გამაჩერებდა ხოლმე, გულისტკივილს მიზიარებდა. წუხდა, სტუდენტები ლექციებზე რომ არ დადიოდნენ, წიგნი და რვეული არ დაჰქონდათ. მისი საყვარელი ფრაზა იყო – „შარვლის უკანა ჯიბეში ოთხად გაკეცილი ფურცელი“.

რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ტრადიციული მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ მეტყვის, რომ მასთან, დაცვის ოთახში, ზის ორი სულელი, რომლებიც პირიქითა ხევსურეთიდან ჩემს ჩამოსვლას ელოდებიან.

ის კი მეკითხება:

– ბატონო თამაზ, გზა გაიხსნა?

ციკლიდან –
„პატარ-პატარა კურიოზები“

ბატონი მათე

კითხვარის შევსება მთხოვეს.

სხვა სიბრძნეებთან ერთად, კითხვარში სახელისა და გვარის გრაფა საერთოდ არ იყო და სამაგიეროდ, გრაფაში “პროფესია“ იმხელა ადგილი იყო დატოვებული, რომ ვერ მივხვდი ამდენი რა უნდა დამეწერა.

ამან კვიმატ ხასიათზე დამაყენა. ადგილი რომ შემევსო, ოდნავ გავურითმე და სვეტის სახით ჩავწერე:

უფრო დურგალი,
ვიდრე პოეტი,
ხან ლირიკოსი,
ხან ცინიკოსი,
ცოტ-ცოტა -
კიდევ
მრავალი „კოსი“
(ელექტრიკოსი,
სანტექნიკოსი...)
სინამდვილეში-
მათე
მატი

კოსი.

როგორც ჩანს დაიბნენ. მეორე დღეს ახალგაზრდა გოგონა მი-რეკავს:

– ბატონო მათე, კითხვართან დაკავშირებით გაწუხებთ...

– გოგონა, მე მატი მქვია, მათე გვარია!

– უი, ეგ როგორ? – ვგიჟდები გულუბრყვილო ბავშვებზე.

ვუხსნი:

– ძველად ასე ყოფილა – ბატონი რომ შემოაკვდებოდათ ხოლმე, გარბოდნენ და გვარს იკეთებდნენ. ჩემი წინაპრები იმერეთიდან გამოქცეულან და გვარიც მაშინ გადაუკეთებიათ.

– ვაიმეე... – გამოხატა აღტაცება ჩემი მეამბოხე წინაპრებით და დაამატა – მამას კოსი ჰქვია?

ვატყობ, დიდი ხიფათი მელის!

მაინც მივდივარ რისკზე:

– არა შვილო, მამა აღარ მყავს. ისე, კო ერქვა. სი კი მიკუთვნების ნიშანია. ე.ი. კო-ს შვილიო. აი ისე, როგორც – დედიკოსი, მამიკოსი...

– უი, რა საინტერესოა! – ისე გაიტაცა ამ ისტორიამ, რომ მამის დაკარგვა არც კი მომისამძიმრა.

ვიხრჩობი.

იცით რა საყვარელი იყო?!

დამაჯერებელი არგუმენტი

ჩემი კორპუსის ნულ სართულზე ხილბოსტნეულის მოზრდი-ლი მაღაზიაა.

ხარისხიანი პროდუქტი მოაქვთ, ფასებიც ნორმალურია, ამიტომ მყიდველი ყოველთვის არის. ზოგჯერ სალაროსთან პატარა რიგიც დგება.

რიგში ჩემს წინ სულ სამი ადამიანიღაა. რიგს პირობითად ვამ-ბობ, სამკუთხედად დგანან. სამივე ერთი ასაკის, ასე 22-25 წლის იქნება.

ორი ერთმანეთის ნაცნობია, საუბრობენ. მესამე, ეტყობა, უცხოა – ოდნავ მოშორებით დგას და მხოლოდ უსმენს, საუბარში არ ერევა. ძალიან გამხდარია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი – წვრი-ლი. თხელ თათარაში ერთხელ ამოვლებულ ჩურჩხელას მაგონებს.

მოსაუბრეებიდან ერთ-ერთს ვეება პარკი უჭირავს – მსხვილი ალუჩით სავსე. ვიფიქრე, ალბათ მეზობლებისთვისაც მიაქვს, თო-

რემ ამდენს ერთი ოჯახი ვერ მოერევა მეთქი. ყმაწვილი ტანადი იყო, კარგი სათამადო ფიგურით. განსაკუთრებით პუტკუნა ლოყები და სიმპატიური ღიპი გეცემოდათ თვალში. მოკლედ ჩუჩხელის სრული ანტოპოდი გახლდათ. ზოგადად იმ ვეება პარკს მივამსგავსე, ხელში რომ ეჭირა. ის იყო, ალუჩინმა გადაიხადა საფასური, რომ გამყიდველს ახალი საქონლის მისაღებად დაუძახეს. გამყიდველმა მოგვიბოდიშა, ორი წუთი დამელოდეთო. ცხადია, მართლა ორ წუთს არ გულისხმობდა.

ალუჩიანი არ წავიდა, საუბარი სიამოვნებდა – მისი ნაცნობი უდავოდ კარგი მსმენელი გახლდათ, სულ ალუჩიანი ლაპარაკობდა. ისიც ვიფიქრე ქუჩის ბირჟაზე მიტინგის წამყვანი იქნება მეთქი. ლაპარაკის მანერაც შესატყვისი ჰქონდა:– მოსაუბრისკენ კი არა, გვერდულად იყურებოდა, სადღაც შორს, ოდნავ თავაწეული. ტონიც ისეთი თავდაჯერებული აქვს, მისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო.

წვრილმა ალუჩიანს რამდენჯერმე გაკვირვებული მზერა ესროლა.

რაკი ალუჩა უკვე თავის საკუთრებად დაიგულა, პერიოდულად იღებდა პარკიდან და კურკიანად მიირთმევდა. ამას ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ ლაპარაკში შეფერხება არ ჰქონია.

საუბარი ფეხბურთზე გადაიტანა. ჩანს აქაც კარგად ერკვეოდა. ნაცნობის ერთი მოსაზრებაც კი არ გაიზიარა, როგორც იტყვიან, გრამი არ დაუთმო. ბოლოს, ძველი თაობის ფეხბურთის გარჩევას შეუდგა.

მოულოდნელად, საუბარში წვრილი ჩაერია:

– დი სტეფანო ფრანგი კი არა, არგენტინელი იყო. მერე ესპანეთში თამაშობდა.

ალუჩიანმა ტრადიცია დაარღვია და მოსაუბრეს პიდაპირ შეხედა. თვალი ზემოდან ქვემოთ, თავიდან ფეხების მიმართულებით ნელნელა ჩააყოლა და არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ეს ფრაზა უთხრა:

– ბიჭო, ნუ მასწავლი, შენი წონა დღეში ალუჩასა ვჭამ!

ვუძღვნი ტირძნისელებს–
ჩემს თანასოფლელებს

ჩემი ბავშვობის კოლორიტები

ამ დღეებში თანასოფლელი ქალბატონის უაღრესად თბილი, ნატიფი პატივისცემით აღსავსე წერილი წავიკითხე. ძლიერ იმოქმედა. ისე ავბორგდი, რომ აწყმოდან ამოვარდი და წარსულში მოვადინე ზღართანი. ფიქრები ამიჯანყდნენ, წამომეშალნენ. ვეღარ შევაკავე და კინაღამ გამექცნენ. რის ვაივაგლახით მოვუყარე თავი.

ამეკვიატა ამ ლამაზი წერილის ბოლოს ნათქვამი ფრაზა – ზოგიც თქვენ დაამატეთ ჩემო მეგობრებოო.

ჰოდა, მოვედი, რომ დავამატო!

ქალბატონი ირმა ჩემი სოფლის – ტირძნისის კოლორიტებზე წერდა. ბევრ მათგანს ხომ მეც კარგად ვიცნობდი!

ისინი ჩემი კოლორიტებიც იყვნენ.

უმეტესობას მართლაც რომ დიდი სიყვარულით შერქმეული მეტსახელი ჰქონდა – ტოპე, ქიცო, სოლო, პელე. მგონი მხოლოდ თეიმურაზ მაზმიშვილს არ ჰქონდა მეტსახელი. თუმცა, ჩემი აზრით, მასაც დამშვენდებოდა – ისიც გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ვფიქრობ, ყველაზე უფრო „კოხტა“ ან „კოხტა თემო“ მოუხდებოდა – მუდამ ჩაპიწკინებული დადიოდა, თითქოს დღეს ქორწინდებაო. მასწავლებელი იყო, მაგრამ მაინც.

ტირძნისი ბავშვობის ასაკში დავტოვე. ზაქროსავით მეც შემეძლო მეთქვა – მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა სახლს მომაშორეს მეთქი. ოღონდ ზაქრო ბატონმა მოაშორა სახლს, მე მათემატიკამ.

ამის გამო, მხოლოდ ფრაგმენტული შეხებაღა მქონდა ამ შესანიშნავ ადამიანებთან, მაგრამ ისინი სამუდამოდ დარჩნენ ჩემი მეხსიერების ყველაზე მყუდრო და თბილ კუნჭულში.

ბოლოს ერთად რომ ვნახე, სტუდენტი ვიყავი. არდადეგებზე ჩამოვედი. ჭადრაკს თამაშობდნენ სკოლის ეზოში, გზის მხარეს – დიდ ჭადართან. ძველი სკოლა იყო მაშინ, რა თქმა უნდა.

მართალი გითხრათ, მეც მეჩქარება – მინდა მალე მივადგე დღევანდელი მოგონების მთავარ გმირს, მაგრამ არ შემიძლია ცოტა ხნით მაინც არ შევჩერდე ჩემთვის ძვირფას ამ ადამიანებთან.

შორიდანვე მომესალმნენ:

– ჩვენს საკუთარ პროფესორს გაუმარჯოს! – ოთარი მასწავლებელი მეძახდა ასე. რომელიღაც ბგერას გამოთქვამდა ოდნავ განსხვავებულად, რაც მის მეტყველებას განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებდა. ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი, მამას კოლეგა და მეგობარი იყო. მამა ტოპეს არასოდეს იტყოდა – ყოველთვის ნამდვილი სახელით მოიხსენიებდა.

– შემოგვიერთდი!

მომიკითხეს, მომეფერნენ:

– ხომ სძინავს მათემატიკას მშვიდად შენი იმედით? – ეს უკვე ბატონი ვალიკო იყო – ქიცო. დიდი ხანია მაპატია, რომ მე ისტორიას მათემატიკა ვამჯობინე. მასში ყველაზე უფრო სიმკაცრისა და სიყვარულის საოცარი შეზავება მომწონდა. გავუღიმე – უფროსებთან ცოტა მორიდებული ვიყავი. ახლაც ასე ვარ.

– რას გაიხარებს შალვა ბატონი!

– გაიხარებს აბა რა! გუშინ ორი ხელი სპეცტანსაცმელი უყიდია ამისთვის. დღესვე ჩააცმევს და ამღერებს – მუშად გადავიიქეეციიი!

– ორი რად უნდოდა?

– როცა ერთს გარეცხავენ, ზედმეტად რომ არ დაისვენოს ბიჭმა.– ხუმრობდნენ, მართლაც ბევრს ვშრომობდი, მაგრამ ჩემი ნებით. ამის გამო დედა სულ წუხდა. მამა აწყნარებდა:

– არ წაგიკითხავს, შრომამ შექმნა ადამიანიო?

– კი, წავიკითხე, მაგრამ იქ ეწერა – ადამიანურმა შრომამო! – ბრაზდებოდა დედა. მე ღიმილით ვუსმენდი მათ კამათს.

– ჭადრაკს ითამაშებ? – არ უნდოდათ ჩემი ასე იოლად გაშვება.

– არა, მირჩევნია თქვენ გიყუროთ.

სინამდვილეში მათი კომენტარები უფრო მაინტერესებდა.

ყოველი კომენტარი ზუსტად შეესაბამებოდა ხოლმე დაფაზე არსებულ ვითარებას და არცერთი არ მეორდებოდა:

– ვიღაცამ ტყიდან ასკუპა ცხენი!

– ვაი, ვაი გული არ გამიხეთქო! შენ ქალაქელი გიჟუა გაგიგონია?!

– ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანიაა...

– აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე ვერ აიკიდოსო!

– შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი, გამოჰქცევიხარ უსამართლობას.

– არა ბიჭო, კურდღლებს დავაგლეჯინებდი თავს.

– არც ერთი იყო ფრანგი და არც მეორე ვენეციელი.

და ასე გრძელდებოდა მთელი პარტიის მსვლელობისას.

განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველა აქტიურობდა:

– გახლავართ ზვიადაური! ჩამოგვკიოდა გორითა.

– მე გთხოვ გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა.

– ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო, ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა – ზოგჯერ კი:

– ნამდვილად გავგიჟდები ახლა! ვინ ხარ კაცო შენ?!

– ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ პელე!

სიბრძნისმეტყველების გაკვეთილზე გეგონებოდა თავი.

პირველად ასეთი კაცებისგან ვისწავლე, რომ ადამიანის სიდიდე, პირველ რიგში, მისი უბრალოებით იზომება. იმასაც ვხვდებოდი, რომ ხალხის უანგარო სიყვარულია ყველაზე დიდი საუნჯე.

ისინი უშუალოდ ჩემი უბნელები არ იყვნენ.

ჩემს უბანს კიდევ სხვა კოლორიტებიც ჰყავდა. მათ შორის იუმორით გამორჩეულები – ლექტორი და ძაგრა.

ლექტორი ბევრს ლაპარაკობდა და სულ წამყვანი პოზიცია ეკავა. ამიტომაც ერქვა ლექტორი. ძაგრა უფრო იშვიათად ჩააკერებდა სიტყვას, მაგრამ ნაღდი იყო. მეგობრები, თუმცა იუმორში კონკურენტები იყვნენ. ხანდახან, გასართობად, ერთმანეთსაც უგებდნენ კვიმატ მახეებს.

დღეს სწორედ ძაგრაზე სასაუბროდ მოვდიოდი თქვენთან, მაგრამ სკოლასთან ჩემი კეთილი ადამიანები რომ დავინახე, გვერდზე გადავუხვიე და ცოტა შემაგვიანდა.

უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომ ძაგრას იუმორისტული თავგადასავლების ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო, რომელმაც თავის დროზე მე ძალიან გამამხიარულა.

სინამდვილეში მიხეილი, მიშა ერქვა.

ტანით პატარა იყო, თუმცა ერთობ ღონიერი და ფრიად მშრომელი – ჭარბადაც კი. ასე მეგონა, თავდაპირველად დიდი იყო, მერე კი ამდენ შრომაში შემცირდა მეთქი. ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ხარისხიანს. ახლაც არ ვიცი, ეს მეტსახელი რატომ შეერქვა – თვალების ფორმის გამო თუ სიმძიმეებთან ჭიდილისას ძალიან რომ იძაგრებოდა.

იმასაც ამბობდენ, ერთხელ ცხარე კამათისას მოპაექრეს უთქვამს:

– რას ძაგრავ თვალებს, ნეტა ვიცოდე!

– რა შენი საქმეა, ჩემი თვალებია, მინდა დავძაგრავ, მინდა სულ დავხუჭავ! – ყოფილა პასუხი.

ასეა თუ ისე, ეს სახელი ჰქონდა და ძალიანაც ერგებოდა.

ამბავს, რომელიც უნდა მოგიყვეთ, პირადად არ შევსწრებივარ. გადმოცემით ვიცი – ჩემი მამისგან. მრავალი წლის შემდეგ მივაგენი, მოგონებების კუთხეში ჩასძინებოდა. გავაღვიძე, ცოტა დავვარცხნე, საგარეოდ შევმოსე და მოგიყვანეთ.

აი ისიც:

სოფელს მილიციის ახალი რწმუნებული დაუნიშნეს. უცხო იყო. საქმეს ნამეტანი გულმოდგინებით შეუდგა – თავიდანვე მოსახლეობაზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყო. ლექტორს ორი კურდღლის დაჭერა უნდოდა და რწმუნებულის გასაგონად უთქამს, ძაგრას ისეთი იარაღი აქვს – ჯობია მაგასთან საქმე არავინ დაიჭიროსო.

ენა ჰქონდა მხედველობაში, რა თქმა უნდა.

უბანში ყველამ იცოდა, რომ ძაგრას ნამდვის იარაღს ენა წარმოადგენდა. რწმუნებულს, როგორც მოსალოდნელი იყო, პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია.

ძაგრა ბაღიდან ახალი მოსული გახლდათ – ქანცგაწყვეტილი, მაგრამ ამაყი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ამ პატარა კაცმა უზარმაზარი კაკლის კუნძი მარტოდ-მარტომ ამოაგდო.

ის იყო კიბის ქვეშ იარაღები დააბინავა, იქვე კიბისავე საფეხურზე ჩამოჯდა, რომ მცირეწლოვანი შვილი დაადგა თავს:

– მამი, მილიციელია მოსული – გამოვიდესო.

– მარტოა?

– არა, ოთარა ძიაც არი.

– ლექტორი?

– ჰო.

– ხელი მომე, შვილო, ავდგე!

– მამი!

– რა იყო?

– ხო არ დაგიჭერენ, მამი? – შეშინებულმა ჰკითხა ბავშვმა.

– ნუ გეშინია შვილო, მაგათ ისე ვიწრო კლეტკები როდი აქვთ, მე რო ვერ გამოვეტიო. – დაღლილსაც არ ტოვებდა იუმორი ძაგრას.

ჭიშკართან რწმუნებული ელოდებოდა. მის ზურგს სანახევროდ ამოფარებულ ლექტორს რაღაც საეჭვო გამომეტყველება ჰქონდა. რწმუნებული მილიციის ფორმით! – როგორც ჩანს საქმე სახუმაროდ არაა!

ფორმიანმა პირდაპირ მიახალა:

– გამოიტანე იარაღი!

გამჭრიახი ძაგრა უმალ მიხვდა, რომ ეს ყველაფერი ლექტორის

ოინები იყო. ლექტორი სეირის საყურებლად ემზადებოდა.

– ყველა? – მოულოდნელად უბრძოლველად დანებდა ძაგრა.

რწმუნებულმა ლექტორს შეხედა. ლექტორმა თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია.

– მაშინ ბავშვსაც წავიყვან.

ამასობაში მეზობლებიც მოგროვდნენ. რა თქმა უნდა, ამ ამბავს არ დააკლდებოდა უბნის კიდევ ერთი გამორჩეული კოლორიტი – გენერალი.

ორიოდ წუთში მოდის ძაგრა სამეურნეო იარაღებით დახუნძლული. მართლა ყველაფერი წამოეღო: – ბარი, თოხი, ცელი, წერაქვი, ფოცხი, ურო და კიდევ რაღაც. ბავშვს პატარები – ჩაქუჩი, წალდი და ქაფჩა მოჰქონდა.

ზედ ფეხებთან დაუყარა პირდაღებულ რწმუნებულს, ხელები დაიბერტყა და უთხრა:

– შენ გაიხარე უფროსო, ამათგან რო გამათავისუფლე, მომკლეს კაცი!

იუმორის ეს დონე ლექტორსაც კი შეშურდა!

– ვის იგდებ მასხარათა, ნამდვილი იარაღი გამოიტანე! – აშკარად გაბრაზდა რწმუნებული.

წამიერი დაფიქრების შემდეგ ძაგრა მშვიდად ამბობს:

– მაგას ვერ მოგცემ! – ცხადია, ენას ცოცხალი თავით არ დათმობდა ძაგრა.

– ვითომ რათაო?

– ვა, უმაგისოდ ხო თაგვები შემითრევდნენ სოროში!.

– გამოიტანე, მეთქი! – ეტყობა რწმუნებული ფოლკლორთანაც ცოტა მწყრალად იყო.

– რა ვქნა ბატონო, ძალიანა ვარ შეამხანაგებული. ძმასავით არი.

– აკრძალულია! კანონით ისჯება!

– რა ვიცი, შენი ჭირიმე, აქამდე ყველა ჩემ წინაპარს ჰქონდა დიდიან – პატარიანად და ხმა არავის გაუცია.

– რაში გჭირება? – ახლა დაყვავებით სცადა უფროსმა.

– უმაგისოდ ლუკმა ყელში ვერ გადამაქვს. დაბადებიდან ეგრე ვარ! ან ცოლს როგორ მოვიყვანდი? ეგ რომ არა, ჩემი ცოლი მე გამომყვებოდა?! – ლამაზი ცოლი ჰყავდა ძაგრას.

– მოქალაქე! მაიმუნობას მოეშვი და გამოიტანე!

– ვერ გამოვიტან – აქა მაქვს!

– მაჩვენე!

– რას ამბობ უფროსო?! მაგას როგორ გავბედავ! ხელმწიფის

ტოლ კაცსა, კანონის წარმომადგენელსა, ენას როგორ გამოვუყოფ! – თქვა და რწმუნებულის შეუმჩნევლად ლექტორს ონავარი ჭროღა თვალი ჩაუკრა.

ვუძღვნი
ჩემს საყვარელ აუდიტორიას

უცნაური დავალება

მასწავლებელმა საშინაო დავალება მოგვცა – უნდა ავხსნათ სიტყვები: შვება, შიში, ნდობა, იმედი, ბედნიერება და უბედურება.

ვღელავ – არ ვიცი მოეწონება თუ არა მასწავლებელს ჩემს მიერ შესრულებული დავალება. ცუდ ნიშანს არ ვჩივი, მეშინია – თავზე არ გადამახიოს!

***

შვება

ერთხელ, ყინულის ლოლუებად ქცეულ უღრან ტყეში გზა დავკარგე. დაღამდა.

უშიშარი ვიყავი, მაგრამ შემეშინდა.

ირმის ქურქი მეცვა, მაგრამ შემცივდა.

უეცრად, პაწაწუნა ღარიბულ ქოხს მივადექი. ერადერთ ფანჯარაში ძველ საკვამურს გამოეყო თავი. ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა, საკვამურიდან –კვამლი.

რაღაც სასიამოვნო ვიგრძენი. ეს იყო შვება.

***

ნდობა

მეგობარი მყავდა,

ისე მიყვარდა, მისთვის სულში ყველაზე მყუდრო ადგილი მქონდა გამოყოფილი.

ერთხელაც სულის ადგილას სიცარიელე ვიგრძენი.

მეგობარს სული ამოეცლია და სადღაც წასულიყო.

ბევრი ვეძებე.

ვერ ვიპოვე მეგობარი.

სულს არ ვჩიოდი, ვხვდებოდი, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი დავკარგე.

ნდობა დამიკარგავს.

***

შიში

ბარტყობისას მოსიყვარულე დედა მყავდა.

გაფრინდებოდა, საჭმელს მომიტანდა და თავისი ნისკარტით მაჭმევდა. ზოჯერ ფრთაზე დამისვამდა, ცაში გამასეირნებდა. თან მეუბნებოდა, არ შეგეშინდესო. სულ მიკვირდა, რისი უნდა შემშინებოდა?!

ერთხელაც, დედას მოფრენა დააგვიანდა. ცუდად გამხდარიყო და ძლივს მოეღწია ბუდემდე. მივხვდი, რომ ოდესმე შეიძლება ის დამეკარგა და დედა აღარ მყოლოდა.

შიშმა ამიტანა

***

იმედი

შვილი შემეძინა.

ხელში თეთრებში შეფუთული სიცოცხლე ჩამიდეს.

მის სახეზე ვიღაცას ეთამაშა :– ტუჩების ადგილას ვაშლის ყვავილი დაეხატა, ცხვირის ადგილას – ორი წერტილი, თვალების ადგილას კი მხოლოდ სწორი ხაზები გაევლო.

პატარა სხეულიდან დიდი სითბო გადმოდიოდა.

მაისი იყო, მაგრამ მისი სურნელი ვარდისას ჩაგრავდა. ცაში ავფრინდი.

იმედი.გამიჩნდა.

***

ბედნიერება და უბედურება

ეს საკითხი ყველაზე რთულია.

გამიჭირდებოდა ახსნა, დიდძალ ლიტერატურას რომ არ გავცნობოდი ამ თემაზე. ვიცოდი, ადამიანმა ჭამის გარდა ფიქრიც რომ ისწავლა, მას შემდეგ აწვალებს კითხვა – რა არის ბედნიერება? ყველა მოაზროვნე ეძებდა ამ კითხვაზე პასუხს. კუმ ფეხი გამოყოო, ხომ გაგიგიათ და მეც მქონდა ძიების მცდელობები – თეორიული, რა თქმა უნდა. არ გაამართლა არც სიმდიდრემ, არც ძლევამოსილებამ, არც სახელმა და დიდებამ! ნატვრის თვალმაც კი ვერ მიშველა – ყოველთვის რაღაც მაკლდებოდა.

როცა თავისუფლებას გემო გავუგეთ, უნივერსიტეტში თავისუფალი დასწრება შემოიღეს. შესაბამისად, აუდიტორიებიც გათავისუფლდა, უფრო ზუსტად – დაცარიელდა.

ჩემთანაც გაფუჭდა საქმე,

იყო შემთხვევა, 100 სტუდენტიდან მხოლოდ 82 მესწრებოდა. საომარი ვითარებისა და კომენდანტის საათის გამოცხადებით დავიმუქრე, მაგრამ სრულ შემადგენლობას მაინც ვერ მოვუყარე თავი.

ერთხელაც საგანგებო აღრიცხვა ჩავატარე. ესწრებოდა 101, – არ ვიცი, ვინმე უცხო იყო შემოპარული, თუ ჩემი თავიც მივათვალე.

შვება ვიგრძენი და ნდობა დამიბრუნდა, შიშმა გამიარა და იმედი გამიჩნდა!

აი, თურმე რა ყოფილა ბედნიერება!

როგორც ჩანს, განგებას ეშინოდა ჭარბი ბედნიერებისგან რამე არ მომსვლოდა და ამაზეც იზრუნა – ძალიან ცხელოდა, ჰაერი არ გვყოფნიდა. თუმცა აუდიტორიას სულაც არ ეთქმოდა პატარა. ფანჯრის გაღება ვცადეთ. ბევრი ვეჯაჯგურეთ.

არც ერთი არ გაიღო.

აი, ეს უკვე ნამდვილად უბედურება იყო!

2005 წლის 16 ივლისს, უშბაზე დაიღუპა
ევერესტის გმირი
მერაბ ხაბაზი

გაზაფხულივით ლამაზი

მერაბ ხაბაზი – ეს სახელი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ საერთოდ მთელი მისი დიდი ოჯახია ჩემთვის ძვირფასი. ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი, რაზეც მწყდება გული, ისაა, რომ ჩემი მუშაობის რეჟიმისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ ვახერხებდი აჭყვისთავში ჩასვლას, საიდანაც ახალგაზრდობის ყველაზე ტკბილი მოგონებები მაქვს წამოღებული.

ასე მგონია ილია და ფატი ხაბაზების ოჯახი მთელი მაშინდელი ქართველი სტუდენტობის საოცნებო ნავსაყუდელი იყო, სადაც მეგობრობის, სიკეთისა და ადამიანობის გაუხუნარ გაკვეთილებს ვღებულობდით.

მერაბი სულიერად დიდ ოჯახში გაიზარდა.

თვითონაც დიდი იყო.

ჩვენი ცხოვრების გზები უცნაურად გადაეწნა ერთმანეთს.

გაცნობაც უცნაურად მოხდა.

კომაროვის სკოლაში ერთი კლასით წინ სწავლობდა ვინმე ამირან ხაბაზი, სკოლის ნამდვილი კოლორიტი. მთელი სკოლა კარგად იცნობდა. მერე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩავაბარეთ და რამდენიმე წელი აღარ მინახავს.

უკვე ასპირანტი ვიყავი, რომ ჭავჭავაძის გამზირზე ჩემი თანაკურსელი და უახლოესი მეგობარი შემხვდა – ვანო ლომიძე, მომავალში მერაბის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ადამიანი. სტუდ-

ქალაქში მიდიოდა. გამიკვირდა – იქ არასდროს უცხოვრია. შენც წამოდი, ერთ კარგ ბიჭს გაგაცნობო.

წავყევი და გავიცანი რეზო ხაბაზი, რომელიც იმ ამირან ხაბაზის ძმა აღმოჩნდა. ფიზიკის ფაკულტეტს ამთავრებდა. შემდგომში რეზო გახდა ჩემი მცირერიცხოვანი სამეგობროს ნამდვილი მშვენება – ღირსეულთა შორის ღირსეული.

მთხოვა მათემატიკაში შემემოწმებინა ერთი ახლობელი მერვე-კლასელი – ივარგებდა თუ არა სამომავლოდ.

შევხვდი.

მაღალი, ხმელი ბიჭი იყო. სიღრმიდან მომზირალი თვალებით, ბოხი ხმითა და ოდნავ შესამჩნევი აჭარული აქცენტით.

სტანდარტულ კითხვებს სწრაფად უპასუხა.

მივეცი რთული ამოცანა ჩემი „ოქროს ფონდიდან“.

ისიც გააკეთა.

ვიფიქრე, მოდი ვცდი და მივცემ „მოლას ამოცანას“! ეს ამოცანა, ჩემს პრაქტიკაში, არც მანამდე და არც მერე, დამოუკიდებლად არცერთ ბავშვს არ გაუკეთებია. მისი ამოხსნა სულ სამი წინადა-დებაა, მაგრამ მიგნებას ძალიან არასტანდარტული ტვინი სჭირ-დება. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ „დამხმარე უცნობად“ მეორე მოლა უნდა შემოვიყვანოთ.

ბიჭმა ცოტა ხანს იფიქრა და მეკითხება:

– მოლას ცოლი ყავს?

გავოგნდი! ნათელი იყო, რომ ბავშვმა გზა დაინახა. უბრალოდ, მას დამხმარე უცნობად მოლას ცოლი შემოჰყავდა!

ამოხსნა სწორი იყო!

შევაქე და ვკითხე, როგორ მოგეწონა ამოცანა მეთქი. იმ ასაკის ბავშვისთვის უჩვეულო პასუხი მივიღე:

– გაზაფხულივით ლამაზია!

ჩემთვის ცხადი გახდა – ჩემს წინაშე მომავალი ბრწყინვალე მათემატიკოსი იდგა. რეზოს კი ვუთხარი:

– ეს ბიჭი მათემატიკისთვისაა გაჩენილი. ვინ არის?

– ჩემი ძმა. – გამიღიმა ძმითა და საკუთარი ეშმაკობით კმა-ყოფილმა რეზომ.

ეს ხმელი ბიჭი მერაბ ხაბაზი იყო.

მერე მოვიდა სტუდენტობა – მერაბი მათემატიკის ფაკულ-ტეტის გამორჩეული სტუდენტი ხდება, ლიდერს რომ იტყვიან, ისეთი. ყველაზე ზუსტად ისევ თანაკურსელები ახასიათებდნენ.

დახასიათება მოკლე იყო, მაგრამ მრავლისმთქმელი:

– მერაბი სულ სხვაა.

უნივერსიტეტის შემდეგ იყო მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი, სადაც მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ მოხვედრის პატივი. აქაც, რომ იტყვიან, უმაღლესი რეიტინგი აქვს.

უკვე კოლეგები და მეგობრები ვიყავით.

ოჯახშიც შემომირბენდა ხოლმე.

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ასე ვთქვათ, ცალი ხელით მოიპოვა. მშვენიერი ნაშრომი ჰქონდა. ამას დარწმუნებით ვამბობ, რადგან მისი დისერტაციის ორი ოპონენტიდან ერთი მე გახლდით. ვფიქრობდი, რომ ცოტა ხანში სადოქტორო დისერტაციასაც წარმოადგენდა.

მაგრამ, მეორე დიდმა სიყვარულმა შეაყოვნა.

მთა შეუყვარდა.

უკიდეგანოდ თავმდაბალი იყო. ალბათ მისნაირებზეა ნათქვამი – სიდიდე სიმდაბლით იზომებაო.

ტელევიზიით გავიგე, რომ ახდა საუკუნოვანი ოცნება და ქართველთა გუნდი ევერესტზე ავიდა. სიხარულით ჭკუაზე აღარ ვიყავი. წარმოიდგინეთ რა დამემართებოდა, მათ შორის მერაბ ხაბაზის სახელი რომ მოვისმინე.

მალევე მესტუმრა.

სუფრასთან ძლივს მოვიყვანე. ცოტა ხანს გაჩერდა და მერე ისევ ჩემს პატარა შვილთან გააგრძელა თამაში. დიდხანს ეთამაშა.

გავუბრაზდი:

– ბიჭო, ევერესტზე ასულ კაცს მეტს ალბათ ვეღარც ვნახავ და მომიყევი რამე მეთქი. ისიც „მომიყვა“:

– ცოტა უჟანგბადობა და ქარი ართულებდა საქმეს, თორემ ისე არ გაგვჭირვებია.

სულ ეს თქვა!

გამეცინა.

არა, იმაზე გამეცინა, რამდენად მრავალფეროვანია ადამიანთა მოდგმა. ერთნი, მაღაზიიდან პურს რომ ამოიტანენ, უფრო მეტ ქოთქოთს ატეხენ ხოლმე, ვიდრე ისინი, შენი სამშობლოს დროშას ევერესტზე რომ აიტანენ.

აღარ ჩავაცივდი.

უბრალოდ, ასეთი იყო.

ფატი დეიდას ეშინოდა. ძალიან ეშინოდა. გული ცუდს უგრძნობდა.

შემომითვალა, დაელაპარაკე მერაბს – იქნებ შენ დაგიჯეროს და

მთას დაანებოს თავიო.

დაველაპარაკე.

თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ ვალს ვიხდიდი – ეფემია წინამძღვარივით.

გამიღიმა მხოლოდ.

მე მთებში არ მივლია, მაგრამ წაკითხული მქონდა ცნობილი ფრანგი ალპინისტის, მორის ერცოგის მომნუსხველი წიგნი „ანაპურნა – პირველი რვაათასიანი “.

მივხვდი – მერაბის სიყვარულიც უკურნებელი იყო.

ვაგლახ, დედის გული აქაც შეუმცდარი აღმოჩნდა.

მეგობარი

ორკაციანი სუფრა გვქონდა.

მეგობარი თამადა იყო, მე – მოადგილე.

ის სადღეგრძელოს სვამდა – ჩემთან ალავერდს გადმოდიოდა.

მეგობარი ძალიან დიდ პატივს მცემდა.

ჭიქა მომიჭახუნა და ფეხზე ადგომით მისი საყვარელი სადღეგრძელო წარმოთქვა:

– შენი თამადობით ყველა გიჟს გაუმარჯოს!

– აღარ ვარ გიჟი! – ვიცრუე მე.

მეგობარმა, ცხადია, არ დაიჯერა, მაგრამ მაინც დამითმო:

– კარგი, ნაგიჟარი იყოს!

ნამდვილი მეგობარი

რუსთაველის ქვეყანაში ვარ გაზრდილი და რა გასაკვირია, რომ მეგობრობის გაგებაც რუსთაველისეული მქონდეს.

ახალგაზრდობაში მაინც ნამეტანი რადიკალური ვიყავი. ვამბობდი, კაცმა მეგობარი ორ-სამზე მეტს არ უნდა უწოდოს მეთქი. ნამდვილი მეგობარი? საერთოდ არ მესმოდა რას ნიშნავდა. ბევრჯერ კამათიც მქონია ამ თემაზე. ჟამთა სვლამ ამ საკითხში ცოტა დამთმობი გამხადა. ახლა ბევრად მეტ ადამიანს ვუწოდებ მეგობარს, თუმცა, მათ ჩამოსათვლელად ჩემი ორი სტანდარტული ხელის თითები მაინც მყოფნის. მოგვიანებით ნამდვილი მეგობარი რა იყო, ისიც გავიგე.

ფეხბურთში თბილისის “დინამოს“ ტრიუმფალური სვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ჩემი, როგორც დებიუტანტი თანამ-

შრომლის ხელფასი დიდად არ აღემატებოდა ასპირანტის სტიპენდიას. ეს ის დროა, როცა ხალხი თავს ისე იჭერდა – ვითომ მუშობს, სახელმწიფო კი – ვითომ ხელფასს უხდის. რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ახლა უფრო მრავალფეროვანია ცხოვრება – ზოგი ბევრს მუშაობს და ცოტას უხდიან, ზოგი კი პირიქით, არაფერს აკეთებს და უზარმაზარი ხელფასის გარდა პრემიებსაც უწერს საკუთარ თავსა და ახლობლებს.

ერთი სიტყვით, „დინამო“ კი არ მიდის – მიაპობს. აქეთ-იქით ცვივა ნაფოტები, იმ დროის თავიანთი ქვეყნების გრანდები.– „ნაპოლი“, „ფეინოორდი“, „ტოტენჰემი“, „ჰამბურგი“, „ლივერპული“...

ბილეთი სალაროში ოფიციალურად ძვირი არ ღირს. მაგრამ წესიერ რიგში მისი აღების ალბათობა ნულის ტოლი იყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი რიგი ჩვენთან უბრალოდ არ არსებობდა. აქაც ცოტას გადავუხვევ და ვიტყვი მაშინდელი რიგებისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ. ოჯახში გამოცხადებული მქონდა – თანახმა ვარ გავაკეთო ნებისმიერი საქმე – კაცის, ქალის, ბავშვის, ახალგაზრდის, მოხუცის, ოღონდ რიგში ნუ დამაყენებთ მეთქი. არა, განა დგომა და ლოდინი არ შემეძლო – მარტორქასავით მომთმენი ვარ, გაცხარებამდე. უბრალოდ მეშინოდა არ შემძულებოდა ჩემი მოდგმა და ჩემივე ჯიში – ქართველობა, რომელიც რიგში ძალიან უჯიშოდ იქცეოდა.

შავ ბაზარზე ბილითი 40-50 ჯერ მეტი ღირდა. ეს კი ჩემი ხელფასის ნახევარს აღემატებოდა. მომიწევდა მერე ნახევარი თვე შიმშილობა. გავიგე, რომ ადამიანი 35 დღე სძლებსო უჭმელი. ამიტომ დაუფიქრებლად გადავწყვიტე მესარგებლა შავი ბაზრის მომსახურებით. მაგრამ, თურმე, ამასაც თავისებური მარიფათი სდომებია. ასეთ საქმეებში კი მაშინაც უხერხემლო ვიყავი და დავრჩი უბილეთოდ.

ვზივარ ყურებჩამოყრილი და ჰამლეტივით წუთისოფლის ამაოებაზე ვფიქრობ.

რა გაეწყობა, ტელევიზორში უნდა ვუყურო.

მაპატიეთ, მაგრამ რადგან ვახსენე, ბარემ ჩემს უსაყვარლეს მაშინდელ ტელევიზორზეც უნდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა. ნოსტალგია მომეძალა. რაც არ უნდა იყოს, “განვითარებული სოციალიზმის” პირმშო იყო და იმ ეპოქას კარგად ახასიათებდა.

მაშინდელი საზომებით საკმაოდ მაღალი კლასისა გახლდათ, ლენინგრადის გამოშვებული „რადუგა“. თვით საუკეთესო „რუბინსაც“ არ ჩამოუვარდებოდა. რაღაც უპირატესობასაც კი ფლობდა.

ლამპები ნაკლები ჰქონდა და შესაბამისად მხოლოდ 55 კილოგრამს იწონიდა. ეს კი დიდი პლიუსია, რადგან ორი კაცი საკმარისი იყო მის ასაწევად და კვირაში ერთხელ სახელოსნოში წასაღებად. რადგან მეორე კაცი არ მყავდა, კვირაში ერთხელ თავად ვარემონტებდი. საოცარი ნაკეთობა გახლდათ – ყველა ნაწილი ყველა ბუდეში ჯდებოდა და ვეღარ ვაგნებდი სად რომელი უნდა დამეყენებინა. თანდათანობით იმდენი ზედმეტი ნაწილი დამიგროვდა, ერთი ისეთი ტელევიზორი კიდევ აეწყობოდა. საოცრება ის იყო, რომ ტელევიზორი მაინც ისევ ისე მუშაობდა. კაცმა რომ თქვას, დიდი კი არაფერი სჭირდა – ხუთ წუთში ერთხელ ფერს და მეტყველების უნარს კარგავდა. ხომ იცით ჩემი ჯიუტი ხასიათი – არ მოვეშვი და მაინც ვუპოვე საიდუმლო წერტილი. თუ სახურავის მარცხენა უკანა მხარეს მარჯვენა მუშტს ორჯერ ღონივრად ჩავაწკაპებდი – გონზე მოდიოდა მომდევნო გათიშვამდე.

პრობლემა მხოლოდ ის იყო, წინასწარ არ ვიცოდი დავით ყიფიანს ან რამაზ შენგელიას გოლის გატანა რომელ წუთზე ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ერთი სიტყვით, ვგლოვობ ჩასახვამდე გარდაცვლილ კომუნიზმს და ლოგინად უიმედოდ ჩავარდნილ „განვითარებულ“ სოციალიზმს.

პანაშვიდი ჯერ არ დამთავრებულა, რომ რეკავს ტელეფონი.

მეგობარია:

– აბა, რას შვრები, მიდიხარ ფეხბურთზე?

– ვერა, ბილეთი არ მაქვს. – ვეუბნები ამჯერადაც შერცხვენილი.

– რააა?!

– ვერ ვიშოვე. შენ?

– არა ბიჭო, კურდღლებს დავაგლეჯიებდი თავს! რა თქმა უნდა ვიშოვე. თანაც ორი!

– ორი? – ჩემი უნიათობის გამო კიდევ უფრო უხერხულად ვიგრძენი თავი.

– ჰო, ერთი ჩემთვის, ერთი ჩემი ჩლუნგი მეგობრისთვის.

– ვისთვის?

– შენთვის, შენთვის! შე მართლა ჩლუნგო! ცენტრალურ შესასვლელთან გელოდები. დროზე გამოადგი ფეხი!

არ ვიცი, კარგად ავხსენი თუ არა, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობარი.

სხვათაშორის, მას ვანო ჰქვია.

დედამიწა

– პაპა, ცაში ბევრი პლანეტაა?– მეკითხება ჩემი ექვსი წლის შვილიშვილი.

სკოლაში მიდის წელს.

გამეღიმა – რა სწრაფად გარბის დრო.

თითქოს გუშინ იყო, ჩემთან რომ შემოვიდა და მეუბნება:

– პაპა, ის მომეცი – თითების მოძრაობით მაკრატელს ბაძავს.

– მითხარი რა გინდა და მოგცემ – ვეუბნები ღიმილით.

– ვერა! – ეღიმება მასაც და ისევ თითებით მიხსნის. დღეს უკვე პლანეტები აინტერესებს.

– პაპა, შენ რომელი გიყვარს? რომელია ყველაზე ლამაზი?

ხშირად ბავშვები დიდებს ბაძავენ – პასუხს არ ელოდებიან და უკვე მომდევნო კითხვას სვამენ. ვხვდები შემდეგი კითხვები რა ექნება, ამიტომ ბარემ ვუყვები:

– სამყაროში ბევრი პლანეტაა. ერთი მათგანი მწვანეა. წითელივით ლამაზი არაა, მაგრამ მე ის ყველაზე მეტად მიყვარს – ჩემნაირი არსებებითაა დასახლებული. დედამიწას ვეძახით.

დედამიწაზე უამრავი ქვეყანაა – ყველა თავისებურად ლამაზი. ზოგი დიდი, ზოგი პატარა.

მე ერთი მიყვარს ყველაზე უფრო. პაწაწინაა – საქართველო ჰქვია.

– კი, ვიცი – ჩემი სამშობლოა!

– ჰო, შვილო, შენი სამშობლოა – გადავუსვი თავზე ხელი.

– საქართველოში უამრავზე უამრავი სოფელია. ბევრი ზღაპრული სილამაზისაა – მომაჯადოვებელი. ბევრიც უბრალო და ჩვეულებრივია. მათ შორის ერთი სოფელია ლიახვის პირას – ტირძნისი ჰქვია. იცი შენ ის! გახსოვს? – წაგიყვანე.

– კი მახსოვს, ჭრელი ბოჩოლა რომ მეთამაშა.

– ჰოდა, ყველაზე მეტად ის სოფელი მიყვარს.

დიდი სოფელია ტირძნისი. ბევრი გვარი და ბევრი უბანია, ყველას რა ჩამოთვლის! ყველა კარგია, მაგრამ ყველაზე უფრო გოგინაშვილ-ზერეკიძეების უბანი მიყვარს – ასე ეძახიან.

ჩვენი უბანია.

სკოლიდან იწყება და ბროწლეთის გადასახვევს ცდება. აი იქ, ჩვენი ახალი სახლი რომ არის. ჩემს უბანში ბევრი კარგი სახლი იყო. ახლაც არის. ამ სახლებში საუკეთესო ადამიანები სახლობენ. მაგრამ გამორჩეულად ერთი სახლი მიყვარდა. ახლაც მიყვარს.

თუმცა, იქ აღარ ცხოვრობს ჩემი ოჯახი. სკოლასთან ახლოს, არბოს გადასახვევთანაა ის პატარა სახლი – ჩემი ბუდე.

ძველი წისქვილი იყო, იქ.

არც კი ვიცი ახლაც არის თუ არა ძველი წისქვილი.

ამ სახლში ჩემი მშობლები და და-ძმა ცხოვრობდა. იმავე ეზოში მამიდა და ბიძაჩემის ქვრივი სახლობდნენ.

– ქვრივი რა არის, პაპა?

– ქმარი რომ ძალიან შორს წავა და მარტო დარჩება, ის ქალია ქვრივი – მოვერიდე ზუსტ ახსნას და სანამ უფრო ჩამეძიებოდა, განვაგრძე:

– ყველა მიყვარდა. მაგრამ დედა – განსაკუთრებულად. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ იდაყვზე ისე მიჩქმიტა მეგობრების თვალწინ – ექვსი წლის თავმოყვარე ვაჟკაცს ცრემლები წამომცვივდა. ლიახვზე გავიპარე საბანაოდ და იმიტომ. – გაეცინა, ეტყობა წარმოიდგინა როგორ ჩქმეტდნენ პაპამისს იდაყვზე.

– იქვე ეზოში ჩემი წილი მიწა მქონდა. მამამ გამომიყო ეზოს კუთხეში. ერთი გოჯი იყო!

– ამხელა? – გაკვირვებულმა მოკაკვა თითი ბავშვმა.

ახლა მე გამიკვირდა – ესეც უსწავლია!

ავუხსენი:

– არა, ასე იტყვიან, თორემ სინამდვილეში თორმეტი ჩემი მტკაველი იყო სიგრძითაც და სიგანითაც.

სუნიც კი სხვანაირი ჰქონდა ჩემს მიწას.

შენი ტოლი ვიყავი მაშინ. სკოლაში შესასვლელად ვემზადებოდი. ორი ძირი მარწყვი დავრგე. დილით ადრე ვდგებოდი. ვეფერებოდი და ვუყურებდი როგორ იზრდებოდა, ისხამდა, მწიფდებოდა. მიკვირდა – რა ძალა ჰქონდა იმას, მიწა რომ ერქვა. ყველა სხვა მიწაზე მეტად ეს ერთი გოჯი მიწა მიყვარდა.

რაკი ვიცოდი რა იყო დედის სიყვარული – სხვისი დედებიც მიყვარდა. მიყვარდა იმის გამო, რომ ისინი უყვარდათ თავიანთ შვილებს – ჩემს მეგობრებს. რაკი ვიცოდი რა იყო ჩემი მიწის სიყვარული, ვუფრთხილდებოდი სხვების მიწასაც, რადგან სხვანაირად გულს ვატკენდი ჩემს მეგობრებს.

აი, სულ ეს არის, შვილო!

– კი მაგრამ, დედამიწა? მე მინდა, რომ დედამიწა მიყვარდეს ყველაზე მეტად!

– ვერ გეყვარება, დედამიწა, თუ არ გიყვარს დედა და არ გიყვარს მიწა.

ერთ წამს ჩაფიქრდა:

– კარგია! დედა უკვე მიყვარს, მალე მიწასაც შევიყვარებ! ერთ გოჯ მიწას ხომ გამომიყოფ, პაპა?

მივხვდი, რომ ჩემი შვილიშვილი არათუ გაზრდილა – დაკაცებულა კიდეც.

***

გარეთ აქცია მიმდინარეობდა. უსამშობლო დედამიწელები ნარკოტიკების ლეგალიზაციას ითხოვდნენ.

რასისტები

(წაწილი პირველი)

მეგობარმა დამირეკა:

– რა გჭირს?

– რას გულისხმობ? – დავიბენი.

– შენს ნაწერებს ვკითხულობ...

– ჰოო, მართალი ხარ – ამ ბოლო დროს რაღაც ვერ ვარ კარგად. – ვაღიარე.

– არა, მაგას არ გეუბნები, წერე რამდენიც გინდა, მაგრამ წარსულში რომ ჩარჩი, თუ ატყობ?

– ვერ მივხვდი, პირდაპირ მითხარი! – ვთხოვე როგორც მეგობარს.

– ირგვლივ იმდენი პრობლემაა, შენ კი რა მოგონებები აგიტყდა!

მიმოვიხედე.

არანაირი პრობლემა აღარ იყო ირგვლივ. ყველაფერი მოეგვარებინა ხელისუფლებას. ელდა მეცა – რის შესახებ დავწერო?

ბედად, სამზარეულოში შვილს ტელევიზორი ჰქონდა ჩართული. გადაცემა ყოფილა – ჩვენს ქვეყანაში რასიზმის პრობლემაზე. შემოვიდა და მეკითხება:

– მამა, შენი აზრით, ჩვენთან არის რასიზმი?

გონება გამინათდა! აი რაზე უნდა დავწერო. როგორც იქნა ვიპოვე პრობლემა! ისევ შვილი თუ გამოგადგება!

დიდძალი მასალის შესწავლის შემდეგ არა მარტო ის დავადგინე, რომ ჩვენთან გაგანია რასიზმია, არამედ გამომწვევ მიზეზებსაც მივაკვლიე. მიზეზებზე სტატიის მეორე ნაწილში მოგახსენებთ, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

დღეს მხოლოდ დავამტკიცებ, რომ ჩვენთან რასიზმი არის, იყო და მომავალშიც იქნება. უკვე მაქვს უამრავი დამამტკიცებელი საბუთი, მაგრამ შევეცდები რაც შეიძლება მოკლედ გადმოვცე.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მკითხველმა მანამდე მიატოვოს კითხვა, სანამ მთავარ სათქმელამდე მივალ.

თუ გინდა გაიგო ერის ხასიათი, რა გემოვნება აქვს, პირველ რიგში მისი ფოლკლორი უნდა შეისწავლო. აღმოვაჩინე, რომ ქართველობას ოდითგანვე ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა შავი ფერისადმი. ცდილობდა ეს შეენიღბა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სიძულვილის გრძნობა, რომ ვერ ახერხებდა. ხშირად „შავი“ და „ცუდი“ ჩვენთან ფაქტობრივად სინონიმები იყო.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

„არ გათეთრდების ყორანი...“ – აქ, მართალია, შავი ყორანი პირდაპირ არაა ნახსენები, მაგრამ, ცხადია, ყორანი შავი იგულისხმება. აბა, თეთრს რაღა გათეთრება უნდა?! და თუ შავი არაფერს აშავებს, იყოს შავი! ცხადია, არ მოგწონს და იმიტომ გინდა გათეთრება!

„გაფრინდი შავო მერცხალო...“ – რამდენი ხანია ქართველი ხალხი ამას მღერის. შავი რომ უყვარდეს, ერთხელ მაინც ხომ იტყოდა – მოფრინდიო! ვფიქრობ აქ აშკარად იკითხება შავების დეპორტაციის სურვილიც.

„შავი დღე გამითენდა...“ – სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ ტყუილსაც კადრულობს ქართველი. გინახავთ სადმე დღე რომ შავი იყოს? ეთქვა ნაცრისფერი ან თუნდაც რუხი! არა, მას უნდა ამით თქვას „ცუდი დღე გამითენდა“.

„შავად წამივიდა საქმე“ – ესეც ხომ იგივეა, რაც „ცუდად წამივიდა საქმე“.

„აშავებს“, ე.ი. აფუჭებს, კუთხურად – „აცუდებს“

აი, კიდევ, უფრო ოსტატურად შენიღბული რასიზმის დამადასტურებელი მაგალითი:.

„მატრონა დაფეხვილმა გაათხუა თავისი ნიგუზალივით შავი მაყვალა“ – რა არის აქ სალაპარაკო? რაკი შავი იყო, არ უნდა გათხოვილიყო? მაშასადამე, ირიბად მიგვანიშნებს, რომ შავი ცუდია და უკვირს ცუდი რომ გათხოვდა! გამოდის, რომ რასისტი ყოფილა თვით ჰუმანურობით გამორჩეული ქართველი მწერალიც. მწერალი, რომელმაც მტერსაც კი მისცა ბოლო მოზელვა მჭადის ფქვილი. მაგრამ იცით სინამდვილეში რატომ მისცა? – მოჩვენებითი ტოლერანტობით რომ გადაეფარა რასისტობა!

ამ მაგალითებითაც კარგად ჩანს, რომ შავი ფერისადმი სიძულვილი ქართველ ხალხს სისხლში აქვს გამჯდარი. უფრო მეტიც, ეს ზიზღი სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. თუ ეს ასე არა, მაშ როგორ გავიგოთ ხელისუფლების განცხადება – დროა შავი მან-

ქანებიდან თეთრში გადავჯდეთო – შავი რომ მართლა ყვარებოდათ ზედმეტ ხარჯს რატომ გაიღებდნენ?

იქნებ ფიქრობთ, რომ რასიზმი ძველ თაობაშია მხოლოდ? რადგან ხალხი ადრე ბნელი იყო და "ბიძია თომას ქოხი" წარმოადგენდა მისი განათლების ერთადერთ წყაროს? არა ბატონო!

და აი, როგორც იქნა, მივადექით დღევანდელი დღის მთავარ სათქმელს – რასისტები ახალგაზრდებს შორისაც არიან! საკუთარი თვალით ვნახე ორი დღის წინ. სად? –

ტანსაცმლის სექციაში

.

ახალდანიშნული წყვილი ვაჟის საქორწინო კოსტიუმს არჩევდა.

ორივე ლამაზი, მაგრამ ვაჟი მაინც რაღაცნაირად განსაკუთრებული იყო.

ისე უხდებოდნენ ერთმანეთს – უნებლიედ შევჩერდი. იქვე საეჭვოდ აქტიურად ბზრიალებს გამყიდველი გოგონა – არანაკლებ სიმპატიური. აშკარაა, ვაჟს ეპრანჭება და მის საცოლეს ცოტა გაბრაზებული უყურებს – როგორ თუ დამასწარიო.

რამდენიმე კოსტიუმი მოასინჯეს ბიჭს. ყველა უხდებოდა, ყველაზე თანახმა იყო – საერთოდ არ ჩანდა პრეტენზიული. მაგრამ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მშვენიერი ყმაწვილისთვის რაღაც უფრო მშვენიერს ეძებდნენ.

ბოლოს, შავი მოსინჯეს. რომ იტყვიან – დახატა!

– აი, ეს მესმის! – ერთდროულად შესძახა ორივე გოგონამ. დიდმა მშვენიერებამ მათი ფარული შუღლი დროებით გაალღო.

– არ მინდა! – ყველასთვის მოულოდნელად გადაჭრით მოსხიპა აქამდე თვინიერმა.

– რას ამბობ, ნიკა, ძალიან გიხდება! – შეიცხადა მეუღლეობის ოფიციალურმა კანდიდატმა.

– არ მიყვარს შავი ფერი და რა ვქნა?!

გამყიდველმა გოგონამ ჰორიზონტზე შანსს მოჰკრა თვალი!

მკვეთრი მოძრაობით მოუბრუნდა ჯერ კიდევ ოფიციალურს და უკიდურესად განცვიფრებული ტონით მიმართა:

– გენაცვალე, ამ ჩამოყალიბებულ რასისტს როგორ მიყვები?!

რასისტები

(წაწილი მეორე)

მაპატიეთ, შეპირებული მეორე ნაწილი ცოტა დამიგვიანდა. ავად ვიყავი – ტელევიზორიდან უცხო შავი არსება გადმოხტა და მკერდზე დამახტა. ისედაც ნატკენი გული უფრო მატკინა. ვერ გავარჩიე, შავი ბულდოგი იყო თუ პანტერა. ავი კი იყო ოხერი.

აგრესიულმა არსებამ წამოიძახა სტუმარ-მასპინძლობის შესახებ სახელდახელოდ დასწავლილი ციტატა ვაჟას ნაწარმოებიდან და ყელში მწვდა – გამოღადრვას მიპირებდა.

ადამიანებზე ნაწყენი ვარ – იქვე სტუდიაში ბევრნი იყვნენ. ჩემიანები მეგონა. არ მომეხმარნენ. პირიქით – სეირს უყურებდნენ და ტაშს უკრავდნენ.

ახლა კარგად ვარ. წერა შემიძლია. ეგ არის, ყრუ ტკივილები დამიტოვა – ღრმად ჩამასო კბილი ოხერმა.

ალბათ გახსოვთ, სტატიის პირველ ნაწილში დამტკიცდა, რომ საქართველოში ოდითგანვე მძვინვარებს რასიზმი. შეგპირდით – მეორე ნაწილში წარმოგიდგენდით მისი გამომწვევი მიზეზების კვლევის შედეგებს.

სამუშაო ძალზედ მოცულობითი აღმოჩნდა. მარტო ვერ ავუდიოდი. კვლევაში ჩავრთე ჩემი ყოფილი სტუდენტები: თითქმის ქალბატონი ნინო მჟავანაძე და უკვე ბატონი – არჩილ მაისურაძე.

ნინო – ეთნოგრაფიული და სირბილის ნიჭით დაჯილდოვებილი ახალგაზრდა. გვარს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. პირიქით, იმდენად ტკბილი გოგონაა, მეშინია სენატორმა გუგულმა არ აკენკოს. შაქარაშვილები ყოფილან ადრე, მაგრამ ტკბილეულზე სენატის მოსალოდნელი შეზღუდვებისა მათაც შეშინებიათ და მჟავანაძეები გამხდარან. ფრიად ერუდირებულია, ოღონდ მალულად – თუ არ დაწერა, ისე ვერ შეამჩნევთ. შეიძლება ითქვას, ფერთმცოდნეობის ამომავალი ვარსკვლავია. ცოტა ხნის წინ, ჩემი დავალებით, იმოგზაურა ჩინეთსა და იაპონიაში წითელ-ყვითელი ფერების შავ ფერთან მიმართების საკითხის გასარკვევად.

ეს ის ნინოა, თავის დაბადების დღეზე მაღვიძარამ რომ არ გააღვიძა და მეტრომაც ცხვირწინ მოუხურა კარი. ვერც ავტობუსში ავიდა, მაგრამ სირბილით მაინც გაასწრო მას. მართალია ავტობუსს რომ უსწრებდა, ციმციმა არ ჩართო და პატრულმა დააჯარიმა, მაგრამ ამას არ ნაღვლობდა – მთავარია ლექციაზე არ დააგვიანდა,

არჩილი – გამორჩეული პიროვნება, უნივრსიტეტის ძნელბედობის ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ცოტა იდუმალიც.

თავადვე წერს – „ნეტავ სად დავეთრეოდი, თქვენს ლექციებს რომ ვაცდენდი, ჰაა?“ ვითომ არ იცის! ბიბლიოთეკაში დადიოდით არ-ჩილ, ბიბლიოთეკაში! ჩუმ-ჩუმად! მასალებს აგროვებდით თურმე ღევანდელი დღისთვის.

როგორც წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში მოგახსენეთ, ზეპირსიტყვიერ და წერილობით ძეგლებს შორის ჩემს მიერ მო-ძიებულ იქნა მეტად ყურადსაღები შემდეგი ნიმუშები:

“არ გათეთრდების ყორანი“,

„გაფრინდი შავო მერცხალო...“ ,

„შავი დღე გამითენდა...“ ,

„შავად წამივიდა საქმე“ ,

„აშავებს – აფუჭებს, ე.ი. აცუდებს“,

„მატრონა დაფეხვილმა გაათხუა თავისი ნიგუზალივით შავი მაყვალა“.

მათი ანალიზის საფუძველზე, თავდაპირველად გაჩნდა ჰიპო-თეზა:– ქართველი ერი რასისტია გენეტიკურად.

მაგრამ შემდეგ, ჩემს ზემოთხსენებულ მოსწავლეებთან ერთობ-ლივი კვლევის შედეგად აღმოვაჩინეთ სხვა ნიმუშები, რომლებიც ხან გამონაკლისი გვეგონა, ხანაც ქართული კუ-კლუქს-კლანის და-რბევებს შემთხვევით გადარჩენილი დისიდენტური აზროვნების შედევრები :

„მაყვალს გიგავს თვალები, შენ კი გენაცვალები“,

“გოგოვ გოგოვ შავთვალა …“,

"შავი ღვინო მიყვარდა და თეთრი ღვინო მასვესაო?",

"ერთმა ქალმა შავთმიანმა ოოვ რანინაა...",

„შავლეგ შენი შავი ჩოხა..“,

„გაკეთდა შავი დედალივით!“.

კვლევის ბოლო ეტაპზე პირადად მე დამიფასდა თავდადე-ბული შრომა და გავაკეთე აღმოჩენა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს! სახელდობრ, დადგინდა ქართველებში ფარული სუბიექტური დუალიზმის არ-სებობა შავი ფერის აღქმის სპექტრში მისი აბსოლუტური შთან-თქმადობის კოეფიციენტის რეგრესიის მიუხედავად.

მივაკვლიე პირველ ზეპირსიტყვიერ ძეგლს, რომელშიც ერთ-დროულად შეინიშნება როგორც რასიზმის, ისე ანტირასიზმის არ-სებობის ნიშნები. წყაროს მნიშვნელობის გათვალისწინებით, მომ-ყავს იგი სრულად:

„რა ვუყოთ, რომ შავი ვარ, მეც ხომ ადამიანი ვარ, გაჩენილი

ღვთისაგან!“

თუ გამოვიყენებთ კვლევის მეთოდიკაში მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, ვნახავთ, რომ ამ ერთი შეხედვით უწყინარი მისამღერიდან სულ ცოტა სამი მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს:

პირველი – შავები საქართველოში ძველადაც ცხოვრობდნენ. ოღონდ არ ჩანს, ასწავლიდნენ თუ არა მათ ციტატებს ვაჟას ან სულხან-საბას ნაწარმოებებიდან.

მეორე – შავი სასიძო მაშინ მოდაში არ იყო.

მესამე – დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, შავებს პროტესტის გამოთქმის უფლებაც ჰქონდათ – თანაც სიმღერით. არ გამოვრიცხავ – ტელევიზიაშიც იწვევდნენ თეთრების დასატუქსად.

ამ გარემოებათა გამოისობით ჩემი თავდაპირველი ჰიპოთეზა ქართველი ერის რასიზმისადმი გენეტიკური მიდრეკილების შესახებ, თავდაყირა დადგა. უფრო ზუსტად, პარალელურად გაჩნდა ახალი ჰიპოთეზაც – შეძენილი რეფლექსური რასიზმის ჰიპოთეზა.

კვლევა ჩიხში შევიდა.

როგორც ეს ხშირად ხდება, პრობლემა სრულიად მოულოდნელად, იმ მხრიდან ამოიხსნა. საიდანაც არ ველოდი.

ეს გუშინ მოხდა – როცა შევხვდი ბატონ მინდიას, უბანში გამორჩეულ პიროვნებას, რომელსაც თან ახლდა ხუთი წლის შვილიშვილი. ბავშვი – ნაადრევად განსწავლული. იმედი მაქვს – ჩემი მომავალი დოქტორანტი პრაქტიკული რასიზმის თეორიაში, ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ –

პატარა რასისტი

ბატონი მინდია ერთი წლის წინ გავიცანი, პარკში. ის დარბოდა, მე დავდიოდი. შემომთავაზა, ერთად ვირბინოთო. რომ გაიგო, ჩემთვის სირბილი არ შეიძლებოდა – მანაც სიარული დაიწყო. იშვიათად მინახავს მსგავსი დარბაისელი კაცი. ყველა ღირსებით შემკულ ადამიანს გარეგნობაც შესაბამისი ჰქონდა – ახოვანი, ლამაზად გაჭაღარავებული.

გუშინ მეც შვილიშვილი მახლდა. ერთი ასაკის იყვნენ – ბიჭები. ოღონდ მისი ტრანსპორტით იყო, ჩემი – ქვეითად. მაშინვე ჩამოხტა ველოსიპედიდან და ჩემსას შესთავაზა. ეხმარებოდა კიდეც დაჯდომაში. ჩვენ ღიმილით შევხედეთ ერთმანეთს – ორივეს ერთნაირად გვესიამოვნა ბავშვის საქციელი.

კვიცი გვარზე ხტისო – სწორედ ეს შემთხვევა იყო.

პარკში ორი მუქკანიანი მამაკაცი გამოჩნდა. ეტყობოდა გზად მოდიოდნენ. მოდიოდნენ უჩუმრად, თავისთვის. მათ დანახვაზე ბიჭმა მიატოვა ახლადშეძენილი მეგობარი, პაპას დაუდგა გვერდით და ხელი ხელზე მოჰკიდა. ბატონ მინდიას არ გამოეპარა ჩემი დაბნეული მზერა. იცოდა მე არ ჩავეძიებოდი და მცირე ფიქრის შემდეგ თავადვე დაიწყო:

„ადრეულ ბავშვებაში ყველაზე ხშირად წაკითხული წიგნებიდან პირველ ადგილზე ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ დგას. შემომაცვდა ხელში. ოღონდ ყოველთვის ჩაკეტილ კარს მიღმა ვკითხულობდი – არ მინდოდა ჩემი ცრემლი ვინმეს დაენახა.

მძულს ყოველგვარი უსამართლობა და ჩაგვრა. ახლაც ყველაზე უფრო ის ფილმები და ნაწარმოებები მიყვარს, სადაც მჩაგვრელები მარცხდებიან.

ახალგაზრდობაში მიკვირდა, ვინმე რომ აქებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ვფიქრობდი – როგორ შეიძლებოდა კარგი ყოფილიყო ქვეყანა, სადაც ფერადკანიანს ხშირად კაფეში ან პარკში შესვლა ეკრძალებოდა. კარგი ყოფილიყო ქვეყანა, სადაც არსებობდა კუ-კლუქს-კლანი.

უცხოტომელებისადმი დამოკიდებულება ამჟამადაც მარტივი მაქვს – საკმარისია მათგან სულ პატარა პატივისცემა ვიგრძნო ჩემი ერის, ჩემი სამშობლოსადმი – შაქრად ვდნები.

ჩემს ოჯახში ყველა ასე იყო.

იყო მეთქი ვამბობ, რადგან ეჭვი მაქვს– ჩემი ხუთი წლის შვილიშვილი, ადრე უკეთილესი ბავშვი, შეიძლება რასისტად ჩამოყალიბდეს – ან უკვე არის კიდეც! შავკანიანის დანახვაზე ყოველთვის ხელს მკიდებს და ამბობს „ცუდი“.

წელიწადნახევრის წინ „ისთ ფოინტში“ გავასერნე. ბატუტზე მოინდომა ხტუნვა. ჯერ ვერ ახერხებდა – ვარდებოდა. სულ ცოტა ხანში აუღო ალღო. მოეწონა, სიხარულისგან ჭყლოპინებდა.

ახალი დაწყებული ჰქონდა, რომ სამი შავკანიანი მოვიდა. ერთი დიდი, ორი პატარა. პატარები აცვივდნენ ბატუტზე, მიაგდეს ბავშვი გვერდზე და დაიწყეს ხტუნვა. საცოდავად გამომხედა, ჩემი დახმარების იმედი ჰქონდა. ვცადე მათი მხლებელისთვის მიმეთითებინა, მაგრამ ისეთი აგრესია მივიღე გაუგებარ ენაზე, მივხვდი არ შეიძლებოდა მისი აყოლა. ზედამხედველმა ეს სცენა დაინახა. მოვიდა, მომიბოდიშა და თქვა:

– ამათი შარის თავი არ მაქვს– რასისტად გამომაცხადებენ! ძალიან გთხოვთ მოითმინეთ, ცოტა ხანში სხვა ბატუტი გათავისუფ-

ლდება. ვუთხარი ეს შვილიშვილს .

ბავშვი გაოგნებული იყო , შეშინებულიც – ნეტავ ვინ იყვნენ ეს პატარა, სხვანაირი არსებები, რომ დიდი ძია ზედამხედველიც შეაშინეს და დედამიწის ზურგზე ყველაზე უშიშარი პაპაც. მომკიდა ხელი, თქვა „ცუდი“ და იქიდან საერთოდ წამოსვლა მთხოვა.

მას შემდეგ ვცდილობ ეს ავი სიზმარი წავშალო მისი გონებიდან. ფილმებიც მოვიშველიე. ლამაზ სურათებსაც ვიყენებ. ვიგონებ სხვადასხვა ამბებს კეთილ შავკანიანებზე. ბოლო ხანებში სიტყვა ცუდს აღარ ამბობს – ავუკრძლე. მაგრამ, მათ დანახვაზე ხელს ყოველთვის მკიდებს

მეგობარ ფსიქილოგთანაც მყავდა.

ვერაფერმა გაჭრა. ერთი იმედიღა დამრჩა – იქნებ, კითხვას რომ ისწავლის, „ბიძია თომას ქოხი“ დამეხმაროს მის განკურნებაში“.

არაფერი მითქვამს. იმაზე მეტი გავიგე, ვიდრე მას შეიძლებოდა წარმოედგინა. ზუსტად ამ ასაკში ხომ მეც წამართვეს ჩემი გმირი. წამართვეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კეთილშობილების გამო არ დასაჯა უღირსი ადამიანები. რა მივიღე? ისინი მომავალში უარესები გახდნენ, მე კი მთელი ცხოვრება შურისმაძიებელი ვიყავი. სიზმრებში და ოცნებებში დღემდე ვსჯი მათ!

წუხდა. ეჭვი ჰქონდა – მაშინ რომ არ დამეთმო, იქნებ ეს არ მომხდარიყოო.

– მაგრამ, რა ვქნა – არ შემიძლია სტუმარს სხვანაირად მოვექცე!

მაშინ, მე ჩემი მარტივი ფორმულა გავუზიარე:

– სტუმარს უნდა მოექცე როგორც სტუმარს, თუ სტუმარი იქცევა როგორც სტუმარი.

არაფერი უთქვამს. შეიძლება გულში დამეთანხმა კიდეც.

უცხოები აღარსად ჩანდნენ .

ბიჭები ისევ ერთად თამაშობდნენ, ოღონდ ამჯერად ველოსიპედზე მისი იჯდა, ჩემი კი ეხმარებოდა.

რვეულში ჩარჩენილი სიყვარული

გახსოვთ მეგობარზე რომ გიყვებოდით? მაღმერთებს მეთქი და ორკაციან სუფრაზე, სადაც თამადა ყოველთვის ის არის, მე კი მოადგილე, გიჟების სადღეგრძელოს მუდამ ჩემს მაგალითზე სვამს.

ჩემი კოლეგაა. კაცმა რომ თქვას, იმ თვისებების მიხედვით, რის გამოც გიჟს მეძახდა, ის უარესი გიჟია. ჩემზე მკაცრი, ჩემზე შეუ-

ვალი. მე თუ მხოლოდ ადგილობრივ უწესო კაცებს ვეძიძგილე-ბოდი – მას მთელი კაცობრიობის თხლესთან უნდოდა ომი.

პირადი სივრცე თითქმის დახურული ჰქონდა. ვგრძნობ, ამჯერად რაღაც მოაწვა. ცდილობს, მაგრამ ვეღარ აკავებს.

არ ჩავეძიე.

ცოტა ხანში თვითონვე ალაპარაკდა..

– გუშინ ერთ ჩემს ყოფილ სტუდენტს ვესაუბრე ტელეფონით. – დაიწყო ნაძალადევი მხიარული ხმით.

– დიდი ამბავი, ჩემს ყოფილ სტუდენტებს ყოველდღე ვესაუ-ბრები.

– გაჩუმდი, თორემ სხვა დროს ვეღარ მოვყვები.

გავჩუმდი. დიდი ხნით გავჩუმდი.

„– ეს ამბავი 30 წლის წინ მოხდა.

სტუდენტების საკონტროლო წერის რვეულებს ვასწორებდი. გვარისთვის არც დამიხედავს, ისე ავიღე ხელში.

რვეულიდან პატარა ფურცელი გადმოვარდა. შემეცოდა, მეგონა „შპარგალკა“ დარჩენოდა რვეულში. დავხედე – წერილია, უფრო ზუსტად – ლექსი, დამაინტრიგებელი სათაურით „ნუთუ უიმე-დოდ დავაგვიანე?“ სულ პატარაა, სამსტროფიანი, ლამაზი და სევ-დიანი. ზუსტად სათაურის შესატყვისი.

აშკარა იყო, მე მეძღვნებოდა.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნატალიას შემოქ-მედებაა. ზედმეტად თამამი, სულ მოკისკისე, ბუნების ლაღი შვი-ლი, რომლისთვისაც არ არსებობდა არავითარი ბარიერი. სტუდენ-ტებს ჩემი შიშით აკანკალებდათ, მან კი ჯგუფში ხმამაღლა გა-მომიცხადა – თქვენ მესამე მასწავლებელი ხართ, ვიზეც შეყვარე-ბული ვარო. სტანდარტული საზომებით მგონი მთლად კარგად მყოფად ვერ ჩაითვლებოდა.

ვფიქრობ, ეს მისი მირიგი ტრიუკია. მაგრამ, იმასაც ვფიქრობ, რომ ასეთი საქციელი უკვე დასაშვები იუმორის ფარგლებს სცდება და საჭიროა მას დროულად ავუხსნა ეს. მთავარია, ხვალინდელი დღე მალე გათენდეს. შევხედე რვეულის ყდას.

ელდა მეცა.

ყველაფერს წარმოვიდგენდი, ამას – ვერა. ყდაზე ეწერა – ეკა-ტერინე კორინთელი (მომიბოდიშა, რომ ნამდვილ გვარსა და სა-ხელს არ ამბობდა).

ეკატერინე?! ჩემი ყველაზე გამორჩეული სტუდენტი. ყველაზე წყნარი, ყველაზე მორიდებული, შეხედვაზეც კი რომ წითლდებო-

და, ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე ლამაზიც. ნამდვილი ქართული სილამაზე ჰქონდა, სულ ოდნავ აღმოსავლური ხიბლი გადაჰკრავდა – იდუმალებას რომ მატებს ადამიანს, ისეთი.

მეხის დაცემასავით იყო!

აქ ყოველგვარი ხუმრობა გამორიცხულია. ახლაღა გამახსენდა რამდენიმე დეტალი, რომლისთვისაც ადრე ყურაღება არ მიმიქცევია. ან რატომ მივაქცევდი?! ვერ ვიჯერებ, რომ მას იმის სითამამე ეყო, ჩემთვის ეს წერილი გამოეგზავნა.

უფრო ჩარჩენილი მგონია.

– იცი შენ, აუდიტორიაში პედაგოგად ძალიან ახალგაზრდა შევედი. ჩემსა და სტუდენტებს შორის უმნიშვნელო ასაკობრივი სხვაობა იყო. თანატოლი სტუდენტებიც მყოლია.

შეიძლება გარედან სასაცილოდაც კი ჩანდა, მაგრამ პირველივე დღიდან სტუდენტებს ვუყურებდი როგორც შვილებს, მიუხედავად იმისა, რომ შვილები ჯერ არ მყავდა. ვუყურებდი როგორც მკაცრი, გულში მოსიყვარულე მამა, რომელიც ფიქრობს, რომ მამა შვილს ძილში უნდა მოეფეროს მხოლოდ. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არსებული საზღვრის გადალახვა კი არა, შეხებაც დაუშვებელია. მასწავლებელი პირველ რიგში ზნეობრივი მოძღვარი უნდა იყოს.

მწამს, რომ ოსტატისა და შეგირდის სიყვარული ეს განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც თავისი ამაღლებულობით არც ერთ სხვას არ ჩამოუვარდება, მაგარამ მასზე რატომღაც არ წერენ, არ მღერიან, არ ტირიან. მის გამო არ ოხრავენ.

დაბნეული ვუყურებ რვეულის ყდას და ვფიქრობ – ახლა რა წყალში ჩავვარდე?

როგორც იქნა დავიწყე ნაშრომის გასწორება.

გითხარი, ყველაზე კარგი სტუდენტი იყო მეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს აქაც ბრმა ვიყავი. ყველა ასო, ყველა სიტყვა, ყველა აზრი საგანგებო სიყვარულითაა მოჩუქურთმებული, ეტყობა იმ იმედით, იქნებ ასე მაინც შენიშნონო.

მის ადგილას ადვილად წარმოვიდგინე თავი:

ალბათ გაგეცინება, მაგრამ უნდა გაგიმხილო აქამდე ყველასგან ნამალავი ამბავი. ოღონდ, ჩემებთან არ წამოგცდეს – შვილების ლაზღანდარობის თავი არ მაქვს!

მეხუთე კლასში უიმედოდ შემიყვარდა ქალაქიდან სოფელში გამოგზავნილი გერმანულის ახალგაზდა მასწავლებელი. ვიფიქრე მიზეზს მიხვდება მეთქი და მე, სულელმა, რუსულის სწავლას მო-

ვუკელი, ხოლო გერმანულისას მოვუმატე. მერე უფროსკლასელებს ვეჩხუბე – გაებრაზებინათ! ჩემი ბურთით თამაშობდნენ ხოლმე და ორი კვირა აღარ ვათხოვე. ეს ყველაფერი გაიგო გერმანულის მასწავლებელმა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

ახალი გათხოვილი იყო.

ოი, როგორ მძულდა მისი ქმარი! ასეთი ლამაზი მარტოდმარტო რომ გამოუშვა ამ სიშორეზე ! ერთხელ მოვკარი თვალი – სკოლაში იყო მოსული. ცოტა გულს მომეშვა – ცოლის შესაფერისი ვაჟკაცი ჩანდა.

მთელი ორი წელი ვატარე ჩემი პირველი „გერმანული სიყვარული“. მერე წამოვედი იმ სკოლიდან და შევხვდი მეორეს – საბოლოოს.

მაგრამ ახლა მეხუთე კლასი არ იყო. ეკატერინე სტუდენტი იყო, მერე როგორი! თანაც უკვე წაკითხული მქონდა პატარა ლამაზი მოთხრობა გაწბილებულ სიყვარულზე – „ვაშლის ყვავილი“, რომელმაც თავის დროზე უზარმაზარი გავლენა იქონია ჩემზე.

მეორე დღეს საკონტროლოს შედეგების განხილვა გვაქვს.

გოგონას ადამიანის ფერი არ აქვს. უსასრულობაში იყურება, ალბათ ნანობს. შეიძლება პატარა იმედიც აქვს – იქნებ არ მინახავს წერილი.

უკვე ვიცი რაც უნდა გავაკეთო.

მართალია მისი ნაშრომი მთელი თავით აღემატებოდა დანარჩენებისას, მაგრამ მე არ გამოვყავი, მხოლოდ ერთ-ერთ საუკეთესოდ მოვიხსენიე. შემდეგ, როგორც ადრე, ჩვეულებრივ გამოვიყვანე დაფასთან – ამოცანა გავაკეთებინე. ღელავდა, მაგრამ ჩემი თანადგომით მაინც გაართვა თავი. ერთი სიტყვით გამომივიდა – გოგონამ ნახა, რომ ჩვენს ურთიერთობაში მისხალი არაფერი შეცვლილა. დარწმუნდა, რომ მე წერილი არ მინახავს. ცოტა ფერი მოუვიდა.

ასე გაგრძელდა მთელი სემესტრი. ერთია, ვატყობ, რომ ვფრთხილობ და უნებლიედ ცოტა უფრო ფაქიზად ვექცევი, ვიდრე ადრე. მის თვალებშიც უფრო გაზრდილ მოწიწებას ვხედავ.

მხოლოდ საბოლოო გამოცდაზე შეეპარა ეჭვი.

მისი პასუხი, როგორც ველოდი, ბრწყინვალე იყო. ღიმილით ვუმზერდი მის ნათელ სახეს და ვტკბებოდი უზადო მსჯელობით. დაამთავრა. შეფასება უნდა დავსვა. ვეუბნები:

– ეკატერინე, ერთ რამეზე მწყდება გული მხოლოდ.

მზერა ასწია და უხმოდ მკითხა:

– რაზე მასწავლებელო?

– ჩემი შვილი რომ არ ხართ.

– თქვენი შვილი?

– ჰო, ჩემი შვილი რომ იყოთ მაგ ჭკვიან შუბლზე გაკოცებდით ასეთი კარგი პასუხისთვის – ვუთხარი ოდნავ ღიმილით.

მომეჩვენა, რომ შეკრთა. ეჭვმა გაჰკრა.

მას შემდეგ სტუდენტებისაგან კიდევ არაერთი წერილი მიმიღია. ზოგი პირადად, ზოგი ფოსტით, სამსახურში კარქვეშ შემოცურებული – ხელმოუწერელი, ზოგი ლექსად, ზოგი ბავშვურად გულუბრყვილო. ყოველთვის მწერდნენ ისეთი სტუდენტები, რომლებსაც უკვე აღარ ვასწავლიდი. მწერდნენ როგორც მასწავლებელს. წერილებში მხოლოდ მასწავლებელისადმი გამოხატული მადლიერება იყო და სხვა არაფერი.

ასეც უნდა ყოფილიყო.

ის ერთი გამონაკლისი შემთხვევა დიდხანს მითბობდა სულს და ცოტა სევდასაც მგვრიდა.

ამ სემესტრში სოციალურ ქსელში ცოტა ვიაქტიურე,– შენსავით არა, მაგრამ მაინც

გუშინ, ვხედავ, მეგობრობის მოთხოვნაა – ეკატერინე კორინთელი!

გადავამოწმე – ის არის!

მშვენიერი ქალბატონი დამდგარა, აშკარად ბედნიერი ოჯახით – სხვანაირად არც იქნებოდა სამართლიანი. უზომოდ გამიხარდა. ჩემს წერილებზე გამოხმაურობებს რომ ჩავყევი, გამიკვირდა, აქამდე როგორ არ მივაქციე ყურადღება – თითქმის ყველა მათგანი წაუკითხავს თურმე.

წარსულში დავბრუნდი.

ყველაფერი პირვანდელი სახით აღსდგა. რა თქმა უნდა მეგობრობის დასტური მაშინვე მივეცი. ისიც მაშინვე შეუდგა პირადში წერილის წერას. დიდხანს გაგრძელდა. პაუზებით წერს – ეტყობა წვალობს, დაწერს – წაშლის.

როგორც იქნა მოვიდა წერილი.

განსაკუთრებული არაფერი, სოციალურ ქსელში ჩემი აღმოჩენის გამო ცოტა გაკვირვებასა და სიხარულს გამოხატავდა. მერეც ასევე სტანდარტული ფრაზა იყო – მე თქვენი ყოფილი სტუდენტი ვარ, გახსოვართ თუ არაო.

– რა თქმა უნდა მახსოვხართ – დავუსახელე აუდიტორია და მერხიც, სადაც იჯდა ხოლმე.

გაუხარდა.

ბატონო კახაბერ, შეიძლება ტელეფონზე დაგირეკოთ?

– ცხადია! – მივეცი ნომერი.

– ბატონო კახაბერ, 30 წელია ერთი კითხვა მაწვალებს. ძალიან მერიდება, მაგრამ უნდა გკითხოთ.

– როგორც ადრე, ახლაც ყურადღებით გისმენთ, ქალბატონო ეკატერინე! – მსუბუქად შევეხუმრე მე.

– ის წერილი მართლა არ წაგიკითხავთ?

უკვე საშიში აღარაფერი იყო და ნიღაბი ჩამოვიხსენი:

– რომელი წერილი, „ნუთუ უიმედოდ დავაგვიანე?“

ყურმილში მსუბუქი შეკივლების ხმა გავიგონე. ალბათ გაოცებისა იყო – სათაურიც რომ მახსოვდა.

პაუზის შემდეგ ჩურჩული ისმის:

– ხომ არ მიბრაზდებით? პატარა გოგო ვიყავი...

– მაშინ მეც უნდა გამიბრაზდეთ.

– თქვენ რატომ? – გაუკვირდა.

– იმიტომ, რომ მარტო თქვენ კი არა, მეც მიყვარდა. ოღონდ მე იმ სტუდენტი გოგონას სიყვარული მიყვარდა.

ამჯერად ცრემლნარევმა ხმამ მიპასუხა:

– გმადლობთ მასწავლებელო!“

პირველად შევიტანე ეჭვი მეგობრის სიტყვებში – მართლა მხოლოდ სიყვარული უყვარდა?

რა თქმა უნდა, არაფერი ვკითხე.

ღირს, ნამდვილად ღირს

მინდა შევეხო ორ, ერთმანეთთან კავშირში მყოფ საკითხს.

ცოტა შორიდან მომიმწევს დაწყება.

უნივერსიტეტში ტაქსით მომიხდა წასვლა. მძღოლი ენაწყლიანი აღმოჩნდა. სასაუბრო თემის შერჩევა არ გაუჭირდა: – „გაუნათლებელი, გაუზრდელი, უმადური ახლანდელი თაობა, რომელმაც არც უფროსი იცის და არც უმცროსი“.

შევატყე, ცოტა გაწბილებული დარჩა, რადგან ჩემი სახით თანამოაზრე ვერ იპოვა.

მძღოლის სიტყვები ჩემთვის, რა თქმა უნდა, ახალი არ ყოფილა. ვფიქრობ, ეს არის „უარყოფითადკონსერვატორკაცთა“ იდეოლოგია, რომელიც, ასე მგონია, ადამიანთა მოდგმის მეორე თაობის

გაჩენასთან ერთად გაჩნდა. მიუხედავად ამისა, მაინც ამეკვიატა საუბრის დასაწყისში მის მიერ ნათქვამი ფრაზა:– „და თქვენ ამათ 40 წელია უძლებთ?!“ ამაზე ფიქრისას, მოგვიანებით, „აღმოვაჩინე“, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე არ შემხვედრია ახალგაზრდა, რომელსაც სურდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება მასწავლებლად გახდომის მიზნით.

ავფორიაქდი, უფრო მეტიც, მგონი ცოტა შემეშინდა კიდეც. ვფიქრობ, ის ფაქტი რომ, ერთ-ერთი ყველაზე საჭირო, კეთილშობილური და მიმზიდველი პროფესია ქვეყანაში ესოდენ არაპრესტიჟულია, რბილად რომ ვთქვათ, მეტად შემაშფოთებელია.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემას ღრმა საზოგადოებრივი, სახელმწიფობრივი, მატერიალური და სულიერი, ობიექტური თუ სუბიექტული მიზეზები აქვს, მაგრამ, მგონი, აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მენტალური პრობლემაც. კერძოდ, არასწორი წარმოდგენა, მაგალითად, სტუდენტობაზე, მასწავლებლის პროფესიაზე.

ჩემი ახლანდელი და ყოფილი სტუდენტების რაოდენობამ დიდი ხანია გადააჭარბა 8 ათასს. რა თქმა უნდა მათ შორის იყვნენ ზარმაცებიც, იყვნენ ისეთებიც, უკანონო და მიუღებელი ხერხებით რომ ცდილობდნენ ნიშნებისა და დიპლომის მოპოვებას. არცთუ ცოტა იყო ისეთი, რომელიც უბრალოდ არ აღმოჩნდა მისი უნარის ან მისწრაფების შესაფერის ადგილას. მაგრამ, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ სტუდენტების დიდი უმრავლესობა იყო და არის განათლებული, თავაზიანი, სამართლიანი, ქვეყნის ბედსა და მომავალზე დაფიქრებული ღირსეული მოქალაქე. ბევრმა მათგანმა ამ სიტყვების ჭეშმარიტება არაერთგზის დაამტკიცა აქაც და უცხოეთშიც.

გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც ზემოთხსენებული დიალოგის დასასრულს ვუთხარი თანამოსაუბრეს– „პირიქით, მე მიკვირს საიდან მოდიან ასეთი კარგი ახალგაზრდები იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს, საზოგადოებას, სკოლას, ოჯახს არ სცალია მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისთვის".

დღეს თითოეული ამ ინსტიტუტთაგანი ხომ გადარჩენისთვის იბრძვის?!

ქვემოთმოყვანილი წერილი მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავიდან, რომელიც გამოდგება აქ მოყვანილი პოზიციის გასამყარებლად, ეს წერილი იმის დამადასტურებელი მაგალითიცაა, რომ მასწავლებლის პროფესია რთული, მაგრამ უმშვენერიესი პროფესიაა.

საუბარია ყოფილი სტუდენტის მიერ ყოფილი ლექტორისადმი მიწერილ წერილზე:

"ჩვენთვის ყველაზე გამორჩეულო, დაუვიწყარო და უაღრესად პატივსაცემო პროფესორო!

გილოცავთ ამ არაჩვეულებრივ დღეს – თქვენს დაბადების დღეს! გისურვებთ ყველაფერ ამაღლებულს, ნამდვილს, ლამაზს და მშვენიერს, ყველა სიკეთეს, რაც ამქვეყნად არის! გულით მინდა, გისურვოთ სიხარულით და ბედნიერებით სავსე მზიანი ცხოვრება თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად! გისურვებთ უფლის წყალობას უხვს, სულიერ სიძლიერეს და მხნეობას. ასევე გისურვებთ, რომ ჩვენ სრულიად გაგვემართლებინოს თქვენი იმედები და თქვენ ჩვენით გეამაყოთ! ასევე გისურვებთ ღირსეული თანამემამულეების მომრავლებას, ამ დიდ საქმეში კი მე თქვენს უშუალო დიდ წვლილს ვხედავ!

მე მინდა, გისურვოთ არამარტო თქვენ, არამედ ვუსურვო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს, თქვენი დღეგრძელობა, რათა ბევრ მათგანს მიეცეს საშუალება იყოს თქვენი სტუდენტი და ისწავლოს თქვენგან არამარტო უმაღლესი მათემატიკა, არამედ უმაღლესი ადამიანობა, ღირსება, მეგობრობა, პროფესიული თავდადება, ადამიანისა და სამშობლოს ერთგულება და სიყვარული – ყველაფერი, ის რაც მე თქვენ მასწავლეთ.

თავის დროზე მე არ გამომიხატავს და ვერც გავბედავდი, მაგრამ ახლა თავს უფლებას მივცემ და მინდა გაგიმხილოთ, თუ როგორი ძვირფასი და სამაგალითო იყავით და დღემდე ხართ თქვენ ჩემთვის!

მე მქონდა პატივი ვყოფილიყავი თქვენი სტუდენტი და არ შემერცხვინა თქვენი შეგირდობის სტატუსი. მე მქონდა ბედნიერება წარმატებით ამეთვისებინა ყველაფერი და თქვენი ყურადღება დამემსახურებინა.

მე ბედნიერი ვარ, თუ მოვახერხე და ოდნავ მაინც დაგამახსოვრეთ თავი (ისიც კი მახსოვს, ერთხელ კიბეებზე ამომავალს, როგორ მითხარით "ამოანათეო"), მე სულ მახსოვხართ, მე მახსოვს თითოეული თქვენი ლექცია! მათემატიკის გარდა მე მახსოვს თქვენი საინტერესო საუბრები, იუმორი, თქვენი პოეზია, რომელიც გაგვიზიარეთ, თქვენი მეტყველება, თქვენი სიბრძნე და მე მიმაჩნია, რომ თქვენი ლექცია არასდროს ყოფილა ჩვეულებრივი ლექცია, ეს იყო ხელოვნება.

მე მახსოვს და მიგრძვნია მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი უნიკალური მიდგომა თითოეული სტუდენტისადმი, როგორც ინდივიდისადმი. ინდივიდუალური, ამასთან განურჩეველი და სამართლიანი დამოკიდებულება თითოეული ჩვენგამისადმი. ჩემს აღტაცებას იწვევს და მეტად ვაფასებ, იმას, რომ თქვენ ყოველთვის პირადად მოგვმართავდით, იმას, რომ თქვენ არასდროს იზარებდით სამახსოვრო ფოტოები გადაგეღოთ ჩვენთან ერთად და მოწიწებით შეგენახათ თქვენს მოგონებებში, შეგესწავლათ და ჩაწვდომოდით თითოეული ჩვენგანის პიროვნებას, ჩვენს სულებს, დაგეხსომათ და მოგემართათ თითოეული თქვენი სტუდენტისთვის საკუთარი სახელებით, ლაღად და მეგობრულად გაგვხუმრებოდით, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ მოგეცათ ჩვენთვის სიზარმაცის და უცოდინრობის უფლება, ჩვენზე გეზრუნათ, პატივისცემით მოგვპყრობოდით და ჩვეულებრივ სტუდენტზე მეტად გვეგრძნო თავი.

მე ახლა გერმანიაში ვარ, სტიპენდია მოვიპოვე და აქ მაგისტრატურის სრულ 2 წლიან პროგრამაზე ვსწავლობ. აქ კიდევ ერთხელ გავაცნობიერე, რომ თქვენს მტკიცე ხასიათს, მომთხოვნ და წესრიგის, დისციპლინისაკენ მოწოდებულ დამოკიდებულაბას, თქვენს მონდომებას, თქვენს პიროვნებას რამდენი რამ უსწავლებია ჩემთვის, რამხელა ცოდნა დამიგროვებია, რა საუნჯე დამიგროვებია და წამომიღია საგზლად და რამხელა წვლილი შეგიტანიათ ზოგადად ჩემი, როგორც ინდივიდის ჩამოყალიბებაში.

თქვენი ძლიერი ხასიათი, სამართლიანობა, მებრძოლი სული და პრინციპულობა მისაბაძია ჩემთვის. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თქვენი პიროვნება ღირსეული ადამიანის სიმბოლოა ჩემთვის.

თქვენ იყავით შეუვალი, მკაცრი, თუმცა შეუდარებლად მოსიყვარულე. თქვენ ყოველთვის მაქსიმალურად იხარჯებოდით და უძღვნიდით თავს სტუდენტებს, მათ მომავალს, რადგან ყოველთვის გჯეროდათ ჩვენი. თქვენ იყავით ჩვენი მეგობარი. არც არის გასაკვირი, რომ მე ვუერთდები თქვენით აღტაცებული და მადლიერი სტუდენტების თაობების მთელ რიგს, რომელთა ღრმა პატივისცემა და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეთ.

არ მომზეზრდება მადლობა გადაგიხადოთ ყველაფერისთვის, რაც თქვენ მასწავლეთ ან რაც მე თვითონ დავინახე, თუმცა ისევ თქვენი წყალობით.

მე მინდა თქვენ გისურვოთ ჯანმთელობა და დღეგრძელობა,

რათა დიდხანს მხნედ და ერთგულად ემსახუროთ საქართველოს უნივერსიტეტს და საქართველოს მომავალ თაობას.

დიდი პატივისცემითა და გულწრფელი სიყვარულით,

მარიამ კახიძე

05.01.2014"

***

ალბათ მართებული იქნებოდა საპასუხო წერილის მოტანაც, რომელიც არ არის ამ ვრცელი, სანიმუშო წერილის შესატყვისი, მაგრამ მოსწავლისა და მასწავლებლის დამოკიდებულებას, ვფიქრობ, მაინც გამოხატავს.

"მარიამ!

დიდი მადლობა დაბადების დღის მოლოცვისა და ასეთი თბილი წერილისთვის.

მე ყოველთვის მქონდა ეჭვი, რომ თქვენი თავშეკავებული და ოდნავ, იდუმალად მომღიმარი პიროვნების მიღმა მგრძნობიარე, ფაქიზი სულის ადამიანი იმალებოდა.

დღეს ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი.

მჯერა, რომ გერმანიაშიც ისეთივე წარმატებული და გამორჩეული იქნებით, როგორიც იყავით აქ.

მუდამ თქვენი გულშემატკივარი"

***

ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა ახლობელმა მითხრა:– ასეთი წერილები უმაღლესში ჩაბარებამდე რომ წამეკითხა, ალბათ გადაწყვეტილებას შევცვლიდი და პედაგოგის სპეციალობას ავირჩევდიო.

იქნებ მომავალში მაინც შეცვალოს ვინმემ გადაწყვეტილება!

ლექსები

სინდისო შე უსინდისო

წადი დამეხსენ სინდისო,
სულ თან რას დამდევ კუდშია?!
სად გაგონილა მარადჟამს,
კაცს თავი ჰქონდეს ქუდშია?!

ამომასუნქე ხანდახან,
რას მომეწებე სულშია,
ტყუილი მეც მათქმევინე,
ბორკილი ამხსენ გულშია.

მიმიშვი მეც გავერიო
უნამუსოთა გუნდშია,
კაცსა რომ დავაღალატებ –
არ ვაგდო აინუშშია.

როდემდე ვიყო ამ მგლებში
უტვინო ბაიყუშია,
თვალის მოხუჭვა მაცალე,
ნუ მახრჩობ საყვედურშია –

"აბა შენ იცი არ შეცდე!" –
სულ ნუ ჩამჩხავი ყურშია,
ბევრი აშენდა უშენოდ,
მე კიდევ ვზივარ ჭურშია
(გგონია მე ვერ ვიცურებ
ქონებასა და ფულშია?).

პატარა მეც დამასვენე,
რამდენ ხანს ვეგდო ხნულშია,
ხანდახან გავინავარდო,
გავმართო ტაში-ტუშია.

ჩამოვჯდე მოზრდილ სკამზედა,
ოქრო-ვერცხლ ვზიდო ზურგშია,
ამბობენ სულ სხვა გემოა
აკრძალულ-მოპარულშია.

მომშორდი მეთქი – შენ გითხარ,
ნუ მომდევ ნაფეხურშია!
(ხმას აღარ იღებ? გაყუჩდი?
ჩაეფალ სინანულშია?!)
* * *
მართლა წასულა ოხერი!
ვერ მოველ ბაიბურშია,
ალბათ იმიტომ გავმხეცდი,
შევტოპე უკაცურშია.

ახლავე უკან დაბრუნდი!
გინდა მაცხოვრო ფურთხშია?!
ცოტა თუ დააგვიანე,
ეშმა მიპოვის მრუშია!
* * *
გეხუმრე შე უსინდისო –
ვარ ცოტა გადაკრულშია!

ნუ დააბრალებთ ჯორდანო ბრუნოს !

უტეხი რომ ვარ, ვის დავაბრალო?
არავინ იცით
ეს რომ მიამბოს?
იქნებ ქეთევანს, იქნებ შუშანიკს
ან რწმენისათვის
დაფერფლილ აბოს?

ხალხის ღალატი რად ვერ ვისწავლე –
ვინ გეგულებათ
ამ ამბის მცოდნე?
მიზეზი თუა მღვდელი თევდორე
ანდა სულმნათი
ვაჟკაცი ცოტნე?

არ მყავს ძმაკაცი და ამხანაგი,
მყავს მეგობარი –
ნაღდი და ცოტა,

ამაში მაინც ვინ სტყუის ნეტავ?
იქნებ მე თვითონ
ან იქნებ შოთა?

უსამართლობას რომ ვერ შევეკარ
წეღან ვიღაცამ
დათა ახსენა,
რა ვიცი აბა, იქნება მართლა
ან იქნებ სულაც
ბიჭი არსენა!

ვიცი რომ ფიქრობთ, რად ვარ პირქუში,
სიტყვებიც ზოგჯერ
არ მაქვს ტკბილია!
მაშ გაიხსენეთ გოროზი ქვრივი
ან თუნდაც თვითონ
დიდი ილია.

თუკი ვინანებ, რაღად ვაკეთებ?
მგონი ვერ ხვდებით,
თუმცა ხართ ბევრი!
კარგად დაფიქრდით და მოიგონეთ
მეფე დავითი
ან ხევისბერი.

ვამბობ, განვსაჯოთ მხოლოდ ღირსებით,
რა შუაშია
ვისი შვილია!
იქნებ მიზეზი ეს ჩვენებური –
დღეს დაგმობილი
ჯუღაშვილია?

ორგულს და ხორცმეტს ვერ ვეგუები,
იცით რა არის
ამის საბაბი?
ალბათ ის არის, რომ დღესაც ბევრი
გვყავს შადიმანი
და ლუარსაბი!

ხშირად რომ მიჭირს მაგრამ არ ვმრუდობ –
მიკვირს რომ უკვირს
ზოგიერთ ვინმეს,
ნუთუ არ იცნობს ან ცრუ თაყვანს სცემს
განძის მფლობელ და
მშიერ ექვთიმეს?

არა ვჩერდები, თუმცა კი ბევრი
უთანასწორო
გადამხდა ომი,
ალბათ იმიტომ, რომ შემომყურებს
პატარა კახი –
მოხუცი ლომი.

ზოგჯერ მეტყვიან – ცოტანი რომ ვართ,
რატომ არ ფიქრობ
მარცხი რა გველის?
მიტომ ხომ არა, რომ მესმის მუდამ
მხოლოდ სამასის
ხმა არაგველის!?

მეუბნებიან – თუნდ გაიმარჯვო,
მაინც ფუჭია
ბრძოლა ყოველი,
დიაღაც ვიცი – მკლავი მას მოჭრეს,
ვინაც ააგო
სვეტიცხოველი!

ქედს არ მოვიხრი, გზას არ შევიცვლი,
თუგინდაც ბედმა
უფრო მაბრუნოს,
ჯანდაბას, გეტყვით ამ საიდუმლოს –
ნუღარ აბრალებთ
ჯორდანო ბრუნოს:

გზა არის თუმცა ძნელად სავალი –
წინაპარია
წინ მიმავალი,

ამ მიწით მოველ, ამ ზეცით ვსუნთქავ,
წუთისოფლისა
მეცა მაქვს ვალი!

მაგრამ ისაა უფრო მთავარი,
ჩემს უკან მოდის
კიდევ მრავალი –
მოდის გიორგი, ნინო, თამარი –
იმედი ქვეყნის
და მომავალის.

ნეტავი კიდევ მაჩვენა

ნეტავი კიდევ მაჩვენა
აკვანი ჩემი ტირძნისში,
მტირალი ძნები ობოლი –
თავშენახული სინდისით.

ჩემი კარბი და მერეთი,
კარალეთს იქით ტყვიავი,
ბაღში მსუქანი ვაშლები,
შავთვალწარბება ქლიავი.

ლოყაწითელი კეხურა,
გზად მარანა და ქიწნისი,
გადაპენტილი შინდები,
ძევერას ახლოს – შინდისი.

მთის ფერდზე დიდი ერედვი,
ჩაფიქრებული სიონი,
თეთრთავა უნაგირა მთა –
აღზრდილი კავკასიონის!

ნეტავი კიდევ მაჩვენა
ბროლიას თვალის ბრიალი,
შავი ბოჩოლას კუნტრუში,
ჭარმაგი ჭიშკრის ჭრიალი.

მშვიდად მცოხნავი კამეჩი,
უღელშეხსნილი ნიკორა,
ტანჯული ურმისთვალი და
იქვე მთვლემარე ტიკჭორა.

ფანჯრის რაფაზე ბეღურა,
ბებოს ქოშები ცალ-ცალი!
მერცხლის ბუდეში ბარტყები,
ამბარში ხორბლის მარცვალი.

ცაში არწივის ლივლივი,
ამღერებული ბულბული,
ბაღში შაშვების გალობა,
ბიჭი ჯიბეში შურდულით.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
დამწიფებული თავთავი,
შეშინებული ყვინჩილა ,
გულადი ლეკვის წკავწკავი.

ალიონს მამლის ყივილი,
რუში მცურავი ჭუჭული,
დაბერებული ჭადრები,
ვერხვების მორცხვი ჩურჩული.

რქადაგრეხილი ჭედილა,
თავაწყვეტილი ლიახვი,
დეზები მამლაყინწების,
დედლების კრიახ-კრიახი.

ლიახვისპირა ჭალები,
ნარწყავი მიწა დამბალი,
დამბალ მიწაზე ტირიფი,
ტირიფთან ბალი დაბალი.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
ფუღურო – სახლი ფუტკრების,
შეყვარებული თუთის ხე,
ზედ თითისტოლა თუთებით.

ძველი სკოლა და ბავშვები,
ჩამქრალი ნავთის ღუმელი,
კედელთან მწვანე მერხი და
ჯორკო გადაჭრილ კუნელის.

ბიჭები სკოლის ეზოში,
ბურთი და მინის ზრიალი,
გაბრაზებული დარაჯი –
ყურის ბიბილოს ტრიალი.

უბეგაბერილ ბალღები,
შუშანას შუშა კიტრებით,
ხრაშუნა ქორფა ალუჩა,
ალუბლის თოთო კვირტები

ნეტავი კიდევ მაჩვენა
კალო, კევრი და ხელურა,
ლიახვისგაღმა დედულეთს
ნაღდი მოლხენა – გლეხურად.

თონეს ჩაკიდულ ბებია
და ცხელი დედას პურები,
გულღია მასპინძელი და
დარბაისელი სტუმრები.

გადმოგდებული ორომი,
მოკბეჩილ ქადა სამარხვო,
მოგონილ ბრაზით ნათქვამი
– ჩემმა თვალებმა არ გნახოს!

ნათესავების ფერება,
ბიძა და ბევრი დეიდა,
ულვაში ხოსრო პაპასი –
ღირსეულ მზერით კედლიდან.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
ღუმელში წიფლის ტკაცუნი,
შემწვარი გოგრის სუნი და
მთვრალი გოგიას ბრაცუნი.

მეზობლის ეზოს გნიასი,
სულ ჩემი კბილა ბიჭებით,
გაუმაძღარი მორევი,
კაცების – „რას იღრიჭებით!“

საბძელში თივის საწოლი
და კვალი ჩემი ნაწოლის,
ელვა, ჭექა და ქუხილი,
ხმა სადღაც მეხის გასროლის.

საჭიდაოზე ზურნის ხმა,
ყიჟინა, დოლის ბრახუნი,
კურდღლის ყურები ბოსტანში,
მძაფრი სურნელი ტარხუნის.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
შებინდებისას ნახირი,
დამძიმებული ჯიქნებით,
– საით შე სამგლევ ?! – ძახილით.

ხალით ნაცემი კაკლის ხე,
ნაბერტყი კაკლის ჩხრიალი,
ფერდშენგრეული წისქვილის
დოლაბის კოჭლი ტრიალი.

რტომოტეხილი ჭერამი,
„ხომ გითხარ – ხელი არ ახლო“,
მათიკო ძალოს ქოქოლა –
– მოიცა! უნდა დაგმარხო!

ღამით ძაღლების ყავყავი,
წყალზე ბაყაყის ყიყინი,
კაკალზე ჭოტის კივილი,
კაცი ურმულის ღიღინით.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
საღამოსპირის ნიავი,
ოქტომბრის ოქროსფერები,
ნაზი მზე თეთრი იანვრის.

ბაკუნა ციკნის კიკინი,
ჭურში ჩაყრილი ჭანჭური,
ბუხრიდან თეთრი კვამლი და
კაუჭზე ლორი რაჭული.

დაყვითლებული კომშები,
სურნელოვანი – არ გახრჩობს,
მინდორში ბევრი გვირილა
და შიგა და შიგ ყაყაჩო.

ყურძნის მტევანი, აკიდო,
გადაბღენძილი გოდორი,
გოდრებით სავსე ურემი,
ღიმილი დაღლილ ჩოჩორის.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
თრობისმომგვრელი მარანი,
ქვევრში ჩადგმული ორშიმო,
გაბრაზებული მაჭარი.

ჩურჩხელა სარზე დაბმული,
ქერქშემომხმარი თათარა,
კედელზე წალდი, ხელეჩო,
პაპის ნაქონი მათარა.

ხონჩა, ვარცლი და ასტამი,
წალმის სამწვადე კონები,
ლასტზე მძინარე ჩირები –
ჩუმად რომ დაეკონები.

იქვე ბღენძია კვახები,
ლეღვის მაცდური ჯაგანი,
ტარმორყეული ხაპი და
ჟანგმოდებული ნაგანიც.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
ხალიანა ხბო სახარე –
ხარხარით ხოცავს, ახარებს
გარს შემოხვეულ მასხარებს.

გახარბული მახარე
ახალმოსახლე ძმის ლხინით
არხგაღმა ხოდაბუნებში
ფეხმარდი ცხენის ხვიხვინი.

ახალუხშეხსნილ ხალაპრე –
ხმაჩახლეჩილი ახმახი,
მხარზე ხანდაზმულ ხირიმით
და ჩხაკაჩხუკით ჩახმახის.

ხესთან, ხუხულა ქოხმახში
სახელდახელო სამხარი–
ხამად ნახარში ხრამული
ხონჩაზე ხამსა გამხმარი.

ხალა ხირხალას მძახალის
ხახალი ახლადახალი
ნახატი სახეხვანცალა
ხახადაფჩენილ ბახალის.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
მხარზე მოხვევა ხელისა,
უბნისკაცების – "ბარაქა",
დალოცვა საწნახელისა.

ნანატრი თანაკლასელი –
სულ შეკაზმული მაყალით,
ნაბახუსევზე ბუზღუნით
და ცოტაც აყალმაყალით.

ჩაფიქრებული გლეხები –
რომ არ სჩევიათ წუწუნი,
ჯაფადაგმული თითებით
დინჯად მოხვეულ თუთუნით.

ყინულზე ციგით სრიალი,
მსუნაგი ქარი რომ გკოცნის,
კისკისი გოგონებისა,
ბიჭების ლაღი ხორხოცი.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
პირგაცვეთილი ნამგალი
ძმადშეფიცული რაინდით –
ნამუსმართალი ხანჯალით.

ხის ბოძზე ამხედრებული
ფაფარაშლილი რადიო,
ხანდახან – მონატრებული,
ზოგჯერ კი –"გეყო, კარგიო!"

სხვენში – დარბეულ თხილები,
კატა – მთვლემარე აბჯარით,
ჩასაფრებული ხაფანგი
ნიგვზიან ქამარ-ხანჯალით.

შეშადაცლილი ურემი,
დაკაცებული პატარა,
მოხუცის ცრემლით ნათქვამი
– ღმერთმა სიკეთით გატარა!

ნეტავი კიდევ მაჩვენა
არბოსკენ – მარდი კვიციო ,
– გაკვეთილები ისწავლე!
პასუხად – უკვე ვიციო!

ქანცგაწყვეტილი სირბილი,
სტადიონს გოლი – "ეს ერთი!",
ბროწლელ ბიჭებთან კამათი –
– ტირძნისია თუ ბროწლეთი?!

სახლიდან გაპარულები
სულ პატარები, მარტონი
და ტირიფონის ღრმა არხში
თვალდახუჭული ნახტომი.

ამოტლეკილი მურაბა,
ბოლოშემოჭმულ ჩურჩხელა
(ვინ არის ცელქი – მსუნაგი
ყველა რომ ხვდება უთქმელად!).

ნეტავი კიდევ მაჩვენა
ბიჭი ზამთარში მარხილით –
– არიქა, წყალი მოსულა!–
ერთურთში გადაძახილი.

მამა-შვილ ერთად ხნულშია
(ერთ რამედ რომ ღირს ყურებად!),
დიასახლისის წუხილი –
"გეყოფათ! არ გეყურებათ?!"

წიგნების სახლის ღიმილი –
– ეს ბავშვი კიდევ მოვიდა!
ქებანარევი ხუმრობა –
– მეტი აღარ გვაქვს! – შორიდან.

მასწავლებელის გაბუტვა –
–ბიჭო, ცოტა ხანს მაცალე!
მოხერხებული პასუხი
და მისი – "შენ გენაცვალე!"

ნეტავი კიდევ მაჩვენა
კაკლის ქვეშ ბავშვი ჰამაკით,
ცოლი – ქმარს დაფუძნებული,
ქმარი კი – ცოლით ამაყი.

ჩოჩქოლი კლუბის ეზოში –
ბედნიერება ნაჩუქი,
გამოპრანჭული სოფელი –
დღეს გადის "ბაში-აჩუკი"!

უცნობი ძიას დამოძღვრა –
რასა იქმ, ხომ არ ზარმაცობ?
გახსოვდეს სადაური ხარ,
არ შეგვარცხვინო ვაჟკაცო!

თვალშისხივჩამდგარ ფერია,
ნეტავი თვალი შეგევლოთ!
დაბრუნებული წიგნი და
"მადლობა მასწავლებელო!"

ნეტავი კიდევ მაჩვენა
აჭირხლებული ფანჯრები,
კუთხეში ჩემი საწოლი,
ბალიშსქვეშ წიგნი ზღაპრების.

ხრატუნა გოზინაყი და
ახალი წელის სურნელი,
აპრილის გამოღვიძება
მომნუსხავ-განუკურნელის.

ცვარ-ნამი სისხამ დილისა,
მზე – დამალული ხევშია,
წყაროს ბილიკზე – თებრონე
პატარა სურით ხელშია.

ბიძიას შვილი – დის დარი
(დღემდე რომ მაძევს ვალია)
და მისი დედინაცვალი
ქვრივი, მართალი ქალია.

ნეტავი კიდევ მაჩვენა
ჩემი პაწია მამიდა –
ძმისშვილებს გადაგებული,
მისი პრანჭია „არ მინდა“.

პირველი გავლა დაიკოს,
ტიკტიკი პატარქალური,
ჩემს წინ მცურავი ჩემი ძმის
ლაზათიანი მკლავური.

ჩემი მართალი მამილო –
ამაყი მუდმივ დღეშია,
ჩემი ლამაზი დედილო –
ჩაკონებული ყელშია.
***
შენი სამშობლო არაა,
თუკი იმ მიწამ არ გშობა,
ნეტავი კიდევ მაჩვენა
ერთი დღით ჩემი ბავშვობა!

შენს დროშას ვეამბორები!

წარსულის ძგერა ვიგრძენი,
დიდგორის სუნთქვა მომესმა,
წინაპრის მზერით მონუსხულს
ვერცა-რა დამაღონებსა !
ჩემო ტანჯულო სამშობლოვ,
გადინეს სისხლის ტბორები,
ნახანჯლარ – ნაიარევო,
შენს დროშას ვეამბორები!
ოქროს აკვანში გაზრდილო,
ვერ გიფარავდნენ გორები,
სვავთაგან ტანდაკორტნილო,
განაწამებო ქორებით!
ფხიზლად იყავი, არ შეცდე
მსტოვართა მონაჭორებით –
დახედე, მკერდზე გატყვია
ნადირთა დანატორები !
როცა არ იყავ მოღლილი
შუღლებითა და ზმორებით,
ნაზირ-ვეზირთა სტომაქის
გავსება-ამოყორებით,
ცრუ ბრძენთა ფლიდი ლაქლაქით,
ჭკვა – ბრტყელი ორატორებით,
მრუდედ ნავლები ხნულების
ნიადაგ ფარცხვა-სწორებით,
სოფელს განდგომით, მხარ-თეძოს
ნებიერ წამოგორებით, –
ტურები ვერას გაკლებდნენ
გარბოდნენ ვითარც ხბორები!
ნუ მოგიშლია იმედი
ნაოხრის გამოსწორების,
მკლავით, გულით და გონებით –
არა მოლაყბე მძორებით,
შოთას, საბას და ილიას
მუდამდღე გამეორებით!
რა თავში ვიხლი სიცოცხლეს,
კეხი თუ მადგას ჯორების,

თუ ამომშანთეს ნაბეჭდი
ღვთისმშობლის ნაამბორების.
ასჯერაც მომკლან, დამახრჩონ
სისხლის უმაძღარ მორევით,
ჰაი, ჰაი, რომ კვლავ მოვალ
ათასჯერ, განმეორებით.
ადექ, გაშალე მკლავები,
ადექ, ჩავიცვათ თორები!
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენს დროშას ვეამბორები!

მზის დაბნელება

(სეპარატისტებს)

ოდნავ შებინდდა, აგრილდა თანაც,
მზის სხივს საგრძნობლად მოაკლდა ძალა,
შეშფოთდა ჭალა, აღელდა ყანაც –
ბულბულს გალობა ვინ აუკრძალა?!
ხმები დაირხა შიშმორეული –
ცივსისხლიანი ვიღაც გრძნეული,
გადამთიელი და შორეული,
მზის ადგილს იჭერს თურმე წყეული.
ამბობენ თითქოს სულ დაბნელდება,
ნათელსა შეცვლის შავი უკუნი,
ტოროლას მღერა რომ განელდება,
ღამურა ილხენს აწ საუკუნით.
დაფრთხა კურდღელი – გარბის სოროში,
დედა აწყნარებს ბარტყებს ბუდეში:
– ყურს ნუ დაუგდებთ კურდღლის მოროშილს,
არწივებს ვხედავ, არის ნუგეში.
ბაყაყებს გააქვთ უკვე ყაყანი,
მოძღვრავს გომბეშო – მათი წამყვანი:
– გვეყო ცხოვრება მამა-პაპანის,
მზის გულზე წოლა, წყალში ტყაპანი
ხედავთ ლუკმა დევს მზამზარეული,
ამინდიც მოდის გადარეული,
მდევარი არის გზაარეული

ღამეში დადის ვით მთვარეული.
რითა ვართ ვითომ სხვაზე ჯაბანი,
ჩვენცა გვაქვს უკვე ჩვენი ანბანი,
ამ წყალში კიდევ – ფეხი ნაბანი,
წამოვახუროთ თავზე საბანი
და გავიტაცოთ ეზო და ბანი.
აიყოლია, ცეკვავენ ხორუმს,
ცალკე ითხოვენ სცენას და ფორუმს,
ქმნიან მთავრობას, ითვლიან ქვორუმს,
მაცნე აფრინეს თან ყარაყორუმს.
გამოქვაბულში ჭერზე კიდულებს
უთქვამთ – იწყება ეპოქა დიდი,
ვუჩვენებთ სეირს დღისით დიდგულებს,
რადგან სინათლე კვდება და მიდის.
დაუდგენიათ: გავფრთხილდეთ მარტო,
მაინც ქვეყანა გვრჩება ღამურებს,
მაშინ ვეახლოთ იმ გრძნეულ ბატონს,
მზეს რომ მთლიანად გააპანღურებს.
მაგრამ ნელნელა განათდა ისევ,
მზე ისევ მოჩანს და ბრწყინავს უკვე,
მიმინო ცაში აიჭრა მისებრ,
სიტყვა გაუწყდათ ეშმაკის ლუკმებს.
ვინც მოიგონა მზის დაბნელება,
უგუნურია ან ფიქრობს მცდარად –
მზე შეიძლება რომ დაიბინდოს,
დაბნელებით კი არამც და არამც.
ჩემო სამშობლოვ! გზას ხშირად გიჭრის
ხან დიდი მტერი, ხან მეტიჩარა,
შენს შუქს ჩრდილავენ და თუმცა გიჭირს,
თვით იწვებიან, შენ ცოცხლობ მარად!

მეფის ძაღლი

ის ძაღლი უყვარს მეფეს,
სხვას რომ შეუღრენს, შეჰყეფს,
მას კი ბატონო – მეფეს –
რომ დაულოკავს ტერფებს!

ის არ შეუღრენს მეფეს,
თუგინდაც ცოფი ხეთქდეს,
ელაქუცება მეფეს –
რომ მის ნასუფრალს თქვლეფდეს!

შევავედრებდი ჩემს ღმერთს,
სანამ ვარ – სისხლი ჩქეფდეს,
გული სიმართლით ფეთქდეს,
სინდისი სუფთად რეკდეს.

მაშინ, იმ ბოლო ერთ დღეს,
თუნდ თავს ჯალათი მკვეთდეს,
მადლობას ვეტყვი მე ბედს,
რომ არ ვუყვარდი მეფეს.

ნაჯახი მაბჯენს გრძელ ფეხს,
მართალთა მზერას ვერ კრებს,
სისხლის ღებულობს ელფერს,
ცალყბად უღიმის კერპებს.

დავითვლი ბოლო წვეთებს,
კუნძიც მოიწმენდს შხეფებს...
მეფის ძაღლების შემხედს
კვლავ მიჯობს ვძულდე მეფეს!

ნაკადული

უშენობა გამოვცადე,
გამიჭირდა ნაკადულო !
სად გარბიხარ? მომიცადე !
ვერა მცნობ თუ არ მკადრულობ ?!

აკისკისდი შე გულსწრაფო ?!
მოგენატრა შენც ტრფიალი?
ბაგეებით დაგეწაფო?
არც პეშვით და არც ფიალით?

რად მიწყრები შენზე მლოცველს?
ასე რატომ აფრთხიალდი?
გიჟმაჟურად რომ გაკოცე –
გამებუტე? გატრიალდი?

"იყიდება სინდისი,
ფასი – ერთი აბაზი!"

აუქციონი

(ახლო წარსულის ქრონიკა)

შევაღწიე წვალებით,
გავერიე მარაქას,
რას არ ნახავს თვალები,
რა დოვლათს და ბარაქას!
რა ბაღი და რა ყანა,
სულ სიზმარი მგონია,
ასე ტურფა ქვეყანა
ჯერ არ გამიგონია!

დახუნძლული დახლები,
(ძველებიც და ახლებიც)
მანქანებით, სახლებით,
ფაბრიკებით, ქარხნებით
(გმადლობთ, ვერ გეახლებით!)
აბა როგორ წავხდებით,
აბა როგორ გავხმებით!

ვაშლები და მარწყვები,
აქეთ-იქით ვაწყდები,
აბა როგორ წარვწყდებით,
აბა როგორ გავწყდებით!

იყიდება მიწებიც,
ხე-ტყე თავის წიწვებით,
ჩვენ კი გვერდზე მივწვებით,
(მზეზე არ დავიწვებით?).

ოჰ, რა ტკბილად ვირწევით,
ოჰ, რა მაღლა ვიწევით,
სიკვდილს დავავიწყდებით
დრო რომ მოვა მიწვევის!

იყიდება ბაზები
და ავიახაზები,
მსხმოიარე ვაზები,
ჯანმრთელები, ნაზები,
შვილებივით ნაზრდები,
მაღაზია – ბაზრები,
გუბერნია – მაზრები,
იარაღი ვაზნებით,
დუმილი და აზრები.
(არა, ჯერ ნუ ბრაზდებით!)
ყიდულობენ ყველაფერს,
ვაგონებით, ავზებით.
ბევრი ზედმეტს ყიდულობს
ამგვარი მოსაზრებით:
ზოგი ჩემი იქნება,
ზოგს წაიღებს სხვა, – ზევით.

იყიდება სკამები
რბილები და მაღლები,
პარლამენტში ადგილი,
საბაჟო და საზღვრები.
(საქმე არის ადვილი,
თან იქნებით მაძღრები!).
ერთიანად სულ მიაქვთ
ქალაქი და სოფელი,
თუკი მადა დიდი გაქვთ –
ჰა, მინისტრის პორტფელიც!

იყიდება ბოსტნები,
პოლიციის პოსტები,
ბევრია და ფასი აქვს –
მოდი ნუ გაოცდები!
პოსტი მდივნის, მრჩევლისა,

იდეა და პარტია,
ხმებიც ამომრჩევლისა ,
ცალობით და პარტიად.

წოდება და დიპლომი,
ლურჯიცა და წითელიც,
ჯილდოები, ორდენი,
სულ ხვადასხვა ღირსების.
იყიდება სკოლები,
გაკვეთილზე დასწრება,
ოღონდ ცოტა ძვირი ღირს
დაუსწრებლად გასწრება.

იყიდება თირკმელი,
ჯანმრთელიც და სნეულიც,
ცალკე ყველა ორგანო
და მთლიანი სხეულიც.
იყიდება შვილები
მშობელ ცოცხალ – ცნობილნი,
პაწიები, ჩვილები,
ზოგჯერ – ჯერ არ შობილნი.
ყოველგვარი მოწმობა,
მოქალაქის პასპორტი,
უმაღლესში მოწყობა,
სანაოსნო და პორტიც.

იყიდება ხელფასი,
სტიპენდია, პენსია,
(ვისაც ვერ გიპოვიათ –
შეადგინეთ ჯერ სია!)

იყიდება სადილი –
ლუკმა-პური ობოლის,
საჩუქრებად გზავნილი,
ჯიბეს ავსებს ბობოლის.
გაყიდულა ამ დილით
უზარმაზარ პაკეტით,
ორნაირი სიკვდილი –
შიმშილით და დაკვეთით.

რიგში ერთურთს ხოცავენ –
იყიდება ტყუილი,
თურმე ვერას მიაღწევთ,
უიმისოდ თუ ივლით!
***
გაიყიდა ყველაფერი,
გარდა ერთი უცხო ხილის,
უცხო სახის, უცხო ფერის,
ნაწყენია, უხმოდ ტირის.

უამრავჯერ აცხადეს
გასაგონად დარბაზის,
– იყიდება სინდისი,
ფასი – ერთი აბაზი!

ნაწყენია საოცრად,
თუმც თავიდან გაოცდა,
ხან ეგონა – წამოსცდათ,
ხან – მიწყობენ გამოცდას.
ძლივსღა დადის ბარბაცით,–
მეგობარი შოთასი,
მეგობარი საბასი,
დააფასეს აბაზი!

– აბა რაში მარგია,
არ ვარ მაგის მზიდველი,
სულ ზედმეტი ბარგია,–
ამბობს ერთი მყიდველი.

რაკი ყველა ახანებს,
წამყვანი დუღს, ქაქანებს –
„ჯერ იხილეთ საქონელი,
თავი მერე აქანეთ!
ნახეთ რა ლამაზია
(გააშიშვლეს, ახადეს),
წყნარია და ნაზია, –
ანგელოზი – სახატე.
ტანსავსე და მოზრდილი,
რა სუფთა და რა კარგი,

მორცხვია და მორჩილი,
სულ სიმართლით ნაქარგი.
მხოლოდ გულში ჩაიდეთ,
მსუბუქია, ნარნარი,
არ სჭირდება, გაიგეთ,
ედემი და ბაღნარი.
ძილი მუდამ ტკბილი აქვს,
ცოტა ყოფნის საჭმელი
სოფელს მშვიდად გაივლით,
ღმერთთან მიხვალთ სათქმელით.
ერთგულია ძაღლივით –
სიხარბისგან მფარავი,
ერთიანად განდევნის
რაც თქვენშია მპარავი.
მოგიკვდებათ წყურვილი
ზედმეტის და მრავალის,
გაგიჩნდებათ სურვილი
ერთი მყუდრო კარავის”

* * *

სიჩუმეა მზარავი,
ზიზღი – დაუფარავი,
საცოდავი სინდისის
ყიდვა არ სურს არავის!

ხალხურ მოტივებზე
(1999)

ნაწყვეტი პოემიდან "შავი ჭირი"

განწყობა სუფევს მეფური –
კითხვები არის ბეჭდური,
გამოცდებიო ტესტური
იქნება ობიექტური.
ბავშვი ტესტებში გასული,
სწორად პასუხებგასმული,
იქნება ჩვენი დასტურით
მომდევნო კლასში დასმული.
თუმც პრეზიდენტი კი ამბობს:

მასწავლებელი – გმირიო,
მაგრამ, აი რას გვიამბობს
უღელდადგმული ვირიო:
"იმ დღიდან თავი შემძულდა,
სულში ჩამიდგა ზამთარი,
ბავშვების კერპი, ტაძარი,
ვაი, ვყოფილვარ ლაჩარი.
მოსწავლე მყავდა ფრთამალი,
სკოლის თვალი და ყამარი,
მცოდნე, ზრდილი და ნარნარი,
ობოლი გოგო თამარი.
ამბობდა თითქმის ასიო,
მოდი არ დავდგათ ფარსიო,
ხომ ვიცით საქმის არსიო,
ვინა გვყავს მაგის ფასიო.
ზოგმა თქვა არ მსურს ნავსიო,
ტესტები არის თარსიო,
უნდა გავიდეს კლასიო,
ანდა – ჩამწყობთა დასიო.
მითხრეს – "აწყობილ თარიო,
შენ იცი, აღარ არიო,
ეგრეა მთა და ბარიო,
უნდა ვაცოცხლოთ მკვდარიო.
მცოდნე თავს თვითონ მიხედავს,
შენ კი ათრიე კუნძიო,
პასუხის შემოხაზვაში
დე, ნუ იქნები ძუნწიო.
უნდა მივხედოთ სხვასაო,
არ მოეჭიდო ხავსსაო,
თუ ვინმე იხმარს ხმალსაო,
ნუ ამოიღებ ხმასაო.
დაიწყო ომი სასტიკი,
თვალთმაქცობს მთავარსარდალი,
ეშმაკიც კი ვერ გაიგებს,
სადაა ტყუილ-მართალი".
ზოგს უთხრეს – "ჭკუით იყავი
და ნუ იქნები ხარბიო,
თქვენთვისა კი არ შევქმენით

უძრავ-მოძრავი შტაბიო".
ბევრთან მოვიდა თვისტომი,
მასწავლებელთა ჯოგიო,
ფანქრით ნახაზებს რომ ტოვებს
ჩაწყობილია ზოგიო.
დედა არიგებს შვილსაო,
სკოლის გზა დაკარგულსაო:
“ერთი რამ უნდა გახსოვდეს,
საქმეს არა გთხოვ რთულსაო,
იცოდე პასტის ხმარება,
არც კი გაივლო გულშიო,
ფრონტის ხაზს გამოერიდე,
დანარჩენს ვიზამთ ზურგშიო.”
მამა-შვილ ერთად ავსებენ,
ვერ დააშორებს კაცია,
ოღონდ დროდადრო სჭირდებათ
შტაბისგან კონსულტაცია.
ასოცი ბავშვი თავს მეჯდა
როგორც მძვინვარე მხეცია,
გნიასი არის ისეთი,
გონი შემექმნა ბეცია.
ბოლოს თქვეს – "ვუთხრათ ხალხსაო,
საქმე გვაქვს ბევრი თითქოსო,
რაღაც ცხრილების შევსებას
კომპიუტერი ითხოვსო."
ადგნენ, წაიღეს ტესტები
ვითომდა დასალუქადა,
რაც მანამ რამე დააკლდათ,
სხედან, ავსებენ მუქადა.
ფიქრობენ: "აბა, მაშ როგორ,
ჩვენ მხრებსაც თავი აბია,
უბრალოდ ხომ არ შევქმენით,
ეს ამოდენა შტაბია?!“
გარეთ გამოველ, მეცია,
გულ-სინდისს მიწვავს ქეცია,
თამარის სახეს თვალ ვკიდე,
გონს მოველ, უმალ მეცია.
ერთი კი მითხრა – "ნუ წუხხართ,

არ არის თქვენი ბრალიო,
თანაც ხომ იცით, არ მინდა
დიდი დავიდო ვალიო.
მგონი რომ გავალ უთუოდ,
თუ არ განრისხდა მარსიო
არა და მერე რა მოხდა,
ერთად ვართ მთელი კლასიო."
მოვიდა სია გასულთა,
ბევრია შიგნით მკვდარიო,
ზეიმი არის ავსულთა,
თამარს სახე აქვს მტკნარიო.
სუყველა თამარს უყურებს,
ბევრსა აქვს მისი ვალია,
იგი დგას მშვიდი, ლამაზი,
ცრემლით უბრწყინავს თვალია.
ეტყოდა ერთი ქალია:
შენთვის ჯერ არის დილაო,
ნუღარ იდარდებ ძალიან,
წინ ბევრი გელის სილაო."
ჩურჩულით უთხრა – "გილოცავთ!"
კუნძებს აუტყდათ ხორხოცი,
შებრუნდა, წყნარად წავიდა,
მეხი დამეცა ოთხმოცი.
შევძახე მხოლოდ – "ხვალ მოხვალ,
უნდა დაწერო თემაო!"
მობრუნდა, მკითხა – "რა ვწერო?
როგორ დაკალით რწმენაო?
ადიდებთ აბოს, შუშანიკს,
ქეთევანსა და ექვთიმეს,
რისთვის ეწამნენ ისინი,
აზრად თუ მოგდით დღეს ვინმეს?"
დილით მივადექ მის სადგომს,
ჰგავდა ჩიტისა ბუდესა,
წერილი დამხვდა, მემცხეთა,
გული მკარნახობს მრუდესა.
მწერდა : "რაისთვის არ მზრდიდით,
მოძალადეს და ავსაო,
მეუბნებოდით ნუ წუხხარ,

ცოდნით გაიტან თავსაო.
მხოლოდ ეს მქონდა მე ოხერს,
ისიც გამიხდა სადაო,
მივდივარ სადაც არიან,
ილია, ვაჟა, საბაო."
ბავშვებს შესძულდათ ერთურთი,
ჭუჭყის რომ ვტყორცნეთ გუნდაო,
ამ ჩვენს დაქცეულ ქვეყანას,
კიდევ ეს ჭირი უნდაო?
უმაღლესებში არ გვეყო
სიმახინჯე და გესლიო?!
ახლა სკოლებში ამძლავრეთ
უსამართლობის თესლიო.
ბავშვებს სიყალბეს ვინც აჩვევს,
არის რეგვენი, შტერიო,
ქვეყნის მომავალს ვინცა ხრწნის –
დიდი, ვერაგი მტერიო.
რასაცა ვთესავთ მას ვიმკით,
ნუთუ არ გესმით ესაო?!
ჩვენ რომ თამაში გვგონია,
ვზრდით ხვალინდელსა მგელსაო!"
მთხრობელმა თავი ჩაქინდრა,
თვალზე მოადგა წყალიო,
"გოგო თამარის დაკარგვა
არის სულ ჩემი ბრალიო!"
მიტომ არის, რომ სულ ვიცავ,
ერთხელ დადებულ ამ ფიცსა–
"გოგრას წავაცლი უვიცსა,
მცოდნესა კბილით დავიცავ."
მას შემდეგ ბევრი ვიარე,
ერთი-ორ ვნახე მსგავსიო,
მაგრამ მარტო ჩვენ რას ვიზამთ,
სხვები არიან ასიო.
თუმცა ათასნიც რომ იყვნენ,
მოგვირჩებოდა დამბლაო,
თუ ამის ცოტა სურვილი
გაუჩნდებოდათ მაღლაო.

საკითხავი
უფრო ეს არის

მონა თუ ბატონი?

თავისუფლება ალია წმინდა ,
არც რამ სხეულს ჰგავს, არც ძვირფას ლითონს,
თავისუფლებას დახსნა სჭირდება,
სვავებს ჰყავთ იგი, დათვსა თუ პითონს.

გაჩენის დღიდან ერთ ადგილს ვტკეპნით,
ცოდვილთა ჯადო დაფლეს აქ თითქოს,
ჩანს ვერ გავიგეთ ეს მწარე წესი –
ეძებ მარჩენალს? ჰპოვებ არქიფოს!

როდესაც მესმის – „ეგ თუ გვიშველის,
ეგ არის მხსნელი, ჩვენი პატრონი“,
მარად მიჩნდება მე კითხვა ერთი –
ჯერ მონა გაჩნდა თუ ჯერ ბატონი?

პური თუ გინდა, უნდა დათესო
ყანები პურის, დაფქვა ხორბალი,
თავისუფლების შექმნას სჭირდება
ცოდნა, გარჯა და ზოგჯერ კომბალიც!

"თავისუფლება ლომთა ხვედრია" –
ლომი არ ეძებს მოწყალე ბატონს,
და თუ ლომი ხარ, მაშინ ვინ გეტყვის –
„რა გეშველება, ვაი შენს პატრონს!“?

ლეგა დარდი ძალას იკრებს,
დათარეშობს, იკლებს ფიქრებს.

გვალვა

საქმე ისე თუ არ მომდევს,
როგორც მინდა იყოს უნდა,
სულ პატარა – რბილი თუნდაც,
მარცხის მხვდება როცა გუნდა,

ასე არის, იყო მუდამ –
თავი მიღირს უბირ კუნძად,
გვალვა სულში მისახლდება,
დავატარებ ბორკილ-ხუნდად.

ოი, რარიგად მომწყურებია!

შხამის წვეთების კაკუნი მესმის,
ქვითინებს ტოტი ობოლი ჭერმის,
ჭაობი პირთან მოსულა უკვე,
შიშით შევყურებ დაწყევლილ მერმისს.

უდაბნო მჯაბნის, ქვესკნელში ურევს
ნაღვლის ჯაგნებით თავმობმულ ურმებს,
უკუნეთს მიღმა წერტილი ბჟუტავს,
ვაი, რომ ისიც მშორდება თურმე!

ახოში ჩიტის გუნდი რომ ბუდობს,
ობობა ცოცხალს უქსოვდა კუბოს,
ღმერთებს ეძინათ, უკვირდათ ვერხვებს,
ეს კაცი მაინც რატომ არ ჩხუბობს?!

დასვრიათ ბარტყებს ჯერ თოთო ბურტყლი,
ვერ ავარიდე სიყალბის ტურტლი,
მე ხევისბერი მეგონა თავი,
ბრიყვი ვყოფილვარ! ლაჩარი, უტყვი!

ნიშნისმოგებით ეშმა ბჟირდება,
(რად არა ვჩნდებით ნეტავ გიჟებად!)
ჯოჯოხეთს ხახა დაუფჩენია,
შემობძრანდოთო - მეპატიჟება!

თავი გამექცა, ვერ ვიჭერ წყეულს,
გველის წელია ეტყობა წლეულს,
ყრანტალი გესმით? – სვავები კენკენ
ჩემს გაოგნებულ, დაფლეთილ სხეულს.

ნუთუ დამღალა სულ ომმა, ღელვამ?
ქრება სანთელი, მძვინვარებს ელვა,
ოი, რარიგად მომწყურებია
ამ ჩემი ლეშის წიხლით გათელვა!

წარსული ჩემი მოვიხმე ურცხვად,
მიხსენი მეთქი – ვაპირებ ვუთხრა,
იმანაც ზიზღით ასწია წარბი,
არც მომისმინა – შემომაფურთხა!

ახოში ჩიტის გუნდი რომ ბუდობს,
ობობა ცოცხალს უქსოვდა კუბოს,
ღმერთებს ეძინათ, უკვირდათ ვერხვებს,
ეს კაცი მაინც რატომ არ ჩხუბობს?!

ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს

ჯანყი განელდა, კოცონიც ცხრება,
დარჩა მარტოდენ გრილი ნაცარი,
ოი რამდენი, ოი რამდენი
კაცი მინახავს მე ნაკაცარი!

წინ მეწყერია, ბილიკი წყდება,
ვერ გამოვდექი მეგზურ - გამყოლად,
ეტყობა ჩემი არ იყო საქმე
წუწკი ტურების ამქრის აყოლა.

თემიდა თვალებს მიმალავს განზრახ,
თან მხრებს იჩეჩავს - "მე რას გიშველი,
ამ ნიღბოსანთა ტიალ - ქალაქში
რამ გაგიყვანა ეგრე შიშველი?!"

მიწისქვეშეთიც გადავაქოთე,
ქვეწარმავალებს სორო ბევრი აქვთ,
თეთრი ყვავების საბუდარს ვეძებ,
აღარსადაა, დაურბევიათ.

დიოგენს ფარანს უკან ვუბრუნებ:
– ფარა რად მინდა ბალახის მძოვი,
ადამიანი დღისით ვერ ნახე,
ამ უკუნეთში მე რას ვიპოვი!

სიზმრად ტყეს ვხედავ, ალბათ იქაა
ჩემი ფიქრის და გულის ადგილი,
უნდა მოვსინჯო - მგლებთან ცხოვრება
იქნება არის უფრო ადვილი.

სიცარიელის ჩანჩქერი მავსებს,
გაუცხოებამ ეშვი ჩამასო,
ვერავინ ვნახე სოფელში მცნობი,
თუმცა, ვინა ვარ - თავად არ მახსოვს.

ზართა გუგუნი კლდეებს ასკდება,
მოთქმა დაუკრავთ მოცარტებს, ბახებს,
არწივსაც კეხზე ცრემლი ჰკიდია,
ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს.

პასუხი სტუდენტებს

არ ვიცნობ, მაგრამ რომ
მიყვარს? -
ნაკლები ვისზე ვარ
ვითომ?
შენ რომ გიყვარს და მას
უყვარს -
მეც ალბათ მიყვარს
ამიტომ!
როცა თქვენ გიყვართ, მათ
უყვართ,
კარგს უყვარს, ცუდს კი არ
უყვარს,
კარგი ყმა უყვარს, ცუდს
არ ძმობს,
ცნობა რად უნდა? - მეც
მიყვარს!

სიზმარი

ქუდზე კაცს ბალღი მეძახის – ვაჰმე! მოვესწარ ამასაც,
ნაღველი გულში ჩამექცა, კრიჭისთვის ვეძებ დანასა,
გაღმა სოფელში რომ მივალ რა პირით შვხვდე მამასა,
შვილო! კაი ყმის ყიჟინა მე, კაცსა, როგორ დამასწარ!

წავედი, მოვინანიე მამა-პაპაპათა სამარხთან,
დავითმა არ მომისმინა, ცრემლები ვღვარე თამართან,
სიკვდილი ჯობდა ათასჯერ – იმან ამბავი დამმართა,
მამულის ვერ მოვლისათვის ლეჩაქ-დიაცის დამარქვა.

მითხრა – კაცი ხარ როდესაც სამშობლოს სუნთქვა დაგაქვს თან,
თუ გაქვს ნაჩეხი გული და სისხლი – დაღვრილი არაგვთან!
გასწი ახლავე! – ერეკლე ომს აგებს თურმე ღალატთან,
„მამა ლაჩარი გვყოლია!“ – შენმა შვილებმაც არა თქვან.

სისხლი ადუღდა, შევმახე – მარტო არ დაგტოვთ ვარამთან!
დანდობას სახლში მივაგდებ – კანკალს ავასხამ მაგათ ტანს,
ჩლიქებად ფეხზე ჩავიცვამ მეფის ნაბოძებ ქალამანს,
საჭურველს დავალოცინებ ცალხელა პაპა ყარამანს .

მომხვდურს მისხალს არ შევარჩენ – სიზმარშიც მახსოვს მარაბდა,
მამულის ჩაწიხვლისათვის ფეხებს დავამტვრევ თავადა,
სიკვდილს სანატრელს გავუხდი – გარბოდნენ თავისთავადა,
განა ვიქადნი! – დიდგორთან ვიყავი სპასალარადა.

ჰეი! ჩაუქნო! მომყევით, ვინც კი ხართ მკა და ზვარადა,
ალგეთს დაზრდილი ლეკვები დაძებნეთ კარდაკარადა,
მეგზურად ჯვარი ვიახლოთ, არაგველები – კვარადა,
ყაჩაღებს მკლავნი დავსხპიოთ, სიკვდილი შევრთოთ ქმარადა.

გავჭენდი! – ხმალი ვიშიშვლე ქართველთა გასახარადა!
მტრის ლაშქრის ფერდი შევლეწე, მგელი ვაქციე ცხვარადა,
გასაქცევები ჩავხერგე, სისხლი ვადინე ძმარადა,
თავი ვუხეთქე მტარვალებს – ერთსა მხედავდნენ ჯარადა.

ცოცხალი ორი გავუში – საცოდნად, ჭკუის ხმარადა,
წაქცეულ მოძმეც არ ვტოვე ყორნების ანაბარადა,
სახელად ქართველი მერქვა – მამულიშვილი გვარადა!
სამშობლოს როცა მართმევენ – მე როგორ ვეგდო ჩვარადა.

დავბრუნდი, ხნულში ჩავდექი – კვლავ ვიქეც მუშა ხარადა,
ბრაზი დამყვება მახვილად, სიყვარული კი ფარადა,
გმირების სადიდებელსა გულითა ვმღერი მარადა,
ნამდვილ ამბავად მოვყევი – სიზმარი იყო არადა!
...
გათენდა, ცხადში მოვედი – რაის დიდგორი, მარაბდა!
“ჩემი დედაო” მომესმა – მეხი დამეცა, სხვა რა ვთქვა?!
მოჯამაგირედ დამდგარა რძალი მზევინარ არაბთან,
გაბრწყინებისკენ მავალნი მივსულვართ თურმე კანაფთან!

გამოშიგნული სოფელი მიეგდოთ ნასახლარადა,
მთის წვერზე ძაღლი ყმუოდა – ყველა წასულა ბარადა,
მეგონა სამშობლო მქონდა – უკვდავი, ღმერთის დარადა,
ნეტამც არ გამღვიძებოდა, ვგდებულიყავი მკვდარადა!

საით ქართველო?

საით ქართველო, ჰერიო?
თავზე გექცევა ჭერიო,
თრიაქზე როგორ გაცვალე
პაპისეული ქვევრიო?!
საით ქართველო, ჰერიო?
იავარქმნილა სერიო,
სანატრებელი გაგიხდა
მატლებნაჭამი ქერიო!
საით ქართველო, ჰერიო?
როგორ გიცვლია ფერიო,
რისი იმედით ვსუნთქავდი
მე უგუნური, შტერიო?!
საით ქართველო, ჰერიო?
რად შემიგინე წვერიო,

შენისთანების შემყურე
სოფლისა გავხდი გერიო!
საით ქართველო, ჰერიო?
წაბილწე ერი-ბერიო,
ტვინ-გონი გაგმრუდებია,
სულს მოგდებია მტვერიო.
საით ქართველო, ჰერიო?
უხმარ გიგდია კევრიო,
ეშმას მსახურად დამდგარხარ,
დაგწვია ობლის კვერიო!
საით ქართველო, ჰერიო?
აღარ ღირს გითხრა ბევრიო,
იმაზე მეტი გვყოლია,
ვიდრე მეგონა – მტერიო!
საით ქართველო, ჰერიო?
ნამტირალევი ვმღერიო,
დაფიქრდი, ვინძლო შემოგრჩა
კაცობის ერთი ღერიო!

მინდა და ვყმუი!

ერთი ხანია ვეღარ ვიძინებ,
საკმელთან ვზივარ და ვუსმენ ყმუილს.
მეზობლისაა – ხმაზე მეცნობა,
გულში ჩამწვდომად ყმუის და ყმუის,
განა ჩერდება –
ყმუის და ყმუის!

ძაღლზე გავბრაზდი – რომელს გავუძლო?
ღამით ყმუილს თუ დილიდან ტყუილს?
გამწარებულმა ესეც ვიფიქრე –
ავახევ ყურებს ძაღლის გაჩენილს –
რა ჯანდაბაა?! ასე რად ყმუის?
ხომ კარგად იცის მაგ ვაჟბატონმა –
ვერ ვიტან ტყუილს!
მერე გავწითლდი ძლიერ და ძლიერ

ძალუმად შემრცხვა ჩემი უგულო
გულის სიყრუის!
ბრაზიც დავძლიე.

ჩემს თავს ვუმსჯელე:
იქნება არის გაჭირვებული?!
დალხინებული როდისა ყმუის?!
დალხინებული მღერის და სტყუის,
მაგრამ არ ყმუის!
ყური დაუგდე! – იქნებ არც სტყუის?!
სავარაუდოდ, ყმუის სიმართლეს –
იქნებ საბრალო არის ქართველი –
მაშინ ნუ გიკვირს – ასე რად ყმუის!
და საერთოდაც:
მართალი ყმუის,
მტყუანი სტყუის.

რა დროს ძილია! – მე და ის ძაღლი
დავმეგობრდით და ვაგრძელებთ ერთად
გაბმულად ყმუილს.
უჭირთ გარჩევა – რომელი ვარ მე –
რომელი ძაღლი,
ის თუ მე? მე თუ ის?
შორიდან მესმის:
– ნახე! უფრო კარგად კაცი ყმუის!
– ჰო! კიდევ – მგონი არცერთი სტყუის!
***
გული მიგრძნობს, მაინცა მკითხავთ –
შენ რა გაყმუვლებს, შენ რატომ ყმუი!
გეტყვით მიზეზებს:
– ძაღლი რომ ყმუის,
ხალხი რომ ყმუის,
ვიღაც რომ სტყუის
– ნამუსი მაქვს და ამიტომ ვყმუი!
ბოლოს და ბოლოს:
– ჩემი საქმეა, მინდა და ვყმუი!

სხვა თვალით ვუმზერ თავად დადიანს

ქვეყანას მხოლოდ ის თუ განკურნავს,
ვინც თავისთავში ეშმაკს დათრგუნავს –
როცა სოფელი იქცევა, ბრუნავს,
არ მიაშურებს საკუთარ ბუნაგს.
ვინანო თუნდაც, ვაპირებ გითხრათ,
თუმცა, ვყოყმანობ, მიჭირს გამხელა,
მაგრამ, ძნელია ატარო დიდხანს,
გულსჩამარხული დარდი ამხელა.
სანამ გიამბობთ, რამეს აგიხსნით,
ვედრება ერთი ისმინეთ მხოლოდ –
ამ დარდისაგან თუ ვერ დამიხსნით,
გამხელისათვის, გთხოვთ, არ ჩამქოლოთ!
შენახვა რატომ არ ვიცით ფიცის?
რატომ არა გვყავს ნათელი კაცი,
ღალატი სიტყვის ვინაც არ იცის,
კაცი ერთგული, ბრძენი, მამაცი?
ფიქრობთ უთუოდ – ნეტავ რას ტირის
თავს რად იტანჯავს ეჭვის ალითო,
განა არ გვყავდა ვაჟკაცი, გმირი –
ცოტნე, ყველასთვის სამაგალითო?!
საუკუნენი ვლიან, გადიან,
მივყვები ბილიკს ეკალბარდიანს,
ვხედავ მავანნი როგორ დადიან,–
სხვა თვალით ვუმზერ თავად დადიანს,
ნუ იჯაგრებით, დაუშვით ქვები,
ნუ მომიღერეთ კეტი და ურო,
ჩანს ვერ გაიგეთ ჩემი სიტყვები –
ცოტნესთან არ მაქვს სასაყვედურო !
კურდღელს აოგნებს ლომის ღრიალი,
გაუმაძღარსა – ზომიერება,
ყვავის ბახალას – ბულბულის სტვენა,
უგუნურს უკვირს გონიერება.
ფრინველს არ უკვირს ფრინველის ფრენა,
საავდრო ღრუბელს – წვიმის გაჩენა,
მაგრამ რატომღაც გვაოცებს ჩვენა
კაცის ბოლომდე კაცად დარჩენა.

როცა სოფელი მუდამ აღნიშნავს,
რომ ვიღაც ერთი არ არის მრუდი,
ეს თავისთავად მას ხომ არ ნიშნავს,–
ცოტას ახურავს ნამუსის ქუდი?
საუკუნენი ვლიან, გადიან,
მივყვები ბილიკს ეკალბარდიანს,
ვხედავ მავანნი როგორ დადიან,
სხვა თვალით ვუმზერ თავად დადიანს.

სხვათაშორის

რადგანაც მკითხეთ ეს ხელმეორედ,
ამიტომ გეტყვით მეც სხვათაშორის –
გამორჩეული ?
კვლავ ვიმეორებ –
სიცოცხლე ვიცი მე მხოლოდ ორის :
ერთია ლომის,
კურდღლის – მეორე
(თუმც არის კიდევ ცხოვრება ღორის).
დანარჩენები ?
დანარჩენები
მიდი - მოდიან
ამ
სამთა
შორის.
(ეს ისე,
სხვათაშორის).

გურამ ჭილაშვილის ხსოვნას

ერთ მესაფლავეს მოსვლია ბრაზი

სიცოცხლეს როცა ასაფლავებდნენ,
სიკვდილი წუხდა ყველაზე მეტად:
– მეც ხომ გავქრები მაგასთან ერთად,
სიკვდილ - სიცოცხლე არ დადის კენტად.

სიმართლეს როცა მიასვენებდნენ,
ტყუილი დუღდა ყველაზე მეტად:
– შენით გამქონდა ყოველთვის თავი,
რა მეშველება უშენოდ ნეტავ.

სიყვარულს როცა დაჰქვითინებდნენ,
სიძულვილს უთქვამს ძალიან მწარედ:
– უსიყვარულოდ ვერ გავიხარებ,
ბარემ მეც აქვე დამასამარეთ.

პატიოსნებას როცა კრძალავდნენ,
უნამუსობას სიტყვა მოსწყურდა:
– თქვენ არ იფიქროთ მაგისი მშურდა,
პატიოსნება ყოველთვის მსურდა.

მაშინაც, როცა ხელმრუდი მოკვდა,
კანონდამცველის ისმის გოდება:
– ბოძი წამექცა, იმედი მტოვებს,
მე უშენობა რომ მაგონდება.

ფარისევლები როცა გლოვობდნენ,
დავკარგეთ კაცი, რა ბუმბერაზი,
– თქვე წუპაკებო, თქვენ არ მოკალით? –
ერთ მესაფლავეს მოსვლია ბრაზი.

მას შემდეგ თურმე სასაფლაოზე,
წესი და რიგი სულ არეულა,
გონიერება რომ გარდაცვლილა,
სიბრიყვე, თურმე, გადარეულა:

– ახლა ჩემია ეს არემარე,
ქვეყანა უკვე გვეკუთვნის ბრიყვებს,
გონიერება ჩავდეთ სამარეს,
სხვა კი ვერავინ ვერ დაგვიბრიყვებს.

სამართალს როცა ხანჯლით ყელს სჭრიდნენ,
უსამართლობას ფეხზე ეკიდა,
უკვირდა მხოლოდ: ჩემგან რა უნდათ,
ეს ხალხი რატომ გადამეკიდა.

როცა სიკეთეს თვალს უხუჭავდნენ,
ბოროტებისა ხითხითი ისმის:
– სახე მაჩვენა ნეტავი იმის,
ვისაც სჯეროდა შენი თილისმის.

როცა სიხარულს პირს უმუწავდნენ,
თვით მწუხარებაც თავს აღარ იდებს:
– ბედნიერებას თუ აკუწავენ,
მთლად უკეთესი, შურს ამარიდებს.

როცა გლოვობდნენ ფარისევლები:
– დავკარგეთ კაცი, რა ბუმბერაზი,
– თქვე წუპაკებო, თქვენ არ მოკალით?! –
იმ მესაფლავეს კვლავ მოსდის ბრაზი.

ზოგიერთებს

სულ რომ დამჩხავით –
"დაიცხრე გული,
იყავ დამთმობი,
ნუ ხარ ეული,
ნუთუ არ იცი – არის ბედკრული
კაცი
სულ
ოდნავ
გამორჩეული".
მსურს შევიტანო სიცხადე
სრული,
(თუმცა ჩემამდეც ბევრსა აქვს
თქმული):
მთავარი არის არ ჩაკვდეს
სული,
მძორის შენახვა
არ
არის
რთული!

წამი – ზმანება

სნეული მიწა
დალასლასებს წელგატეხილი,
დაღარულ შუბლზე ამჩნევია ნიშნები კეთრის.
ყრუ კნუტი თვლემს ღუმელის გვერდით – ვითომ მძინარე,
ტრამალზე დაძრწის წინწკლებიანი მუსტანგი თეთრი.

სხივი იმედის
დაგოგმანობს ცვრიან ბალახზე,
კვერთხით ხელში თავს დასტრიალებს ქუფრი შამანი,
სევდიანობს ვარდის ფურცელზე ობოლი წვეთი,
ზედ ყორეს ძირას აფეთქებულა იასამანი.

ამ შემოდგომით
ფოთოლცვენას ვეღარ მოვუსწარ,
ოქტომბრის ფერს აბა სხვა ფერი რას შეედრება!
ციდან ეშვება უგუნური, გულადი ფიფქი,
ცხადად მესმის მისი ოცნების ბოლო ვედრება.

აბორგებულა
ბინძურ ფიქრთა ღამის სერობა,
კედლიდან მიმზერს ფლიდი ყანწი, ავსილი ვერცხლით,
როცა ღალატი იუდასთან ვახტანგურს სვამდა,
ტლუ სიბრიყვეს დიდი სიკეთე გაეგდო ფერხთით.

პატარძალივით
მოპრანჭულა დილის ნაღველი,
დაჭრილა დარდი, - უსუსური, ჩვილის ღიმილით,
ხეიბარი (კოჭლი) ყოფილა ძველი ურემიც,
ვერ დაიტია უკუღმართი სოფლის ტკივილი.

დილა გასრულდა,
დღეც აღარაა, მოსულა ღამე.
აჰა! მიმათრევს უტიფარი დრო, ყელზე საბელით,
შემეშვი მეთქი, შე მოძალადევ, ჩემით წამოვალ!
შორიდან მიხმობს კაენის ხელით მკვდარი აბელი.

გაღმა სოფელი
აქაურსა თურმე სჯობია,
იქ არ ყოფილა ხსნა-შეწევნის მარად ვედრება,
აქ კი ძაღლები ცბიერ კუდებს ერთურთს აფსკვნიან,
აღზევებული სოვდაგარი უფალს ედრება!

ვერაგ წყვდიადში
მეხი რომ მსტყორცნეს,
დღესაც ყრუდ მტკივა ნამეხარი გონჯი იარა,
მაინც იმედით ვუმზერ ზეცას – ჩემს მუდმივ მოწმეს,
მასთან მივალ ოდნავ დაღლილი, მკვდარი კი არა!

ბოგინობს ქარი

მორყეულ კიბის ძველ საფეხურებს ათოვს ფიფქები,
მომხვდურ დროებას რბევა-თარეში როგორ ვაცალო,
ჩემს ძველ ბუდეში ისევ მოვედი ძველი ფიქრებით –
ხვალინდელი დღე გუშინდელ დღეში უნდა გავცვალო.

ფოთოლგაძარცვულ შემოდგომაზე გული ამყრია,
გაყვლეფილ ქედზე უკვე მოვუშვი აპეურები,
გზა მეტი არ ჩანს, ძალიან კარგი, დაუნამქრია,
ახლა სხვამ ზიდოს ნაღველის ჯაგნებით სავსე ურმები.

კარი ჭრიალებს, ვერას ვუხერხებ ძველ ღუმელს, ჩამქრალს,
არც მინაზე ჩანს ჩემი ბავშვობის ნათითურები,
აღარც წიგნია, აღარც საწოლი, სიზმარიც გაქრა,
(მე კი მჯეროდა ერთ ნატვრას მაინც ავისრულებდი).

ცარიელ სახლში ბოგინობს ქარი, ქარი სისინა.
სულ წაუშლია ჩემი წარსული, ჩემი რაობა,
ო, როგორ ვთხოვე და ვემუდარე, არც კი მისმინა!
გაბზარულ სარკეს მისჩერებია წარსულმკვდარი არარაობა.

ერთი კი მახსოვს, დავბადებულვარ ასი წლის წინათ,
ჩენს გაჩენაზე მდევარმა ბედმა თურმე იცინა,
ამ ქვეყნად მოსვლა განა მე მსურდა – ვინ მომისმინა,
ცარიელ სახლში ბოგინობს ქარი, ქარი სისინა.

დილა მშვიდობის!

შეთვალებული თითა თუთის ქვეშ
ღამენათევი რუ მობუტბუტებს.
მზემ სხივის პირით შემომითვალა:
მე თუ გინდივარ – ძილს გაებუტე.

ალუბლის ტოტზე შაშვის გალობას
სუნთქვაშეკრული ყურის რომ დავუგდებ,
სილას გავაწნავ ფიქრებს აუგებს,
მდუმარე მუხას დარდებს გავუგებ.

– ლამაზმანებო! – მივმართავ იებს –
გაზაფხულების ტურფა ასულებს,
ბუჩქის ქვეშ მორცხვად მოჟღურტულეებს,
პაემანისთვის გამოპრანჭულებს.

– როგორ ხარ მურა? - მივუალერსებ –
– მეჩვენება თუ მართლა მიცინი?
– გუშინდელივით აღარ მემდური? –
სიყვარულს მიხსნის კუდის ქიცინით!

– გახსენით შუბლი! – შემოვუძახებ
მოქუფრულ ღრუბლებს – ღიმილთან უბრებს,
ნორჩ სიოს წელზე ხელს შემოვაწნავ,
ჭალისპირს წავალთ – იქ ვისაუბრებთ.

შენც მიყვარხარ თქო, გავუმხელ წყაროს,
ჩავეკონები – ყელში ვაკოცებ,
ორივე პეშვით რომ ვადღეგრძელებ –
მჭერმეტყველებით ჭას გავაოცებ!
შენ ისევ გძინავს?
მართლა მაოცებ!

*

გინდა გაიგო
სიცოცხლის გემო?
დროზე ადექი –
ჩამოდი ქვემოთ!

მერაბ ხაბაზს

კაცი

გონძლიერი, გულმამაცი,
იყო ერთი ჩუმი კაცი,
არც ცელქი და არც ანცი,
არც უქნარა, არც ზარმაცი.
კაცი ფიქრის, კაცი განცდის,
ჯერაც ბავშვი, დიდი არც კი,
იყო კაცი, ვიცნობ რაც კი –
მადლობა ბედს, რომ არ ავცდი!

მახსოვს შენთან სტუმრობები,
სიყვარული აჭყვისთავის,
დედა იყო ყველას დედა,
მამა – დიდი სოფლის თავი.
მახსენდება გაცნობის დღე:
– ქართლ-კახელი-იმერელი,
თავმომწონე არქანიამ:
– მე, დეიდა, ვარ მეგრელი!
– არა უშავს, ხდება შვილო –
ხარხარებდა მთვარეც ციდან,
დედა ფატიმ გულუბრყვილოდ
ჯენერი რომ დაამშვიდა.

ვხვდები – ზემო იმერეთში
აღმართ-დაღმართ რად მატარე,
დევგმირებზე უამბობდი
ოცნების მთებს – ჯერ პატარებს.
ხრეითისკენ უცხო გზაზე
ვერ გეწევი – რა არ ვცადე:
– ბიჭო მერაბ ხომ არ გავცდით?
– მერაბია მომიცადე!

აქეთ კოში, იქით შხარა,
ევკლიდე და ანაპურნა,
უშენობის ყრუ ტკივილი
ვერა და არ განიკურნა.
უშბამ კვლავ რომ დაგიძახა:

– მენატრები, მოდი მალე,
საყვარელთან სამიჯნურად
სიკვდილსაც არ დაემალე.
კლდის ჩანჩქერთან შერკინება,
არ იფიქრო იყო მარცხი,
ის წყეულიც გურმანია,
კარგი მიჰყავს – თან არც გაცლის!
ცისქვეშეთში ყველამ უწყის,
არა იცის მხოლოდ ჩლუნგმა –
ვეფხვთა გარდა თავს ვის უხრის
გულზვიადი ჯომოლუნგმა?!

…

ეჭვი მაქვს, რომ მაგ სოფელშიც
არას ითხოვ, ხმას არ იღებ,
ნამდვილ კაცთა დაფასებას
აქედან მე წამოგიღებ.

ნატალი აფციაურს

ნატალია

ღრუბელს არწივი დარაჯობს,
ხევში წყალს ქოჩრავს ქარია,
ბილიკზე ქალი გამოჩნდა,
ქარზე ჩაუქი – ჩქარია.
ბულბულმა სტვენა შეწყვიტა,
მიმინომ ჭყიტა თვალია,
ქალმა ჩიტს გული ატკინა:
– სად შენ, სად ჩემი ქმარია!
გარინდებულან კლდეები,
ფოთლის არ ისმის ჩქამია,
გამიჯნურებულ წიფელსა,
აპკურეს დილის ნამია.
ბალახი ფეხქვეშ გართხმია.
ლამაზ ფეხსა ჰბანს ცვარია,
იქ მორცხვი წყარო ჩურჩულებს :
– ქალო არა გყავს ცალია!
მოყვრის მოყვარე – თვინიერ,
მტერთან – ამაყი, ცხარია,

ქალს ხელში აყვანასა სთხოვს
მგლისგან ფეხნატკენ ცხვარია.
ქალი ჩანჩქერთან შეჩერდა,
დაჭრილ ცხვარს ასვა წყალია,
ნატკენი ფეხი მოჰბანა,
– მგელო დაგიდგეს თვალია!
მგელი ბუჩქებში ბუზღუნებს –
ქალია თუ სარქალია?
გადაცმული ქალღმერთია?
დედაა თუ დაქალია?
კოდალამ მგელს ჩაუთაქა –
რა ქალი! –ცეცხლის ალია,
ისარგაუმტარ ფარი და
ორმხრივ ნალესი ხმალია!
ჭიუხებისკენ მომზირალს
ქალ-ვაჟიც როგორ შვენისა'
ბიჭი – ფეხმარდი ავაზა,
გოგო კი ნუკრი შველისა!
მოხიბლულმა ჯეირანმა
თქვა, ყანწი როცა დალია –
ვინ დამარქვა ჯეირანი –
უნდა მერქვას ნატალია!.
***
ნერგი ხარობს, არ იშლება.
გაკვალული გზა-კვალია,
მეც მაგისი დარგული ვარ
თავს იწონებს მაყვალია.
სითბოს გული აუვსია,
გადმოსულა რა ხანია,
სიყვარული – ძველთაძველი
ლექსად თქმული – ახალია.
ვერ დავადგინე ვინა ხარ,
ასეთი რა გაქვს ძალია,
შვილი ხარ, ლექსის მუზა ხარ,
თუ დიდებული რძალია?
ღვინო სად არის – სად წყალი,
გულითა ვცნობ ნატალია,
აქ ნათქვამი ყველაფერი

ცის წვერამდე მართალია.
ნამდვილია ყველა სიტყვა.
ყველა ასო-მარცვალია –
ცრუ თვალისთვის დროს არ ვკარგავ,
ალმასისთვის სულ მცალია.
***
რას მერჩი ქალავ? – სიკეთის
დიდი დამედეო ვალია!
თქმა უმჯობესად მინდოდა -
ენას მქონია ძვალია!

ბერიკაცის სიმღერა

ტიალო წუთისოფელო
საქმეებს ცუდებს ხლართავო:
მაღალ მთებს ვეღარ ვერევი –
ჯანი წაიღეს წყალთაო,
მყინვარს დაბლიდან შევყურებ –
მუხლი აღარ მაქვს მგზავრთაო,
არ მესმის ბრძოლის ყიჟინა –
ოთხმხრივ გუგუნი ზართაო,
დუშმანი ვეღარ დავჯაბნე –
დადუნდა მკლავი კაცთაო,
აზრიც იმდენი აღარ მაქვს –
ადრე რომ მქონდა სამთაო,
მიმინოს მზერა სადღაა –
გულთამპყრობელი ქალთაო,
ცოლი შარშანწინ მომიკვდა –
ჩემი ერთგული მართაო,
საკუთარ ხელით გავთხარე
შვიდი საფლავი ძმათაო,
შვილებიც შემომეფანტნენ –
წავიდნენ ალთა-ბალთაო,
ნიადაგ შარას გავყურებ –
ვაიმე, როგორ ხართაო,
სოფელი გაუკაცურდა –
არც ჟრიამული ბალღთაო,
სულიერ არ მყავს გამგონე –

მხოლოდ დუმილი ქვათაო.
წუთისოფელო ყოფილხარ
მართლაც და ყურტა-ყარტაო
თუ ყოველს გამომაცლიდი –
მე დამარჩინე რათაო?!

ძველი ფოტო

(თანაკურსელებს)

ცხოვრება კაცის ესაა – ერთი სიზმარიც დაიტევს,
წამიც ძლივსაა – ზმანება, არამცთუ წუთი – სოფელი.
მთა-ბარში ხეტიალისას, დავესწარ აის-დაისებს,
ისევ იმ ბილიკს მივიკვლევ, ეკალ-ბარდებით მოფენილს.

ერთ დროს მეც თქვენთან ვიყავი, მერე გზა ასად გაიყო,
ვიარე, ვმარგლე ბოსტანი, ყამირი მიწაც მომიხნავს,
სამეფოს მივცემ ერთ ცხენში, გინდა ჯაგლაგი რამ იყოს
თუკი წარსულში ერთი დღით, ბიჭებო, თქვენთან მომიყვანს!

პასუხი
უცნობ ქალბატონს

დიახ, მინახავს!

ადამის მოდგმას ცოდვის უღელი
აერთიანებს –
გამიგონია!
ჰო, მე მინახავს ქალის თვალებზე
ცრემლთა გოდება და
აგონია.
ბებრის კვნესისთვის სიკვდილს მივახრჩობ,
ბავშვის ტირილზე მერთმის
გონია.
შენგან ნასროლი ყოველი სიტყვა,
გულს რომ ჩამესო – ჩემი
მგონია!

უკეთურ სოფლის შხამი რაც მოვსვი,
კეთილ– ბოროტის ვნახე
ქაოსი.
არაფრის მქონემ ყველაფრის მქონე
როგორ შემოსა ბოლო
სამოსით,
სამადლობელოდ როგორ წაჰგვარეს
შვილს წაბლა კვიცი, ცოლს კი
ნამუსი.
მინახავს ხეპრე, აღზევებული
ხელმწიფის ტახტზეც – ფურთხის
აუზშიც!

ჰო, მე მინახავს შვილმკვდარი დედის
უძირო სევდის ღიმილი
თბილი,
პოეტის მსგავსად მეც ბევრჯერ ვნახე,
როგორ უჭირავს გმირს სული
კბილით,
მივიწყებული მამულიშვილნი,
არაკაცების ბიუსტი
ცვილის.
ამაყი ბრძენი შიშველი ფეხით,
ოქროს ქოშებაც – მაინც რომ
ჩივის.

როგორ ჩაემხო უმამო ბიჭი
დამრეც ბილიკზე ტლაპოში
სახით,
ტაკიმასხარამ როგორ იხარა
ატირებული პატარას
ნახვით.
ვერ მოვითმინე, თუმცა კი ვიყავ
ცოტა შებორკილ სიმშვიდის
მარხვით,
არ დაგიმალავთ, სახეში ვსტკიცე
სულით დაგვაჯულს – იქავე
გახლდით!

ვერცხლისმოყვარე ღალატიც ვნახე,
ქურდიც და მრუშიც – რამდენიც
გინდა,!
სინდისი-ნამუსი, პატიოსნება
რომ მიაჩნიათ სულელთა
ხინჯად.
ხორცით მეძავნი, როსკიპნი სულით –
ერთი მისხალიც რომ არ აქვთ
წმინდა,
თავხედი მგელი – მოქცევის წესებს
ცხვარს რომ უდგენდა, კანონებს
ქმნიდა.

გაწვდილი ხელი – შვილის სარჩენად
ამოკვეთილი ორივ
თირკმელი,
ოი, რამდენი მინახავს მტერი,
ცრუ მეგობრობა –
ღალატისფერი.
ერთხელ ძლივს შემხვდა, ისიც ზღაპარში –
ვითომ ცხვებოდა ობოლის
კვერი,
ვნახე, სიმართლე როგორ მუნჯდება,
როცა სიცრუე კრიმანჭულს
მღერის.

როგორ ხითხითებს ყრუ სამართალი
უსამართლობის მათრახით
ხელში,
ედემის ბაღში როგორ ნებივრობს
კაცის ნიღაბით სატანის
ლეში.
ადრეც ვთქვი ერთხელ – იქნება ჯობდეს
ეულად ყოფნა უკაცურ
ტყეში.
ღმერთო ძლიერო! ერთი ვაშლისთვის
ნუთუ ჩაგვყარე ამ უღვთო
დღეში?

წვეთი ზღვაში

არც მდინარე ვარ, არც ოკეანე,
გალაკტიონი ანდა
გოეთე.
თუ ვეტოლები – ცოტა ბუზღუნა,
მიეთ-მოეთე, მცირე
პოეტებს.
პრეტენზიები – არა მაქვს დიდი,
ოცნებები კი – უფრო
პატარა.
დასაბამიდან ვიარე ისე,
ამ ჩემმა თავმა როგორც
მატარა.
ჰოდა, ვარ მშვიდად, ეჭვებს გარეშე,
მგონი – ამაყიც და რატომ
იცი?
ახლოს მოიწი! უჩუმრად გეტყვი :
რადგან, რაც აქ ვთქვი – მშვენივრად
ვიცი!
...
იქ სადაც ტალღა ტირიფს ეხება,
ადგილი ვნახე ფარულად
ლოცვის.
ერთი რომ ვიყავ და რომ გავორდი,
არც კი გავკვირდი ისე
გავოცდი:
შავი მაყვლის ბუჩქს ჩაუხუტია
ათრთოლებული წითელი
მოცვი,
ჩრდილში, ტირიფქვეშ წითელი კვიცი
ნაცრისფერ ჩოჩორს ბაგეზე
კოცნის.

შაშვი ტაშს უკრავს – იქვე, ნაპირზე
გედი ცეკვავდა გრძელყელა,
ოცი,
წყალგაღმა, ქოხთან, ბიჭები ჩანან

მაყალითა და მოწნული
ბოცით.
მართალი გითხრათ, ნანახით დავტკბი,
ვისიამოვნე სულით და
ხორცით –
ერთი მშობელის – ბუნების შვილeებს,
გვეყო გართობა ერთურთის
ხოცვით...
...
მაგრამ ასეა – დიდხანს ვერა სძლებს
ფუჭი ხილვებით ნაგები
ბორცვი,
ავი ფიქრები მოაცილებენ
კუდიან ბებერს – ეშმაკის
ცოცხით.
სამოთხის კართან რიგები იდგა,
აბრახუნებდა ურცხვიც და
მორცხვიც,
ცოდვილთა ნაგავს ასუფთავებდა
ჩაფიქრებული უფალი
ფოცხით.

ბოროტი სული აქვე ტრიალებს, –
გზა გასაყართან ისევ
გამომცდის,
მეფისტოფელის აღსრულებიდან
არ გადასულა ჯერაც
ორმოცი.
მყინვარზე დიდი მოთმენის მქონეს
დღეს გამითავდა მარაგი
მოცდის,
წუთისოფელმა პირდაპირ მითხრა :
– მაშ რა გეგონა უცნობს რომ
მკოცნი?!

ჰოდა გავბრაზდი, გაწბილებულმა –
წუთისოფელი ვლანძღე ერთ
ლექსში.

ვეძახე ფლიდი, როსკიპი, ქურდი,
უტიფარიც და სატანის
ლეშიც.
– ხომ არ გაგიჟდი?! – მოულოდნელად
მშვიდი ფაუსტი მეძგერა
ყელში:
– სამყარო არის სწორიც და მრუდიც!
ჯობს, რომ მიზეზი ეძებო
შენში!

ნუთუ სიკეთეს სახეზე ვერ სცნობ –
იქნებ ღირსეულს ებრდღვენი
წვერში?!
არიან არსნი, თვალჩინოსანნი,
წვეთს ვერ ხედავენ წყლით სავსე
ხევში.
ფიქრი მაქვს უკვე – ჩაგსახლებია
უმადურობა ან ზიხარ
ქვევრში!
– ფაუსტ, გონს უხმე! ვერას მიმხვდარხარ! –
ტყუილად ოხრავ და ფუჭად
ხვნეში!
მართალი კაცი, სიკეთის ზვინიც ,
ულევი ვნახე ამ მრავალ
დღეში.

– მისმინე ფაუსტ ! ერთ სიბრძნეს გეტყვი –
არ გადააგდო, ხაზი
გაუსვი:
ბედი-მდევარი კვალში მოგყვება –
წამოგეწევა თუკი
დაუცდი!
ყველაზე ცუდი მონად ყოფნაა –
აქეთ მიართვი, იქით
დაუსხი,
მეფისტოფლობაც ძნელი ყოფილა,
დღეს მე ვიქნები, მოდი,
ფაუსტი:

ვიხილე ერთხელ – კეთილმა გულმა
უგულო გული გულით
ატირა,
ენამკრეხელებს ხმა გაეპარათ,
თავი ჩაღუნა ჩემმა
სატირამ.
არაკაციც კი შემოაბრუნა,
ჭკუა-ზნე ქმნილი უკვე
ნადირად,
გველი ხვრელიდან გამოაბრძანა –
არ ვაზვიადებ, ვნახე
ნამდვილად.

ვნახე შოთა და ვნახე აკაკი,
საბაც იქ იყო, ვაჟაც,
ილიაც,
რაკი ვირთხები დღეს მოგვიმრავლდნენ,
განა კაცები
გამოილია?!
ხედავ, ლეკვები როგორ გაზრდილან?! –
ალგეთის გზაზე ისევ
ივლიან,
ძარღვში ხალიბთა ფოლადი გვიდუღს,
ვინ სთქვა – გამდნარი, დონდლო
ცვილია!

ვხედავ მეფე ქალს – ფეხით შიშველი
ბასიანისკენ ჯარს
მიაცილებს,
პაპამისს ვახლდი დიდგორთან ომში,
თავხედთა ჯოგი მკვდრეთით
ვაცინეთ,
მოღალატეებს თვალი დავთხარეთ,
მუსრი გავავლეთ ორგულ
ბაცილებს,
დიდი საქმენი არა კვდებიან,
თუმც საუკუნე ბევრი
გვაცილებს.

ვნახე ამბავიც, სამაგალითო,
მას შემდეგ ჟამი კიდევ
გავიდა,
ვირთხის ჯიშისა ბევრი გაიქცა,
ზოგმაც ისკუპა წყალში
ნავიდან,
ერი და ბერი გაცლას ურჩევდა –
არა ისმინა ამა
დავიდან,
სამშობლოსათვის თავდასადებად
მეფე სიკვდილთან თავად
წავიდა.

ვნახე თავადი – თვისივე ნებით
ტანს თაფლწასმული მძვინვარე
მზეში,
გზა-კვალ აბნეულ ოსმალოს ჯართან
მოწამე მღვდელი გზა-უვალ
ღრეში.
მცხეთა, ვარძია – უცნობი მოყმის
გამოკვეთილი ტაძარი
კლდეში
ერისკაცები – იქით ხმლითა და
აქეთ წიგნებით მადლიან
ხელში.

ქალიც მინახავს, აქვე სოფლიდან,
დუშმანთა კაცებს იწვევს
ხმალშია,
მხოლოდ სამასმა რომ შეაჩერა
მომხვდურთა ურდოს სისხლის
მარშია,
მოქალაქენი – ხატის წაბილწვას
უჯობთ სიკვდილი მღვრიე
მტკვარშია
და მეფის დედამ რჯულის დაგდებას
ძუძუთ დაგლეჯვა როგორ
არჩია.

ვნახე წმინდანი, გადაკარგულში,
მამულის განძზე დარაჯად
მწოლი,
მოხუცის თხელი, გაწყალებული
ზამთრის ქურთუკი, მშიერი
ცოლი,
მხოლოდ სურვილის – ვალმოხდის შემდგომ
მშობელ მიწაზე სიკვდილის –
მქონი,
ოჰ! – ქილიკობდა სრა-სასახლეში
გაჭენებული მაძღარი
მძორი.

ღმერთკაცმა გვერდით რომ ჩაგვიარა,
ვიგინდარასთან ვაქებდი
გმირსა.
 – აი, საწყალი! – წამოსცდა ბრიყვსა,
თუმც უბოროტოს – დროების
შვილსა.
უმადურობამ სილა გამაწნა,
ჭკუას ვასწავლი, ვიფიქრე,
ვირსა,
ბარაქიანად წამოვუთაქე –
სხვა დროს დაფიქრდი, რომ იტყვი
ძვირსა.

ვხედავ თუთის ხეს – აი სიკეთე! –
უპოვართ ხილი თავისით
სცვივა.
უცხო დედოფალს – ბუხარს არ ანთებს,
ამბობს ჩემს ხალხსაც ჩემსავით
სცივა.
ერის მოძღვარი? – ხალხის ტკივილი
მის ტკივილზე მეტად რომ
სტკივა.
არ გამიმართლა – ჩემი ხელმწიფე
იმ დედოფალთან ახლოს ვერ
მივა.

ვიხილე ნდობა – განცდა უთქმელი,
ნათელი სხივი შეგირდთა
თვალში,
ყმაწვილიც ვნახე ფეხმოკვეთილი,
განათებული ღირსების
ალში,
სამართლიანი მამის შექება,
დედის ალერსი პატარა
სახლში,
მეზობლის ქალის ნაწოვი ძუძუ –
ძუძუმტეების დადგომა
მხარში.

უცხო მხარეში, უცხო ტომელმა
უცხო მოხუცმა არ
დამაქცია –
თავად ხეიბარს არ განუკითხავს
არც ვინაობა და არც
ნაცია,
გვამადქცეული გაღმა ქვეყნიდან
შემომაბრუნა, ცოცხლად
მაქცია,
ასეთი იყო უბრალოდ კაცი –
განა მოაწყო რამე
აქცია.

ჭერიც არ მქონდა მიუსაფარსა –
ერთხელ იღბალმა ზურგი
მაქცია,
აბრაგი შემხვდა, თურმე მიცნობდა,
შემიფარა და გასცა
სანქცია :
– ძმებო, იცნობდეთ, პატივი ეცით,
მორჩეს სიმღერა –
მაქინაცია,
წავიდეთ უნდა, სხვა ბუდე ვნახოთ,
აქ ხელს შევუშლით – წიგნის
კაცია.

ვნახე ამბორი მშიერი ბავშვის:
– შენ ჭამე დედა, მე სულ არ
მშია!
იმედსაც კარი რომ გაუხურავს–
ბოლო ლუკმა დევს მომცრო
ჯამშია.
– ნუ ტირი დედი, ღმერთი გვიშველის –
გაუგია და უკვე
გზაშია,
პატარა კი ვარ მაგრამ ხომ იცი,
მევ გავიზრდები ცოტა
ხანშია!

შუაგულ ზღვაში უცნობ გოგონას
სიცოცხლე მისცა, კი არ
გაუყო,
ხუთი სნეული ქვრივმა იშვილა,
გული ღვთისშვილებს ხუთი
გაუღო,
ბიჭის სილაქი – ხელმრუდმა როცა
ჯიბეში ხელი ობოლს
ჩაუყო.
– არ მომეყოლა? – ჩემთვის ესაა,
ძმებო, მთავარი, აბა რა
ვუყო?!

ისიც მინახავს – სიკეთის თესლმა
როგორ იხარა, დატკბა
წვერშია –
სანთელ-საკმეველს თუკი აუნთებ -
აღარ იქნება მაშინ
ბნელშია,
ფარის პარტონსაც გარჯა გჭირდება –
იცავ, აპურებ, თუ ხარ
მწყემსია,
ვიცი – თესლიდან ყველა არ ხარობს –
რა ვქნათ, ეს კიდევ ცალკე
წესია.

ერთს ვიტყვი კიდევ – ბოლო სათქმელსა,
ვაითუ იყოს მერე
გვიანი,
ქუფრი დღეები უხვად მქონია –
არცა ნაკლები იყო
მზიანი,
უფალმა ღმერთმა როცა განსაჯა –
საქმე ჰქმნა დიდი,
სამართლიანი :
ადამის შემდგომ ედემს შეუშვა
მხოლოდ მართალი
ადამიანი.

რაც აქ გიმბეთ სიკეთეები,
უკიდეგანო ზღვაში
წვეთია,
შევჩერდე უნდა, რადგან განგებამ
სიცოცხლე მომცა მხოლოდ
ერთია,
ბედნიერებას ტახტზე ვერ დასვამ,
არცა რაიმე ოქროს
კვერთხია,
მე ასე მჯერა – კაცის გამზომი
დაბლა სინდისი, მაღლა
ღმერთია!

საბავშვო და სახუმარო ლექსები

წელიწადი – 12 თვე

მრისხანებით ზევსის დარი
ანდერძს ტოვებს იანვარი –
თებერვლისთვის დამითმია
თოვლი, ჭყაპი და ავდარი.

ნაკიანი წელი იდგა,
მარტი უკვე ცოფებს ყრიდა,
დღენაკლული თებერვალი
გაილია, გვერდზე მიდგა.

ქარი მარტის ტალახს გვიდა.
ენატრება აპრილია.
ამბობს – მორჩა, აღარ მინდა,
მარტზე გული აყრილია.

ოჰ! აპრილმაც გაიღვიძა,
ჭყიტა მომწვანო თვალია,
ცოტაოდენი აწუხებს
მარტის სამი დღის ვალია.

მაისმა – გაქებ აპრილო,
მაგრამ გაქვს დიდი ნაკლია –
ატმის ყვავილით მოპრანჭულს
ვარდის სურნელი გაკლია.

– შენზე ნაკლები არც მე ვარ,
მაგრამ გაქებენ შენაო,
მაისმა ბალი შეკაზმა,
ივნისმა გააჭენაო.

ივნისმა – შენთან რას მოვალ,
ძალა მაქვს ბევრად დუნეო,
ზღვა და მდინარე გაათბე,
ივლისო დააცხუნეო.

ივლისმა ზღვისკენ გაჰქუსლა,
აგვისტომ – აბა რა ვთქვაო,
ხორბალი მე დამიყარა –
უნდა გალეწო, დაფქვაო.

აგვისტომ რომ დაიძინა –
სექტემბერმა გაიხარა,
ჯერ პატარა? – ჩაიცინა,
და სკოლაში გაიპარა.

დახუნძლული ოქტომბერი
დახმარებას ვის არ სთხოვდა,
– მოსავალი მიფუჭდება,
დიდ-პატარა წიგნს მისთხოვდა.

ოქტომბერმა – ნოემბერსა:
– ჩემო ძმაო არ მიწყინო.
ქვევრს მაჭარი ისევა დუღს,
ჯერ დავლიოთ ძველი ღვინო.

ნოემბერი მაგრად დათვრა,
წამოგორდა მხარ-თეძოზე,
დეკემბერი აჯანჯღარებს,
– თოვლი მოდის, ადე დროზე!

დეკემბერი შეშას ეტყვის:
– გაგრძელდება ისევ თოვა,
ბუხარი ავაგიზგიზოთ,
იანვარიც მალე მოვა.

ჩემი 33

ა

არწივი აკვანს არწევდა,
ამბობდა ახალ არაკებს -
ალუჩა ალიბუხარსო
არასდიდებით არ აქებს.

ბ
ბედნიერსა ბერიკაცსა
ბერბიჭელა ბებრის ბედად
ბედაური ბეცი ბებო
ბედობისას დაებედა.

გ
გუშინ გულიან გულაბქვეს
გულმა გულს გული უგულა,
გახარებულმა გუგულმა
გუგუო - დააგუგუნა.

დ
დიდებულია დადუნას
დოდო დეიდის დიდედა
დარდებს დუმილში დამალავს
დიდი დიდება გინდება.

ე
ეშმაკი ეტრფის ერბოსა –
ერთ რამედა ღირს ყურებად.
ენძელა ეკალს ემდურის,
ერკემალს ეკურკურება.

ვ
ვირი ვარდად ვერა ვარგობს,
ვერცა ვაცი, ვიცი - ვირად,
ვეზირყოფილ ვირიშვილსა
ვერა ვგუობ ვერცრა გმირად.

ზ
ზაფხულში ზურნის ზუზუნი,
ზამთარში ზვავის ზათქიო,
ზემოუბნელმა ზაქარამ
ზიდა ზოზინა ზაქიო.

თ
თვალჟუჟუნა, თავმომწონე
მათრობელა თოთო თუთა,
თეთრი თასით თოვლისფერი,
თაფლზე თბილი – თითა თუა.

ი
ისლის ქოხში იხვი იჯდა.
ირმის რქაზე - იადონი,
იფნიანში იის ფსონში
იწვევს ირემს ჩია პონი.

კ
კაკუნია კოდალა,
მოკამკამე ლიახვო,
კნუტი კართან კრუტუნებს,
კრუხი კაკან-კრიახობს.

ლ
ლამიანში ლომი ლომობს,
ლელიანში – იმალება.
ლოლო ლელა მოლივლივებს –
ლულა-ქალი ლურჯთვალება.

მ
მარდი მამლუქი მოსთქვამდა,
მომიკლეს მშობელ მამაო,
მე მომაშორეს მამულსა,
მივსტირი მაგრამ ამაოდ.

ნ
ნანადირევი ნაბადი
ნაბახუსევმა ნაგაზმა
ნათელ-მირონსა ნიკორას
სულ ნაჭერ-ნაჭერ აკაზმა.

ო
ოქროპირი ოფოფები –
ოპერაში ოხრავს ყველა.
ორმოც ოროფს – ორდენები,
ოვაცია – ოროველას.

პ
პიპინიას პაპის პაპა
პურს რომ პატივს აპკურებდა
პირდაფჩენილ სპას - პირატებს
პრიალა ხმლით აპურებდა.

ჟ
თვალჯუჟუნა ჟუჟუნას
წვიმა უყვარს ჟუჟუნა,
ჟანგისფერმა ჟირაფმა
ჟოლო ჩააჟუჟუნა.

რ
რიჟრაჟზე რუსთან რძისფერი
როხროხებს რაში ცხენია,
რძალს რიარია გაუდის –
რატომღაც რაშის რცხვენია.

ს
სიფრიფანა სამყურას
სულში იყვანს სველი სიო
სამთვალებამ – სირცხვილია
სადმე სიო ჩამომსვიო.

ტ
ტურამ – ტუტუცი ტოროლა
ტოტზე უტვინოდ ხრიალებს
ტურების ტომის ტახი კი –
ტოროლასავით წკრიალებს.

უ
უბერებელ ურთხმელისთვის
უბესავსე უნაბს უთქვამს:
უჭკუო და უნიათო
უწუნებდა ულაყს უზანგს.

ფ
ფარად ფარდა მიიფარა,
ფისო ფაფით გაიფუყა
ფერი-ფაფუ, ფაფას ფუი,
ფაფამ ფისოს – ფისო ვწუხვარ.

ქ
ქათმის ქურდმა ქორმა ქათამს
ქაქანით ვერ მოუქონა,
ქორის ქმარმა – ქალო ქადა
ქე არ მიყვარს ქონუქონლად.

ღ
ღამით მღვიმეში ღამურას
ისმის ბოღმიან ღიღინი –
ღორო ღორივით ღრუტუნავ
ღორთა ღუმელი გიღიმის.

ყ
ყელგაბერილმა ბაყაყმა
დაუყიყინა ყაყაჩოს
ყირმიზ ყელყელა ყვავილსა
მწყრის სიყვარული დაგახრჩობს.

შ
შეშამ შიში მოიშორა,
შეშა შიშინ-შიშინებს.
შეშას შაშვი შეებრალა –
შაშვს შურდული აშინებს.

ჩ
ფაჩუჩები ჩიტს ჩააცვა,
ჩექმა ჩოჩორმა ჩაიცვა,
ჩიორა ჩიტის ჩურჩულით
ჩვენი ჩოჩორი ჩაიწვა.

ც
ციკანი ცურს უცაცუნებს,
ცური ცერად უყურებს,
ცეროდენა ცას უცინის,
ებუტება ცრუ ცურებს.

ძ
ძროხას რძალმა მოაძოვა
ძეძვიანი ძურწის ძნაო,
ძროხას ძუძუ გაუძეძვდა –
რძალო – რძემ დაიძინაო.

წ
პაწაწინა წიწილები
წივწივებენ წია წიას,
წუხელ წუწკი მაწანწალა
პაწიას ვერ დაეწია

ჭ
ჭურში მაჭარი ჭუკჭუკებს,
ჭერში ჭრიჭინებს ჭრიჭინა,
ჭრელი ჭუჭული ჭუჭყუნებს –
ჭიქამ ჭას გაუჭიჭინა.

ხ
ხარის ხუხულა ქოხმახში
ხარმა ხარი ახარხარა –
ხმელი ბალახი ხონჩითა
მოგვიხერხესო სამხარად.

ჯ
ჯანჯალი ჯიშის ჯონჯოლთან
ჯაგლაგ ჯორს ჯერაც ეძინა
ჯიხვმა რომ ჯორის ჯინაზე
ჯეჯილზე გაიჯეჯილა.

ჰ
ჰერიო ბიჭსა ჰარალეს
ჰამაკიც არა ჰქონია,
ჰექტორივით ჰგლეჯს ჰექტარსა
თავი ჰერაკლე ჰგონია.

გზა შემოდგომისა

პაწაწინა დილა
უკვე როგორ ზრდილა,
შენი გულის
დაპყრობას
ხომ არავინ
ცდილა?

თვალპაჭუნა მზეო,
ჩემო იამზეო,
რას მიცინი
შორიდან,
მოდი ჩემს
კარზეო!

გაწეწილო ხეო,
მეპრანჭები ხეო?
მაშ ფოთლები
გადიწიე –
სახე
მანახეო.

დამიბერდი მურა?
ასე ვინ გაგმურა?
შენი ცოლი
აღარ მიყეფს,
ხომ არ
დამემდურა?

მოკუნტრუშე სიო,
მორჩი წანწალს? „ვსიო?“
ხომ დაგისხი
სიყვარული,
რამდენიც
გსურს
სვიო.

ჩუმჩუმელა წყარო,
რა კამკამა
ხარო!
ვის აირჩევ,
გულისწორად –
წილი უნდა
ვყარო?

მაგიურო მთაო
არ იღლები მთაო?
ფეხზე
დგახარ,
არ იძინებ,
კალთას თოვლით
რთავო.

მოშრიალე ტყეო,
რას ჭორაობ ტყეო?
შენი რომ ვარ ტყვეო
ხომ არ
შემატყეო?

შემოდგომის გზაო,
სად მეძახი გზაო?
შენახული ნამუსი
საგზლადა
მაქვს
მზაო.

დარდი

საიდუმლოს განდობ –
პატარებზე ვდარდობ,
ყინულს ვეღარ ვადნობ,
ნუთუ ვეღარ ვვარგობ?!
დამეხმაროთ იქნებ,
ვერ გავიგე მარტომ –
თვალხატულა ნატომ
ცრემლი ღვარა, რატომ?

პაპა

რას მიყურებთ ალმაცერად?
ასაკში ვარ, განა წავხდი!
ქმარი ვიყავ, მამა ვიყავ,
ახლა კიდევ პაპაც გავხდი!

ცოლი არის უღლის ცალი
შვილი – ფიქრი არნახული,
შვილიშვილი – ნეტარება,
შემოდგომის გაზაფხული.

რას არ იზამს კაცი
პატარების
ხათრით!

დიდი კაცი

სამ ცალს ვაქრობ სანთელს,
ჩემით ვაღებ ამ კარს,
დიდ კაცს – ალექსანდრეს
რად მიყვებით ზღაპარს?!
ჩემო ტკბილო პაპა,
დამიწერე ლექსი,
აი, თვლაც კი ვიცი:
ორი–სამი–ექვსი!

მოქეიფე დათა

ორი წლის ვარ თუმცა,
ქეიფის მაქვს ნიჭი,
ვისა ვგავარ ნეტავ,
ჭკუაც ერთობ მიჭრის.
როგორც პაპა ამბობს,
ქართველი ვარ ბიჭი,
ოღონდ თუა ცხელი –
ხინკლის ჭამა მიჭირს.

გურმანი

უფროსია სანდრო,
დამთმობია ამ დროს,
საიდუმლოს მანდობს,
ცრემლიანი ამბობს:
რომ ვაჭმევდი ფაფას,
გამეხუტა დათა!
დამიჯერე პაპა,
არც მე ვიცი რათა!
მოდი ვნახოთ დათა!
ისევ გეგმებს ხლართავს?!

ვითომ კაცს ჰგავს მართალს,
ისე აქნევს მრგვალ თავს.
იერი აქვს გმირის,
თავი მოაქვს კაცად,
სანდრო როცა ტირის
ხერხს მიმართავს ნაცადს:
დამნაშავე გახლავთ
და გვიმალავს ცალ თვალს,
მეორეთი არ წყვეტს
თითებიდან თვალთვალს.
–ჭკუა მეც მაქვს – ვცდილობ
გავაცურო დედა,
ფაფას რატომ შევჭამ
როცა ხინკალს ვხედავ?!

ძმაკაცები

დარიო, ბიჭო, დარიო,
ქარს მიაქვს მთა და ბარიო,
სანდრო და დათა მოვედით,
ჩქარა გაგვიღეთ კარიო!
არიქა ბებო, გვიშველე!
მოგვყვება წუწკი ქარიო,
შეგვცივდა, მოგვეც ჩურჩხელა –
წამალი უებარიო!
დათას რომ არ გაუჯავრდნენ,
სანდრო მალავს ნაბწკენ თითებს,
ის კი ვითომ არაფერი,
კვლავ იგონებს ახალ მითებს!
არც აცხელა, არც აცია
(ოჰ, ეს დათა რა კაცია!),
ბებოს უთხრა თითზე სანდროს
ცუდი ფისოს ნაკაწრი აქვს!
ეზოში ყეფს თეთრი ყურშა,
იბღვირება აკაცია,
არაფრის არ გვეშინია –
პაპა ჩვენი ძმაკაცია!

როცა ქვეყანას მოცავს ბნელი

მოდით ბალღებო, დასხედით ახლოს,
რაღაცას გეტყვით, არ არის ძნელი,
ვინ იცის დილა როდის გვეახლოს,
ვატყობ, წინა გვაქვს ჯერ ღამე გრძელი!
როცა ქვეყანას მოიცავს ბნელი,
სულ მახსენდება ამბავი ძველი –
ჭაბუკი მეფის, დაუდგრომელის,
ალექსანდრ - დიდის, მაკედონელის.
ჯერ ახალგაზრდა და უკვე ბრძენი,
მტრის რისხვა იყო, მოყვრის საფარი,
ყოველისმცოდნე დიდი ბერძენის –
არისტოტელეს ნამოწაფარი.
ცხენს შემოახტა, ხმალი ასწია,
მიწა დაიპყრო უზარმაზარი,
ინდოეთამდეც კი მიაღწია,
მრავალ ქვეყანას დასცა თავზარი!
მის ფეხის ხმაზე ღრუბელი კრთოდა,
მიწას გაჰქონდა თრთოლვა, ზანზარი,
ბედმა, ყოველთვის მას რომ ეტრფოდა,
ჩამოჰკრა ერთხელ განგაშის ზარი.
უდაბნო შეხვდა მწველი და უცხო,
წვიმაც არ მოდის, ფუჭად ელიან,
უდაბნო არის ვრცელი და უწყლო,
ლაშქარს სასმელი გამოელია.
დიდი ხელმწიფე, სადარი ზევსის,
დროშა და კერპი არმიის, ქვეყნის,
ჯარისკაცების გმინვა რომ ესმის,
ჩაფიქრებულა, ერთ ადგილს ტკეპნის.
მიმოუყრიათ შუბი და ფარი,
ჯარს ძალა არ აქვს – აღრჩობს წყურვილი,
აღარ ახარებთ ნაალაფარი,
მეომრებს არ აქვთ წინსვლის სურვილი.
უეცრად ატყდა ჩოჩქოლი რაღაც,
ხედავს – მოიწევს მოლაშქრე მარდი, -
წყალი ეშოვა სულ ცოტა სადღაც,
ჩაუხუტია გულს მუზარადით!

მიუახლოვდა მდუმარე მეფეს,
დაეცა მუხლზე, მიართვა წყალი,
თან სულს აყოლებს დაქცეულ წვეთებს,
თავად მწყურვალი, მთლად გამომშრალი.
მეფე წამოდგა, წამით გახევდა,
თვალში გაუკრთა მადლობის ალი,
მწყურვალე ლაშქარს რომ გადახედა,
წვეთიც არ მოსვა, დაღვარა წყალი!
ჯარი გაოგნდა – გვატყუებს თვალი,
წამსვე ყიჟინით შემართა ხმალი,
ალმა იპოვა თავის გზა-კვალი,
ერთხმად ყვირიან წეღან გამწყრალნი:
– არც წყალი გვინდა და არც სადილი,
ერთი გვაქვს მხოლოდ ნატვრა-წადილი, -
გაგვიძეხ მეფევ, გვითხარ ადგილი,
შენთან სიკვდილიც არის ადვილი!
პატარა ქვეყნის ყმაწვილი მეფე
ამიტომ იყო ასე დიადი,
ზურგს არ აქცევდა თვისტომთა სვე-ბედს
და სამშობლოსთვის შვა განთიადი.
***
თქვენ ისევ მისმენთ? არ ჩაგეძინათ?
მაშინ ერთ სიტყვას კიდევ გათხოვებთ –
თუმცა ეს იყო დიდი ხნის წინათ,
დღესაც ასეა, დაიმახსოვრეთ:

თუ მეთაური არის მაძღარი,
ხალხს ენატრება როცა ხმიადი,
იქ არ შენდება თეთრი ტაძარი,
ნათელზე მეფობს მუდამ წყვდიადი!

წინამძღოლი

ვერ ვუპატრონეთ ამ არემარეს,
თვალწინ მოგვიკლეს დიდი ილია,
სამართალი რომ ჩავდეთ სამარეს,
გონიერებაც გამოილია.

მალე ავირჩევთ ერის წინამძღოლს,
ხმები ჩამესმის არც თუ ტკბილია,
დიდი ხანია მზე არ ანათებს,
მომავალს ველი უფრო ჩრდილიანს.

მითხრეს – ნუ დარდობ, გვყავს კანდიდატი
თამარის დარი, ძალზე ჭკვიანი,
მასზე ლამაზი, უფრო კეთილიც,
ენამსუბუქი, აზრებჭიანი.

მურია

არის აურზაური
არ ჩერდება მურია,
ყეფით ტვინი წაიღო,
გააყრუა ყურია

რაც დააჭრეს ყურები –
მურამ სულ აურია,
დღე და ღამე ყავყავებს,
მუდამ ჩხუბი სწყურია.

ჰგონია, რომ კაცია,
გმირის ქუდი ხურია,
სადაც იყო – დატოვა
ძაღლის ნაფეხურია.

ყველა მასზე ჭორაობს –
ნეტავ სადაურია,
ვარიკები ჩივიან,
მამლები ემდურიან.

წიწილებმა გამოთქვეს
ტონა საყვედურია,
კატა ვეღარ იძინებს
– აუ, რა ხმაურია!

ცალკე ძროხა ბუზღუნებს –
– გააჩუმეთ მურია,
თორემ მაგის ჯაჯღანში
სულ გამიშრა ცურია!

სიბრაზისგან ადუღდა
მაჭრით სავსე ჭურია,
გოჭი ყვება – ამდენი
მეც არ მიხმაურია.

მეზობელთან გაიქცა
ინდაური მდგმურია,
– ყელში აღარ გადამდის
დაღეჭილი პურია.

– უყურადაც ჩუმად ვარ,
უთქვამს მურწას შურიანს,–
ვატყობ მაგის გარეზგვა
საქმე დასაშურია.

ერთიანად შეწუხდა
ცხვარი, თხა და ფურია,
– რა ცხოვრება დავკარგეთ.
მართლა რა მეფურია!

ჭაკი ცხენი ხვიხვინებს:
– სად არ მქონდა ტურია,
ზოგი აქაურია.
ბევრიც უცხოურია,

ჯერ ლეკვიც არ მინახავს
ასე უგუნურია.
ცოტა ხომ არ აკლია?
ფრიად უცნაურია!

ჩოჩორმა თქვა – აქამდე,
ხელიც კი არ მიხლია,
ამჯერად კი ვაითუ
გამომტყუოს წიხლია.

შაშვი მურას დასცინის:
– სმენა არ გაქვს ღერია,
გირჩევნია გაჩუმდე
როცა ვერ გიმღერია,

მე სიმღერას გასწავლი-
ყვავებიც კი მღერიან,
მაგ შენს ღავღავს აკლია
ტკბილი მისამღერია.

არავისი არ ესმის
ამ უჭკუო მურიანს!
ყველამ რომ თქვა სათქმელი –
ამბობს ბიჭი ზურიაც:

ხედავთ – არ ეყურება,
ყურმოკლეა მურია,
მოდი ისევ მივაბათ
მისი გრძელი ყურია.

.

მუხა

მახსოვს მუხა –
ნაჯაფარი,
ნაომარი,
ნამეხარი,
ბერი მუხა.

მახსოვს მამის დარიგება:
გონიერი
კაცი თუ ხარ –
წინ იყურე!
(თუმცა ზოგჯერ
წინაპარსაც მადლი უთხარ).

შვილის ბედი თუ განაღვლებს,
სოფლის ხვედრზე
თუკი წუხარ,

ნუ მოკვეთავ
ცოცხალ მკლავებს,
ნუ დაანთებ თუნდაც ბუხარს.

დიდებულთა გვარის მუხა –
წინამძღოლი,
სოფლის
მცველი,
არასოდეს დაუგდია
გასაჭირში ბრძოლის ველი.

ერეკლესთან ნამსახური,
დიდი პაპის
ნათესავი –
შვილო, გვერდით
რომ ჩაუვლი
დაუკარი მდაბლად თავი.

უპატრონე ჭარმაგ მუხას,
კეთილია,
ყველა უყვარს,
მაგის ერთი
ამოსუნთქვა
ასი კაცის უდრის სუნთქვას.

მოწიწებით ეამბორე,
დაუნამე
ცრემლით მკერდი,
მერე შენს შვილს
გადაეცი
მადლიერთა ალავერდი,
***
დამესიზმრა ერთხელ მუხა,
დარდისაგან
თითქოს გახდა,
თითქოს ზღვაში
იხრჩობოდა,
არნახული რამ გადახდა.

ვეღარ ვნახე მუხა ერთხანს,
ეჰ, სიზმარი
ცუდად ახდა,
მის ადგილას
ბაყაყების
ერთი დიდი გუბე დამხვდა.

ქალი შემხვდა დედაბერი,
ნუ ეძებო
დევგმირ მუხას,
ფესვიანად
წაუღია
მაოხრებელ მურვან ცრუ ხანს.
*

დამიმშვენებს ჰარამხანას –
დედაბრისთვის უთქვამს უხამსს.

ტყეში ჭორი გავარდა

ტყეში ჭორი გავარდა –
(მელას შეკვეთილია)
– ტურა ავად გამხდარა
კრებას იწვევს რწყილია:
– ხედავთ, ტურა ვერ მეფობს,
ძლიერ გადაღლილია,
დაივიწყეთ ტურები –
ყველა დაჩოქილია.
– აი, მელას სცოდნია
მეფობა რა ხილია –
ცაში აყავს, ადიდებს,
ამბობს – ზნეკეთილია.
ნახეთ რა ლამაზი აქვს
ორთავ თვალის ჭრილია,
ცხვირ-პირ-დრუნჩი, ფეხები –
წვრილი, ჩამოქნილია.
ხალხის ჭირი მას ესმის,

ხასიათით რბილია,
მეოჯახე, ერთგული,
უყვარს ცოლი, შვილია.
თქვენი ქოშიც არ უნდა,
აქვს საკმაო წყვილია!
ეღიმება მელიას –
საქათმის გზა ხსნილია,
ტყუილები დააცხო
ნაზუქივით ტკბილია.
მელა კაცი ფრთხილია –
მოადგილედ დანიშნა
მისივ მდგმური რწყილია.
კაბინეტი გადასცა,
ფუმფულა და თბილია,
აგარაკიც ვეზირის
ნათელი და გრილია.
მიაბარა საქმენი –
ბნელი, დაგრეხილია,
გრძელი კუდით მოუწყო
მშვენიერი ჩრდილია.
სკამები სულ გაყიდა,
სარფიანი, ძვირია,
ყველა მსუქან ვარიას
გაჰკრა ბასრი კბილია.
თავად არის მსაჯული,
ვექილი კი ტილია.
რწყილმაც შემოიკრიბა
ყველა სანდო პირია,
ზოგი თანასოფლელი,
ზოგიც ბიძაშვილია.
ამათ კიდევ მორეკეს
ტონა მომხრე ტილია.
შეესივნენ მთლიანად
უხილოს და ხილიანს,
ტილს ვერავინ აჩერებს ,
ისე აწყვეტილია:
– მეყო, მარხვა დამთავრდა,
ჩვენთვის უკვე ხსნილია.

ამბობს – ტყე ჩვენ გვეკუთვნის,
ფასი გადახილია!
...
ტყეში ჭორი გავარდა –
(მაჩვის შეკვეთილია,)
– მელა ავად გამხდარა
კრებას იწვევს ტილია...

კალიგულა

დიქტატორმა კალიგულამ
ერთხელ სიცილით აღნიშნა:
– ხალხმა სიგიჟედ მონათლა
ცხენის სენატში დანიშვნა!

მაგრამ ზოგჯერ მატიანე
სულ სხვანაირად ივსება –
სენატში ცხენს აღმოაჩნდა
ყველაზე მეტი ღირსება.

ჩემი ქვეყნის გამგებელო,
მომხსნელო და დამნიშვნელო,
შემწეობა გამიწიე –
შენთვის მეტად უმნიშვნელო.

ვიცი, სიბრძნით ვერ გაჯობებს
რომაელი დიქტატორი –
გთხოვ, სენატში დამინიშნო
ცხენი, თუნდაც ერთი–ორი.
*
(ოღონდ ცხენი – არა ღორი!)

სენატორი და მოქალაქე

დღეს მოირგებს ახალ კანონს
გადაითვლის ხვალ პრემიებს,
ტრიბუნასთან ხალხზე ნაღვლობს,
ხელს უკოცნის ხამ პრემიერს.

ერის ბედზე მოლაქლაქეს
თუკი ხედავ უძღებ მუწუკს,
ტაშს ნუ უკრავ მოქალაქევ,
უთხარ – გეყო ტუტუუუც!

ფლიდი

ერთ დროს კაცი – ბრძენი მშვიდი,
ჰაი გიდი, ჰაი გიდი!
ააშენა ხიდზე ხიდი ,
სიყვარული? – დიდზე დიდი!
გაეპარა ერთხელ რიდი
შეეპარა სულში ბინდი
ნაკაცარი ბაზარს მიდის –
ხუთ ქურუშად სინდისს ყიდის.–
(აღარ მაქვსო თავი ზიდვის).

.

ჰოდა, გახდა კაცი ფლიდი.

დონ უღირსობას

ასეთ განძს სხვა ვერ ჩაგაცმევს,
ვერც გაგხდის ვერა კაცია,
ვერც რა სამოსი დაგფარავს
ღირსება თუ არ გაცვია.

ღირსება ან გაქვს ან არა ,
ასე ჭრის წუთისოფელი,
ცოტა და ბევრი არ იცის,
ზოდია განუყოფელი.

ღირსება ხან გაქვს ხან არა?
სულ დაგკარგვია გონია!
ხანგამოშვებით სიცოცხლე
სადმე თუ გაგიგონია?

გურამ
დოჩანაშვილს

ერთი პლუს ერთი

ქუჩაში მიდის
დიდი ღირსება
და
რომ ივსება
ისეთი
ღორი.

იქვე, ქუჩაში,
პატივცემულებს
მათეს და
ნიკას
თავზე დავამხე
მათემა –
ტიკა.

უგუნურებს გაუწყრათ
ღმერთი –
როდესაც ვკითხე:
რამდენი არის
ერთი და
ერთი?

თურმე ნუ იტყვი,
ერთი ღირსება და
ერთი ღორი,
გაგეცინებათ,
ყოფილა
ორი!!

ბეღურები

ორი ბეღურა ჟრურტულებს,
სიამტკბილობით დნებაო,
ერთნაირი აქვთ სამოსი,
გინდ ზედა, გინდა ქვედაო.

ქუჩაში გადაფსკვილები,
არ მიყურებენ ზედაო.
ნაწნავიანმა – ბიჭი ვარ,
რამდენიც გინდა მედავონ.

სიყვარულს აღარ სჭირდება,
შორით ტრფობა და ბნედაო,
გოგო ბიჭს ეუბნებოდა,
„მიყვარხარ, ჩემი დედაო“

საქმე რაშია?

ერთი რამ ვიცი ნაღდშია,
აუგი სიტყვა არ მშია,
უნდა ვთქვა მაინც ჯამშია,
ვერ მივხვდი საქმე რაშია:
ხან თურმე ქალი კაცშია,
ხან კიდევ კაცი ქალშია,
ხან ყველა ერთ ჭრელ ქვაბშია.
ქუჩაში რაღაცა მარშია,
გაიძახიან ხალხშია –
„არ ვიმსახურებთ ჯარშია,
სხვა ფერისა გვყავს რაშია,
ვერ ჰკურნავს ექიმბაშია
ჩამჯდარს რბილსა და ძვალშია“.
ხალხია ერთ ამბავშია,
სიზმარში ვართ თუ ცხადშია –
„მათთან რა გვინდა ნავშია,
ვისროლოთ მლაშე ზღვაშია“,
გაბრაზდა ვინმე კაშია,
ხელში აქვს დროშა-არშია

(ცალი ფეხი კი ხრამშია),
„რად ჩაუდექითით კვალშია,
რისთვისა ქოლავთ ქვაშია,
თქვენ რაც არ მოგდით თვალშია
კარგია ევროპაშია“.
მეც გეტყვით სულ ორ თვლაშია:
ვინც არის ცოდო-ბრალშია,
ვერა თავსდება კანშია,
ღებულობს წკიპურტს თავშია.
...
ვიცი, რომ ცუდი ლექსისთვის
არც მე მეკუთვნის ტაშია,
სახეში შეფურთხებისთვის
ვარ მხოლოდ ბარი-ბარშია.

პაემანი ალუბალთან

ბულბული რომ მიწყნარდება,
თვალს მილულავს ცხრათვალა მზე,
გულისწორი დავითანხმე
ბაღის ბოლოს პაემანზე.

ჭორიკანებს გაუგიათ,
მესმის მაყვლის საუბარი
– ჭერმის გვერდით ელოდება
გაპრანჭული ალუბალი.

ბალის გვარის, დედისერთა,
ლერწმის წელის, მოქნლ ღერის,
მისი შორი სიყვარულით
ზოგი კვნესის, ზოგი მღერის.

მოთმინება აღარ მყოფნის,
ცოტა კიდევ როგორ გავძლო,
მელოდება წყვილკუნწულა
საოცნებო საპატარძლო.

მხრებზე თმები ჩამოშლია
გულუბრყვილოდ შემომცინა,
მეუბნება – არ შევცვილვარ,
ისეთი ვარ, როგორც წინათ.

თმებზე სიო გადავუსვი,
შემოვხვიე წელზე ხელი,
გადიზნიქა, დაიმორცხვა,
მოიღერა გედის ყელი.

უცბად სახე აელანძა,
აეფაკლა კდემით ღაწვი –
თურმე ჩუმად გვითვალთვალებს
გაბერილი მოკლე მარწყვი.

ყურში რაღაც მიჩურჩულა,
რიდით მართმევს იის კონებს,
თავი ვეღარ შევიკავე,
ბაგეებზე დავეკონე.

დავეკონე სულ პირველი,
ჯერ უთქმელი უცხო კოცნით,
აკანკალდა ტირიფივით
თავდახრილი, ბავშვზე მორცხვი.

გონი მერთმის რა ვიგემე
არ ნაგემი ჯერ ნუგბარი,
წარღვნა მოდის – გადაიხსნა
სიყვარულის საგუბარი.

ტალღა მაქცევს, ვიღას ახსოვს –
ან ზღვარი და ან საზღვარი,
უნაპირო შმაგი გრძნობის
მოჩქეფს მოტკბო ნიაღვარი.

ჭირიმე შენი!

–კაცი ყველა ფლიდიაო,
მოდიან და მიდიან,–
გულზე მომხვდა ეს ნათქვამი
გოგოვ შენი პირით მე,
რომ გამიცნობ
სულ სხვას იტყვი,
ქალავ,
შენი ჭირიმე.

ქალო შენ გენაცვალე,
გული შენთვის დავცალე,
ქალო შენი ჭირიმე,
ასე რატომ მაწვალებ?
ნუკრის თვალებს მარიდებ–
სხვაში ხომ არ გამცვალე?
...
სურნელი ველის,
თვალები – შველის,
ღიმილი – გშვენის,
ჭირიმე შენი!

მასწავლებელი

ქარი ქრის, სიო
ცუნცულებს,
გზას გადმოიფრენს
ურთულესს,
ფეხს არ დაადგამს
კუნძულებს,
ბავშვებს რომ შეხვდეს
ბუნჩულებს.
რითმის აასხამს
კუნწულებს,
ლექსს იტყვის –
წყარო

ჩურჩულებს,
ყელში გაგილღობს
ბურთულებს,
გულის გაგიხსნის
ურდულებს.
მიეძინებათ
ბულბულებს,
გუგულებს,
იხვის
ჭუჭულებს,
ენით დაათრობს
"ურჩხულებს",
გაგითბობთ
სულის
კუნჭულებს.

წია, წია

ეს ვინ არის?
ვინ გვეწვია?
რა პატარა,
რა კოპწია.
რა კოხტა და
რა პაწია.
ეგ ჩიორა ჩიტის გული
ვინ გატკინა?
სად დაგწვია?
პატიება რომ მაწვია –
ცხვირი ისევ
ცას აწია
და...
ღიმილით
დამაწია –
წია,
წია!

ავდარი

ქარი
ქრის,
წვიმა
სცრის,
ელვა
წელში
იკლაკნება,
მეხი
ცოფებს
ყრის.

სეტყვა

კაცი
წერს.
იწყებს წვიმას,
მოდის
სიტყვა,
სიტყვა – რუხი,
მოდის
სეტყვა,
სეტყვა – უხვი.
ვისმენ წუხილს,
ვუსმენ ქუხილს.
აურია,
დაურია,
უჰ! რამდენი
ხმაურია!
მესმის
სიტყვის,
მესმის
სეტყვის
რახა-რუხი,
ბრახა-ბრუხი.

მეზობლის ძაღლი

დილით ერთად
სეირნობენ,
ძაღლი კაცზე
გიჟდება –
როცა ეტყვის –
გაიქცევა
როცა ეტყვის –
იჯდება.

ძაღლი პატრონს
უყურებს –
ჯოხს აუწევს
რაწამს –
აბარტყუნებს რუხ
ყურებს,
ააყოლებს
წამწამს.

მუდამ როცა
იცინის,
კაცი იწყებს
ხამხამს,
ძაღლიც კუდის
ქიცინით
სულ პასუხობს –
– ჰამ-ჰამ!

კატა და თაგვი

ვითომ თვლემს –
კატა წევს.
ცრუ თაგვი
წერილს წერს:
– ჭკუა მაქვს
უკვე წელს,

კარგად ვცნობ
ძმას და მტერს,
იძინე
მშვიდად დღეს.
ფიცსა ვდებ –
არ შევჭამ
არც კაკალს
და არც ყველს

ოჯახი

ქალი
დუღს,
კაცი
ქუხს,
ბავშვი
წუხს,
მეზობელი? –
უგდებს ყურს.

რძალ-დედამთილი

დედა
ქმრის,
ცოლი
ქმრის,
ერთი
კერავს,
მეორე
კი
ჭრის,
დედამთილი
იწყევლება,
რძალი? –
რისხვა
მტრის!

შერიგება

აკრავს პურს,
ხდის ჭურს,
სძლია შურს,
აღებს გულს –
აღარ სძულს.
რაც აქვს, სულ.
ხარჯავს ფულს –
არ უყურებს
გაცვლით კურსს.

ანუკი

ეშინია
ღვინის
ტიკის,
გაგვიმართა
დილით
ცირკი!
ვერ
იპოვი
რუქით,
ვერ
იპოვი
ლუპით,
ტოლი ატმის
კურკის,
დაგვემალა
თუკი.

რიკი-რიკი

რიკი-რიკი
როკი-რუკი
ძლიერ
მიყვარს

რაკა-რუკი,
ეტლი
მიჰქრის
ღამით
თუკი.
თუკი-თუკი,
ბუგი-ბუგი
გულს გაუდის
ბაგაბუგი.
დრო ჩერდება
უცბათ აქ –
ტიკ-ტაკ!

დილა

ვენაცვალე
ნუკრის თვალებს –
ბალიშიდან
მითვალთვალებს.
მეუბნება:
„ამ წუთს, ამ წამს“,
აფახუნებს
გიშრის წამწამს.
ველოდები
ხუთ წუთს, ას წამს.
დრო კი მიდის–
წიკ-წიკ, წამ-წამ.
შევპირდები
ზღაპარს რა წამს,
ამირანს და
ბადრი, უსუპს,
წამოხტება-
ბიჭი – სკუპ-სკუპ!

რია რია

რია რია,
რია რია,
მერია გადაგვერია –
იქეთ უნდა იმერია,
აქით მთელი ამერია.
რაც კი რამეს მოერია,
მოვასწროო – დაერია.
ეჰ მერია, ოჰ მერია,
ეს სიმღერაც ნამღერია,
ისევ რაღაც აგერია,
ახალი არაფერია!
რომ ჩაცხრება რია-რია,
ხომ მორჩები მერე გრიალს?
ჰოდა ძმაო, ხელს გამოჰკრავ
ბინას – ვიწროს, „კამერიანს“.

დავეჭიდები

მზეს გაღვიძება ისევ დავასწარ,
უქნარა ღამეს აძევებს დილა,
ნოტიო ბალახს ფეხისგულს ვადგამ,
ოჰ! დედამიწა როგორ გაზრდილა!

მინდვრის ნიავი შეჯიბრში მიწვევს,
ანცი ღიმილით ბილიკს მაჩვენებს.
ეჰ! ბედაური ხომ აღარა ვარ,
რა შეუძლია წლების ნარჩენებს?!

თუმცა! მოიცა! უკვე ამდგარან,
მოტანტალებენ ჩემი ბიჭები!
ორივეს სულში რომ ჩავიკონებ,
მერე?– გრიგალსაც დავეჭიდები!

ოთხმოქმედებიანი სატირანარევი ტრაგედია

პროზასა და პოეზაში განცდილი მარცხის შემდეგ, გადავწყვიტე დრამატურგიაში მეცადა ბედი.

მეგობარმა შეიცხადა – პისების წერა უფრო ძნელია, განსაკუთრებით ტრაგედიებისო. მივახალე – მაგას რა უნდა, თუ გინდა გოგრა ბალზე დაგიწერ ტრაგედიას მეთქი.

გაეცინა.

ერთი მასალა ჩამივარდეს ხელში და სიცილს გაჩვენებ თქო – დავემუქრე.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. საგამოფენო დარბაზებში ხეტიალისას თვალი მოვკარი ერთ სურათს. სურათზე ჩემი სტუდენტი გოგონა იყო გამოსახული, რომელმაც ერთხელ ლექცია გამიცდინა. მერე გავიგე – გოგრა ბალთან ერთობოდა.

ქარისგან ნაალერსევი თმა სახეზე აქვს ჩამოშლილი. ერთი თვალიღა უჩანს მხოლოდ.

თავი გვერდზე აქვს გადახრილი და ეშმაკურად იღიმება.

თავს ზემოთ აწეული ხელის ორი ლამაზი თითით ჩამოკონწიალებული ბალი უჭირავს. თუმცა გოგონა ამბობს: –„მიყვარს მარწყვი“.

ბალისთვის ეს სიტყვები ფატალური აღმოჩნდება

გოგრა ბალის ტრაგედია

(ოთხ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

ოფელია – ბალთან მოკეკლუცე სტუდენტი გოგონა, მარწყვის სატრფო.

გოგრა ბალი – ოფელიასგან უარყოფილი.

ქარი – ოფელიაზე მეოცნებე გზააბნეული. ჩვენი ვარაუდით – ლოთი.

ალუბალი – გოგრა ბალის ღვიძლი და.

ჰამლეტი, დანიის პრინცი – პირველი მოწმე.

მარწყვი – ოფელიას რჩეული(ბუჩქებშია, არ გამოდის).

ფაუსტი – მეორე მოწმე, ოფელიას ჯგუფელი. დარეკა მაგვიანდებაო.

მეფისტოფელი – ავტორი, შეთავსებით მოსამართლე.

მოქმედება 1. ქარი (შემორბის სიმღერით)

ზუზუნა და აბეზარი,
მინდვრის პირმშო ვარ მე ქარი,
წვიმად მახლავს მაყრიონი,
ყვავილებად კი ამქარი –
მომავალი რძალი მინდვრის –
შემიყვარდა ტურფა ქალი,
ჯერაც მზეთა უნახავი –
საოცნებო პატარძალი.
– ხან სიო ვარ, ხან გრიგალი,
მღერის ქარი ალვის ქნარით,
ცივ ნიავს არ მოგაკარებ –
ქალს არ სჯერა ამ უქნარის.

მოქმედება 2. ქალი *(აღშფოთებული)*

კვლავ მოსულა! უტიფარი!
ალბათ არის ისევ მთვრალი!
მოძალადე, ქარაფშუტა,
ამრევი და ყიამყრალი.
შეაბოტებს, თუკი ნახა
რამე ღიაკარიანი,
ყველას ეტრფის, დასდევს კუდში ,
მართლაც გულ–თავ–ქარიანი.
თუ არ იცის – რახანია
სიყვარულის რომ მწვავს ალი?!
ერთიანად დამდნარი ვარ,
გადაბუგულ – ნახანძრალი!
ერთის გარდა არვის მინდა
ვეკუთვნოდე, მივცე თავი,
მსურს სიტკბოში ჩავიძირო,
გავაცურო მასთან ნავი.
უგუნურო! რაებს როშავ?
იოცნებო ჩემზე არც კი! –
დღეს სატრფო ვარ გაზაფხულის
ადრეული ნორჩი მარწყვის!

მხოლოდ იგი თუ იქნება
ღირსეული ჩემი ქმარი –
ჩამომეხსენ, ტოლი ნახე,
გაჯავრებით ამბობს ქალი!

მოქმედება 3. ბალი *(გოგრა ბალი)*

კოხტა ქალის ლამაზ ხელში
ბალი ხარობს, ნეტარ არი!
ქალის სიტყვებს რომ გაიგებს,
დაეცემა მეხ–თავზარი.
მისი დიდი იმედები
მაშ, ყოფილა ვაგლახ ფუჭი!
ბაგეებით რომ ჰკოცნიდა?!
მიირთმებდა ზოგჯერ მუჭით?!
გოგრა ბალი გაფითრდება –
ლამის გასკდეს კურკა–გული,
მისი ტანჯვა სადარია
წყლის გარეშე ორაგულის.
საოცნებო უფლისწული,
თავმომწონე, ოჰ! რა ბალი!
მარწყვი როგორ ამჯობინეს –
გონს ვერ მოდის გოგრა ბალი.
გულმოკლული – რატომ გოგო,
რატომ ჩემო ოფელია?! –
მაღალსა და ტანწერწეტას,
კუნწულას და ორფერიანს
მამჯობინე დაგვაჯული,
უჯიშო და ბალახ-გვარის,
მოთრეული, უცხო რჯულის,
დაბალი და არცთუ მრგვალი?!
აჰ, ნეტავი დამკრას მეხმა,
მგლეჯდეს ელვა და გრიგალი!
ვინატრებდი ახლავ თუნდაც
გავხდე ლუკმა კანიბალის!

ჰამლეტის დანახვაზე ბალის მწუხარება იმატებს:

ო, საწუთროვ! რად მარგუნე მე იღბალი ავი,
წყეული დღე გამითენე, დამატეხე ზვავი,
ქარვის ბაღში ვიღვიძებდი, მზეს შევტრფოდი უწინ,
მეგობრებთან გადაფსკვნილი, ერთგული და ლუწი.
რაღად მინდა ეს სიცოცხლე ან ეს ყოფა ძუნწი –
თქვა და თოკზე დაეკიდა უბედური, ყუნწით.

(მაშასადამე, ბალმა თავი ჩამოიხრჩო)

მოქმედება 4. ალუბალი *(შემორბის თმაგაშლილი, პირგამეხებული)*

კივის, გიჟს ჰგავს! – დამანახეთ, ოფელია რომელია!
(თმებს იქიდან უთვალთვალებს დამნაშავე ოფელია),
– ეგრე იცის სიყვარულმა – ამბობს მეფისტოფელია,
ჰამლეტი კი – ეს ცხოვრება ღალატების სოფელია!

იცრემლება ოფელია, არ სურს ერქვას მკვლელი,
გული ორად გაჭრილი აქვს, უბისპირი – სველი,
განა იგი არ უყვარდა – დაიხოკა ღაწვი!
ბალმა თავი ჩამოიხრჩო, რას უშვლის აწი?!
*
(ეშვება ფარდა)
*
სწორედ ამ დროს გამოჩნდება დაგვიანებული ფაუსტი –
ოფელიას მაღლიველი ჯგუფელი. იხსენებს:

გედისყელა ინტეგრალებს თავს უგრეხდა სულ იოლად,
მერე მარწყვი გამოჩნდა და გაუხლიჩა სული ორად.
*
მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი:
– ვინც მე ლექციას გამიცდენს, არ გახლავთ ჭკუას მყოფელი,–
და ოფელიას ამართლებს მსაჯული – მეფისტოფელი.
*

ოფელია, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს და სამკურნალოდ გააგზავნეს.

ბალი მოკვდა.

დასასრული.

წკიპურტები

სულ გვაქვს საბაბი

გვიყვარს ღვინო დაგვიყვარს ქაბაბი,
ჭამა – ყლაპვისა სულ გვაქვს საბაბი,
დაგვედო ღიპი, კოხტა ღაბაბი,
აქ დარეჯანი, იქ ლუარსაბი!

შინაბერა

არ ნებდება – სულ პოულობს
რაღაც მიზეზს,
ფიქრობს, არჩევს,ზომავს, წონის,
იღებს სინჯებს,
მაგრამ იმ დღეს გაიარა
ბეწვის ხიდზე,
ახლა რა თქვას? – ანგელოზი
გაასინჯეს!

სამართალს

არსად ჩანხარ, იქნებ იქეც
ყრუ-მუნჯად და ბრმად,
თუ ცაში ხარ აქ ჩამოდი,
რას აკეთებ მანდ?

ქურდის გარდაცვალება
(((1999)))

ჩვენთან რომ ქურდი გარდაიცვალა,
პოლიციელის ხმა ესმა ყურსა –
ვაი, რა ბოძი გამომეცალა,
ხელფასი არ მაქვს, ვინ მაჭმევს პურსა?!

მიმდინარეობს გამოძიება

წუხელ იმედიც დაუკლავთ ხანჯლით –
ვალმოხდილ სახით გვამცნეს ძიებმა,
დაგვმოძღვრეს თანაც – „ გქონდეთ იმედი –
მიმდინარეობს გამოძიება“.

სხვადასხვა

უზმოზე დაწერილი აზრები

ამ დილით მტკიცედ გადავწყვიტე საუზმემდე მეც დამეწერა ბრძნული აზრები. როგორც წესი, ადამიანი ყველაზე ხშირად იმაზე საუბრობს, რაც ენატრება. ბუნებრივია, მე ძირითად თემად ჭკუის თემა ავირჩიე

***

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდობაში ორჯერ უფრო ჭკვიანი ვიყავი, ვიდრე ახლა – მაშინ უკეთესადაც ვწერდი და არც ვაქვეყნებდი.

***

ჯობია თავადვე დასცინო საკუთარ თავს, რადგან თუ ამას სხვები გააკეთებენ, საავტორო უფლებებიც მათი იქნება.

***

ჩანაწერი ვნახე – "დიდი სიყვარულით გაკეთებული არაფერია პატარა". მომეწონა. მერე გამიკვირდა – ჩემი ყოფილა.

***

ახლა ვხვდები რა უჭკუო ვიყავი მაშინ, როცა თავი ჭკვიანი მეგონა.

***

ბავშვობაში დიდი კაცების მშურდა, ახლა პატარა ბავშვების მშურს. მივხვდი, რომ ახალგაზრდობა ყველაფერს ჯობია.

***

სხვის დაცინვას ყოველთვის ჯობია დასცინო საკუთარ თავს – ეს გაცილებით უხიფათოა.

***

თუ იმას ხვდები, რომ უჭკუო ხარ, კარგია – ჭკვიანი ყოფილხარ. მაგრამ, თუ ეს დაიჯერე, ცუდია – ისევ უჭკუო გამოდიხარ.

***

არსებობს სამი ტიპის ადამიანი: სულელი, ჭკვიანი და ძალიან ჭკვიანი.
სულელი ამბობს ჭკვიანი ვარო,
ჭკვიანი ამბობს სულელი ვარო,
ძალიან ჭკვიანი არაფერს ამბობს.
სამწუხაროდ, მე ბევრ რამეს ვამბობ, მაგრამ იშვიათად თუ წამომცდება ხოლმე – ვაიმე შვილებო, მოგიკვდეთ სულელი მამათქვენი მეთქი.

არ დაიჯეროთ გავრცელებული აზრი, თითქოს ადამიანები უზმოზე უკეთესად აზროვნებენ.

ცუდი დღე მქონდა.
კონსტიტუციას ვკითხულობდი

ჩლუნგი

ნიუტონი, აინშტაინი, ფარადეი,
გალილეი, პლანკი, ჰაიზენბერგი.....– გავიგე.
***
გაუსი, აბელი, გალუა, რიმანი, კანტორი,
პუანკარე, ჰილბერტი, რამამუჯანი... – გავიგე.
***
კონფუცი, პლატონი, არისტოტელე, კანტი,
დეკარტი, ჰეგელი, ფოირბახი, ნიცშე... – გავიგე.
***
ჰომეროსი, ფირდოუსი, დანტე, შექსპირი, გოეთე,
მონტესკიე, ჰიუგო, დოსტოევსკი, კამიუ... – გავიგე.
***
ჩემი კონსტიტუცია – ვერ გავიგე!

ცუდი, კარგი, ძალიან კარგი

დილაა, სამსახურში მივდივარ ჩემი მანქანით. სახლიდან ახალი გამოსული ვიყავი რომ ამედევნა, მისიგნალებს, მინთებს მაშუქებს. სარკეში ვხედავ, ცდილობს ხან მარცხნიდან ამიაროს გვერდი, ხან მარჯვნიდან.

დავიძაბე.

თავიდან მართლა არ იყო საშუალება გამეტარებინა, მერე კი პრინციპულად არ გავატარე – ვერ ვიტან თავხედებს.

გვერდით შვილი მიზის. მთხოვს:

– მამა, გაუშვი რა, წავიდეს.

მაგრამ მე უკვე ჯიუტ სახედარზე მყარად ვზივარ:

– თუ კანონით არ ეკუთვნის, ხომ იცი, შეიძლება პატრულიც არ გავატარო!

კახეთის გზატკეცილამდე ორი კილომეტრი ასე ვატარე. მერე

გზა გაფართოვდა და ეს უკვე შუძლებელი იყო. მთავარ გზაზე გასვლის წინ გავჩერდი. გვერდით ამომიდგა.

ძალიან კარგი! ახლა ვაჩვენებ სეირს.

მე უფრო ადრე ჩავუწიე მინას, ვიდრე მან. მაგრამ მაინც დამასწრო:

– ბატონო, რამდენი ხანია მოგდევთ – საბურავი გაქვთ დაშვებული.

ისე შემრცხვა, მადლობის გადახდაც ვერ მოვიფიქრე.

ისევ შვილმა იყოჩაღა.

გადმოვედი მანქანიდან. გული გამისკდა – სამსახურამდე ვერ მივაღწევ. არადა პირველი ლექცია მაქვს. ვულკანიზაციაც ჯერ დაკეტილია. ვეღარ ვიტრაბახებ – 40 წლის მანძილზე სულ სამი დაგვიანება მაქვს მეთქი. სტუდენტებს თვალი როგორღა გავუსწორო. ჯერაც ყურში ჩამესმის წლების წინ, ოთხი წუთი რომ დამაგვიანდა, პირველკურსელი გოგონას ხმა, – „ბატონო თამაზ, ეგაა თქვენი ნაქები პუნქტუალობა?

დაახლოებით იმ დღეში ვარ, ერთ ცხენში ნახევარ სახელმწიფოს რომ იძლევიან.

ვხედავ, მძღოლიც გადმოსულა და თავისი მანქანის საბარგულში იქექება. ახალგახრდაა – ჯერ ბიჭი ეთქმის.

გავედი ტრასაზე, ვანიშნებ მანქანებს, იქნებ ვინმეს საბურავის დასაბერი ჰქონდეს. ზედ არავინ მიყურებს. სასოწარკვეთილი მოვბრუნდი.

ბიჭი უკვე მანქანას ძრავს. ღია ფანჯრიდან მომაძახა.

– თქვენი საბურავი მზად არის. საღამოს მაინც შეამოწმებინეთ!

ადაპტაცია

დიდი ხნის წინ ექიმმა დიეტა დამინიშნა.

განსაკუთრებით ხილის შეზღუდვამ შემაწუხა. მითხრა, ერთი ხელით რამდენსაც აიღებ, მხოლოდ იმდენი შეგიძლია მიირთვაო.

რა მექნა – დამჯერი პაციენტი ვარ.

ჩემი მაცივრის კარი მარჯვენა ხელით იღება, ამიტომ ხილს უჯრიდან ყოველთვის მარცხენა ხელით ვიღებ.

ჩემმა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო.

შედეგი ფრიად შთამბეჭდავია – ამჯამად მარცხენა ხელის თითები ბევრად გრძელი მაქვს.

ბედნიერება

არ არსებობს გულის, გონის, სიყვარულის, ნატვრის, სატრფოს, ოცნების, მშვენიერების, სიამაყის, სიკეთის, სიმშვიდის, სინდისის, რწმენის, მუზის, ღირსების, სიწმინდის, იმედის გარეშე.

ქართლი – გულია ჩემი,
კახეთი – გონია ჩემი,
იმერეთი – სიყვარულია ჩემი,
გურია – ნატვრაა ჩემი,
სამეგრელო – სატრფოა ჩემი,
აფხაზეთი – ოცნებაა ჩემი,
აჭარა – მშვენიერებაა ჩემი,
სვანეთი – სიამაყეა ჩემი,
რაჭა – სიკეთეა ჩემი,
ლეჩხუმი – სიმშვიდეა ჩემი,
სამცხე – სინდისია ჩემი,
ჯავახეთი – რწმენაა ჩემი,
ფშავი – მუზაა ჩემი,
ხევსურეთი – ღირსებაა ჩემი,
თუშეთი – სიწმინდეა ჩემი,
მთიულეთი – იმედია ჩემი,
*
საქართველო – ბედნიერებაა ჩემი.

დაულაგებელი მინიატურები

(დალაგებულებს მხოლოდ ორშაბათობით ვწერ, მაგრამ ორშაბათობით არ მცალია – ყველაზე მეტი სისულელე სწორედ ამ დღეს მაქვს ხოლმე დასაწერი)

***

ბრძენი

ომარ ხაიამს შემოუთვლია – ჩემი მობაძვა არაფერში გარგია, მათემატიკას და წერას ერთდროულად რომ აუტანიხარო!

ვარაუდი

ჭკუა ძლიერისკენაა ხოლმე, გული კი – სუსტისკენ. იმიტომ ხომ არა, რომ ჭკუა უგულოა, გული კი – უჭკუო?

ხუმრობის გარეშე!

უნდა იცხოვრო ისე, რომ არ დაიმსახურო ცუდი ადამიანების ქება.

ცოტა ხუმრობით

ცხოვრებაში სამი საუკეთესო პერიოდები მქონდა :
დაბადებიდან სტუდენტობამდე,
სტუდენტობის ხანა და
სტუდენტობიდან დღემედე.

დასკვნა

იმის გასარკვევად, თუ რა შედეგი მოსდევს ნიანგის ხახაში თავის ჩაყოფას, ორი მეთოდი არსებობს, თეორიული და პრაქტიკული. ორივე შემთხვევაში დასკვნა ერთია, შედეგი – სხვადასხვა.

ეჭვი

ბავშვობაში არ მომწონდა უმცროსი ძმის როლი. ჩემს უფროს ძმას მოსწონდა უფროსი ძმის როლი. ეჭვი გამიჩნდა – "უფროსობაში" რაღაც ხიბლია!

ბოროტი ხუმრობა

ნუ დაარქმევ შვილს თემურის მხოლოდ იმისთვის, რომ შენი სამშობლოს მაოხრებელზე ჯავრი იყარო ხოლმე.

მარტივი ფორმულა

სტუმარს რომ მოვექცე როგორც სტუმარს, სტუმარი უნდა იქცეოდეს როგორც სტუმარი.

ისევ – „თეორია თუ პრაქტიკა?“

ხინკლის გემოს გასაგებად, ცხადია, პრაქტიკა სჯობს, მაგრამ თუ გინდა გაიგო ზვიგენის კბილის გემო – აქ უდავო უპირატესობა თეორიის მხარესაა.

წარმატება

სასიხარულო შეტყობინება მოვიდა – ჩემი თეორია „არ დაუჯერო კომპლიმენტებს“ პრაქტიკით დადასტურდა! აღმოჩნდა, რომ ჩემს მიერ და ჩემზე გამოქვეყნებულ მასალებს შორის

ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა ... ჩემმა ერთად-ერთმა კარიკატურამ.

უშიშარი

აბსოლუტურად არ მეშინია ჩემს დაუსწრებლად ჩემი გარდაცვალების.

თანხვედრა

ჩემი ნაწერებიდან ყველაზე მეტი მოწონება მათ ხვდა, რომლებშიც საკუთარ თავს ვთათხავ. მიხარია, რომ ხალხის აზრი ჩემს აზრს ემთხვევა.

პოეზია

პროზა ბავშვობიდან მიყვარდა. პოეზიას ვერ ვიტანდი. უკვე ასაკში მყოფმა ყური მოვკარი ფილოლოგის ფრაზას –„ლექსში ყველაფერი მოსულა“. იმ წუთიდან პოეზია უფრო შემიყვარდა.

არ ვიცოდი

ერთმა მშობელმა, რომელიც ფიქრობდა, რომ მისი შვილის ბედი ჩემს კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, კომპლიმენტებში ორიენტაცია დაკარგა და მითხრა:
– თქვენ დიდი ადამიანი ბრძანდებით!
– აბა რა გითხრათ ქალბატონო! გუშინ ერთმა თქვენმა „კოლეგამ“ ჩემთვის კუბო რომ შეუკვეთა, გამზომეს და სულ რაღაც 1,7 მ გამოვედი! – ვუპასუხე მე.

რომელი სჯობს?

სამართლიანად განსჯი –
მოგიწონებენ სამართლიანები
და გაგკიცხავენ უსამართლოები,
უსამართლოდ განსჯი –
მოგიწონებენ უსამართლოები
და გაგკიცხავენ სამართლიანები.
პირველი სჯობს,
რადგან უსამართლოების მოწონებას ფასი არ აქვს, ხოლო გაკიცხვას – ძალა

ეზოპეს კვალდაკვალ

" ნუ მთხოვთ იმას,
რაც მე არ მეკუთვნის "–
უთქვამს ეზოპეს.
მე დავამატებდი :
" და ნუ მთავაზობთ იმას,
რაც მე არ მეკუთვნის“.

აღიარე მაინც!

ეცადე შეცდომა არ დაუშვა,
თუ დაუშვი – სცადე გამოსწორება,
თუ ვერ გამოასწორე – მოინანიე,
და თუ ვერც ეს შესძელი – აღიარე მაინც!

წამოცდენილი აზრები

უბედურება
უბედურებაა , როცა ცოტა ხარ და ბევრი გსურს.

სულ ცოტა
ქარავანის შეჩერება რომ სცადო, სულ ცოტა, ყეფა მაინც უნდა გეხერხებოდეს.

ყბედი
ყბედია ძაღლი, რომელმაც იცის, რომ მის ყეფას ძაღლად არავინ აგდებს და მაინც ყეფს.

წინასაარჩევნო რჩევა
თუ კვერცხის დადებას არ აპირებ, კაკანს ნუ დაიწყებ.

ოდნავ განსხვავებული –
დედალი თუ ხარ, კაკანის შემდეგ კვარცხიც უნდა დადო.

არ მიყვარს
არ მიყვარს თეორია – „მე კვერცხს არ ვდებ, მაგრამ ერბოკვერ-ცხის გემო ქათამზე უკეთესად ვიცი“.

ქალი
ქალი მშვენიერი გამოგონებაა.

დამიჯერე
ნუ ცდილობ ახლოს გაიცნო ის, ვინც შორიდან ძალიან მოგწონს.

გოეთეს აზრი ლაკონურად
პატარა კაცები თავის სიმაღლეზე ხედავენ.

უფლება
ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს რომ ვუსმენ, უნებ-ლიედ მიჩნდება სურვილი ვუთხრა – „თქვენ გაქვთ დუმილის უფლება...“

ყვავი
არსებობს სამი ტიპის ყვავი: ბრიყვი, ჭკვიანი და ძალიან ჭკვი-ანი.
ბრიყვი – ჩხავის და პირიდან ლუკმას უვარდება.
ჭკვიანი – ჯერ ლუკმას ყლაპავს და მერე ჩხავის.
ძალიან ჭკვიანი – ლუკმას ჩუმ-ჩუმად ყლაპავს და მერეც გაყუ-ჩებულია.
სამწუხაროდ, მე ლუკმა პირიდან მივარდება.

სამი სახის ლექსი
ჩემთან სამი სახის ლექსია მოსული:
„თავისით რომ მოდის“,
„ძნელად რომ მოდის“ და
„ნეტავ არ მოსულიყო“.
„კიდევ კარგი მოვიდა“ – ჯერ არ მოსულა.

ხანმოკლე სიხარული
საერთოდ, მეცნიერებას ერთი დიდი შიში დაჰყვება კუდში – "ველოსიპედი უკვე გამოგონებული ხომ არ არის?"

პროფესორმა რევაზ ჭიღლაძემ, როცა გაიგო, რომ ბოლო დროს ბრძნული აზრები მაწუხებდა, „სიბრძნის ენციკლოპე-დიის“ ათტომეული მაჩუქა.

გადავხედე და გამიხარდა – ვერცერთი ჩემი აზრი იქ ვერ აღმო-ვაჩინე.
მერე კარგად დავფიქრი და ჩემს თავს ვკითხე – რა გიხარია?

მუხრანმა დაგვიბარა

ყბედს, მატყუარა ქათამს, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, ბრიყვ ყვავს და მე მუხრან მაჭავარიანმა დაგვიბარა – „რა გალაპარაკებს თურმე! – გაჩერდი, იყავი შენთვის!“.

სამწუხარო პარადოქსი

უამრავი საყვარელი მწერალი მყავს. ერთ-ერთი გურამ დოჩანაშვილია. ადრე, თუ წიგნი მომეწონებოდა, თვლა არ ვიცოდი – ვკითხულობდი და ვკითხულობდი. მოკლედ, დოჩანაშვილისა არ იყოს – ერთი პატარა კლიმი ვიყავი, წიგნებით გამოტენილი დიდ-ჯიბეებიანი ტანსაცმლით. მერე, ამდენი დრო რომ აღარ მქონდა, გადმოვიღებდი წიგნს და მხოლოდ მონატრებული ადგილებით ვტკბებოდი. ახლა ამის დროც აღარ მაქვს და წიგნის გარეშე ვიხსენებ ხოლმე, ზეპირად.

აი, ის ადგილი გამახსენდა, დოჩანაშვილი მათემატიკოსებს გვაკრიტიკებს და ამტკიცებს, რომ ერთი პლუს ერთი ყოველთვის ორი არ არის , რადგან – ერთი დიდებული იდალგო პლუს ერთი ვიგინდარა განა ორიაო?

რა თქმა უნდა, როგორც მათემატიკოსი, ვაპროტესტებ ამას, მაგრამ გულწრფელი თუ ვიქნები, როგორც ადამიანი, აბსოლუ – ტურად ვეთანხმები ცხონებულს. უფრო მეტიც, ცოტა მშურს კიდეც, რომ მან დამასწრო ამის თქმა.

აი, ამაშია სწორედ ის სამწუხარო პარადოქსი: ლოგიკურად გამოდის რომ მათემატიკოსი და ადამიანი სხვადასხვა რამეა. ე.ი. რადგან მათემატიკოსი ვარ, ადამიანი ვერ ვიქნები. მაგრამ, ნამდვიად ვიცი, რომ ერთიც ვარ და მეორეც. რჩება ერთადერთი დასკვნა – ჩემი ლოგიკური აზროვნების ჩიპია მოშლილი.

კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ მაშინ სხვა პარადოქსი იჩენს თავს: თუ ეს ასეა, გაუგებარი ხდება, როგორ მაქვს უნარების ტესტებში მაღალი შედეგები?

ერთადერთი დასკვნაღა რჩება – ჩვენი ეროვნული საგამოცდო სისტემა ნამდვილად გადასახედია!

როგორც იქნა გავიგე!

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვცდილობდი გამეგო – რა არის ბოროტება და რა არის სიკეთე. როგორც იქნა გავიგე – ერთ ბრძენ ტომის ბელადს უთქვამს:

– თუ შენ მე ცოლს წამართმევ, ეს ბოროტებაა,

ხოლო

– თუ მე შენ ცოლს წაგართმევ, ეს სიკეთეა.

ამ დღეებში ჩემი განათლების დონე კიდევ უფრო ამაღლდა. ერთმა ახალგაზრდა ბელადობის კანდიდატმა ამიხსნა, რომ: თუ ვინმეს ეტყვი:

– თქვენ არამზადა ბრძანდებით! – ეს შეურაცხყოფაა,

ხოლო თუ ეტყვი:

– ჩემი აზრით, თქვენ არამზადა ბრძანდებით! – ეს აზრის გამოხატვის თავისუფლებაა.

ამიერიდან აზრის გამოხატვის თავისუფლებას გამოვიყენებ! – შეურაცხყოფისაგან განსხვავებით, იგი არ ყოფილა დასჯადი.

ძალით შემოვარდნილი ცუდი ფიქრები

პერიფრაზი

სამართალი ურმით დადის, უსამართლობა – ძვირფასი ავტომობილით.

დუმილი

იქ სადაც დუმს სამართალი, დუჟმორეული ყეფს უსამართლობა.

მგელი, ძაღლი და სამართალი

მგელმა უთხრა ძაღლს: მე ჩემი სამართლით განვსჯი და შენ რამდენიც გინდა იყეფეო.

პური თუ ხაჭაპური?

სანამ სამართალი პურს ჭამდა, უსამართლობა ხაჭაპურს შეექცეოდა.

იმედიანი გაბაასება

უსამართლობას უთქვამს სამართალისთვის:

– დღეს შენი სჯობს, მაგრამ ერთხელაც იქნება ჩაგეძინება და ჩემს ჭიას მაინც გავახარებო!

– კი მაგრამ, რომ გავიღვიძებ, მერე სად გარბიხარო? – უკითხავს სამართალს.

მკვლელი

მკვლელი რომ იყო, აუცილებელი არაა შენი ხელით მოკლა.
მკვლელი გაზარდე? – მკვლელი ხარ.
მკვლელს ხელი დააფარე? – მკვლელი ხარ.
შეგეძლო და არ აღკვეთე? – მაშინაც.
ადამიანებში დაუსჯელობის განცდა დათესე? – მაშინ უკვე
სერიული მკვლელი ხარ!

ღმერთო, უმკურნალე ჩემს სამშობლოს

18 ივლისი 2017

ამ დღეებში თავზარი დამცა გავრცელებულმა ინფორმაციამ სტუდენტი გოგონას საზარელი მკვლელობის შესახებ. დღეს გავიგე, რომ თურმე საუბარია ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო, გამორჩეულ სტუდენტ გოგონაზე

ანა, სემესტრის ბოლოს ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ერთმანეთთან განშორება. კათედრაზე დაფის ზედა კუთხეში თქვენ სამახსოვროდ დამიტოვეთ ნახატი – მოფარიკავე კაცუნა, რომელიც ჩვენს ურთიერთობაში უკვე სიმბოლური შინაარსის მქონე იყო .მე შეგპირდით, რომ ამ ნახატს სექტემბრამდე არ წავშლიდი. ახლა გპირდებით, რომ მე მას არასდროს წავშლი!

ღმერთო! ჩემი წილი გზის დიდი ნაწილი ალბათ უკვე გავიარე. არასდროს ყოფილა ეს გზა უეკლო, მაგრამ არავისთვის, მათ შორის შენთვისაც, დახმარება არ მითხოვია. ახლა გთხოვ:

– ღმერთო, უმკურნალე ჩემს სამშობლოს!

ხომ არ დამეწერა?

ჟიულ ვერნმა დაწერა „80 ათასი კილომეტრი წყალქვშ“,
გაბრიელ მარკესმა – „მარტოობის 100 წელი“,
მე ხომ არ დამეწერა:
„49 წელი მაღლივში“?

შეცოდება – ერთი ღამე პოლიტიკასთან

ჩამოვრჩენილვარ

სამსახურში მივდივარ ჩემს ქალიშვილთან ერთად, ჩემი მანქანით. გაოცებული ვარ – ვარკეთილიდან ავლაბრამდე ყველგან ლამაზი თეთრ-წითელი, მგონი ხარისხიანიც, ქვეითთა გადასასვლელებია დახაზული. მერე რა რომ ღერძულა ხაზები წაშლილია! სიხარულისა და სიამაყის გრძნობა დამეუფლა – ვიგრძენი, რომ სახელმწიფოში ვცხოვრობ!

ტკბილი სიზმარი ამით არ დამთავრებულა. რუსთაველის გამზირზე შემხვედრი მიმართულებით მანქანა მოდიოდა და ქუჩას რეცხავდა. ბავშვური გულწრფელობით მეკითხება შვილი:

– მამა, რა ჭირთ?

– არ ვიცი, მეც გაკვირვებული ვარ – დაბნეულმა ვუპასუხე მე.

სამსახურში შეკრებილ კოლეგებს ეს ამბავი მოუყევი. გაოცებულებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. ერთმა ახალგაზრდა, ძალიან პირშიმთქმელმა კოლეგამ არ დამინდო და მეუბნება:

– არ გეკადრებათ, ბატონო თამაზ, თქვენ ძალიან ჩამორჩით პოლიტიკას!

– ეგ როგორ?

– არჩევნები ახლოვდება.

შემრცხვა, მაგრამ მაინც ვკითხე:

– რისი არჩევნები?

– პრეზიდენტის!

აქ უკვე მივხვდი სადამდე დავცემულვარ – ისიც კი აღარ მახსოვდა, ეგეთი რამე ჩვენთან თუ კიდევ არსებობდა.

ძალიან პატივმოყვარე ვარ და, რა თქმა უნდა, იხტიბარი არ გავიტეხე. შეურაცხყოფილი სახით მივუგე:

– ხვალვე გაჩვენებთ ვინ ჩამორჩა!

ის ღამე გავათენე და პოლიტიკის ნაკვალევზე დანახული დღეს აქ მოგიტანეთ:

ბედნიერი პოლიტიკა

დანგრეული ოცნებები,
კარ-მიდამო და ფსიქიკა,
არ ვპატიჟობ, თავად მსტუმრობს
უსირცხვილო პოლიტიკა!

მარჩენალის სადღეგრძელო –
ერთი ყანწი, ორი ჭიქა,
სულ ეს არის მარჯვე ბიჭის
ჩვენებური პოლიტიკა.

უწინ კაცი ახლა იქეც
უსარგებლო ღორის ტიკად –
გაბერილი რომ დადიხარ ,
ეს გგონია პოლიტიკა?

ფულის შოვნას შეახარჯე
თუ რამ გქონდა გონი-სიქა,
ღამე მშვიდად ვეღარ გძინავს –
რისთვის გინდა პოლიტიკა?

ტყუილს ამბობ, თავს იმართლებ,
ხალხს მიიჩნევ უკვე ბრიყვად,
თქვენებურად „დაბოლება“
მიგაჩნია პოლიტიკად?

უტიფრობა ჰობად გექცა,
ღალატი კი ჩვევა - „წიკად“,
ამისთანა უნამუსო
სად ისწავლე პოლიტიკა?

ხალხმა ხმა რომ ამოიღო,
იარაღზეც ხელი იკარ,
თუ დაგჭირდა ტყვიას მესვრი –
არ დაგიშლის პოლიტიკა.

ააღზევებ, მერე იჭერ –
„მონავ, ცოტა ჭკუით იყავ!“
ერთმანეთის ჩაძირვაა
საყვარელი პოლიტიკა.

თქვენთვის უცხოს სულ მიჩნევ
მაბეზრებელ მკბენარ ბზიკად,
მატლებივით გასრესვა გაქვს
საოცნებო პოლიტიკად.

ზოგჯერ ისე იმალები
თითქოს იქეც უკვე ხვლიკად,
პრემიებს კი არ აკლდები –
შე მსუნაგო პოლიტიკავ!

საღამოს პირს – რესტორნებში,
სამსახურში – სიზმრებში ხარ,
გეშინია მარჩენალის –
არ გაგიწყრეს პოლიტიკა.

მეტი რომ აქვს განათლება
მეზობლისას ჩოჩორიკას,
ცოდნა ჯობდა მოგეპარა –
მოიგებდა პოლიტიკაც.

ქარტეხილი მძვინვარებდა –
ცოლით, შვილით შორით იყავ,
კურდღელივით რომ გარბოდი
არ გრცხვენია პოლიტიკავ?

იქით – გტუქსავს ძია სემი,
აქეთ – გიბღვერს ვალოდიკა,
ჩანს ორივეს მოიმდურებ,
ისეთი გაქვს პოლიტიკა.

ტილი თავზე რომ გაჯდება,
შიშით უკვე ვეღარც იფხან,
ამბობ – მაღლა არ ეწყინოთ,
ბრძნული მაქვსო პოლიტიკა.

ფუფუნება დააგროვე,
გუშინ ცალი ქოშით იყავ,
ასე გესმის რჩეულების
გამჭრიახი პოლიტიკა?

ღარიბს ართმევ, მდიდარს აძლევ,
ღმერთთან ნეტავ როგორ მიხვალ,
იქ ცხელ ქვაბში თუ აღმოჩნდი –
ჩაბჟირდება პოლიტიკა!

ვაშლი თურქისგან შემოგაქვს,
კარტოფილს სთხოვ კოსტა-რიკას,
ბაღი გახმა – ასე იცის
უმეცარმა პოლიტიკამ!

ქვეყნიდან რომ გაიქცევა
ყველა ნიკა, ყველა ლიკა,
საზრუნავი მოგაკლდება –
დაწყნარდები პოლიტიკა?

გაგონებაც აღარ მინდა,
შემაძულეთ თვითონ სიტყვაც,
გოგოვ თაკო, ბიჭო გიკა,
შეიბრალეთ პოლიტიკა.

რა მითხარი? რა მაცინე! –
ეს ქვეყანა თურმე გიყვარს?!
ეგ ჩასვრილი პოლიტიკა
ნუთუ ვერ გრძნობ როგორ გიყარს?!

ძმაო ნიკა

თუ არ ისწავლე გარჩევა ძმაო –
ვინ მოკეთეა, ვინ კიდევ გველი,
სად სიკეთეა, სად ფლიდი ძღვენი –
წინ განსაცდელი კვლავ ბევრი გელის.

სამაგიერო შენს მსახურებას,
ქება-დიდებას თუნდაც თუ ელის,
უკვე არ ეთქმის იმ კაცებს ქველი –
ბრძენთა წესია ეს წესი ძველი:

სამ თუმნად მუხლზე რომ დაეცემი
ჩემო ძვირფასო ძამიკო ნიკუშ,
არ გაგიკვირდეს, მოგექცნენ როგორც
ავაზაკები – საბრალო კიკუს.

მერე?

– დედის საშოში ცხრა თვე იყავი დატყვევებული, მერე?
– გავჩნდი, მზე დავინახე!
– ჰო, გაჩნდი წვალებით, რა იყო მერე?
– ენა და ფეხი ავიდგი მალე!
– კი, ეგეც წვალებით. მერე?
– ახალგაზრდობა სწავლაში განვლე.
– იყო ალბათ გრძელი და ძნელი! რომ დაასრულე?
– გავხდი შეგირდი, მერე ოსტატი.
– ყოჩაღ, უკვე კარგია! რა მოხდა მერე?
– ვიშოვე ფული, ძალაუფლება!
– ბიჭოს! შენ აღარ ხუმრობ! მერე?
– ხელმწიფის ტახტზე ცოტა გაჭირდა, ღმერთის ჩარევა მცირე დამჭირდა.
– მერე?
– მერე რა?! მერე ღმერთია!
– ვთქვათ, ღმერთიც გახდი
(თუკი ინება მაღალმა ღმერთმა –
ეგეც ხომ შესძლო ჩვენგანმა ერთმა?!),
რა მერე?

შემოდგომის აზრები

საღმზრდელო

- ერთი ბოროტი გენიოსის გაზრდას ათასი კეთილი სულელის გაზრდა გერჩიოს.
- „არამზადა“ და „ანგელოზი“ ერთნაირად იწყება და სხვადასხვანაირდ მთავრდება.
- უნამუსობა და ავკაცობა ერთად იზრდებოდნენ.
- აღმზრდელმა ყველაზე ხშირად „ხევისბერი გოჩა“ და „გამზრდელი“ უნდა იკითხოს.
- ისეთ მებაღეს რა ვუთხარი, თავისზე მაღალ ხეს რომ ვერ გაზრდის.
- სულაც არაა ცუდი თუ აღმზრდელი თავადაც აღზრდილი იქნება.

- ადამიანის დასამზადებლად სულ ორი ინგრედიენტია საკმარისი: ჭეშმარიტი სიყვარული და სწორი აღზრდა.
- თუ გსურთ სხეული არ განებივრდეს – ხშირად დაასაჩუქრეთ სული.
- წუთისოფელთან დუელში წაგებული რომ არ გამოხვიდე, ორი მაინც უნდა გაზარდო შენზე უკეთესი.
- ბავშვებს უამრავი კითხვა დაუსვამთ. მათ შირის ყველაზე რთული იყო –„რატომ შემპირდი?“
- ერი – აღზრდილი მასაა.
- თუ შვილი კარგია, მშობელი ვერ იქნება ცუდი თუნდაც იმიტომ, რომ მან კარგი შვილი გაზარდ
- მე მხოლოდ იმიტომ ვიცი პითაგორაზე მეტი, რომ პითაგორა წინ მიდიოდა. აბა პირიქით ყოფილიყო!
- არ დაგავიწყდეს, რომ ერთ დროს შენც ბავშვი იყავი, თანაც საკმაოდ ცელქი.
- გამხმარი ტოტი აღარ იღუნება – ტყდება.
- ხშირად პატარა ღიმილი უფრო ჭრის, ვიდრე დიდი ყვირილი.
- კარგი აღმზრდელი თავისზე უკეთესებს ზრდის.
- ყველაზე ძნელი საკუთარი თავის აღზრდაა.
- უვიცობის წამალი გადაშლილ წიგნზე დევს.

სხვასასხვა

- ძაგებას მხოლოდ ერთი დადებითი თვისება აქვს – ქების გემოს უკეთ იგებ.
- ჯერ არ შემხვედრია კარგი არამზადა.
- კარგი არამზადა არ არსებობს, დიდი არამზადა – რამდენიც გინდა.
- დაკარგულ ბავშვობას ზოგჯერ მოხუცებულობაში პოულობენ.
- ცხოვრება იმ საინტერესო წიგნს მაგონებს, ყველაზე საინტერესო ადგილას რომ წყდება.
- ცუდი სახელი არ იკურნება.
- სახელი არ მოვა – შენ უნდა მიხვიდე.
- ბრბო – ეს ის შემთხვევაა, როცა ნაწილი ჯობია მთელს.
- აზრი სხივია, რომელიც გონების მზიდან მოდის.

- ზოგის გონება მზეა – ასხივებს, ზოგისა კი მთვარე – ირეკლავს.
- მთვარე რომ არ ირეკლავდეს – მზეზე თბილი იქნებოდა.
- თუ კაცი აზროვნებს, სუნთქვს კიდეც. შებრუნებული დებულება არაა სამართლიანი.
- დიდ აზრს პატარა სიტყვა უხდება.
- თუ ჭკვიანი ლაპარაკობს – გაჩუმდი, თუ სულელი – გააჩუმე.
- ახალგაზრდობაში შეცდომას საერთოდ არ ვაღიარებდი, შემდეგ – ვაღიარებდი და მრცხვენოდა. ახლა ვაღიარებ და ამაყი ვარ.
- ბავშვობიდან არ გამოვსულვარ – გამომაგდეს.
- როცა ადამიანი იტყვის უშეცდომო ვარო – მან უკვე დაუშვა პირველი შეცდომა.
- ჭკვიანსაც და სულელსაც უნდა მოუსმინო – ისე ვერ გაიგებ ვინ ვინ არის.
- თუ კარგი აზრის კარგად გადმოცემა ვერ ხერხდება – არ ყოფილა ის კარგი.
- შეცდომის დაშვება ცუდია, მისი აღიარება –კარგი.
- შეცდომის დაშვება ცუდია, გამეორება – ძალიან ცუდი.
- მხდლები ძაღლის შიშით ქარავანს მიყვებიან.
- ვინც ცხოვრობს პრინციპით – „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“, განათებულ ჯოჯოხეთში ხვდება.
- კარგი ლექსი კარგად გარითმული კარგი აზრია.
- ჭაბუკმა არ იცის დრო სად წაიღოს, ჭარმაგმა კი – საიდან მოიტანოს.
- დიდი აზრი ჯობია დიდი ცოდნას, მაგრამ დიდ აზრს დიდი ცოდნა სჭირდება.
- ცუდია როცა აზრები ამინდზეა დამოკიდებული.
- აზროვნება მოვალეობაა, ლაპარაკი კი უფლება.
- კაცობისკენ მიმავალს სახელი აედევნაო.
- სულის ტკივილი გულისტკივილზე უარესია.
- ქრთამი და ძღვენი ზოგჯერ ძმებივით გვანან ერთმანეთს.
- დაცინვით მოკლული კაცი არ მინახავს, დაჭრილი – რამდენიც გინდა.
- ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის სიყვარული ყოველთვის ცალმხრივია.
- ძაღლი ვერ შეგაჩერებს, თუ ქარავანს გაჰყვები.

- დიდი ადამიანები სხვებში მხოლოდ დიდ ნაკლს ხედავენ, პატარები – პატარასაც.
- ყველა ადამიანი თავისი ზომის შეცდომას აღიარებს.
- ყველა ადამიანს ორი მხარე აქვს. ერთზე აწერია „კარგი:, მეორეზე „ცუდი“ – მხოლოდ შრიფტის ზომებია განსხვა-ვებული.
- ნიჭიერი ხედავს აწმყოს, ტალანტი – მომავალს, გენიოსი – დასასრულს.
- დიდ ადამიანებს დიდი ჭკუა და პატარა კუჭი აქვთ.
- დიდ ადამიანებს პირველ რიგში დიდი გული უნდა ჰქონდეთ.
- გმირობა მოკლეა, სახელი –გრძელი.
- გმირობა მარტო სიკვდილი არაა, სიცოცხლეცაა.
- მძინარე გონება ძილში იპარება.
- გონება და გული ეჭვიანი შეყვარებულებია.
- ზოგჯერ ყველაზე უგუნურად ყველაზე გონიერი იქცევა.
- უგუნურობაა, როცა გონიერი უგუნურს გონიერებისკენ მოუწოდებს.
- ადამიანის ყველაზე დიდი მეგობარიც და ყველაზე საშიში მტერიც მისი გონებაა.
- გონება ხელისუფლებაა, გული – ოპოზიცია. ადამიანური რევოლუციების დროსაც როლები იცვლება.
- სახლიდან რომ გახვალ, ჭკუის წაღება არ დაგავიწყდეს.

დაბოლოს:

კარგი აზრების მოფიქრება არ მჭირდება – უბრალოდ ჩემს ცუდ აზრებს ვამბობ უკუღმა.

ჯერ არ მცალია

მაღლივი კორპუსის ლიფტში მარტო ვიყავი. ლიფტი პირველ სართულზე არ გაჩერდა და სარდაფში ჩამიყვანა. იმის ქვემოთ აღარაფერია. უფრო ზუსტად – მიწაა.

გაიღო კარი, დგას ნაცნობი სანტექნიკოსი და მეკითხება:

– ქვემოთ მიბრძანდებით?

– ჯერ არა! – სავსებით სერიოზულად ვუპასუხე მე.

ბოლოთქმის
მაგიერ

კორიდა

პატარა ბიჭი გორიდან
წამომიყვანეს შორიდან,
მარტო დამტოვეს იღბალთან,
თქვეს – გზა არჩიე ორიდან:

ან მომავალი ღონიდან,
ან კიდევ –ჭკუა-გონიდან.
ცხოვრებამ არა მკითხა რა –
მერგო ორივ გზა ორიდან.

მესამე თავად ვარჩიე,
თუმც ეთქმის უფრო ბილიკი –
ზოგისთვის სინდის ნამუსის,
ზოგისთვის ღიმილ-ქილიკის.

ეკალმორეულ სავალზე.
ათასი შემხვდა ქორი და
ათი ათასი გავმართე
უთანასწორო კორიდა.

ხან დამესივნენ დათვები –
გაბღენძილები ქონითგან,
ხელი ვერ ამაღებინეს
ერთხელ დადებულ ფსონიდან.

იქით ტურები კიოდნენ,
პური მოგვაკლდა თონიდან,
არამი ლუკმა მათ ჯიბრზე
გრამიც არ ვჭამე ტონიდან.

ვერ ამომაგდო ჟამთასვლამ
ბედ-იღბლით კუთვნილ როლიდან,
ორჯერ გულშიაც დავიჭერ
აფთართა განასროლიდან.

ისმოდა გველთა სისინიც,
გომბეშოების ყაყანიც,
შემომეცალნენ ისინიც
მე რომ მეგონნენ მაყარნი.

დამხმარე ყმაც არ მყოლია,
არც ბიძაშვილის ცოლის და,
სიდედრიც ადრე მომიკვდა –
ვერც მან დამიხსნა ომიდან.

წინაპრის ციხე-სიმაგრის
მოვიგერიე ალყანი
მუდმივად გამაგრებული
რწმენით, უმტკიცეს ჯავშანით.

დუღაბით ნაგებ გოდოლთან
მტერი დავყარე ნამუსრი,
ფარად დამქონდა სიმართლე,
მახვილად სინდის-ნამუსი.

იყო გზაც დაღმა სავალი,
მე სულ ვიარე პირიქით,
ამბობენ სასუფეველში
მიდიან აღმა ბილიკით.

ვფიცავარ, ამ ჩემს ნათქვამში
მისხალ არ არის ჭორი და
კაცების ვზიდე სამი გზა,
არამცთუ ერთი ორიდან.

არცა ვნანობ და ნურც გიკვირთ,
რომ არ ჩამოველ ჯორიდან,
ისევ იმავ გზით ვივლიდი,
ხვალ რომ ვიწყებდე ნოლიდან.

მხოლოდ დრო-ჟამმა დამცინა:
– დაღლილი მოხველ რბოლიდან.
მე ვუთხარ, – ცდები ბებერო,
ვარ მამა-პაპის გორიდან
(იმ სოფელს თუკი დასჭირდა,
იქაც გავმართავ კორიდას!).

სარჩევი

არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს....3
რედაქტორისაგან....5
წინათქმის მაგიერ....10
მცირე პროზა....11
ადამიანი უკეთესია!....11
უპატიებელი შეცდომა....13
ჩითისკაბიანი ანგელოზი....14
ანა....21
უჩვეულო სადღეგრძელო....22
რუსა....24
მეკობრეები....26
წადი გოგო, დამეკარგე აქედან!....27
დანიშნული ბილეთი....31
გოდერძი და პუტკუნა ქალი....33
ორი ჩემპიონი....36
სტუდენტური დიალოგი....36
შექსპირი და რწყილი....38
ჟანა დარკი....40
თავგასახმობი....43
მართლა გიჟი....44
კანიბალი....46
გვანცა....47
ოქროს ხანა და შეწყვეტილი ევოლუცია....50
ლუკა....58
მოსწრებული პასუხი....60
კიკინებიანი ბუთხუზა....62
კომპაქტური....65
მოდი და ნუ დაიჯერებ!....67
გინდ დაიჯერეთ, გინდ არა....68
ბატონი მათე....70
დამაჯერებელი არგუმენტი....71
ჩემი ბავშვობის კოლორიტები....73
უცნაური დავალება....78
გაზაფხულივით ლამაზი....80
მეგობარი....83
ნამდვილი მეგობარი....83

დედამიწა 86
რასისტები 88
რასისტები 91
რვეულში ჩარჩენილი სიყვარული 95
ღირს, ნამდვილად ღირს 100
ლექსები 105
სინდისო შე უსინდისო 105
ნუ დააბრალებთ ჯორდანო ბრუნოს ! 106
ნეტავი კიდევ მაჩვენა 109
შენს დროშას ვეამბორები! 118
მზის დაბნელება 119
მეფის ძაღლი 120
ნაკადული 121
აუქციონი 122
ნაწყვეტი პოემიდან "შავი ჭირი" 126
მონა თუ ბატონი? 131
გვალვა 131
ოი, რარიგად მომწყურებია! 132
ჩაუქინდრიათ თავი ზამბახებს 133
პასუხი სტუდენტებს 134
სიზმარი 135
საით ქართველო? 136
მინდა და ვყმუი! 137
სხვა თვალით ვუმზერ თავად დადიანს 139
სხვათაშორის 140
ერთ მესაფლავეს მოსვლია ბრაზი 140
ზოგიერთებს 142
წამი – ზმანება 143
ბოგინობს ქარი 144
დილა მშვიდობის! 145
კაცი 146
ნატალია 147
ბერიკაცის სიმღერა 149
ძველი ფოტო 150
დიახ, მინახავს! 150
წვეთი ზღვაში 153
საბავშვო და სახუმარო ლექსები 162
წელიწადი – 12 თვე 162

ჩემი 33 163
გზა შემოდგომისა 168
დარდი 170
პაპა 170
დიდი კაცი 171
მოქეიფე დათა 171
გურმანი 171
ძმაკაცები 172
როცა ქვეყანას მოცავს ბნელი 173
წინამძღოლი 174
მურია 175
მუხა 177
ტყეში ჭორი გავარდა 179
კალიგულა 181
სენატორი და მოქალაქე 181
ფლიდი 182
დონ უღირსობას 182
ერთი პლუს ერთი 183
ბელურები 184
საქმე რაშია? 184
პაემანი ალუბალთან 185
ჭირიმე შენი! 187
მასწავლებელი 187
წია, წია 188
ავდარი 189
სეტყვა 189
მეზობლის ძაღლი 190
კატა და თაგვი 190
ოჯახი 191
რძალ-დედამთილი 191
შერიგება 192
ანუკი 192
რიკი-რიკი 192
დილა 193
რია რია 194
დავეჭიდები 194
ოთხმოქმედებიანი სატირანარევი ტრაგედია 195
გოგრა ბალის ტრაგედია 195

წკიპურტები 199
სხვადასხვა 200
უზმოზე დაწერილი აზრები 200
ჩლუნგი 201
ცუდი, კარგი, ძალიან კარგი 201
ადაპტაცია 202
ბედნიერება 203
დაულაგებელი მინიატურები 203
რომელი სჯობს? 205
ეზოპეს კვალდაკვალ 206
აღიარე მაინც! 206
წამოცდენილი აზრები 206
სამწუხარო პარადოქსი 208
როგორც იქნა გავიგე! 209
ძალით შემოვარდნილი ცუდი ფიქრები 209
ღმერთო, უმკურნალე ჩემს სამშობლოს 210
ხომ არ დამეწერა? 210
შეცოდება – ერთი ღამე პოლიტიკასთან 211
ჩამოვრჩენილვარ 211
ბედნიერი პოლიტიკა 211
ძმაო ნიკა 214
მერე? 215
შემოდგომის აზრები 215
ჯერ არ მცალია 218
კორიდა 219
სარჩევი 221

თამაზ ზერეკიძე

- დაიბადა 1953 წელს
- ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
- დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 1977 წლიდან მუშაობს ამავე უნივერსიტეტში

9 789941 809132